ISSN 0132-6023

Коммунист

3

1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტი

356
გამოცემის ოცდამეათე წელი

3

მარტი
1987
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

3. გიორგი ლეონიძე — თამარადდა. ლექსი

კროზა და კოეზია

4. ალეკო გაგელია — იოსები ზასული. მოთხრობა
15. გენო კალანდია — პირამიდა. პოემა
29. გივი მაღულარია — ერთხელ მეც მოვისმინეთ, ხალხო! მოთხრობა
49. ტაგუ მეგუარიშვილი — ლექსები
52. გივი გელაძე — გენგბას ამბავი. მოთხრობა
56. თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლექსები
57. სოსო გელაძე — ლექსები
58. თამარ კაპანაშვილი — ლექსები
59. გუარი ფეტელავა — სიცოცხლემისჯილი. რომანი. გაგრძელება

ახალი თარგმანები

91. ოლდოს ჰაქსლი — გლაქსტონეგის ოჯახი. ინგლისურიდან თარგმნა ნანა სუხიტაშვილმა

60 — არჩილ სულაკაური — 60

105. საკმეთმეტყველი
107. დიმიტრი ქუმსიშვილი — „თეთრი ცხენი“

გარდაქმნა დროის მოთხოვნა

115. ანდრო გედუკაძე, ნოდარ გრიგალაშვილი, ალეკო გაგელია, მანანა კვაკანტირაძე, თამურ შავლაძე, დავით ჩიხლაძე, პაატა ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, ზურაგ ფაკაგაძე

წერილები

130. ზვიად გამსახურდია — „ქებაგ და დიდებაგ ქართულისა ენისაგ“
149. სოლიკო ცაიშვილი — სიკვდილისა სიცოცხლითა დამორგუნველი

158. ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმო კვეტიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფეა კაპანაძე
შოთა ნინიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ალიკო ფარაშვილი
ნუგზარ შაბანაძე

ავთანდილ ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე
გოგი ფურთელი
ტარიელ ჭანტურია
გაფრი ჯოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

თამარდედა

ხეხილის შტო მსხმოიარობს,
ვაზი ჰშვენის შესახედად...
ცოტანი ვართ, ქართველები,
გაგვიმრავლე, თამარდედა!

ზოგსა სძინავს მარაბდაში,
და ქერჩში წევს ზოგი მიწად,
არ ყოფილან არადანში,
ყველა ნაღდად გადაიწვა!

ხალხის გულის ასაძგერი,
ჩვენ ბევრი გვაქვს დასაწერი,
ჩვენ ბევრი გვაქვს ასაგები
შენობანი, სართულები,
გასათხრელი რუსხმულები,
დასაკიდი ნათურები,
ჩვენ ბევრი გვაქვს დასარგველი
ვაზი, ვარდი, ზედიზედა,
ჩვენ ბევრი გვაქვს გასარბენი,
მომავალის დასახედად,
დაგვეხმარე,
მოგვეშველე,
გაგვამრავლე, თამარდედა!

შენი კაბის ნათელი მწვავს,
შენი ღიმი მეიმედა!
მკერდს მიყრდნობილ ყრმით რომ
გხედავ,
რა მიყვარხარ, თამარდედა!

უმზესო და უნაზესო,
თავზე გადგა ნათლის შუქი,
შენ ხომ სავსე ვენახი ხარ,
დასხმულ მტევნის სიჭაბუკით.

შენ ხომ, დაო და დედაო,
რიცხვმცირობას ჩვენსას ჰხედავ,
ცოტანი ვართ
ქართველები,
გაგვიმრთლე
თამარდედა!

---

* თამარდედა — ქართველი ქალის ძველი სახელია.

ᲚᲔᲕᲘᲙᲝ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐ

ᲘᲝᲡᲔᲑᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲐ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

ᲭᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲔᲕᲐ ᲑᲣᲮᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲯᲓᲝᲛᲘᲓᲐ. ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲨᲐᲒᲐᲓ ᲨᲔᲦᲔᲚᲘᲚᲘ ᲫᲝᲤᲘᲗ ᲘᲧᲘᲡᲝᲓᲐ ᲛᲝᲡᲚᲘᲡᲮᲐᲛᲘ. ᲑᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲧᲐᲕᲘᲡᲖᲣᲠᲛ-ᲧᲣᲚᲐᲚ ᲢᲧᲣᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲝᲠᲒᲐᲒᲘᲠᲘ ᲮᲐᲮᲒᲐᲛᲝᲛᲨᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲓᲘᲠᲐᲕᲓᲑᲘᲓᲐ. ᲝᲠᲘᲡᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲘ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲠᲔᲮᲔᲓᲜᲔᲜ, ᲙᲐᲪᲘᲡ ᲔᲒᲠᲝᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲘᲗᲓᲪᲘᲡ ᲡᲣᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲧᲝᲛᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲔᲗᲘᲗᲛᲜᲔᲒᲗᲗᲝᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲘᲜᲘ.

ᲭᲐᲚᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ, ᲗᲔᲗᲠᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲒᲝᲑᲐ ᲐᲰᲧᲝᲚᲜᲔᲓᲐ ᲓᲐᲒᲘᲡ ᲒᲠᲒᲐᲚᲘ. ᲘᲫᲣᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲡᲚᲔᲚᲘ ᲔᲕᲐᲚᲘ.

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲐᲗᲛᲐ ᲔᲥᲕᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲩᲐᲛᲯᲙᲠᲐ, ᲭᲐᲚᲘ ᲣᲜᲔᲑᲝᲠᲐᲓ ᲨᲔᲯᲙᲠᲗᲐ. ᲘᲪᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲓᲠᲝᲛᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲜᲘᲪ ᲐᲮᲪᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲡᲗᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲓᲐᲦᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲣᲠᲗᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲓ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠ ᲡᲐᲐᲗᲘ. „ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲛᲝᲕᲐ“. — ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲝᲠᲛ ᲐᲣᲩᲘᲠᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲡ. ᲣᲛᲐᲢᲔᲡ ᲮᲢᲣᲜᲕᲐᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲗᲐ. ᲐᲘᲛᲐᲚᲐ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲒᲠᲒᲐᲚᲘᲪ.

ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲤᲘᲥᲔ ᲨᲔᲛᲓᲒᲐ. ᲓᲦᲔᲕᲔᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲮᲚᲝᲛᲣ. — ᲛᲝᲠᲩᲔᲑᲘᲗ, ᲜᲐᲮᲘ, ᲕᲐᲮᲘᲡ ᲚᲔᲠᲩᲘᲗᲘᲗ ᲜᲘᲠᲩᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲛ ᲣᲛᲫᲕᲔᲠᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ. ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲐᲭ ᲘᲓᲒᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲨᲔᲐᲙᲠᲗᲝᲗ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲧᲚᲐᲠᲣᲜᲛᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲝᲨᲝᲠᲐ ᲔᲡ ᲣᲛᲣᲠᲘ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ.

ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘ!..

ᲨᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲦᲔᲚᲘᲚᲘ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲒᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲝᲑᲔᲑᲘ. ᲘᲫᲣᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲡᲚᲘᲡᲮᲐᲛᲘ...

ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘ...

ᲑᲔᲓᲛᲐ ᲣᲜᲐᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲘᲠᲘᲐ. ᲘᲥᲜᲔᲑ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲛᲐᲪ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲐ ᲭᲐᲚᲬᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲬᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲢᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲮᲔᲣᲚᲡ? ᲘᲥᲜᲔᲑ ᲣᲜᲐᲧᲝᲤᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲣᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲔᲕᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲑᲐ — თანმხლები უნაყოფო ქალის ცივი, მიუკარები სიდიადისა?

ᲬᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲐ. ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲒᲐᲣᲨᲢᲔᲠᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ. ᲣᲐᲖᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲠᲘᲜᲓᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲘ. ᲨᲔᲓᲒᲐ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘ. ᲗᲘᲗᲓᲪᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐᲛ, ᲮᲔᲚᲘ ᲝᲗᲐᲚᲬᲘᲜᲔ ᲐᲘᲭᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲘᲪ ᲣᲛᲐᲚ ᲨᲔᲢᲝᲛᲙᲔᲓᲜᲔ. ᲡᲐᲐᲗᲘ ᲐᲮᲔᲓ, ᲔᲕᲭᲡᲘ. „ᲡᲐᲪᲐᲐ ᲨᲔᲛᲝᲕᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲬᲧᲘᲢᲝ. ᲔᲠᲔ ᲘᲢᲐᲚᲘ ᲠᲝᲪᲐ ᲔᲕᲭᲡᲘ. ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲛᲒᲠᲜᲘᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲢᲝᲔᲕᲔ, ᲛᲝᲬᲧᲔᲜᲘᲚᲝᲛᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲓᲔᲝ“.

ᲡᲐᲪᲔᲪᲚᲣᲠᲘ ᲐᲘᲔᲠᲝ, ᲪᲔᲪᲮᲚᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲩᲘᲩᲜᲣᲜᲐ. ᲐᲢᲙᲐᲪᲣᲜᲓᲔᲜ ᲜᲐᲪᲠᲔᲠᲬᲚᲔᲑᲘ, ᲛᲘᲠᲘᲐᲓᲝᲑᲘᲗ ᲞᲐᲬᲧᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲒᲐᲮᲡᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲙᲝᲐᲤᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲪᲝᲑᲐᲓᲔᲗ ᲒᲐᲰᲩᲠᲜᲔᲜ. ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ, ᲛᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲑᲘᲗ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ. ᲛᲐᲚᲪᲔᲕᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲓᲐ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲢᲐᲑᲚᲐ ᲑᲣᲮᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲬᲘᲐ. ᲛᲔᲠᲔᲣ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲓᲐᲜ ᲡᲐᲰᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲠᲐ ᲒᲐᲣᲚᲐᲪᲐ. ᲑᲣᲮᲐᲠᲘ ᲛᲘᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲮᲐᲜᲘ ᲒᲐᲘᲠᲘᲜᲓᲐ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲬᲐᲘᲦᲝ. ᲧᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲗᲝᲜᲘ? ᲘᲥᲜᲔᲑ ᲔᲡ ᲐᲠᲪᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ? ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲩᲔᲡᲣᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲔᲜᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲚᲢᲝᲚᲕᲐ, ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲛᲐᲖᲒᲔᲑᲝᲜᲔ ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲜ ᲔᲬᲘᲝᲓᲐᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲗᲝᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ? ᲐᲮᲚᲘᲡ ᲟᲐᲛᲘᲡ ᲐᲣᲬᲡᲚᲘᲡᲘ ᲑᲣᲠᲐᲜᲘ ᲜᲔᲚᲘᲝ-ᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲔᲪᲮᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲧᲘᲜᲓᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ-

ლის ყოველ მეანდრზე შეუმჩნევლად ილექებოდა პირველზიარების შმაგი განცდები. უყვარდათ ერთმანეთი? — შესაძლებელია! მაგრამ ახლა, ამჟამად ერქვა კი მათ ეგრეთწოდებულ სიმბიოზსს (ეს სიტყვები ქმრისა გახლდათ!) სიყვარულით თანაცხოვრება?

ქალი მთელი არსებით გრძნობდა, რაღაც უცხო და უჩვეულო რომ შემოიჭრა მათ ცხოვრებაში. ჯერ ჩვეულებრივი მოწყენილობა ეგონათ, მერე და მერე გაიოქვა, ყველაფერი ეს ჩვეულებრივობის ფარგლებში აღარ თავსდებოდა. მელანქოლიის პირველი ნიშნები მამაკაცს დაეტყო, რადგან მამაკაცები უფრო მგრძნობიარენი არიან სინამდვილის ყოველი უმნიშვნელო ცვლილების მიმართ.

ერთხელ, ნაშუადღევს, ქმარმა თქვა, სასეირნოდ მივდივარო. მას შემდეგ დაიწყო ქმრის ყოველდღიური სეირნობები. ყოველდღე, ნაშუადღევს გავიდოდა ქმარი და საღამოს ექვსისთვის ბრუნდებოდა...

კვლავ აიქნია ხელი, თითქოს ფიქრები მოზუზუნეს ზილი ყოფილიყო, ხელის აქნევით რომ მოეშორებინა. ოთახში დაკვირვებით მიმოიხედა, თითქოს თვალს ავლებდა იმ სინამდვილეს, იმ დაცარიელებულ, განმუტტულ სივრცეს, რომელშიც მიედინებოდა მათი ყოველდღიური რუტინული ყოფა — ჩაკეტილი, დახშული, გარემოს მოწყვეტილი, შენელებული სიცოცხლის იმპულსებით სავსე.

საათმა კვლავ ჩამოჰკრა. სრული ექვსი იყო. კიდევ რამდენიმე წუთი და ქმარიც შემოაღებდა კარებს. შვიდის ათ წუთს არ გადააცილებდა. ეს დაურღვეველი გახლდათ. ყოველშემთხვევაში, ასე ფიქრობდა ქალი, მაგრამ, ზოგჯერ, როცა უიმედობის, სასოწარკვეთილების სიო შეატოკებდა იმედიან ფიქრებს და ვერხვის ფოთლებივით აათრთოლებდა, ქალს შიში შეიპყრობდა: ხომ შეიძლებდა ერთ მშვენიერ დღეს დარღვეულიყო ეს აკვიატებული მონოტონურობა და ქმარი აღარც მოგბრუნებულიყო?

შეაჯრეოლა. ცეცხლისკენ დაიხარა. კუნძი ბუხრის უკანა კედელს ააყუდა და იმავე წუთს ზღურბლზე ნაბიჯების ხმაც გაისმა. ქალი გაიმართა და კარისკენ შეტრიალდა. კარგა ხანს ისმოდა ფეხების ბაკუნი და ხელების ტყაპუნი: ჩამოთოვლილ მხრებს, ვულმეკრდს და ქუდს იბერტყავდა მოსული.

როგორც იქნა კარიც გაიღო და ზღურბლზე მამაკაცმა შემოალაჯა. ბუხართან გარინდულ ცოლს თვალი შეავლო და ქურქის გახდას შეუდგა. ეკა წამოეშველა, ქუდი და ქურქი დერეფანში გაიტანა, საკიდარზე ჩამოჰკიდა. შემობრუნებულს ქმარი ბუხართან დაუხვდა. ცეცხლს უფიცხებდა გათოშილ, გაშეშებულ თითებს. ანაზდად ევას დაეინებული მზერა იგრძნო. მიუტრიალდა. ქალი შუა ოთახში იდგა და ხმამაღუღებლივ მისჩერებოდა.

— თოვს!.. ხვავრიელად ბარდნის! — თქვა კაცმა.

ქალმა მექანიკურად დაუქნია თავი. არ განძრეულა. ისევ ისე დარჩა გარინდებული და უაზროდ მისჩერებოდა ქმარს. კაცმა გაშლილ ტაბლას მოავლო თვალი.

— წავალ, დოქ ღვინოს ამოვიტან!

— იყავი, მე ამოვიტან.

არაფერი უთქვამს კაცს, ბუხრისკენ შეტრიალდა და ქალიც გავიდა.

მამაკაცი ცეცხლის მოთამაშე ალს მისჩერებოდა. ცეცხლის ენა ხან აიწვართებოდა და ამაღლდებოდა, ხან ფართოვდებოდა და დაბლდებოდა. ცეცხლის მეტამორფოზებს გაშმაგებით მისდევდა მისი ცნობიერება, მაგრამ აღქმის ზღვართანვე იცვლებოდა ყოფილი, იბადებოდა ახალი და მისი ტვინის ხვეულები ვერ ასწრებდნენ ახალი სახის აღბეჭდვას, რადგან კვლავ იბადებოდა უსასრულო ახალი. იქნებ, სწორედ ეს ეფემერული სახეცვლაა ცეცხლის სილამაზე და მშვენიერება? —

ფიქრობდა კაცი და უფრო დაკვირვებით აჩერდებოდა ფორმათა უსაბამო რიგს. — აი, როგორი უნდა იყოს ადამიანი! თუ კაცს დაეჩლუნგდა და დაუქვეითდა ქალროფორმის უნარი, სიცოცხლე კარგავს მშვენიერებას — დამყაყებულ, დალორწილ ჭაობად იქცევა ცხოვრება, ადამიანები კი ქვის ქანდაკებებს ემსგავსებიან... ცეცხლი!.. ცეცხლი!.. მაგრამ აზრიანია კი ცვალებადობის უსასრულობა? იქნებ მასაც არ ძალუძს გარკვეულ ზღვარს იქით გაღწევა? აი, ახლა კი მგონია, რომ ცეცხლიც რაღაც მოჯადოებულ წრეში უნდა იყოს ჩაკეტილი, ერთ ადგილას. იტ კეპნება... ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ამ მშვენიერებისა და სილამაზის ავბედითი როკვაა სწორედ უსასრულობის ილუზიას რომ ქმნის. უფრო სწორად, ჩვენივე ცნობიერება აყალიბებს მისი უსასრულობის ილუზიას, რადგან ცნობიერება უძლურია მისი სახეცვალებადობის იგივეობის დაჭერაში... ცეცხლი ყველაზე დიდი ილუზიაა...

კარის ხმამ გამოაფხიზლა. შებრუნდა. კართან პატარა, ორ ლიტრიანი თიხის დოქით ევა იდგა.

— რა მითხარი? — ჰკითხა ქალმა.

— არაფერი, არაფერი!..

მამაკაცი დაჯდა. ქალმა დოქი დაუდგა ფეხთან. მერე ბუხრის გვერდით აყუდებული შუშა შეუკეთა ცეცხლს. კაცმა შებოლილ ფერაკს ლუკმა შეაჭარა და ჩაკბიჩა. უგრგვლოდ დაღეჭა. მერე ღვინო ჩამოისხა და უთქმელად დალია. ჭიქა დადგა. ისევ ჩაკბიჩა ლორი და პურს ყუა შეატეხა. ზანტად იღეჭებოდა. უცებ ჭამა შეწყვიტა და ქალს აჩერდა.

— ვინმე ხომ არ ყოფილა?

— არავინ!

იცოდა ქალი ამ სიტყვას რომ ეტყოდა. ჭამა განაგრძო. აღარც ახსოვდა უკანასკნელად როდის და ვინ ეწვიათ. მაინც კკითხა, რადგან გრძნობდა, რაღაც რომ უნდა ეთქვა. ხელები ტილოს შეაწმინდა და ისევ ჩამოისხა ღვინო. აჯერადაც უთქმელად გამოცალა. ჭიქა უხმაუროდ დადგა და იყურჩა. თვალი გაუჩერდა.

— აალაგე! — თქვა კაცმა. ადგა, სარკმელთან მივიდა. მძიმე შავი ფარდები გადასწია და გაიხედა. ნთელი ღამე იდგა. თოვლს დაებერა და გადაეთეთრებინა ყველაფერი. კვლავ ბარდნიდა. გზას გაჰხედა. ბაიბური არ ისმოდა. „არავინ!“ — ამაზრზენად ჩაესმა ქალის ხმა. ფარდა გამოსწია და ოთახში მიმოიხედა. ქალს საჭმელი გაჭქონდა. კვლავ გაჰხედა დათოვლილ ღამეს... „სულ ალარავინ!“ — პირველად ახლაღა გაიცნობიერა ამ სიტყვის მთელი შემზარაობა. იგრძნო, უფრო სწორად, ნათლად დაინახა სახლი უსასრულობის ოკეანეში მოხეტიალე, მიუნაპირებელი, უკანო და უნავსაყუდლო, რომელშიც თვითონ და მისი მეუღლე ევა ჩაკეტილიყვნენ. ესეც, რა თქმა უნდა, სინამდვილე გახლდათ, დაკონსერვებული სინამდვილე, შემაძრწუნებელი მარტოობის ვაკუუმში. მომავალი? — მომავალი ბუნდოვანი იყო, როგორც ეს გზა უსიერი და უკაცური. წარსული? — წარსული და ალრინდელი სინამდვილე მკვდარი სუბსტანციი, გაუფასურებული ღირებულება იყო, ცარიელ ნიჟარასავით რომ ეგდო ცხოვრების — ამ ბობოქარ ოკეანის — შეშლილ და ქარვისფერ სანაპიროზე გარიყული. ახლა?!.. — ჩვენი კიდობანი სიჩუმისაკენ მიიწევს მხოლოდ! ჩვენ კი უგონოდ დავიიალებთ წარსულის უაზრო ნანგრევებსა და მომავლის უსახურ ლანდებს შორის!..

მხოლოდ არავინ!

შეუძლებელია!.. შეუძლებელია სინამდვილით იცხოვრო, ან სერიოზულად უყურო მას.

წამონთებული შუბლი ცივ მინას მიადო.

შეუძლებელია!!!

სარკმელს მოშორდა. ოთახს მოავლო მზერა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

...ადამიანი სერპანტინია მარტოობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და კომუნიკაციას შორის გაკიდული, როგორც კი გაწყდება იგი, ნაგლეჯების უაზრო გროვად იქცევა უმალ. დიშლება მისტიკური დიაგრამა — ბორობუდური!... სად არის ევა?

ახლა შენ-შნა ქალის არყოფნა. საძინებელ ოთახიაკენ გაემართა და კარი ფრთხილად შეაღო. სარკის წინ იჯდა უღონოდ ხელებდაშვებული, სახეგაცრეცილი და გაფითრებული. თვალები ნობეს სევდითა და კაუშნით ავსებოდა. პირუთვნელია სარკე! ეს შენ ხარ!!! — მიეცალებული ხ

!..

— ევა!

ქალი შეკრთა. მობრუნდა.

— რა მოხდა? — კაცი დუმდა. — მოხდა რამე?

— აარა, არაფერი. ამ სახლში, საერთოდ, აღარაფერი ხდება... რაა უზიხარ მანდ?!

— ისე, უბრალოდ... ვფიქრობ.

— გამოდი აქეთ!

— რაღა აზრი აქვს? განა ჩემი გამოსვლით შეიცვლება რამე?

კაცმა კარი გაიჯახუნა და სასტუმრო ოთახში გამოვიდა. ბუხართან მისული ცეცხლს დაჰყურებდა: — ცეცხლი სიცოცხლეა, მარად მედინი და მარად ცვალებადი, რომელსაც წინასწარ ვერავინ ვერასოდეს განაჭვრეტს! და მაინც ჩაკეტილია; მისი მარადმედინობა და სახეცვლა კი მხოლოდ ილუზიაა და სხვა აღარაფერი.

საძინებელ ოთახიაკენ გაემართა. კარი შეაღო და ზღურბლთანვე შედგა. სავარძელში მოკალთებულ ევას თავი-არ აუღია. „ისევ ქსოვს“. — გაიფიქრა კაცმა და ზიზღმა დაუბრიკა სახე. მიხვდა, სახლიდან რომ გავიდოდა. საღამოსა და ღილით ნაქსოვი ქალი არღვევდა. მერე ისევ ქსოვდა.

— ისევ ეს იდიოტური საქმე! რას ქსოვ ასეთ დაუსრულებელს? შეწყვიტე!.. ახლავე შეწყვიტე თორემ კარში გადაგიყარე ყველაფერი!

ევას ხელები გაუშეშდა. ერთხანს თავჩაქინდრული დარჩა. მერე წამოდგა, ხატაურის ფთილები წამოჰკრიფა-ერთ ყველაფერი საკარძელში ჩაყარა.

— რა გინდა, რა გავაკეთო?

— გამოდი.

სასტუმრო ოთახში შემოვიდნენ. ქალი ბუხართან მივიდა და მხრით მიეყრდნო.

მამაკაცმა ბოლთის ცემა განაგრძო.

— ევა! — თქვა კარგა ხნის მერე კაცმა და შედგა. — ევა, შენ რაღაცის თქმა გინდა!

კვლავ უაზრო გუთალს მოჰყვა.

— არაფრის. — თქვა ქალმა. კაცი შედგა.

— მართლა? — ჰკითხა კაცმა და მოჭუტული თვალებით გახედა.

— ნამდვილად!

კაცი მთლიანად მობრუნდა და მიეახლა. თვალებში ჩააშტერდა. ქალმა თავი ჩაქინდრა და...

ანაზდად, მოულოდნელად, აშკარად და დაუჯერებლად კაკუნი მოესმათ. შეცბნენ. ერთმანეთს გადახედეს რატომღაც. დაიბნენ, როგორც უცხო, უეცარ სიცხადეს დაჯახებული სიზმარეთს მისაოვებული სული. კაკუნი? და ისიც ამ წკვარამ, უსიერ, ჯოჯოხეთურ ღამეში? მოეჩვენათ? კი მაგრამ ორივეს?

— შეუძლებელია! — წაიჩურჩულა ქალმა.

— რა არის შეუძლებელი? — ჩაეკითხა კაცი.

— შენ გაიგონე?

— რა?

— კაკუნი.

— ქარი იყო, სხვა არაფერი. — კაცი ჩაფიქრდა. მერე სადღაც სიღრმიდან ყრუდ ამოიბუბუნა, — მარტოდენ ქარი, სხვა არაფერი...

კაცი დაღუმდა და ქალს მიაჩერდა. ქალს ნელი-ნელ დაეწია უპასუხო კითხვით აზიღული წარბი. კაცმა კიდევ დააპირა რაღაცის თქმა და სწორედ იმავე წამს განმეორდა კაკუნი, ამჯერად ნათლად და გარკვევით.

— ღმერთო, ჩემო! — დაიჩურჩულა ქალმა. — ვიღაც მოვიდა!

— ვიღაც მოვიდა! — მექანიკურად გაიმეორა კაცმა ქალის სიტყვები. არა, ეს აშკარა იყო, მაგრამ რატომ დაუმძიმდა ფეხები? რატომ არ გაიქცევა და არ გამოხეთქავს კარს, არ იკივლებს, შემოდიო სტუმარო? რატომ დაეუფლა იდუმალის შიში? განა მთელი ცხოვრება ამ კაკუნს არ იყო მიყურადებული? ჩქარა, ჩქარა უნდა მიხედოს შუაღამის მოულოდნელ სტუმარს, თორემ ხომ შეიძლება იფიქროს, აქ თურმე აღარავინ ცხოვრობსო?

— გახედე... გახედე, ვინ მოგვდგომია კარს? — გაისმა ქალის დაბალი, ათრთოლებული ხმა.

კაცი ოთახიდან გავიდა და დერეფნის კარისკენ გაემართა.

— ვინა ხარ?! — იკითხა კაცმა და გაირინდა.

— ᲒᲮᲝᲚᲝᲚᲓ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ. გთხოვთ, ცოტა ხნით სული მომათქმევინოთ თქვენთან.

კაცმა გასაღები გადაატრიალა და კარი ყურთამდე გამოაღო. ძაღლივით ეძგერა ქარი, ხვრიში თოვლი და სიცივე.

— მობრძანდი!

კაცი გვერდზე მიდგა და ერთიანად თოვლში ამოგანგლული სტუმარი გამოატარა.

— ოჰ, რა უამური ღამეა, ძაღლსაც არ გაადგებენ კარში.

კაცმა კარი მიხურა, ჩაკეტა და შემოტრიალდა. ოთახიდან გამომავალ შუქზე შეამჩნია, ევა კარებში იდგა. უცნობს ქურქისა და ყურებამდე ჩამოფხატული შლიაპის მოხდაში შეეშვერა. ორივე ჩამოართვა და ქალს გასძახა.

— ევა! — ქალი მივიდა.

— გაბერტყე და ჩამოჰკიდე. წამობრძანდით! — უცნობს მიუბრუნდა კაცი. ორივენი ოთახში შეეიდნენ. კაცმა სამფეხა დაბალი სკამი მიუდგა ბუხართან.

— დაბრძანდით! ძალიან გათოშილხართ.

უცნობი დაჯდა, ცეცხლს მიუშვირა გამხდარი, გაფიჩხული თითები. ევა კვლავ მოაშორა ხელი და თქვა:

— უცებ არ შეიძლება.

— ჰო, არ შეიძლება... ახლავე... ამ წუთში... ევა, ევა!. — გასძახა კარებში გოოგნებით მდგარ ცოლს კაცმა — რა მოგვიდა, წადი, გასამშრალებელი მოიტანე.

— ნუ სწუხდებით! ცოტას გავთბები, შევშრები და წავალ. ისედაც შეგაწუხეთ ამ უდროო დროს.

— რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ, რა შეწუხებაა, პირიქით, ძალიან გვასიამოვნეთ... ასე არ არის ევა? — ქალს პირსახოცი გამოართვა და უცნობს გაუწოდა. — აიღეთ, შეიმშრალეთ.

კაცმა სახე, თმები და კისერი შეიმშრალა. მერე თეთრი, ქათქათა პირსახოცი გაჭუჭყიანებული და გაზანგული დაუბრუნა მასპინძელს.

— მაპატიეთ, — მოიბოდიშა სტუმარმა, — ძალიან ჭუჭყიანი ვარ. მოგეხსენებათ მგზავრობა...

— არაუშავს, არაუშავს... ევა! გაიტანე ეს და გაგვიშალე სუფრა... გატყობთ, შორიდან მობრძანდებით.

— კი, შორიდან.

— დაიღლებოდით. მოგშივდებოდათ თანაც. ახლავე სუფრას გავშლით და მერე მოგასვენებთ.

— ااا, პა, პა, პა! მაგდენს როგორ დაგავალდებულებთ?

— რა დავალდებულება ეგაა, ჩემო ბატონო! ჩვენს სახლში სტუმარი ყოველთვის სასურველია... ევა! რას აკეთებ ამდენ ხანს?!

— გთხოვთ, ნუ შეაწუხებთ ქალბატონს. გვიანია. თან ვინ იცის, როგორი დაღლილია საქმეებით. მოგეხსენებათ, ოჯახი...

უსაქმურობითო, უნდოდა ეთქვა კაცს, მაგრამ დროზე დააჭირა კბილები ენას.

— ევა-მეთქი!

— მოვდივარ ადამიანო!

ქალი გამოჩნდა. კაცმა ტაბლა მოსწია.

— ღვინოც გამოგვიტანე!

ქალი გავიდა და დოქი შემოიტანა. კაცმა ჭიქებში ჩამოასხა. ერთი სტუმარს მიაწოდა და კითხვით მიაჩერდა.

— იოსები მქვია. — მიუხვდა სტუმარი.

— კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა, ბატონო იოსებ!

— ღმერთმა გისმინოთ, ჩემო ბატონო.

ჭიქები გამოსცალეს და პური შეაყოლეს. ეკა საძინებელ ოთახში გავიდა.

— ეკა! — მიაძახა ქმარმა.

— შემოვალ! — ქალმა ზურგსუკან გაიხედა კარი და საძინებელ ოთახში გავიდა. სარკესთან მისული დიდხანს, დაკვირვებით ათვალიერებდა საკუთარ ორეულს. ღაწვებზე ჩამოისვა ხელები. წარბი აზიდა და ოდნავ ირიბად გახედა სარკეში არეკლილ პროფილს. თმის სამაგრები მოიხსნა. მომუწულ ბაგეებში გაიჩარა. მხრებზე გადმოუშალა ხშირი ყორნისფერი თმები. ერთხანს ასე დარჩა. მერე თავი გაიქნია და თმებში შეიცურა ხელები, აკრიფა და კეფაზე დაიგრაგნა. პირიდან სამაგრები სათითაოდ გამოიღო და გრძელი, ნატიფი თითებით ოსტატურად დაიმაგრა. ტანსაცმლის კარადასთან მივიდა. კარი გამოაღო და ველური ხავერდის გრძელი, მუქლურჯი ხალათი გამოიღო. ერთხანს უყურა. შეატრიალ-შემოატრიალა და საწოლზე გადასდო. კვლავ სარკესთან მიბრუნდა. აღარც კი ახსოვდა როდის ეცვა ეს ხალათი უკანასკნელად. ყოველდღიური სამოსელი მხრებიდან გადიგდო. სავსე, დამაბრმავებლად თეთრი მხრები გაკრთა სარკეში. ქალი ნაზევრად შემობრუნდა, წამით კარებს მიაჩერდა და კვლავ სარკეს მიუტრიალდა. ერთი აქნევით შემოიძარცვა სამოსელი. სარკიდან მობანავე დიანა შემოსჩერებოდა.

„ეს შენ ხარ! — ლუსკუმა დაბზუკუნებდა და შვიდი ბეჭდით დაბეჭდულო!

ირონიული ღიმი იქნებესაკით გაიკლაკნა მარჯნის ბაგეთა შეერთებასთან. ორივე ხელის ნები გაწლილ გავაზე შემოიდო და ნება-ნება აჰყვა ვიწრო წელისკენ. შემდეგ წინ წამოსული ხელები ლაციცით გაცურდნენ მკერდისკენ. წამით გაირინდა. რამდენჯერ უგრძვნია მამაკაცის თბილი, უცნაურად ჟრუანტელმომგვრელი სუნთქვა... „ეკა!“

— ჩასწვდა ქმრის ხმა ბურანში წასულს. გამოერკვა. საწოლიდან სასწრაფოდ აიღო ხალათი და ჩაიცვა. ქამრით მჭიდროდ შემოიტმასნა. მარცხენა ხელი ყურთან აისვა. დაიხარა, იატაკიდან გამოცვლილი სამოსი აიღო და კარადაში შეჰკიდა...

კაცმა დოქი აიღო და ჯერ სტუმარს. მერე თავად შეივსო ჭიქა. დასადგმელად წადებული დოქი ანაზდად ჰაერში გაუშეშდა. საძინებელ ოთახში გამავალ კარებს მიაწყდა მისი დაბნეული და განცვიფრებული მზერა. სტუმარმა ჭამა შეწყვიტა, ისიც კარისკენ მიტრიალდა. კარებში პიგმალიონის ქანდაკებასავით იდგა ქალი. ღრმად ამოჭრილ გულისპირიდან მკერდი მოუჩანდა პირველთოვლისფერი, თითქოს ძვირფასი სახის დრუნგილის ქვისაგან ყოფილიყოს ნაკვეთი იგი.

— ეკა. — წაიჩურჩულა კაცმა. ქალი შეტოკდა. — მოდი ჩვენთან!

ქალმა სკამი აიღო და ქმრის გვერდით დაჯდა. კაცმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი. ეკამ კეკლუცად გაუღიმა. ამ ღიმილმა ააფორიაქა მამაკაცი. ისეთი უჩვეულო გრძნობა დაეუფლა, ეგონა პირველად ხედავდა მეუღლეს. თითქოს უცხოს, თითქოს უცნობს. ნუთუ, მართლა უცნობებივით გაატარეს ერთად თხუთმეტი წელი? ნუთუ, დღემდე არ იცნობდნენ ერთმანეთს და მხოლოდ ახლა იწყებოდა შეცნობის იდუმალი ჟამი?

მამაკაცს საშინლად მოუნდა მოხვეოდა. გაახსენდა მარტონი რომ არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყვნენ. სტუმარს გადახედა თავჩაკიდულს და უმისამართოდ მდუმარს. კაცმა ისევ შეხედა ცოლს და დოქი ფრთხილად დადგა. ანაზღდად გაურკვეველმა სიამოვნებამ შეიპყრო. მერე ჩახედა, რომ ეს უმალ სიამაყე იყო, ვინმე ქალის სხეულით მოგვრილი ნეტარება. დიახ, იგი ამაყობდა, ამაყობდა, რადგან მხოლოდ მას ეკუთვნოდა ეს ქალი და მხოლოდ მას ჰქონდა უფლება, როცა კი მოესურვებოდა, მოხვეოდა, გაეშიშვლებინა, თავდავიწყებით ჩაკარგულიყო მისი სხეულის უსიერ მშვენიერებაში.

კმაყოფილების ღიმმა გადაურბინა სახეზე.

საათის ჟღარუნმა გაარღვია სქელი, მთვლემარე ნისლივით ჩამოწოლილი სიჩუმე. ქალი შეკრთა. სტუმარი შეიშმუშნა. სამივე საათს მიაჩერდა.

თორმეტი საათი და ოცდაათი წუთი!

სტუმარი სუფრისკენ შემობრუნდა.

ახლაღა შეამჩნიეს:

სულდგმული სიმახინჯე იჯდა მათ წინ. ცხვირმოკმეული, ლაშგადმოგდებული, ცალხელა და ცალთვალა შემზარაობა. მარცხენა თვალის დავსებული, წრიპლიანი ფოსო ჩიტების სკორეთი ამოვსებულ ბუდეს მიუგავდა. უკვე გამშრალი თმები ქერტლითა და ზინთით ჭმნდა სავსე. სტუმარი კვლავ საათს მიაჩერდა, მერე მობრუნდა და თქვა:

— უკვე ბედობის დღეა!

კაცმა მკლავზე ევას ხელი შეიგრძნო. ქალი ნერვიულად უჭერდა თითებს. თვალებში ჩახედა. გაურკვეველის შიში ჩაბუდებოდა თვალებში ევას. კაცმა გაღიმება სცადა. არ გამოუვიდა.

— რას ჰქვია ბედობის დღე? — იკითხა კაცმა.

— ორი იანვარი ბედობის დღეა! — თქვა იოსებმა. ჭიქა ასწია. — ყოველგვარი სიკეთე და საათნობა დაბადებიდეს თქვენს სახლს.

იოსებმა ჭიქა დაცალა. მაპინელმაც დალია, მხოლოდ არაფერი უთქვამს. ერთხანს ასე იყვნენ. ქალი ფიქრებში წასულიყო. არაფრის მთქმელი, დაცლილი და უაზრო მზერით დაესჩერებოდა ტაბლას. როდის დადგა ახალი წელი? მათთან ხომ დიდი ხანია არ ყოფილა იგი? მათთვის ხომ დიდი ხანია მიჯნები დაირღვა და ყველაფერი ერთფეროვნების უაზარულო ელიფსზე ბრუნავდა?

— ღმერთო ჩემო! — წაიჩურჩულა ქალმა.

— ევა!

— ?!

— წადი, ჭიქა შემოიტანე შენთვის. მამაკაცი დანას დაუწვდა და რამდენიმე ნაჭერი ჩამოათალა ლორს. ქალი გავიდა. — მიირთვით!

სტუმარმა მხოლოდ ერთი ნაჭერი გადაიღო. ევა დაბრუნდა, ჭიქა და თეფში შემოიტანა. კაცმა ჭიქები შეავსო.

— მრავალ ახალ წელს შესწრებოდეთ! — თქვა მან.

— ამენ! — თქვა იოსებმა.

ქალი დუმდა. მამაკაცებმა ჭიქები გამოსცალეს.

— დალიე! — მიეძალა ქმარი.

ევამ სავსე ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და რამდენიმე ყლუპი მოსვა. მერე ჭიქა მოიშორა და გაირინდა. უცებ საშინლად მოუნდა დათრობა. ჭიქა კვლავ პირთან მიიტანა, ჩარჩენილი ღვინო ბოლომდე გამოსცალა.

სამი-ოთხი ჭიქის მერე ქალს ერთბაშად მოეკიდა ღვინო. ამორტისფრად წამონთებოდა სახე, გადატეცოდა მაისის ატმისფერი კანი, რბილი, ფაფუკი, ხავერდოვანი. საფეთქლები გამალებით უცემდა, ტანში კი თბილ ნეტარებასა და მოთენთილობას გრძნობდა.

— შვილი არა გყავთ? — იკითხა მოულოდნელად იოსებმა.

— შვილი? — გუნება გაუფუჭდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს. ევას გადახედა თავჩაქინდრულს. ქალი ჭიქას აწვალებდა. — არა, მარტონი ვართ. — კაცი გაჩუმდა, ბუხარს მიაჩერდა. — საშინელებაა! — თქვა უფრო თავისთვის, ვინმემ სტუმრის გასაგონად. — საშინელებაა სიმარტოვე. ამ სახლის ყველა კუნჭულში მხოლოდ სიმარტოვე და მოწყენილობაა დაბუდებული. ერთ დღეს იქნება... ყველაფერს ცეცხლს მივცემ.

— სიმარტოვესა და მოწყენილობას ვერც დაიღრჩობ და ვერც დასწვავ!.. — ჩამოასხი ერთიც.

კაცმა ჭიქა შეუვსო. ევამ ხელი დაიფარა ჭიქას. მერე თავისთვის დაისახა. დოქი დადგა და სტუმარს შეაჩერდა.

— მაშ, როგორ მოვიქცე?

— თავად უნდა დიიწვა და... — კაცი შიშით ჩაეკქერდა ცალ თვალში ავად თამაშობდა ცეცხლი. იქნებ ეს ბუხრის ცეცხლის ცივი ანარეკლი იყო?!.. — და აღსდგე! — ღასარეულა იოსებმა.

— დავიწვა და აღვსდგე?! — გაოცებით იკითხა კაცმა.

— ჰო, მასე. ფენიქსური პრინციპი! — ეს ცხოვრების გზის მკაცრი აუცილებლობაა. — იოსებმა ჭიქა გამოსცალა. მასპინძელმაც დალია.

— ესე ხიგი, დავიფერფლო და აღვსდგე!.. — კაცმა ხელის ზურგით შეიმშრალა ტუჩები.

— ნამდვილად. განა ღმერთის ბუნება ასე არ არის? სიკვდილი და აღდგომა! — ეს განახლებაა. მარცვალი, რომელიც ხნულში დვეს, თუ კი არ მოკვდა, ვეღარ იცოცხლებს.

— არაფერი მესმის!

— მთელი ტრაგედია იმაშია, რომ ადამიანები მხოლოდ ერთ სიკვდილს ხედავენ. არა და, ცხოვრების ყოველდღიურობა სავსეა სიკვდილით. ხოლო ის დიდი გარდაცვალება, რომელსაც შიშით და ძრწოლით შეეყურებთ, ამ უამრავ სიკვდილთა უბრალო ჯამია, მეტი არაფერი... — იოსები დადუმდა. კარგა ხანს დარჩა მოფიქრალი. მერე განაგრძო: — მინდა ვთქვა, რომ თავად ადამიანია სიკვდილთა ჯამი. ეული ადამიანი სამყაროს სცენის მუშაითია და ყოველი მათგანი საკუთარ სოციალურ როლს უნდა ასრულებდეს ონტოლოგიურ სიკვდილამდე. პიროვნება უამრავ სოციალურ სიკვდილს განიცდის. აი, თქვენ, თქვენ სოციალურად მკვდარნი ხართ. მაგრამ ეს არ არის ტრაგედია, უბედურება იმაშია, რომ თქვენ არ შეგიძლიათ, უფრო სწორად, არ გინდათ ამ სიკვდილის აღიარება. გავიწყდებათ, რომ არსებობს სიკვდილზე უფრო დიდი რამ, ესაა გარდაცვალება! სიკვდილი ‹‹გაყინული წამია, გარდაცვალება კი მარადმედინა და დინამიური სუბსტრატია უსასრულობის უსასრულობაში.

— გარდაცვალებ!!!

— დიახ, დიახ, გარდაცვალება! ეს მოძრაობაა, განახლება და გადახალისებაა დამყაყებული ყოველდღიურობის, მეტამორფოზა ყოფის, სახეცვლა, გრიმასებისა და ნიღბების მონაცვლეობა. თამაში! — აი, სად არის ჭეშმარიტება, სად სძინავს ის იერიგლიფს...

— ეს ხომ სიყალბეა?! — წამოიძახა კაცმა. — გულის ამრევი სიყალბე და სხვა არაფერი?!

— აი, თქვენ. უკვე ჭეშმარიტების ზღურბლთან დგახართ. ყველაფერი სიყალბე, ილუზია და ცრუ მიზანია... და ეს მაინც არ არის ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ყოველივე ამის შეცნობის შემდეგ იწყება და მისი არსი, მისი გზა მხოლოდ თამაშშია, თამაშში დევს ყალბისა და ილუზორულის სინამდვილედ და სიცხადედ ქცევის ერთადერთი და უმთავრესი პირობა.

— კი, მაგრამ აქ ხომ იკარგება ყოველგვარი თავისთავადი ფასეულობა? ხომ უფასურდებიან ობიექტური ღირებულებანი?... ეს მარადიული გადაფასებაა.

— ყოველი არსი, ჩემო კარგო, თავისსავე წიაღში მოიცავს თავისივე მოსპობის პირობას. განა ცხოვრების მიერ შექმნილი და დადგენილი ღირებუ-

ლებანი არ უფასურდებიან თავად ცხოვრებისაგანვე? ამიტომ ყოველი ობიექტური ღირებულება კარგავს ყოველგვარ ონტოლოგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ გაგებას. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობენ ამდაგვარი ღირებულებანი. ღირებულებას მხოლოდ სუბიექტი ქმნის, მისი ბუნება სუბიექტურია, ხოლო, რაც შეეხება პიროვნების ცხოვრებასა და მის ფასეულობას, იგი მარტოდენ მისივე სულის თამაშია, სხვა არაფერი...

— სიმართლე გითხრათ, თქვენ... თქვენი სიტყვები ძალზე მაშინებს! — თქვა უცად ევამ.

— ჰი, ჰი, ჰი!.. ქალბატონო, განა რას ვამბობ ასეთს? თქვენთვის ხომ არაფერი მომიხსენებია ახალი? ჩემს გამოჩენამდე თქვენც გრძნობდით ამას, იცოდით ყოველივე ეს, მაგრამ თქვენს მიერვე ნახსენები და განცდილი შიშ, გბორკავდათ, არ გაძლევდათ მოქმედების თავისუფლებას, აგეხადათ ლორფინო ყოფიერების ბნელი ლუსკუმისათვის... შიშ!.. განა ისიც ისეთივე ბუნებისა არ გახლავთ, როგორც ყველა დანარჩენი ღირებულება? მასაც ხომ სუბიექტი ძერწავს და ჰქმნის? შიშ!.. როგორც კი გავითვითცნობიერებთ, განვსაზღვრავთ მას, ან შევარქმევთ სახელს, თუნდაც შეუწონავს, ისევე გაქრება და გაუფასურდება, როგორც სხვა ღირებულებები. ამაში თავად თქვენვე დარწმუნდებით, და სულ მოკლე ხანში.

საათის ელარუნმა ფეხზე წამოახტუნა ევა. ორის ნახევარია.

— ძალზე გვიანაა. დროა დავისვენოთ. ხვალ დავრწმუნდეთ ყველაფერში. — თქვა მან ბოლოს. და წამოდგომა დაიპირა.

— არა, არა! არავითარ შემთხვევაში! ან ახლა, ან აღარასოდეს!

იოსებმა ევას გადახედა. კაცი ფიქრს მიუხვდა.

— ევას არაფერი უჭირს, დარჩება.

— მეშინია!

კაცმა მრავალმნიშვნელოვნად ახედა ევას. ევა ფეხზე მდგარ ცოლს. ევა ძორრილად დაჯდა.

— იქნებ...

— არავითარი იქნებ!.. — სიტყვა გაუწყვიტა სტუმარს მასპინძელმა.

— კარგით... ბარემ ერთიც დაგვეღალა.

დალიეს.

— აბა, დავიწყოთ!.. თქვენ, — ევას მიმართავდა, — სამი ზეწარი, გრძელი თოკი, სარეცხის სამაგრი სარჭები მომიტანეთ, ქალბატონო!

ევა გავიდა და ყველაფერი უკლებლივ შემოიტანა. კაცი გაოგნებული მისჩერებოდა სტუმარს. იოსებმა ოთახი მოათვალიერა. მერე ბუხრის გვერდით მიჭედებულ ლურსმანთან მივიდა, თოკის ერთი ბოლო გამოაბა და კარის მიმართულებით წავიდა. საზარლად მიჩლახუნებდა. ორივე ფეხი თითქოს წნეხით ჰქონდა დამსხვრეული. ცელებივით იქნევდა და ოკრო-ბოკროდ მიკოწწიალდა.

— ღმერთო, რა საშინელებაა! — წაიჩურჩულა ქალმა და ქმარს აეკრა..

— ლურსმანია კიდევ საჭირო... და ჩაქუჩიც!

კაცმა მოტანა დააპირა. ქალმა შეაჩერა: მე წავალო, თქვა.

იოსებმა ლურსმანი მიაჭედა. ჩაქუჩი მაგიდაზე დადო და დაჭიმული თოკის მეორე ბოლო ლურსმანს გამოაბა. მერე რიგ-რიგობით, ჯერ ერთი, მერე მეორე და მესამე ზეწარი გაჰკიდა ზედ, ისე, რომ ზეწრის ბოლოები იატაკს სცემდა.

— კიდევ ერთია საჭირო.

ევამ კიდევ ერთი ზეწარი შემოიტანა და ოთახიც მთლიანად გადაეტიხრა.

ცოლ-ქმარი გაოგნებით მისჩერებოდა კორონაციის უცნაური გრძნობით აღგზნებულ და ეგზალტირებულ სიმახინჯეს. იოსებმა ანაზდად ხელი ასწია და გამოაცხადა:

„Felicissima Notte!“ — ანუ, დიადი ტრიადა! პიესა ერთ მოქმედებად.

მოქმედი პირნი:

— მე — ძახილი.

თქვენ — შესმენა.

— ქალბატონნი?.. — იოსები შეჩერდა და რატომღაც ბუხარში მოფარფატე ცეცხლის ალს მიაჩერდა. — ქალბატონი ცეცხლი იქნება!... თქვენ, აი, იქ დადგებით ქალბატონო, შუა ოთახში. თქვენ კი, სადაც ხართ იქ დარჩებით! მე ფარდებს მიღმა გავალ. აბა, მოემზადეთ!

იოსები ზეწრებს იქით გაუჩინარდა. კაცი მსუბუქად უბიძგებს ქალს და ქალიც იძვრის. მიდის ფრთხილად, შიშნეულად და ჩერდება მითითებულ ადგილას. შუქი ქრება.

— ღმერთო ჩემო, მეშინია!

ჩურჩულებს ქალი. კაცი ჯერჯეროობით ვეღარაფერს გრძნობს. დგას უაზროდ წყვდიადის გაურკვევლობაში. უცებ შეკრთა. რაღაც აუხსნელმა ტალღამ გადაურბინა მთელ სხეულში. თითქოს იდუმალი, უცნობი სამყაროს შორეული, მილეული ექო ყოფილიყოს. იმპულსი?! ნუთუ თავად სამყაროა იძლევა იდუმალ ნიშანს?!..

ჩაიქროლეს სისინა ცივმა ქარებმა ტვინის ხვეულებში. შემდეგ სიოროკოს იდუმალი ქროლვა შეიგრძნო გონების ბნელ კუნჭულებში. თანდათან მინავლდა ჩრდილოეთის ცივი ქარები და მთლიანად გაეხვია უდაბნოს ქარების ყვითელ, ქარვაჭვილ მტვერში. ბაოსფერ სვეტებად აიზმორა აზიის ცხელება. უსიერ ქვიშაში დაებინდა გონი. მერე ნელინელ გაიცრიცა ყომრალი ბურუსი და გაიცმა იოსების ხმა, შორიდან, ექოდ მოსხლეტილი, აკუსტირებული.

ხმა: „მე ვარ ძახილი! მე ვარ! აღძარ და ნუ იძვრი, ჰქმენ და იუქმე“, დიადი სამების პირველსაწყისი! შენ ფარვანა ხარ ღამის შავ ფრთებში გამოხვეული. უსასრულო წყვდიადია ირგვლივ, როგორც ჩემს სულში. შეხედე ცეცხლს, რომელიც თან-თან, მყოვრიად გაიელდება შენს წინ! შენ ხედავ უკვე ამ ალს. შეხედე! კარგად და დაყინებით შეხედე! დაუსრულებელი, თამიდან შენ მოდიხარ ამ ცეცხლისაკენ.

კაცმა მართლაც გაარკვია სიბნელეში მოიისფრო-მოწითალო ზოლი, რომლითაც იხაზებოდა ქალის სილუეტი. ევა ნელა იხდის. დედიშობილა ქალი უცნაურად ათრთოლებულ, მკაფიო და ნათელ ლაქად მოსჩანს. ყველაფერი ისეა, როგორც სამოთხის ზმანება. ოცნება ცახცახებს უსაბამო ყომრალში. სიგიჟემდე ადის ლტოლვა მიახლების, მისასოვების. ეს ცეცხლია... უფრო ცეცხლში განსახლებული ანგელოზი. საცხეა სული წადილით და ლტოლვით.

„ევა!“ — ჩურჩულებს კაცი, ევას ღვთაებრივი სიმშვენიერით გაოგნებული. ევა ხორცქმნილი ღვთაებაა, განსხეულებული ზმანება. დიანა!..

მიდის... მიდის ხელგაწვდილი და ამაღლებით დაწინდული სულით.

„რა მშვენიერი ხარ, ჩემო!“

ოთახი ივსება აუხსნელი, ნეტარი გრძნობების მოლამუნე ტალღებით. დგას ევა, როგორც მშვენიერების დაბადება ზღვის ხაიფი ქაფიდან. მამაკაცი ეხეევა ქალს და ორივენი ნეტარების სიზმარეულ ერუანში იძირებიან. თითქოს მიფრინავენ და ეს ყველაფერი ისე სანიაზოა, როგორც იდუმალი და ანაზდეული გასვლა მიწიდან.

— ევა!..

— ღმერთო, ჩემო! არ ვიცი რა მემართება. — ჩურჩულებს თავდავიწყების ლეთარგიაში ერთიანად დანთქმული ქალი. — არ ვიცი... თითქოს!.. თითქოს წლების მანძილზე უამური სიზმრებით დათოვლილს მეძინა მარტოობის უღრანში. ახლა კი, ახლა სამოთხის კართან გამომაღვიძეს ანაზდეულად. იცი?.. შენ ხომ არ იცი რა ნეტარებას ვგრძნობ ამ წუთებში? თითქოს სხეული დამკარგვოდეს, თითქოს მოვფრინავ... არა! არა! ისე არა! კი არ დავკარგე, მთელი სხეული ნეტარების ჭურჭლად მექცა. ვიხრჩობი, მაგრამ ისეთ სიამოვნებას განვიცდი, ვერც კი წარმოიდგენ. მოდი, მოდი, ჩემო გიჟო, ჩემო სიყვარულო. ლეღმად მომსკდარ მდი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნარეკავით წამლეკე, დამამსხვრიე, დამშალე, ქვეშის მარცილებივით გამაბნიე შენს ოკეანეში, რომ ვერავითარმა სიცხადემ, ვერავითარმა ხვალემ შესძლოს ჩემი გამლილანება...

— ეკა! — ჩურჩულებს. კაცი. — ეკა!

— შენ... შენ ხომ არ იცი სადა ვართ ახლა? რა ჰქვია ამ ადგილებს? არა, არ იცი! მე კიდევ გონება დაბინდული მაქვს, ვერაფერს აღვიქვამ. გული კიდევ უმწეოდ მიფართხალებს აუხსნელი ნეტარების მორევში. არა, სიტყვები უძლეურნი არიან ყოველივე ამის გამოსახატავად. ამას მხოლოდ ჩემი სხეული გეტყვის... გული, გული მიჩქროდება... ღმერთო!.. მიშველე რამე!..

ბურანიდან ნელი-ნელ გამოერკვა. თვალები გაახილა. თანდათან გამოიკვეთა საგნები — კარადა, სარკე, სავარძელი... მიხვდა, ჯერ კიდევ საწოლში იწვა. გვერდზე გაიხედა. ბავშვური, უმანკო ძილით ეძინა ევას, მშვიდად, უდარდელად.

ერთ ხანს ასე დარჩა, გულაღმა. ჭერს მიჩერებული. მერე წამოდგა, შარვალი ამოიცვა და ფანჯარას მიადგა. ფარდების თოკს ჩამოეჭიბა. ნელა, მდორედ გადაიხსნა მძიმე, ჭაობისფერი ფარდები. მერე ნელონის თხელი კრეტსაბმელი გადაწია და სარკელში გაიხედა. რძისფერ ნისლში ჩაძირულიყო მთები. თოვლს გადაებურა ყველაფერი. კვლავ ბარდნიდა. ანაზდად გახსენებამ შეაკრთო: „რა მოხდა წუხელ? ნუთუ სიზმარი იყო ყოველივე?“ — ცოლს გადახედა. ქალს თვალები გახელილი ჰქონდა და უყურებდა.

— ეკა! — თქვა ხმადაბლა კაცმა.

ქალს არაფერი უთქვამს. თვალები მილულა და იყუჩა.

— შენ გახსოვს რამე? — შეეკითხა კაცი.

— ზმანებასავით.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. კაცი ფარდას აწვალებდა.

— ჩვენთან ვიღაც იყო არა, წუხელ? — თქვა ისევ ქალმა.

კაცი შეირხა.

— ჰო, იოსები...

ქალი წამოდგა და ხალათი გადაეცვა. ფაფუკ ფლოსტებში გაჰყო კოჭები, მოქნილი ფეხები. მერე ქმართან მივიდა, აკოცა და სასტუმრო ოთახში გავიდა. კაცი კვლავ სარკელს მიუბრუნდა. არაფერზე შეეძლო ფიქრი, უაზროდ იდგა და უმისამართოდ იმზირებოდა.

ანაზდად კარი გაიღო და ზღურბლზე ევა გამოჩნდა. შეშფოთებული ჩანდა.

— რა მოხდა? — იკითხა ქმარმა.

— წასულა!.. იოსები წასულა!

კაცი ზანტად მობრუნდა და ნელ-ნელა კარისკენ დაიძრა. მერე ნაბიჯს აუჩქარა და კარებში ისე გავარდა, კინღიამ ქალი წააქცია. დერეფანში გავიდა. საკიდარზე ალარ ეკიდა იოსებისეული ქურქი და ქუდი. კედელს ჯერ კიდევ ემჩნეოდა სველი, დანტოიობული ადგილი. კარებთან მივიდა. გასაღები შიგ იყო, მხოლოდ კარი აღმოჩნდა დაკეტილი. „ეს როგორ?!“ — გაუკვირდა კაცს. — „როგორ მოახერხა გასვლა და შიგნიდან კარის დაკეტვაც“.

მობრუნდა. ისევ კედლის სველ ადგილს მთავლო თვალი.

„ნუთუ ყველაფერი სიზმარი ყოფილა? მაგრამ... იქნებ ჩემი ქურქი ეკიდა აქ?“

ოთახში შებრუნდა. მაგიდასთან მდგარი ევა რაღაცას ჩასჩერებია. კაცი მიუახლოვდა. მაგიდაზე გვერდიგვერდ ორი პატარა, პაწაწინა წიგნი დევს, დროქამით დაძენძილი და გადაყვითლებული: „შავი წყალი და იდუმალი ბორბი“ (პიესა უსასრულო მოქმედებად); „თეთრი წყალი და აღმავალი შუშლილი“ (პიესა უსასრულო მოქმედებად)

მოქმედნი პირნი:

. . .

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედეს. მოეჩვენთ, თითქოს ამ იდუმალ ჭურჭელში ყველაფერი ბუნებითის საპირისპიროდ დაიძრა. თითქოს განუსაზღვრელი ჟამი გამეფებულიყო:

და არც იყო დღე, და არც იყო ღამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირამიდა

(პოემა)

ჩემი მაგიდა
მოგონებების და ლანდების ცისფერი ტყეა
და წლიდან წლამდე
ქვამარილივით მალავს ცრემლებს და საიდუმლოს.
და თუ-ყამიყამ ცა გაიხსნება
და კალმახივით ავარდება სიტყვა ჰაერში,
გულდათუთქული ვზივარ და ვტირი.
ჩემი ლექსები, ვით შვილები ცოდვილი მამის,
ჩემს შეცდომებზე კიდევ დიდხანს ილაღდებენ,
და სადაც წავალ,
გამომყვება, ვით წყევლა-კრულვა,
მათი ცხოვრება მიუსაფარი.
მიყვარხართ... მძულხართ...
ბევრჯერ თქვენგან გაქცევა ვცადე,
თქვენი თვალიდან ამოსული ეკალი მჩხვლეტდა,
ამაოების სკამ-ლოგინზე მორჩილად ვეგდე,
ვით უპოვარი და განდეგილი.
ეჰ, პოეზიავ, — ანგელოზო ნათელფრთიანო,
იკაროსივით ჩაიწვები საკუთარ ცეცხლში!
ვით ბაზიერი მონადირის გეშით გაწვრთნილი,
გულამოვარდნილ ქედანს მისდევს მწვანე ჭალაში,
იმგვარი ენინთ კვალში უდგას მუზას მავანი,
სახუნდარიდან გამოხტება ლექსის მჩხრეკელი
და ასო-ასო სიტყვას აქნის, როგორც ყასაბი.
სისხლიანია მათი ბაგე და შთაგონება!
კამეჩის შუბლზე უფრო გამძლეა
იმათი შუბლი და ქედისძვალი.
მე ვერ ვიცხოვრე ელიოტით,
ვერც გულზვიადი ეზრა პაუნდით,
ჩემს მაგიდაზე კოლხ-იბერთა გიშერი ყრია.
ნაკურთხი გახლავთ ჭყონდიდელის ნათელ-მირონით
ეგ ჩემი სიტყვა — მუხის შიმელი.
მე ვაჟას თვალში ჩარჩენილი ცრემლის კურცხალი
მთელ ოკეანეს მირჩევნია, უზენაესო!
იცინის... ტირის... ხმამაღლა კვნესის,
ქაღალდის გულზე დამხობილი კალამი ჩემი.
ვით შქერის შტოზე ცისკრის ფრინველი
კალმის წვერზე დაჯდება სიტყვა, —
ჩემი ტვინის ულრანიდან გამოღწეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით პროვინციულ თეატრის კედლებს, —
ხავსი მოედო პოეზიას და შთაგონებას.
გზადაბნეული უფლის კრავივით
ქალაქის მტვრიან ფილაქანზე
დაეძებს წყაროს და საბალახოს.
დედის ბაგეზე გაფოთლილო სიტყვავ მწყაზარო,
შენი სურნელი და ლოცვა მხრდიდა.
ეით ძიძის ძველი ზანდუკიდან განძი უხმარი,
ამოვალაგე შთაგონება ჩემი გულიდან.
გედის ფრთასავით ამოვიღებ ჩემი თმის ღეროს
და აჩხაბაჩხა დაგიწერ სიტყვებს: —
„ქართული ჰანგის ქრუანტელში გარდავიცვალე“.
...და ამ პოემას დაგიტოვებ, როგორც სახსოვარს,
როგორც იაგუნდს, ვარდის წყალით სავსე ჭიქაში.
ჩემი სიმღერა მძიმედ დაჭრილი ფრინველია,
კოლხეთის ლერწამ-ლაქაშებში ჩამოვარდნილი.
სიტყვაში ვცხოვრობ, ვით მიწაში ხორბლის მარცვალი,
ღმერთო, მაღირსე სინათლე და დათავთავება.
აი, ეს კაცი, სვეტიცხოვლის შუქზე ნაკურთხი,
თუთიყუშივით იმეორებს ერთ და იმავეს,
მახრჩობს შიშველი ნატურალიზმით.
აი, ეს გოგო მომავალი საფოა, ძმებო,
იმგვარად იწვის... იმგვარად მღერის...
მე რომ სიმაღლე მომცა ლაჟვარდის,
ან ამ რძიანი მთების, ტყეების,
მეც ფრინველივით ვიგალობებდი.
ვით გაზაფხულზე ლოკოკინას სველი სხეული,
აწკარიდან აწკარში ჩაცურდება სიტყვა წვალებით.
საყვარელ წიგნებს თეთრი ვარდის სურნელი ასდის.
ენციკლოპედია — სასაფლაო მკვდართა, ცოცხალთა
და მაღალ აზრთა.
კოდალასავით აკაკუნებს პოეტის გულზე, —
აწმყო, წარსული და მომავალი.
ჩემი ძვლებიდან ვერ გამოთლი უკვე სალამურს,
ვერც ჩემი თმები გამოდგება მინდვრის კოინდრად,
მაგრამ ეს სისხლი — წყალუკრავი, ასაკოვანი,
არის ვით ღვინო ალადასტური.
დილავ, — ირმის რძესავით თბილო და ქაფქაფავ,
საცაა ენის წვერზე გადნები.
დგას აივანზე გოგონა მორჩი, —
პირველი თოვლის უმანკოება,
და ყღურტულებს პოეტის ლექსებს.
მას გაზაფხული და შტრაუსის მუსიკა უყვარს
და კიდევ: ტყეში გაქცეული ბილიკის ტოტი.
ო, სიყვარულო, — სიქაბუკის ცხელო დარბაზო,
შამბით და ხავსით დაფარულო, იაკარქმნილო,
იმ ძველ კიბეზე ახლაც მშვიდად ვერ ამივლია.
ო, სიყვარულის ველურო თაფლო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სავსე ხარ ცისკრის ჟრუანტელით და სიტკბოებით.
ეჰ, ვერ მოვიგდე, სიჟაბუკევ, შენი აღვირი,
ვერ შეგაჩერე შენი სრბოლა ნიავქარული.
შენი ბაგე-ბროწეულის სველი ყვავილი
სვამს ჩემს ოცნებას და სიყვარულს,
შენი თმები, როგორც ჩიტები
თმაში გალობენ და ფრთხიალებენ.
...და სკამებსა და საწოლშუა
გვირილის თეთრი ფურცელივით ფეთქავს პერანგი
და მე და ღამის მწვანე წყვდიადს გვიჭირავს ხელში
აჯანყებული შენი სხეული — შადრევნის ვნება.
ტუჩებზე ფიფქად აყვავდება შენი სახელი,
მზის მხურვალებას შეესვამს სხეული.
მთვარის შუქივით შეისრუტავს ჩვენს სიყვარულს
სახლის კედლები და სასთუმალი...
და ფრთას შემოჭრავს იავნანა მუხის აკვანში.
ო, წაბლის ოდას ჩუქურთმებიანს
ვაზი ყრმასავით შემოხვევია.
სათნო ხარ, სათნო და სასურველი,
ვით მთაში თიბათვის დილა.
ნაღვლიანი ხარ, ვით სულთა შაბათს
საყდრის ზარი და მოგონება.
შვება ხარ, შვება და იმედი,
ვით ზამთარში მწყემსის კოცონი.
იობის მატლის ძალა მომცა და ოსტატობა,
ყალამჭრის კაბას მოგიქსოვდი და დარაიას,
აგიშენებდი სოფლად ქარვასლას
და დაგიწერდი სულთან გაყრის პირველ ბალადას.
დარბეული ვარ სიყვარულით,
ვით ქართლის მიწა გაზაფხულით და ქარიშხლებით.

ქუჩაში მიდის სიძვის დიაცი
და სავსე სხეულს მიარხევს ვნებით,
თუ თაისივით გაგიყდება ეს ქალიც ბოლოს,
აბრეშუმის თოკით შეჭარით.
ძუსიკის ხმებში მოცახცახე ვნების ყვავილო,
ჭკნები და კვდები ერთი ღამის სიანკარეში.
რამდენი ვარდი, სერაფიტი უეცრად გაქრა,
კიდევ რამდენის ოცნება ქრება.

ჩონგურის სიმზე დაცემულო მადონას ცრემლო,
რა მწუხარებით, რა სიამით კვდები და ქრები.

მე ვარ კალანდა!
მე ვარ ლხინი, დღესასწაული,
მსხმოიარობა, სიხარული ყოველდღიური,
ო, ღმერთმა ნუ ქნას, ვიყო მარტო კალენდარული.
რამდენი ბაგე უნდა მქონდეს ბროწეულივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩემი კოცნა ყველას ერგოს ამ გაზაფხულზე!

ჩემი იაა, — მარტოსული დედოფლია ცრემლი,
იმ ცრემლის შუქზე აღიმართა ნათლის სვეტივით
ჩემი წარსული და ისტორია.
...და მცხეთის კართან
ტივი მოჰგავს მეფის ბალდახინს
ზარით და გლოვით დაბრუნებულს შირაზის გზიდან,
დგას მელპომენე, — მწუხარების მფარველი მუზა,
ვაზის გვირგვინით, ხმლით და ნიღაბით.

დედოფლის კოშკზე ამოსულო ალუბლის ხეო,
ცისკრის წვიმები და ქარების ლაშქრული გზრდიდა.
ვინ გააშენა, ვინ გამართა ეს ციხე-კოშკი?
ვინ უდგას სარდლად, ასისთავად ან მეციხოვნედ?
ო, ვისი ხელი ადევს ბეჭზე დათვის ტორივით?
რა ვქნა, რა სიტყვა გითხრა ისეთი
ერეკლეს ცხენის უზანგებზე ამხედრებულო,
ბედო ქართლისა?

ო, ისტორიავ, — იობის წიგნო,
სოფლის მწუხარე რაინდივით
ღრუბლის ნაგლეჯით დაიფარავ წარსულის ნახმლევს,
ციხე-ტაძრებად განათდები თვითეულ კორდზე.
ო, საქართველოვ, — ჩემო ნუგეშო,
გაშოიერება შენი მთები ლურჯი ტანიდან
ცხრაასცხრამეტი მილიონი პ ი რ ა მ ი დ ა
და ო ბ ე ლ ი ს კ ი!
რა პატარა ხარ, საქართველოვ, ვაკე-ბარიდან,
რა მ ა ღ ა ლ ი ხ ა რ
ც ი დ ა ნ,
მ თ ე ბ ი დ ა ნ!
კოლხეთის მკვდარი საიდუმლო დამესიზმრება,
დამესიზმრება ნინოს ჯვარი და ისტორია.
წარსულის ფართე პალატებიდან
გამოდიან სულები მკვდართა და ცოცხალთა.
ვით რუსთაველის სიტყვა ღვთიური,
ცას სვეტად უდგას სვეტიცხოველი.
ობროდის სული დაფრინავს ცაში,
სიბრძნის მთესველი
ოქროს მარცვალს თესავს და იმკის.
დავბურავ წიგნს და...
ამოვიღებ მკერდიდან მახვილს,
სისხლის ღვარი თქრიალით დამდის,
ნაგვემ-ნატანჯი მივეგდები ბალიშის გულზე.
ნეტავი ცეცხლის სითბო მქონდეს,
ცეცხლის ხალისი, გამბედაობა,
სულ შენს ბუხრებში ვიშრიალებდი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თუ ნაღველი მოგერეოდა
გზაზე კვამლივით დაგიჩოქებდი.
ხეები ჭადრაკს თამაშობენ ქვაფენილებზე
და ნოემბერი პათეტიკური
უკრავს მამათა ორატორიას.
ო, ძყინვარწვერო, რჩეულო ბედის,
ამ საუკუნის გზაგასაყარზე
მოიხარშები საკუთარი ფილტვების ორთქლში.
ადამის ძეო, შენს თვალებში ნაღველს ვხედავ
და შიშის კურდღლებს.
რა მოხდა გუშინ,
რა მოხდება ასი წლის მერე,
შენ გეკითხები, მომავლის პრინცო?!
ვიღაცა სიტყვას ამბობს როყიოს,
გვმოძღვრავს... ქადაგებ...
ბოლოქანქარაა კუდზე ჰკიდია
სამყაროს ცოდვა და სამართალი.

მარადიული დილაა მიწა,
ნუ გაალვიებთ,
შიგ ათასწლეულ წარსულს ძინავს.
ქუჩაში მიდის დიოგენი — სინოპის ბრძენი,
ქუჩაში ხალხის ირევა ზვირთი,
ქუჩაში მიდის დიოგენი — სინოპის ბრძენი,
მიდის და მიდის...

ქალაქი ფუტკრის სკაა ყვითელი,
ყოფიერების ფერად-ფერად ძაფს გამობმული.
მდინარე — ოთხფრთიანი ვიოლონჩელო,
შენს ფეხებთან ატირებული.
მებაღის ველი ონკანიდან
ბებრის ჩახლჩილ ხმით და ტკივილით იღვრება წყალი.
სარკმლის მინაზე ფეთქავს თოვლი და განთიადი,
ვით სარკეში შენი სხეული.
ვის სარკმელში ფეთქავს ეს მთვარე?
ვის გულში ანთებს ერუანტელს და ჭიაკოკონას?
ვინ დადის მაღლა ვარსკვლავებზე
და ცაზე მაღლა,
ვინ არის ასე მიამიტი და ბედნიერი?!
ქალაქის სუნთქვას და არითმიას,
ვგრძნობ, ვით ექიმი, ან მთავარი ხუროთმოძღვარი.
აფთრის გუმანით და სიფრთხილით მიახლოვდება
კიბო, ინფარქტი და ბედისწერა.
თეგზივით მახრჩობს ქვეყნის მწიკვლი და რია-რია...
ქარხნის მილივით მაყვირებენ და მაკნინებენ
სახლიკაცები და მეგობრები.
ჩემი ყურები, — ხორბლისფერი ორი ნიჟარა,
სავსე სამყაროს ხმებით, რიტმით და მელოდიით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით ერთგული ორი ფარეში
ჩემს ყოველდღიურ სამსახურში არის ჩამდგარი.
ექიმი, თერძი, მელომანი, ასოთამწყობი,
ჩემი პატრონი, გამკითხავი, ჭირისუფალი,
მეძებს და მეძებს ერთფეროვან წიგნების მტვერში,
მეძებს წვიმაში და ზაფხულის პაპანებაში.
მე თვით არ ვიცი, სად ვარ, როგორ ვარ,
ვის ხელში ვჭკნები უსახელო მინდვრის ვარდივით?
ვის ბაგეზე ვთრთი და ვცახცახებ.
ყელი გედივით მაქვს წაგდებული
და ჩემი ცრემლი — ქვამარილი
უფრო მძიმეა, ვინემ ეს ლოდი
არქეოლოგის აღმოჩენილი.
სოფლის ტყესავით გაიჩეხა ლეგენდები და თქმულებები,
ფანქრით, კალმებით და წერაქვებით
გამოუთხარეს ძირი და ფესვი.
ქალაქის მტვერში დაიხუთა... მოკვდა შაირი.
მიწიდან ცამდე ავარდნილო მირონის ხეო,
ღრუბლებზე მაღლა და ცაზე მაღლა
ცასა და ვარსკვლავს ეთამაშები.
დღითა და ღამით უნდა იდგე შუაქალაქში,
მწვანე შუქივით უნდა ენთო გზაჯვარედინზე
ისარნაკრავი ხარის ნაღველს თუ შეედრება,
შენს სხეულში მოშრიალე კიბოს ფოთოლი.
გაზეთის უკანასკნელ სვეტზე
შავი პეტიტით აწყობილი
სამგლოვიარო განცხადება და ნეკროლოგი
იქნება შენი ცხოვრების ჯამი.
ღამის ნაღველი შემაბრუნებს კედლისკენ უხმოდ
და საკუთარი ცხოვრებიდან გაქცევა მინდა.
მარტო ვარ, მარტო, სიხარული დავკარგე ძველი,
სისხლსა და ნაღველს ვაწებებ კალამს,
მიმინოს ფრთებით ვკიდივარ უფსკრულს.
რაც ამ გაზაფხულს შხამი მასვეს და საწამლავი,
კიდევ მეყოფა ათ წელიწადს, ათ ყვავილობას.
ისეთი დღეა, თითქო მკვდარი მესვენოს სახლში.
მე სანთლებს ვაქრობ და თვალებზე ვიფარებ ხელებს,
მე თითქო ბრმა ვარ, უსინათლო, ჯოხსდაყრდნობილი.
მიგრძვნია ქალის სიყვარული, მიგრძვნია წყენაც,
ბალიშის პირზე გულმოკლული ბევრჯერაც ვეგდე,
მაგრამ ამგვარი ნაღველი, არა!
მარტო ვარ, მარტო, ვით ტაძარი უარყოფილი,
და შენი წყენა, გულგრილობა მეხვევა ტანზე
ვით ბალახი შარშანწინდელი.
როგორც ხარს მგლების ხროვა მშიერი,
ისე დასდევს კაცს ბედისწერა.
გადაგიმტვრევენ უმალ ხერხემალს
და სისხლს ვარდივით აკივლებულს შენს სხეულზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხედავენ, როგორც შხაპუნას.
ვერ გადავურჩი ქვეყნის ჭორს და სოფლის სამდურავს,
ვით ყველა მოკვდავს უკან დამდევს ლანდი სიკვდილის,
ამაოების გამეგება სუყველაფერი.
ორაგულივით მდინარის ჩქერს აღმა ავყვები,
ვიდრე მნახავენ და საჩხრეკელ ბადეს მესვრიან.
აუღებელი ციხეა შური, —
შიგ დაჩეხილი ძვლები ყრია
და ბატკანივით უკან მომდევს, დღითა და ღამით,
გოცებული ბავშვის თვალები.
ვერ დაეწევა ირემს გაფრენილს
ის მინდვრის ჯუჯა,
იუდას ძმა, ეშმას ფარეში.
ღიაა ფსკერი, —შიგ ურჩხულის სხეული გდია.
ო, ცოდვისშვილნო, არ დაილევა თქვენი ღვინო წყალგარეული,
თქვენ მხოლოდ პასკვილს უნდა წერდეთ
ან აბლაბუდას ქსოვდეთ ჭერზე ობობასავით.
მინახავს ჭაში ჩავარდნილი ძე ხორციელი,
ქერის ორმოდან ამოსული მინახავს კაცი,
მაგრამ თქვენგვარი უმადური აღარასოდეს.
ვით უნაყოფო ხე შემოდგომის,
ხელმოცარულის მაკრთობს შური და სიძულვილი.
ჩემი სუფრიდან გადაგდებულ
ძვლებს ვუტოვებ, ვით რელიქვიას,
ყველა პირმოთნეს, მრუდსა და ავთვალს.
შენი სხივ-შუქით მოწამლული და ნაწამები
ბერაბერი ხის ფუღუროდან გითვალთვალებს უხსენებელი.

ვინ არის იგი, ვინ გესროლა პირველი ტყვია?
ვინ არის შენი მეკუბოვე ხელგაწაფული!
ამაოების წყეული მაცნე?!
ალილუია!..

სიძულვილის ყვითელ ფარფლებს აფრიალებს
ნაცნობი ჩემი და მეგობარი
და კალამს ხელში ატრიალებს, ვით სამართებელს,
და თაბახის თეთრ ფურცლებზე
მიედინება შენი სისხლის ცხელი მდინარე.
ფიცხი ვარ, ფიცხი...
ვით ფეხმარდი მეგრული ცხენი,
ვერ ვიტან აღვირს, ვერც უნაგირს და შეგონებას,
მე უნდა მოვკვდე თავაწეული,
ვით მამისმამა და ბიძაჩემი.

ვნახე ღალატის სახესხვაობა,
ნიანგის ცრემლი და სინანული.
მონანიების უძლურო წუთო,
ყელზე გადგას სალმობის ძვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვხედავ: მზე ჩადის...
დღეკეთილი ღამეს ეყრება,
მწუხრის ბალახს და ღამეს ძოვენ
ბაღის ხეები და ვარსკვლავები,
და დაჩრჩილული, ვით ბალიმფსესტი
ცაა გაშლილი და განფენილი.
გესმის თუ არა ჭმუნვა ქართა
და მაღალ ხეთა,
საფლავის ქვაზე გადაშლილი საფლავის სევდა?
სარეცელს უხმოდ მიჯაჭვული კაცის სევდა და აგონია?
გუშინ, გუშინწინ გარდაცვლილთა იღბალზე ვფიქრობ,
ძე შეცთომილზე და შაოსან დედაზე ვფიქრობ.
ოი, ო, ოი!
სალამურივით გადატეხეს ცხოვრება კაცის,
მერე გუნდრუკი უკმიეს ხსოვნის.
ალილუია... ალილუია... აა!..
ვაით და ვიშით ამოავსეს სამარე ღია, —
მიწით და ქვებით, ქვებით და მიწით.
დგას ამბიონზე ხელდაკრეფით წმინდა გიორგი
და აშრიალებს ტუჩებს თოვლივით.
ალილუია... ალილუია... აა!..
დგას მეზობლებში შავი ძაძით მეგობრის ქვრივი,
ვით შავი არყი თეთრ არყებს შორის.

ისე წვიმს, თითქოს კლავიშებზე
ათამაშებს თითებს შოპენი.
ღილის თითებში გაიშლება, ვით ვარდის ბაგე,
ქვრივის სევდა, მელანქოლია.
საყდრის ზარივით
მწუხარე და ნაღვლიანი არის ქალისთვის
უსიერ ტყეში ჩარჩენილი შუქის ნაფლეთი.
ეს არის ჩემი სოლო კონცერტი
მოგზაურთათვის და ფრინველთათვის.
ზღვა არის ჩემი ლურჯი ხარება,
ჩემს ლურჯ თვალებში შემოუსვლელი.
ზღვის თეთრი ქაფი თუ რიჟრაჟის არის ნაფლეთი,
თვითონ რიჟრაჟი იქნებ მიწის იყოს სიზმარი?!
უყვავილებო მინდორს მოჰკვავს ზღვა უდაბური,
ძედუზას თეთრი წამწამები — გვირილას ფურცლებს,
ყვითელ აბრეშუმს — ქსოვილი ქვიშის.
და უმრწემესი ამის ხელივით გამოწვდილ ნიჩაბს
მიეყვები მარტო ამ აურწყავ წყლის ნიაღვრებში.
ამოვარდება უცებ გრიგალი,
რომ განიკითხოს ღამის ცოდვა და სამართალი.
როგორც ცხენი გახელებული
ფლოქვებით ებრძვის მარტოდმარტო ზაფხულის ელვას,
ისე ხომალდი იგერიებს ზღვის მაღალ ზვირთებს.
თევზის ქვირითი, წყლის იოტა, ქვიშის მარცვალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არეულია ერთმანეთში, ვით ღრუბლის ტვინი
ზამთრის წვიმებში და ქარიშხლებში.
როცა ჯანღია, წვიმებია
და როცა აფრებს ქარიშხლები აგლეჯენ ღეღებს,
დასერილი გაქვს, ზღვაო, შუბლი, ცის ნაოჭებით,
და ფრეგატები, კატარღები, ორჩხომელები
ძველი ფაზისით ისევ ისე მიდი-მოდიან,
რომ შენი სუნთქვა, არსებობა დავიწყებიათ.
...ზღვის მწვანე ხნულში
თვლემს თოლია და ორჩხომელი,
ზღვა არის შენი გარინდება, სასოწარკვეთა,
თავისუფლება, აღტაცება და შთაგონება!
და ცვალებადი, და მერყევი, როგორც ლერწამი,
მარცხნიდან მარჯვნივ, მარჯვნიდან მარცხნივ
ირწევა შენი დაღლილი სული.
თუ მივათრიე საუკუნის მიჯნამდე ხორცი,
თუ მივაღწიე სიბრძნის ყრუ ასაკს,
დაგიდგამ ტაბლას, აგინთებ სანთლებს
და შევავედრებ შენს ცოდვილ სულს
ზღვის მაღალ უფალს.
ალილუია... ალილუიაა!

გადაიყარე გულზე მინდვრის იასამნები,
პეპელას ფრთები და მაისის საგალობლები,
აღმოაჩინე ეს ქვეყანა ათასმეერთედ.
მადლი შენს გაზრდას, გახარებას, ვაზო კეთილო,
ადგილის ფუძედ რა სანაბი აგირჩევია.
გაგიგლეჯია, ცხენისწყალო, თოვლის საკინძე,
გადმოგიყრია თეთრი მკლავები.
გადამეღვრება გულზე რიესავით
რიყრაჟია მადლი და მოწყალება.
ყინულის ძაღლებით გაჭედილი ხეობის ფაშვი
აპრილის დამდეგს დაიწყებს გრიალს.
ტყდება მდინარის კრიალა სარკე,
ზამთრის აღალი მიაქვს ხეობას.
შოლტის ტაკაცუნით იღვიძებს ძილა,
თითქო გუთანს მიჰყვება მეხრე.
ჩამოშლიან თმებს ტირიფები
და ტბას დაუვლის ტანში ელდა და ქრუანტელი.
ძილის ნათელზე უფრო უმანკო და საყვარელი
არის ბავშვი და ჩვილი კრავი.
თითქო პირველი არის მეორე,
ხოლო მეორე არის პირველი.
განუბანიათ ანგელოზებს ტანი წვიმებით
და უცხო თვალთა საამებლად გზად დარჩენიათ
თოვლის საყელო შარშანწინდელი.
ირმის ლოპრია, გაზაფხულო, ეს აბლაბუდა,
დათვის ელენთა — მწუხრის ღრუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედედებული რძეა ნისლი,
აპრილის ღამის ჭრილობები და ვარსკვლავები
ყაყაჩოებად და შროშნებად ჭყვავიან ველზე.
მწვანე ბალახი, ტყე, მინდორი, წყალი, ჰაერი,
ზამბახის ბაგე — ფერნამკრთალევი
ფუტკრის ზუზუნით ნაბეჭდია და მოქსოვილი.
ეს მთა ნამდვილი აქლემია,
ღრუბლის ორი ცოცხალი კუზით.
მწვანე წეროა ეს ლერწამი ცისკენ მზირალი,
ხოლო ეს წყარო დედის თვალი და ანდამატი.
თითქო ეს ნუში ძიძაა ჩემი,
რომ მიფარფატებს ჭალაში მარტო.
თითქო ჰაერი ძოწის კაბაა,
ალუბლის შტოზე დაკიდებული.
კლდის მჭრელ ხორთუმზე
გადაიხევს ფილტვებს მდინარე,
ლაყუჩებიდან იხუვლებს ჭავლი.
ამოიოხრებს გაზაფხულზე ჭაობი ჭყუნტი
და ნერწყვივით ამოჰყვება მწვანე გომბეშო.
მიწის ცისფერი თვალი არის ეს ფშა, ბინული,
თვალის გუგა და წამწამები — ლურჯი ნაპირი.

ხარის ბუბუნი, ცის გალობა, მერცხლის ყღურტული,
მდინარეების ზათქი, ხმაური,
ტანში გამიჯდა, როგორც სინათლე.
მზე მივარდება ყოველ დილით თითქო კალთაში
და ესუნთქავ ფიქვის მწვანე ფილტვებით.
მომაგონდება: სოფლის საღამო
გადარწეული ატმის რტოსავით
და პერანგს წითლად გადამიღებავს
მაისის მარწყვი და ალუბალი.
მზე ფუტკარივით ნაფუძვარზე დაიწყებს ზუზუნს,
ბავშვის მუჭივით გაიშლება კვირტი ვაშლისა,
მხრებს შეიბერტყავს ბაღი სიამით.
მე ვაზის ფესვებს ვეფერები,
ვით მამაჩემის ხელის მტევანს, — წლებით მოგვალულს.
და ორღობიდან აკაცია შემოგანათებს,
ვით სერობაზე მიმავალი სოფლის მადონა.
სიყვარულს შესვამს ჩემი პეშვიდან: —
ირემი, ქალი და იადონი.
ბავშვის წამწამზე დაკიდული ცრემლის წვეთივით
გაკრთება ნამი და ლერწმის ყელში ჩაშრიალდება,
და ქარის თმებში გაიხლართება
ტირიფი, წნორი და ნეკერჩხალი.
მიყვარს ოცნება, ვით წმინდანის მსუბუქი ფრთები,
ნამი მძივივით ბალახებში ამიკრეფია,
თვალი მომიკრავს დილაბინდზე ანგელოზისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვრალი ვყოფილვარ მინდვრის სურნელით
და ჩემს მკლავებზე დაფენილი თმების ფურჩალით.

რარიგ გიხდება, გაზაფხულო, მინდვრად კუნტრუში,
მწვანე ჯიქნების რძით გავსება, აჩახჩახება!
ისეთი ჭვირი საღამოს არის,
თითქო წითელა ბატონები მესტუმრა წუხელ.
სტრიქონს სტრიქონი ვერ მოვაბი ამ გაზაფხულზე,
ვით ჩემს მშფოთვარე ცხოვრებას თავი.
წიგნის ორ ყდაში ვარ მოქცეული, ვით აკლდამაში.
გავცვლი გომბეშოს ღამეულ ხმაში
ჩემი ლექსების უკანასკნელ ვარიაციას.

მიწა ვარ, მიწა — მომავალი, მიწა ქართული,
თქვენს ოცნებაში და სიზმრებში გაცხადებული,
გაჩენის დღიდან შეკრული ვარ თქვენი მკლავებით.
ვით თეთრი არყის ქერა თმებიო, ბდიხარე ერთი.
ვერ გამიგია ქარის რიტმი, ტყის მელოდია,
ვერც ღამეული გულისცემა ზღვის და მდინარის.
ჩემთვის უცნობი არის ხეთა ანატომია,
ცრემლით ავხედავ ხეთა მაღალთა
და სადმე ღობის ძირას მივჯდები.
გაღმა ნაპირზე შემომდგარა წერა-მწერალი
და ხელებს მიქნევს.
ვინ დამიჯერებს, ვინ გამიგებს, რომ ყოველ ბზობას,
ციისკრის ვარსკვლავი თეთრი ხარის მაგონებს თვალებს
და შაშვის ყელში მოშრიალე ჰანგი ღვთიური —
ტყის გათენებას.
ქარი ათამაშებს ნაძვის სველ რტოებს,
ვით ღრუბელ-ნისლის მწვანე სავარცხელს,
კუს ბაკანივით მაღლა იწევს ბორცვი, ზეგანი
და აღმართს მისდევს ბილიკი — ხვლიკი.
ვარდისფერ ვაბას აფრიალებს საღამო სოფლად
და ყანებიდან,
მინდვრებიდან გამორბის მზე — ხანძრის გოგონა.
თითქო კრავი ხარ და ბალახში გაუჩინარდი.
თითქო ტბა არის ცის თრიაქით მთვრალი ქალწული
და უთიმთიმებს სავსე ძუძუ — მთვარე თიბათვის.
თითქო ეს ალვა შინაბერა არის ოჯახის,
იადონივით თვალდაწმენდილი,
ხოლო ეს ქალი — შვიდი სოფლის მზეთუნახავი,
გუდიაშვილის ყალმით ნახატი.
იწვის აგვისტოს მხურვალება თივის ზვინებში,
შინდის, ასკილის წითელ ბაგეზე,
ზაფხულის წვიმის წამწამები ჰკიდია ჰაერს,
ცაა ალმასით გადაჭრილი ფერადი სარკე,
ნაკადულები, წყაროები, მდინარეები
შუბლს იგრილებენ აბრეშუმით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ხეობის მელანქოლიით...
ტყეში ნაკურთხი წყალივით დგას, —
ნისლი, სიმშვიდე და იდილია.
ეზოს ძაღლივით უკან დამდევს ჩემივე ჩრდილი,
ხან მდინარეში მემალება, ხან კიდევ ტყეში.
შემომანათებს მზე და ივლისი
და კრამიტების ყვითელი ალი.
გაიჭრიალებს კარი მასპინძლის
და მამალს ტანში გააჟრჟოლებს,
კუტკალიების ღამეული რეჩიტატივი,
ტყის იდუმალი გულისცემა და წყლის ჩურჩული
გარკვევით მესმის, ვით სახუნდარში ჩამჯდარ მონადირეს.
ვით ჯოგის ყველი თიხის ლამბაქზე,
თეთრად ქათქათებს სოფლის მთვარე და პირისწყალი.
აქ, სამეგრელოს მყუდრო სოფელში
ცაცხვის ხეების და ხმეული ალვების იქით,
ხავსით, ბალახით გადაბარდნილ სასაფლაოზე
ძმა განისვენებს — ბედის ზვარაკი.
მკვდრის მზე, —
ძმის სული ანათებს მკვდრეთეთს,
ყვითლად ხასხასებს ხავერდი ხავსის.
...და ჰამლეტივით, ასი წლის შემდეგ,
ჩემს თავის ქალას იპოვის ვიღაც.
ვით მზესუმზირას, თვალი ცრემლით დამეხუჭება,
ღრუბელზე სწრაფად და ქარზე სწრაფად
კაცთათვის უცნობ სამყაროში ვივლი და ვივლი,
სანამ ბალახად არ ამოვალ ჩემს სამარეზე.

მე ვარ ბავშვობის ნაპერწკალი.
გზაგასაყართან მოციმციმე და მოკიაფე.
დახუნძლული ვარ მეტაფორებით,
ვით მწიფობისთვეს ორაგული ცხიმით, ქვირითით.
მე უნდა გავხსნა სიყმაწვილის მოგონებები, —
ეამის ფოთლები, სურათები, პეიზაჟები.
ამოუჩრია მზე მკლავებში ნადა ნამგალივით
და ოდოია, — გლეხი ულვაშგადაგრეხილი
დგას სიმინდის მწვანე მორევში.
ცაცხვის ჩეროში დედა ტაბლას გაშლის უეცრად,
ქინძით, ქონდარით და წიწაკის ზაფრა-სურნელით
შეგარბაცდება სუფრა — ქრისტე-ღმერთის ნაკურთხი.
ცხენს შემოაგდებს ეზო-კარით მახარობელი,
იქუხებს თოფი... შეასკდება ყორეს მამალი
და აივანზე გადმოდგება ძამა-ბატონი,
ვით მასპინძელი და ოჯახის ხელისუფალი.
მზე მიუჯდება საკვე ღრუბელს თავგამოდებით,
ვით ხბო წითელი ძროხის ჯიქანს.
შემოგანათებს ვაშლის ტოტიდან
ცა, ვით ღვთისმშობლის ლურჯი თვალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქო ბოსტანში გადავიდა ძიძა ქინძისთვის
და არ დაბრუნდა უკან ფლატუნით.

გადაახტება ღობეს კალია, —
მინდვრის მეფე და გოლიათი.
კუშტად გახედავს ყანებს მეველე
სოფლის არშიყი და დარდიმანდი.
სკვითის თავივით ყრია ბაღჩაში
საზამთრო, ნესვი ოქროსპერანგა.
და ირმებივით ჩამოიცლიან
სოფლის წყაროსთან სოფლის ტურფები.
ისე ზიმზიმებს, ისე ფიცხობს მზეზე კუნელი,
თითქო გადარბის მთიდან მთაზე მთვრალი მთიელი.
თითქო ნისკარტით ამოაქვს ჭიდან
ოწინარს წყალი და ცის ნაჭერი.
ვაზივით წელში გაიშლები, გაიმართები,
როგორც ბუდეში — მგალობელი ჩაჯდება ხმაში.
ნაღველს შეგიცვლის სიხარულით ძეხორციელი
და წყალწაღებულს გადაგარჩენს მოულოდნელად
რიხტერი, ბრამსი და როიალი.
მოგეკიდება სიზარმაცის ხავსი ფერადი,
ნელა მოძრაობ, თითქო ეშმა გაგიჯდა ტანში,
ჩაივლის კვირა და ბეჭედში ჩადგება წყალი,
თითქო თავიდან იწყებ ცხოვრებას.
გავაღებ სარკმელს, გამოჩნდება ტყე მეწამული,
ვით შემოდგომის კერამიკა ხელთუქმნელი და ღვთაებრივი,
გადმოდგებიან ირმებივით ირმის გორაზე
მზით და ჰაერით მთვრალი დანი — მთვარის თვისანი.

გადასდებია დაბლა წყაროს მათი სიცილი,
მათი კისკისი და აღმფრენა.
მდინარე ქაფს იკიდებს საგულდაგულოდ,
თითქო ვეება თიხის დერგიდან
რძე გადმოდის თეთრი, ქაფქაფა...
თითქო ეს ქარი ამორძალი არის შიშველი,
ველურ ცხენზე ამხედრებული.
თითქო უზანგზე მიდგას ფეხი ამ სიჩქარეში.
ქარით დალეწილ წეროს ფრთებივით
ყრია ფოთლები და ღეროები.
წყლის კაკალივით შეიბერტყავს მხრებს შელამება,
ზურმუხტის თითებს ათამაშებს ტბაზე დაისი
და გველის ჭრელი პერანგივით
მთვარე გდია ქვიშის ხაოზე.
იმგვარი ბინდი და იმგვარი სიჩუმე არის,
გაჩენის დღიდან თითქო ყურში მიზის ჭრიჭინა.
ზაფხულის ღამის გოდებაა ჭოტის კივილი,
მგლის ურვა-მოთქმა ტანჯულის ცოდვა,
უფსკრული — მიწის მკვდარი სევდა და ხვაშიადი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვავი, ყორანი — ღამის ნაფლეთი.
გაწყალებული ცრემლისფერი არის მდინარე,
პირველი სეტყვის და წვიმის დამდეგს.
დგება პირველი ფოთოლცვენის დღეები წყნარი,
დგას საწნახელში დიონისე — მეუფე ლხინის
და ღარს მისდევს ოჯახის თვალი.
ასკილის ცეცხლზე უფრო წითელი არის დაისი,
ცხენის ნავარდით მიდის დღე და... მოდის საღამო.
ფარშევანგს გიგავს ყელ-კისერი, თვეო, მკათათვის
და გამოქვაბულს, ვით მარტორქას
დახეთქილი აქვს გვალვით ტუჩები.

ვით გარეული ტახი, კერატი,
გასუქებულხარ, ოქტომბერო, რკოთი, მთის წაბლით.
თოვლის ქალი ხარ, დეკემბერო, თოვლის სიმღერა,
შუხის ხეებს შეფარებული.
თქარუნობს წვიმა, თითქო მთებზე
გადარბის რემა ფაფარაშლილი...
და მკერდით მიაქვთ ქარიშხლები
და ელვათა კოცნა-ამბორი.
იანვრის თრთვილით შეგიღებავს თმებს ხნოვანება,
დარჩები მარტო, მოგადგება კარს ბელზებელი, —
ალილუია... ალილუიაააა!...
მე, ვისაც მერგო სიყვარული მშვენიერ ქალთა
და ბანოვანთა,
ვთხოვ პატიებას.
მე, ვისაც მერგო მშობლის ჩანგი და პოეზია,
აღმოვაჩინე ქალაქები, სოფლები ძველი,
ფერი, მუსიკა, მოძრაობა...
და სხვა ათასი მისთანანი,
აღმოვაჩინე ხელახლა ჩემთვის.
ო, მეგობარო, — ნუგეშო ჩემო,
ჩემი სიმღერა, ჩემი სიტყვა, ჩემი ქართული,
ივლის და ივლის ზღვით და ხმელით,
მატარებელს შეახტება ანცი ბიჭივით,
ქალებს კალთაში ჩაუჯდება სტვენა-სიცილით,
მანქანებს, გემებს გამოჰყვება თმაქოჩრილი
და ერთი კვირით ჩამოხტება დედაქალაქში.
. . .
ა, ჩემი გული — ორბის ნაკრტენი,
ა, ჩემი წიგნი — სისხლით ნაწერი,
მიიღე, როგორც ლოცვა-კურთხევა,
როგორც მადლობა და... აღსარება!

გივი მაღულარიძ

ერთხელ მეც მომისმინეთ, ხალხო!

მოთხრობა

მე მხოლოდ ექვსი თვისა ვარ. არ ვიცი, როგორი ცხვირ-პირი მაქვს, როგორი ხელ-ფეხი მასხია, რა მქვია, რა გვარი ვარ, ბიჭი ვარ თუ გოგო. რაღაც კი მეძახიან, მაგრამ ჩემი სახელი ჩემთვის გაბმული ბგერები უფროა, ვიდრე რაიმე შინაარსის შემცველი სიტყვა. არც ეს ვიცი, სად ვცხოვრობ, რომელ ქალაქში და რომელ ქუჩაზე, რა პირობებში ვცხოვრობ, შეძლებულნი არიან ჩემი მშობლები თუ უჭირთ, მიმზიდველნი არიან თუ შეუხედავნი. ეს კიცა, რომ არ მშია, არ მწყურია, არ მცივა, სახვევები, პერანგები, ქუდები და კიდევ სხვა ამდაგვარი ჭინჭები ბევრი უნდა მქონდეს, რადგან დღეში ბარე ათჯერ მიცვლიან, სასეირნოდაც კი დავყავარ ვიღაც-ვიღაცებს ბაღში. გარდა შაბათ-კვირისა, ჩვენს სახლში ყოველდღე მოდის შავგრემანი ქალი, რომელსაც ღონიერი ხელები აქვს და ხელფეხს მივარჯიშებს, კანს მიზელს და მიხურებს, ზოგჯერ კი ისე მოურიდებლად მექცევა, თითქოს თოჯინა ვიყო და არა ადამიანი. მიუხედავად ამისა, მე მაინც მსიამოვნებს ტანის დაზელა და გავარჯიშ-გამოვარჯიშება. საღამოს თბილ წყალში რაღაცას ასხამენ, მბანენ, მწმენდენ, საფენებში მახვევენ, მაწვენენ და ტკბილი სიმღერით მაძინებენ. არც ის დაგავიწყდეთ, რომ მეფერებიან, მკოცნიან და გულში მიხუტებენ. ბევრი თქვენგანი, ალბათ, ფიქრობს, რა ბედნიერია, რა უზრუნველი, უღრუბლო ცხოვრება აქვს, არაფერი ეკითხება, არაფერი მოეთხოვება, რასაც ისურვებს, ყველაფერს მაშინვე მიართმევენ და თანაც სიხარულით. ყველა იმის ცდაშია, არ მოშივდეს, არ გაცივდეს, არ იტიროს, არაფერი ეტკინოს, არაფერმა შეაშინოს, წონაში და სიმაღლეში მოიმატოსო, მაგრამ იმათ, ვინც ასე ფიქრობს, არაფერი ესმით. ჩემი ცხოვრება არანაკლებ რთული, დაძაბული და ცვალებადია, ვიდრე მათი, ჩემი საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება კი გაცილებით უფრო ღრმა და იმდენად ყოვლისმომცველია, რომ მოზრდილებს ზოგი წვრილმანი, რასაც მე ვგრძნობ და ვამჩნევ, არც კი დაესიზმრებათ. ბევრი ამას ჩვილი ბავშვის ცხოველური ინსტინქტებით და ეგოიზმით ხსნის, მაგრამ ამაშიც ცდებიან. ეს ცხოველური ინსტინქტები და ეგოიზმი კი არ არის, არამედ თვითდაკვირვება და ყოველივე ახალის უშუალოდ, ჩემებურად აღქმა და შეგრძნება. მაგალითად, ფერებს მე უკვე ვარჩევ, მაგრამ მხოლოდ ისეთ ცხად ფერებს, როგორიცაა წითელი, თეთრი, მწვანე ან ლურჯი, მათ, ავად თუ კარგად, ერთმანეთისგან როგორღაც ჯანსხვავებ. გუშინ ვიღაც ქალმა, არ ვიცი, რა ჰქვია და რაა ჩემი, ბაღში წამიყვანა სასეირნოდ. ჩვენს სახლში მწვანე თითქმის არაფერია, ბაღში კი მწვანე ფერი სჭარბობს ყველა სხვა ფერს და მე იმდენად თვითონ მწვანე ფერმა კი არ დამაინტერესა, რამდენადაც იმან, პირადად ჩემს განწყობილებაზე როგორ მოქმედებს ეს ფერი. და იცით, რა აღმოვაჩინე? მწვანე ფერი ჩემი ფერი არაა, მე არც შიგნით და არც გარეთ მწვანე არაფერი მაქვს. ეს ფერი გარეგან მოსსული, სხვა გარემოს, სხვა სამყაროს ფერია და ამიტომ მამშვიდებს, მთენთავს, ძილს მგვრის. ძილში კი ისეთ

რამეებს ვხედავ, რაც ჩემს სიცოცხლეში არასდა და არასოდეს მინახავს — მთებს, ტყეებს, მდინარეებს, მინდვრებს. აი, წითელი ფერი კი მაღიზიანებს, მაგზნებს, მაანჩხლებს, რადგან ჩემი სისხლის ფერია და მასავით ცხელი და მყვირალა. ზოგჯერ წითელ საბანს მახურავენ და ამით თვითონ ისჯიან თავს. იმ ღამეს ცუდად მძინავს, ვღიზიანდები, ვტირი, ვანჩხლობ. ჰო, კინადამ დამავიწყა მეთქვა, რომ სისხლი მეც ამიღეს. იმ დღეს, ბავშვთა პოლიკლინიკაში რომ მიპირებდნენ წაყვანას, ატუდა ერთი აურზაური. გარეთ ცოდა, ზამთარი იდგა, მგონი თოვდა კიდეც და ამიტომ შემახვიეს, შემფუთეს, მუთაქასავით დამამრგვალეს, მწვანეთვალიან მანქანაში ჩამსვეს და საათკენლაც გამაქროლეს. აქამდე მე ასე სწრაფად არასოდეს მიქროლია. პოლიკლინიკაში ცოდა, მაგრამ მაინც გამაშიშვლეს, ამწონეს, გამზომეს, და მერე ისე მიჩხვლიტეს რაღაც თითში, ისეთი ტკივილი მომაყენეს, რომ ჩემმა ჯღაბილმა მეც გამაყოფა და იქაურობაც. მართლაც და, რა ბარბაროსობაა, ნუთუ აქამდე ვერაფერი მოიგონეს ისეთი, რომ ჩემი ხნის ბავშს, თუ სისხლის აღება ასე აუცილებელია, უმტკივნეულოდ გამოადინონ სისხლი? მეწყინა, გარწმუნებთ, ძალიან მეწყინა, ასე უდიერად რომ მოექცნენ ჩემს თითს და ჩემი გაჩუმება და შემორიგება კი ნახევარი საათი დაუჯდათ ირგვლივ შემოჯარულ ქალებს. აბა, რა ეგონათ, გაუფრთხილებლად, მუხანათურად რომ გამიყარეს ნემსი თითში და რამდენიმე წვეთი სისხლი გამომადინეს, გავჩუმდებოდი, შევარჩენდი ჩემს მტარვალებს ამგვარ მზაკვრობას? ჰოდა, იცოცხლე, მე ვიღრიალე და ვიღრიალე, ისე ვიღრიალე, რომ კინადამ ჭერი ჩამოვიღე. მერე კი მეხვეწნენ, გაჩუმდიო, რაღაც სათამაშო მომაჩეჩეს ხელში, რაღაც ყოარუნა ამიყოარუნეს ყურთან, ხელში ამიყვანეს, მარწიეს და მაქანავეს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მე ის ჩიტი არა ვარ, ერთს რომ მოეფეტრებიან ან გაუწყრებიან და [illegible] ხმას გაკმენდს. ერთი სიტყვა [illegible] ამბავი დავაწიე პოლიკლინიკაში, რომ თავი ყველას დავამახსოვრე. აწი მაინც ისწავლიან ჭკუას.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც გარეშე ამბებია, გარეშოია და სხვა ადამიანების მიერ ჩემს ცხოვრებაში შემოტანილი. მთავარი ისაა, რაც თვით ჩემში ხდება და ისე მაწვალებს, რომ ძილშიც კი დაძაბული ვარ. ხუმრობა საქმე არ გეგონოთ ყოველდღიურად ზრდა. ეს ისეთივე უსიხარულო და მძიმე პროცესია, როგორც დაბერება და დაჩაჩანაკება. მართლაც და, აბა, რა სასიხარულოა უმწეობა და უძლურება. ჯერ მარტო საჭმელია მონელება იკთხეთ. ვიღაიძე და ისე მშია, როგორც კი საფენებს შემომაძრობენ, საკუთარ ხელებს ვილოკავ და ვლოღნი, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემი ხნის ბავშვს კბილები არა აქვს. შემდეგ ატყდება ერთი ფაცაფუცი, გარბიან და გამორბიან. ბოლოს მომიტანენ ბოთლით უგემურ, უწამაქო საჭმელს, მაწვნისა და კიდევ რაღაცების ნარევს. ერთი უსიამოვნება ისიცაა, რომ ბოთლს თავზე წამოცმული აქვს საწუწნი რეზინი და ეს ოხერი ხან ისეა გაბვრეტილი, რომ საჭმლის გადაყლაპას ვერ ვასწრებ, პირი სითხით მევსება და ვიხრჩობი, ხანაც ისეთი ვიწრო ნასვრეტი აქვს, რომ უამრავ ძალ-ღონეს ვხარჯავ და პირში მაინც არაფერი ჩამდის. მთავარი იწყება მერე, როცა ბოთლს ძალით გამომგლეჯენ პირიდან და მატყუარას ჩამბრიან. ვის ატყუებენ, ჩემზე უკეთ ვინ შეიძლება იცოდეს, რა არის ნამდვილი და რა მასი შემცვლელი. იმ მატყუარას მე ვწუწნი და არა ისინი, ვინც მას პირში მბრის, ჰოდა, ახლა თვითონ განსაზღვრეთ, ვინ შეიძლება იცოდეს უკეთ ნამდვილის ნამდვილობა და მატყუარას მატყუარობა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, თვალებში მაშინ მიდგება სევდა, როცა ჩვრებში დამიწყებენ გაჯვეგას. გამაცურებენ, ფეხებს ერთმანეთზე მიმიტყუპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზენ, ხელებს გვერდებზე მიმაწებინებენ და მახვევენ ერთიკეც, ორკეც, სამკეც და ზოგჯერ ოთხკეც სახვევში, ვტირი, ვლრიალებ, მაგრამ ვინ უწევს ანგარიშს ჩემს წინააღმდეგობას, მიჭერენ და მიჭერენ სახვევებს და აივ გაკოჭილს დასაძინებლად მაწვენენ, ვერც ფეხი გამიძძრევია და ვერც ხელი. განა ეს არ არის სისასტიკე და არაადამიანურობა, განა იმისთვი გავიხდი ამ ქვეყანაზე, რომ შემბოჭონ და შემბორკონ? აბა, მათ მოეკენენ ასე, თუ ერთ ვაიუშველებელს არ ასტეხენ, აბა ჩემსავით იყვნენ გაკოჭილები რამდენიმე საათს და ვნახავ, რა გუნებაზე დადგებიან, რა ტკბილი ძილი ექნებათ, როგორ მოინელებენ საჭმელს, რა თვალით შეხედავენ იმას, ვინც გაკოჭა და საწოლში ჩაადგორა. ეს მე მერევიან, მიბრიყვებენ, თორემ თვითონ რომ ერთმანეთს ასე კოჭავდნენ ყოველდამე, იაეთი ჩხუბი და დავიდარაბა იქნებოდა ყოველ ოჯახში, რომ სახლები საგიეთს დაემსგავსებოდა. მართალია, მე არ ვიცი, რა არის საგიეთი, არც ნამდვილი გიეი მინახავს არასოდეს, მაგრამ ჩემს გარშემო ან მა დიდ ოთახში, სადაც ხანდახან შემაგორებენ, ზოგიერთები ისე იქცევიან, ისე ლაპარაკობენ და იაეთ ბგერებს გამოსცემენ, რომ თუ გიეები არა, შერეკილები მაინც უნდა იყვნენ. ქალებს ეს მაშინ ემართებათ, როცა მე პირველად მინახულებენ და ასტეხენ ერთ ვიშვიშაა და აურზაურს. მიმოწმებენ ცხვირ-პირს, თვალების ფერს, ფეხების სიგრძეს, ყურების მოყვანილობას, ცხვირის სისწორეს, ხელის თითების სიგრძეს და, ღმერთმა იცის, კიდევ რას. გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, როგორი ვიქნები, როცა გავიზრდები, ლამაზი თუ შეუხედავი, თუმცა აქამდე არავის უთქვამს, რომ შეუხედავი ვიქნები, მაღალი თუ დაბალი, მსუქანი თუ გამხდარი, რა ფერის თვალები მექნება და რა ფერის თმა, მე კი ვწევარ ჩემთვის და გუნებაში მეცინება. მათ საიდან უნდა იცოდნენ, როგორი ვიქნები, როცა გავიზრდები, როცა ეს მე თვითონაც არ ვიცი. ესე იგი, ეს იგი, საც ეკუთვნია ის ფეხები, ხელები, თვალები, ყურები და ცხვირი, რომელთაც ასე გულმოდგინედ სინჯავენ და ამოწმებენ. მამაკაცები კი მაშინ ემსგავსებიან გიეებსა და შერეკილებს, როცა სუფრასთან სხედან და, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, ღვინოს სვამენ, ანუ ქეიფობენ და პურს ჭამენ. ერთი ორკერ მეც შევსწრებივარ შემთხვევით იმგვარ პურის ჭამას თუ ქეიფს, მამაკაცები რომ ასე თავდავიწყებით ეტანებიან. უწმოლდებათ სახეები, უბინდდებათ თვალები, ლაპარაკობენ ხმამაღლა, ზოგჯერ, როცა გრძნობა მოერევათ, წამოიყვირებენ კიდეც რაღაცას. ხან დავობენ, ხან ერთმანეთს ესიყვარულებიან, ვიღაცებს აქებენ და აუცილებლად თავიანთ თავსაც, ვიღაცებს კილავენ და ამ კილვაში ისიც იგრძნობა, რომ გამკილავი გაკილულზე უფალაფრით მაღლა დგას, უფრო ვაქაციაა, პატიოსანიც და ნიჭიერიც. ამ დავასა და ქება-კილვაში ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან, ყოველ მათგანს ჰგონია სხვებზე უკეთ მიჭრის ენაო, სინამდვილეში კი ყველა სისულელეს როშავს და თუ ვინმეს ის აბდაუბდა, რისი თქმაც უნდა, ბოლომდე არ თქმევინეს, სწყინს და ჩხუბის ხასიათზე დგება. მთვრალებს აღარც ჭამა შეუძლიათ წესიერად და აღარც მოქცევა. მე განსაკუთრებით ის ხმაური მაწუხებს, ამ ქეიფსა თუ პურის ჭამას რომ ახლავს თან. მარიდებენ, მაგრამ როგორ უნდა მომარიდონ იმას, ცხრა კედლის მიღმაც რომ ისმის. ამავე დროს პირში რაღაც თეთრს, ვიწროსა და გრძელს იდებენ, ცეცხლს უკიდებენ და პირიდან კვამლს უშვებენ. ამ კვამლს საზიზღარი სუნი აქვს. მართალია, ჩემამდე მხოლოდ ერთხელ მოაღწია ამ სუნმა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმის შესაგრძნობად, რომ პირიდან გამოშვებული კვამლის სუნი საზიზღარი და გულის ამრევია. ბოლოს, როცა ჭამა-სმას მორჩებიან, ერთად წამოიშლებიან სუფრიდან, ზოგს ფეხი ეშლება, ზოგი ენას უკიდებს, ზოგს თვალები

ებრიცება და მაინც კმაყოფილნი არიან. ემშვიდობებიან მასპინძლებსა და ერთმანეთს, იწყება კიდევ უფრო დიდი სიხალელეების როშვა და ხვევნა-კოცნა. მე ესეც არანაკლებ მაღიზიანებს, ვიდრე პირიდან გამოშვებული კვამლის სუნი. ისე, როგორც ისინი იქცევიან, გიეები და შერეკილები თუ მოიქცევიან. ხოლო თუ ადამიანები მართლაც ასეთები არიან, მაშინ არ ვიცი, რატომ უწოდებენ მათ გონიერ და ჭკუათამყოფელ არსებებს.

მათი სიგიჟე, ქალებისაც და კაცებისაც — კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ისე არ გავლენ სახლიდან, სარკეში არ ჩაიხედონ და საკუთარი გამოსახულება არ შეათვალიერონ. ვერ გამიგია, რისთვის აკეთებენ ამას, მეტისმეტად მოსწონთ თავიანთი თავი თუ ისე შეეჩვივნენ სარკეში ყურებას, რომ უმისოდ ვერ გაუძლიათ. მერედა, რა სასაცილონი არიან, როცა სარკის წინ დგანან — ისწორებენ თმას, წარბებს, წამწამებს, ტუჩებზე რაღაც წითელს ისვამენ, ლოყებზე კი ვარდისფერს, მერე ბოთლს გახსნიან, თითს დააწებენ და ყურებს უკან და კისერზე ისვამენ, ბოლოს შებრუნდებიან, შემობრუნდებიან, ხან გაიღიმებენ, ხან შუბლს შეიჭმუხნიან და აღარ იცი, რა იფიქრო, ადამიანი ბუნებითაა მანჭვა-გრეხის მოყვარული და თვალთმაქცი თუ ცხოვრებამ გახადა ასეთი. ქალებს არც ზოგიერთი მამაკაცი ჩამორჩება, დგანან სარკის წინ, იჯგიმებიან, ხან უკან დაიხევენ, ხან სარკეს მიეხლებიან და ისე თვალიერებენ თავს, თითქოს ღმერთს მათი მსგავსი არავინ შეუქმნია ამქვეყნად. საყელოს ხან აიწევენ, ხან გაისწორებენ, თუ წვერი აქვთ, წვერს ელოლიავებიან, თუ ულვაში — ულვაშს. ერთი სიტყვით, არანაკლებად იპრანჭებიან და თვალთმაქცობენ, ვიდრე ქალები და ყოველივე ამაზე იმდენ დროს ხარჯავენ, რაც მე ერთი ბოთლი მაწვნის შესახვრეპად მყოფნის. ერთხელ მეც ჩამახედეს სარკეში და ამან კი არ გამახარა, პირიქით, შემაშინა, დამთრგუნა. მე უკეთესი წარმოდგენა მქონდა ჩემს თავზე და ... უარესი აღმოვჩნდი — პატარა, მოცუცქნული ცხვირ-პირით, უძლური, უმწეო, ისეთი არსება, რომელსაც არაფრის თავი არა აქვს, იმისაც კი არა, რომ საუმელი საკუთარი ხელით ჩაიდოს პირში. რა აქვთ საკეკლუცო დიდებს, რას ხედავენ სარკეში ისეთს, ღიმილს რომ ჰგვრით და თავს აწონებთ. ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სულ არ მომწონს ჩემი თავი, ისიც ვიცი, რატომ არ მომწონს და ამიტომ უფრო უშუალო და თავმდაბალი ვარ, ვიდრე ისინი, ვისაც ჭკონია, ვერაფერს ვხედავ და არაფერი მესმის.

ადამიანების ერთი უცნაურობად კიდევ ის მიმიჩნია, რომ ყველაფერზე ფრთხებიან. დამაცემინებს და ვაი, გაცივდაო, დამახველებს და ვაი, რაღაც გადასცდაო, დამამთქნარებს და ძილი აკლიაო, დამასლოკინებს და წყლის დალევინება დაგვავიწყდაო. აბა, როგორ უნდათ მამაცხონებულებს, მეც ადამიანი ვარ და ხან დამაცემინებს, ხან დამახველებს, ხან დამასლოკინებს. რაა ამაში საგანგაშო და აურზაურის ასატეხი? მე უფრო კარგად არ ვიცი, რა მინდა და რა მჭირს, ვიდრე იმან, ვინც გარედან მიყურებს? აი, კიდევ ერთი უცნაურობა, ავტირდები თუ არა, სულ ერთია, დღისით ხდება ეს თუ ღამით, მაშინვე ყველანი ფეხზე წამოცვივდებიან და ჩემკენ მორბიან. მე, რა თქმა უნდა, მსიამოვნებს თავს რომ მევლებიან, მაგრამ რა მოხდა ასეთი, იქნებ იმიტომ ვტირი, რომ მართლაც მეტირება, მეტირება იმის გამო, რომ ასეთი უმწეო და უძლური ვარ და კიდევ კარგი ხანს ვიქნები, იქნებ იმიტომ ვტირი, რომ გაკოჭილი ვარ, ვერ გავნძრეულვარ, — ხელ-ფეხი დამიბუჟდა და გახსნა, თავისუფლება მენატრება. რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, ჩვენ უფროსები ვართ და შენზე უკეთ ვიცით, რაა საჭირო და როგორ უნდა მოგექცეთო, იმას კი ვერ მოიფიქრებენ, რომ გამხსნან, გამათავისუფლონ, ხელ-ფეხი გამანძრევინონ. შეიძლება იმიტომ ვტირი, რაღაც მომე-

ლანდა, დამესიზმრა. ძალიან ცდება ის, ვისაც ჰგონია, თითქოს მე სიზმრებს არ ვხედავდე. ვხედავ და მერე როგორ, წუხელ მესიზმრა, თითქოს პირში საჭმელით სავე ბოთლზე წამოიმული საწუწნავი მედო და ვიღაც მართმევდა, ვიღაც უცხეპირპირო მაჯლაჯუნა და ისეთი ღრიალი აეტეხე, რომ არამარტო შინაურები, მგონი მეზობლებიც კი წამოვყარე ფეხზე. ისიც ხომ დასაშვებია, რომ შეიძლება მე იმათ ჯინაზე ვტირი, ვისაც ტკბილად სძინავს იმ დროს, როცა მე მოვიძავე, ნახეგრად ბნელში თავს მარტო ვგრძნობ და საკუთარი თავი მეცოდება. რაც არ უნდა იყოს, უკვე შეეჩვივ ხალხში ყოფნას და მარტოობა ხანდახან მართლაც მიჭირს. და ეს არცაა გასაკვირი. რა უნდა აკეთო მარტომ და ისიც ნახეგრად ბნელში. საწოლიდან წამოდგომა მე არ შემიძლია და სიარული, სიმღერა და ლექსის კითხვა, წერა და ხატვა, ამიტომ უნდა ვიფიქრო და ვიფიქრო, მაგრამ ამდენი ფიქრითაც თავი გაუსკდება კაცს. მარტოობა იმ მხრივაცაა ცუდი, რომ ყურადღება და ალერსი მაკლია, ვერ ვგრძნობ ხელს, რომელიც მამხნევებს და მიამედებს, ვერ ვგრძნობ იმას, რომ ვიღაცას მარილა ეჭირდები და უჩემოდ ვერ გაუძლია. მე კი ჩემს ასაკში არაფერი მჭირდება ისე, როგორც მზრუნველობა და სიყვარული. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. საკუთარი ხელით ვერ ვჭამ, ვერ ვსვამ, ვერ ვიბანი, ვერ ვირეცხავ, ისიც კი არ შემიძლია, ჩემი სურვილი სიტყვებით გამოვხატო და ხომ გაგიგიდი, არავის რომ არ ვუყვარდე და ჩემზე არავინ ზრუნავდეს. მაშინ ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა. ისეთი მაძღარი და კრიალა კი არ ვიქნებოდი, ახლა რომ ვარ, არამედ მშიერი, ჩაბინძურებული, სიცივისგან გალურჯებული. ჩემს საწოლ ოთახს ხომ დამატებით ათბობენ. ამიტომაც მეშინია ხანდახან მარტოობის, გუნება მეშხამება და სულ იმაზე ვფიქრობ, ხომ არ გადამიყვარეს, ბედის ანაბარა ხომ არ მიმატოვეს-მეთქი. მართალია, ჯერ არ ვიცი, როგორი სხეული მაქვს, მიყვარს საკუთარი სხეული. თუ ეს, ალბათ, მიყვარს, მაგრამ მის იმედად ვერ ვიქნები და სანამ მოგლონიერდები, სანამ ფეხზე დადგები, ვიღაცა უნდა მომეხმაროს, შემეშველოს, სიარული და ლაპარაკი მასწავლოს. ხომ გაგიგონიათ ერთი ქართული სიმღერა „თუ გამაჩინე, კიდეკე მარჩინეო“.

მარტოობა რას არ აფიქრებინებს კაცს, გადამიყვარებენ და მიმატოვებენ კი არა, გულში მიხუტებენ, სულში მიძვრენენ. მათთვის რომ იმის თქმა შეძეძლოს, არ მჭირდებით, მომშორდით, თავი დამანებეთ და ჩემთვის დამტოვეთ-მეთქი, ხომ გაგიჟდნენ საწყლები, ხომ წამოსცვივდათ გაკვირვებისგან თვალები. მერედა, როგორ წაიშენენ თავში ხელს, რა ტირილსა და მოთქმა-გოდებას ასტეხენ. დავკარგეთ შვილი, ალარ გვცნობს, ალარ ვუნდივართო, ეს რა გვითხრა, ეს რა თავზარი დაგვცაო. მაგრამ მე არ ვარ ისეთი ბოროტი, ამგვარი სისაძაგლე ჩავიდინო. ახლა რაღა გაეწყობა, რაკი გავჩნდი ამ ქვეყანაზე, ვიღაცის შვილი ხომ უნდა ვიყო. ასეა მოწყობილი ეს ცხოვრება, და მე ხომ ვერ გარდავქმნი და გადავაკეთებ. შვილობა, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არაა, მაგრამ თუკი სხვები იტანენ, და უძლებენ, მე რა ასეთი დონდღლო და მოუთავებელი ვარ. პირიქით, ჩემი თავი გონიერიც მგონია და ამქვეყნიური სიამეთა მოყვარულიც. ისეთ რამეს არ ჩავიდენ, ჩემსავე თავს რომ ვავნო, დამთხვეულები სხვაგან მოიკითხეთ, მე კი ჯერ არ ამიფრენია; ჭამა დროზე, გამოცვლა დროზე, დაბანა დროზე, ძილი დროზე, ჰოდა, რომ აირიოს ირგვლივ ყველაფერი, განხეთქილება რომ ჩამოვარდეს ჩემსა და მათ შორის, ანდა ჩემს გამო ისინი რომ წაეკიდონ და დაემდურონ ერთმანეთს, რა ვქნა მერე, მე თქვენ გეტყვით, შერიგება შემიძლია მათი თუ შეშინება. სხვათა შორის, არც

ბეჟან ბაღულარია
ერთხელ მოვიხსენიეთ, ხალხო!

ჩხუბი და აურზაური მიყვარს. არ მაქვს ახლა ჩხუბის და აყალმაყალის ატანის თავი. ხმამაღლა, ბრაზით ნათქვამი სიტყვა მაკრთობს, მაღვიძებს, ტირილის ხასიათზე მაყენებს. ჰოდა, მე კიდევ ზედმეტი მიზეზი მინდა ტირილისთვის, ისედაც დღე და ღამე ვლნავი. ადამ მაქვს სხვებთან წაკიდების თავი, როცა ჩემს გასაჭირს ვერ ავუდიგარ. დღეს რომ მგონია, ეს ნივთი ან ეს სურათი ასეთი და ასეთია-მეთქი, ხვალ სულ სხვანაირი მეჩვენება, ფერითაც შეცვლილია და მოყვანილობითაც, და ვერ გამიგია, ქვეყანა იცვლება ყოველდღიურად თუ მე ვარ ისეთი ბოთე, რომ ხეირიანად ვერაფერი დამიმახსოვრებია. რა ამბავია ამდენი შეცვლა, გადაასხვაფერება, გარდაქმნა, ნუთუ არ შეუძლია ქვეყანასაც და ნივთებსაც დღესაც ისეთი იყოს, როგორიც გუშინ იყო. მართალი გითხრათ, დამღალა ამ ამბავმა. შეიძლება იმიტომ გამომილაყდა გონება, რომ ყველა ამ ცვლილებას თვალს ვადევნებ და თავს აქეთ-იქით ვატრიალებ. ერთი კია, რაც უფრო ვიზრდები, რაც უფრო მეტს ვხედავ და მესმის, მით უფრო მიტაცებს ცხოვრება, მით უფრო მინდა ჩქარა გავიდეს დრო, მაგრამ დროც კი ვინმეა, მიიწევება, მიიზლაზნება და არავითარ ანგარიშს არ უწევს იმას, რომ მეჩქარება გაზრდა და მოღონიერება. მეც მინდა ვიცოდე, რა გემო აქვს იმ კერძებს, უფროსები რომ ასე მაცდუნებლად მიირთმევენ. ზოგი ისე წამოიძახებს, უჰ, რა გეშრიელიაო, თითქოს ყოველდღე ჩემსავით მაწონს ჭამდა და პირველად იგემა ნამდვილი კერძის გემო. მეც მინდა საწოლიდან წამოდგომა და ჩემი ფეხით წასვლა იქ, სადაც მეფენიც კი ფეხით დადიან. თორემ რას ჰგავს ეს, ვწევარ ჩემსავე სიბინძურეში და ველოდები როდის ამომიყვანენ, დამბანენ და გამწმენდენ. ცხოვრება ჰქვია ამას?! მე ჯერ სოფელში არ ვყოფილვარ, არც ხბო მინახავს, არც ბატკანი და არც თიკანი, მაგრამ მაინც მგონია, რომ ადამიანებზე უბედური არსება ღმერთს არ გაუჩენია ამ ქვეყანაზე. რა ამბავია, წლობით ბინდში, ამდენი უმწეობა და უსუსურობა ... ლი მაინც იყოს, უმტკივნეულად ... ვალებლად მაინც გადიოდეს ეს მაჩანჩანჩალა დრო. ისეთი გრძნობა მაქვს თითქოს მაა შემდეგ, რაც დავიბადე, საუკუნე გავიდა, მე კი ჯერ ფეხზე დგომაც არ შემიძლია. სამართალია ახლა ეს? კი ამბობენ, ამქვეყნად ბევრი უსამართლობაააო, მაგრამ იმაზე დიდი უსამართლობა რა უნდა იყოს, როცა ცოცხალი ადამიანი მხოლოდ ფეხის ადგმას მთელი წელიწადი ელოდები.

მღვიძავ თუ მძინავს, ძალიან მაღიზიანებს ზოგიერთი ადამიანის მოურიდებლობა და თავნებობა. ისე მექცევა, თითქოს მე ჩემი ხასიათი და განწყობილებები არ მქონდეს. რა ვუყოთ რომ პატარა ვარ, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანისაგან არ განსხვავდები და მათზე ნაკლებად მეცვლება გუნება-განწყობილება. გუნება-განწყობილება მე მეცვლება თუ მეცვლება, თორემ მათ უკვე ბუნებაც და ხასიათიც კარგა ხანია ჩამოყალიბებული და უცვლელი აქვთ, ზოგიერთს კი, ალბათ, გახევებულიც. ვწევარ ჩემთვის წარბშეკრული, ვფიქრობ ამ ცხოვრების ავსა და კარგზე, სამართლიანობასა და უსამართლობაზე და მოვა ამ დროს ვიღაც, დამიწყებს ენის მოჩლექვას და ფერებას, მისვამ ხელს ლოყებზე, ნიკაპზე, ცხვირზე, თითქოს გაააყიდი საქონელი ვიყო და ეშინია არ მოტყუვდეს, ფასიანის ნაცვლად, უფასაური საქონელი არ შერჩეს ხელში. მართალია, მოფერებაც დიდად მსიამოვნებს და ხელში აყვანაც, რაც უნდა იყოს, ადამიანი უფრო თბილია. ვიდრე ის ჩვრები, მე რომ ჩემი სხეულით ვათბობ, მაგრამ რატომ არ ფიქრობს იმას, ვარ მე ახლა მოფერების ხასიათზე, მცალია მისთვის? ძლივს მოვუყარე თავი ორიოდ აზრს, დიდი ვაი-ვაგლახით დავაკავშირე ერთმანეთთან და ... ინებეთ, არ გამაწყვეტინა ისევ, არ დამაწყებინა ყველაფერი თავიდან? მერეს, საქმეა ეს? მე რომ მას ისე მო-

ვიქცე, როგორც თვითონ მომექცა, ფიქრი და აზრი გავაწყვეტინო, ხომ შემომღრენს და დამიცაცხანებს, ყველას შესჩივლებს, ეს რა მოუსვენარი, დაუდეგარი ბავშვია, ერთი წუთით დაფიქრების საშუალებასაც კი არ მოგცემო. ჰოდა, სარგებლობენ იმით, მე რომ ღრენა და დაცაცხანება არ შემიძლია, თორემ ზოგიერთ მათგანზე მეტს მე ვფიქრობ, მით უმეტეს, ახლა, როცა სხვა საქმე არაფერი მაქვს. ჩემთვის ისიც კი უცნო და საინტერესოა, რასაც ისინი ზედ არ უყურებენ, მე იმაზეც უნდა ვიფიქრო, რასაც ისინი ფიქრის ღირსადაც კი არ თვლიან და ხომ უნდა ამას დრო და განწყობილება, ბევრი უმეტეს, ჩემისთანა მოუცლელი ადამიანისათვის, ვისაც დღეღამეში თვრამეტი საათი სძინავს და მხოლოდ ექვს საათს ფხიზლობს. რა უნდა მოასწრო კაცმა ამ ექვს საათში, როცა ყველაფერი დანახვას, შესწავლას და დამახსოვრებას მოითხოვს. საქმეს კიდევ ის ართულებს, დანახული და დამახსოვრებული ყოველდღე იცვლება და ყველაფრის თავიდან დაწყება მიხდება. ამ დროს კი, როცა ასეთ გაჭირვებაში ვარ, მოდის ვიღაც და მიწუყებს ლაილის, როგორი ხარ, ასეთი ხარ, ისეთი ხარო. ასეთი ვარ თუ ისეთი, მე მასზე უკეთესად ვიცი და არაფრად მჭირდება მისი დახასიათება. უდიერობაა, აბა რაა, როცა ადამიანი პირველად გხედავს და უკვე იწყებს შენს დახასიათებას. რა იცის მან ჩემს შესახებ, როგორ უნდა გაერკვეს ჩემში, როცა საკუთარ თავშიც კი ვერ გარკვეულა. ამიტომაც ვიჯმუხნი შუბლს და ვაბრუნებ თავს გვერდზე. ისიც ვიცი, ერთმა ასეთმა მომნახულებელმა სხვების "გასაგონად არ თქვა, მაგრამ გუნებაში გაიფიქრა, რა უხასიათო ბავშვიაო. მოდი და მოჰკითხე ახლა ასეთს ჭკუა. ვიწექი ჩემთვის, ვფიქრობდი, ჭკვიანური აზრები მომდიოდა თავში თუ სულელური, ეს არავის საქმე არაა, მოვიდა, ბავშვივით აჩლიფინდა, დამიწყო ლაილი, ფერება, ხელის სმა, გამაწყვეტინა ფიქრი და ახლა კიდევ მე ვარ უხასიათო. გაგონილა ასეთი უსამართლობა?

არც ის მიყვარს, მძინარეს რომ მაღვიძებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეჩქარებათ, საქმე აქვთ, სადღაც გარბიან და რადგან დრო დაკარგეს და ჩემს სანახავად მოვიდნენ, არ უნდათ ისე წავიდნენ, არ დამხედონ, არ გამეთამაშონ, ენა არ მომიჩლიქონ. მე არავისთვის შემითვლია, მობრძანდით და აუცილებლად მნახეთ-მეთქი. ანდა რატომ შევუთვლიდი, ავად ხომ არ ვარ. ჰოდა, თუ თავის ნებით მობრძანდნენ და ჩემი ნახვა ისურვეს, კეთილი ინებონ და მოვიდნენ ისეთ დროს, როცა გამოძინებული ვარ და თამაში მეც მენატრება. თუ ორი ადამიანის განწყობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რა თამაშზე და კეთილ ურთიერთობაზე შეიძლება ლაპარაკი. ნუთუ ამდენი არ ესმით? შეიძლება ესმით კიდეც, მაგრამ ანგარიშს არ მიწევენ, თორემ რა წესია მძინარე ბავშვი გაალვიძო მხოლოდ იმისათვის, რომ დრო არ გაქვს და სადღაც გეჩქარება. ეს კიდევ არაფერი, ამას როგორმე გაუძლებ კაცი, მაგრამ მთლად გამაგიჟა ის ყუთმა, საღამოს რომ ჩართავენ, საქმისანად მიუსხდებიან და შუაღამემდე უყურებენ. მართალია, იმ ოთახში მე იშვიათად ვარ, სადაც ყუთი დგას, ჩემს გამო ხმასაც კი უკლებენ, მაგრამ მეც ის მაკვირვებს, რას ხედავენ იმ მოციმციმე შუშაზე ისეთს, რომ საათობით უყურებენ და არ ბეზრდებათ. ჯერ ერთი, რაც უნდა დაუკლონ და დაუწიონ იმ ყუთს ხმა, საიდან იციან, მე როგორი სმენა მაქვს, იქნება ჩემი სმენა ისეთი მახვილია, რომ მეზობლების ჩურჩულიც კი მესმის, მეორეც, რა საინტერესოა იმის ყურება, თუ როგორ ცანცარებენ მოციმციმე შუშაზე ადამიანები და ნივთები, როგორ უძლებენ სულ ერთისა და იმავეს, სულ ერთისა და იმავეს ყურებას. მე რომ ძალა დამატანონ და იმ ყუთთან ერთი საათი დამსვან, ალბათ, შევირყევი. ვერ ვიტან ერთფეროვან, უცვლელ, უმოძრაო ცხოვრებას. იმ ყუთის წინ ჯდომას და ცანცარა ადამიანე-

ბის ცქერას ის არ სჯობია, ჩემსავით იფიქრონ და გაეკვნენ, რა ხდება ირგვლივ, რა იცვლება ჩვენს გარშემო და როგორ. ეს ხომ ჭკუასაც გაუვარჯიშებთ და ზოგიერთ გაუგებარ ამბავსაც მოჰფენს ნათელს. აი, ამის ერთი მაგალითი: მე წარმოდგენა არ მქონდა, თუ შეიძლებოდა თევზი წითელი ყოფილიყო და თანაც დახატული. მაგრამ სასლში კედელზე ერთი სურათი ჰკიდია, სადაც წითელი თევზი ცოცხალივითაა და მწვანე წყალში მიცურავს. მაგრამ ერთხელ, როცა ხელში აყვანილს ოთახში დამასეირნებდნენ, იმ ადგილს რომ მივუახლოვდით, სადაც სურათი ჰკიდია, თევზს ხელი ავუქნიე და თვალის დაუხამხამებლად მივაჩერდი. თევზი არ დამფრთხალა, ადგილდანაც კი არ დაძრულა და მივხვდი, რომ დახატული იყო. იმ დღეს მხოლოდ ერთი კითხვა დამრჩა ამოუხსნელი — მართლა არსებობს წითელი თევზი, თუ განგებ შეღება მხატვარმა წითლად. ასეთი აღმოჩენები არ სჯობია ერთ ადგილას სავარძელში ჯდომას, სულ ვიღაცის ყურის გდებას და მისი აზრების გაზიარებას? რას ამბობენ მანიც ისეთს, სხვებს რომ არ უთქვამთ. ხანდახან ისე მაღიზიანებს მათი უყურადღებობა, და ისიც, ჩემზე მეტად იმ ყუთით რომ არიან დაინტერესებულნი, გულზე ვსცდები. მაგრამ არც მე გახლავართ მამა აბრამის ბატკანი. გავიყუჩები, ველოდები იმ წამს, როცა მათი გულისყური მთლიანად იმ ყუთისკენაა მიქცეული და სწორედ ამ დროს ისეთს დავუქმევ, ისეთ ღრიალს მოვრთავ, რომ დაფეთებულები წამოცვივდებიან, ერთმანეთს შეშინებული თვალებით ეყურებენ და თვალებითვე ეკითხებიან, რა მოხდა, რა უბედურება დაგვატყდა თავს, საწოლ ოთახში ჭერი ხომ არ ჩამოიქცა ან იატაკი ხომ არ ჩაინგრაო. შემოცვივდებიან დაფეთებულები, ჯერ ჭერს ახედავენ, მერე იატაკს დახედავენ და მხოლოდ ამის შემდეგ დამიწყებენ თვალებით ძებნას. მე კი მიკუნჭული ვარ საწოლის კუთხეში, გამწარებული ეღრიალებ და თან გულში მეცინება, ხომ ვიყარე იმ მოციმციმე ყუთის ავერი, ხომ დავუხეთქე გულები მეზობლებს. მოჭრილ მონებს. რით მჯობია ის ყუთი მე, ყუთი მკვდარია, მე კი ცოცხალი და საზრიანი არსება ვარ, თბილი, ყურადღებას მონატრებული, გონიერი არსება, რომელსაც, თუ დასჭირდა, შურისძიებაც შეუძლია და გულების დახეთქვაც. ამიტომ მეტი ჭკუა უნდა იქონიონ და სანამ უყურადღებოდ მიმატოვებენ ან საერთოდ დაივიწყებენ ჩემს არსებობას, ისიც უნდა გაითვალისწინონ, ვისთან აქვთ საქმე. მე გონიერი არსება ვარ და ყოველთვის შემიძლია რადაც ისეთის მოგონება, მათი ყურადღება რომ ჩემსკენ შემოვაბრუნო.

ვგრძნობ, რომ მშია, მაგრამ რა ვქნა, ვითმენ. ცოტა თავმოყვარეობა მეც მაქვს და როგორც კი მომშივდება, მაშინვე ხომ არ ავბღავლდები ყოველთვის. ისიც კმარა, რაც აქამდე ვიბღავლე. მე ხომ ადრე მშივდება, ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ საკმელი მაკლია ან ჩემთვის ვინმეს რამე არ ემეტება. ეს მხოლოდ და მხოლოდ ექიმების ბრალია. მაგათზე დიდი მტრები მე ჯერ არა მყავს. სისხლი ხომ გამომადინეს, ახლა ლუკმასაც მითვლიან. იმაშიც დარწმუნებული ვარ, ის დახაზული და გაზომილი ბოთლი, რომელიც მე ჭირივით მეზარება და რომელსაც გარკვევით აწერია 50, 100, 120, 150, 180 და 200, ექიმების მოგონილია. ჩემი ყურით გავიგონე, როგორ თქვა ერთმა ჭალარა, ფაშფაშა ექიმმა ქალმა პირველად არ მისცეთ 120-ზე მეტიო, მერე 150-ზე მეტიო, მერე 180-ზე მეტიო. თქვენ ჩემგან არ გესწავლებათ, რომ აქ გრამებზეა ლაპარაკი. მერე ახსენა ვაშლი, სტაფილო, ბროწეული. ჯერ ერთი წვეთიო, მერე ორიო, მერე სამიო და ასე შემდეგ. მაგრამ არ უთქვამს სადმდეო. მე კი გავიფიქრე, ასე წვეთწვეთობით რომ მიმატონ წვენი სიცოცხლის ბოლომდე, სიბერეში, ალბათ, კასრი უნდა მოვიყუდო-მეთქი. მაგრამ ჯერჯერობით ასე შორს არ ვიყურები, ახლა ის მაინტერესებს, რა იცის იმ მამაცხონებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, როგორი მადა მაქვს, როგორი მჭამელი ვარ, რას რა ოდენობით მოითხოვს ჩემი ორგანიზმი. იმასაც ხომ უნდა გაეგოს ანგარიში, რამდენად ხარისხიანი და ნოყიერია ის საჭმელი, მე რომ მაჭმევენ. აბა და, ვისა აქვს იმის საშუალება, რომ სახლში ლაბორატორია მოაწყოს და ყველაფერი მისხლობით განსაზღვროს. თვითონ ის ექიმი, მე რომ. გრამებს მითვლის, ხომ მიირთმევს ყველაფერ იმას, რაც უყვარს და იმ ოდენობით, რამდენსაც უნდა. ეს რომ ასე არ იყოს, არც გაფაშფაშებული იქნებოდა. აბა, ერთი ჩემსავით შიოდეს, თუ მაშინვე არ წამოდგება და სამზარეულოსაკენ არ გაბაჯბაჯდება. მაინც ვინ მოიგონა ეს წონა და ზომა, ცხადია ექიმი მოიგონებდა. რადგან საჭმელსაც, სასმელსაც, წამალსაც და ხილის წვენსაც კი მხოლოდ ისინი წონიან და ზომავენ გრამობით და წვეთობით. მთგან სულ ეს მესმის, ამდენი გრამი, ამდენი წვეთი, ამდენი გრამი, ამდენი წვეთიო, რა ხელმომჭირნეობა და სიძუნწეა. ბოლოს და ბოლოს მე ადამიანი ვარ თუ სათბურის პამიდორი, რომელსაც ისე ანოყიერებენ, როგორც წინასწარაა ნაანგარიშევი. რატომ არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ ყოველდღე ვიზრდები, კაი ბიჭები არიან და ერთი გაიანგარიშონ რამდენი საჭმელი უნდა მოემატოს ყოველ დღე ბავშვს ზრდის ხარჯზე? აი, მაშინ კი ჩაახდებიან ტლაპოში. რატომ არ უწევენ ანგარიშს ჩემი განწყობილების ცვალებადობას, ჩემს დარდსა და სიხარულს? თუ ამ დილით იმაზე მეტი ჭამა მინდა, გუშინ დილით რომ ვჭამე, შეიძლება საღამომდე ისე მომეშხამოს გუნება, რომ ისიც კი ამოვარწყიო, რაც ძალით ჩამასხეს პირში. ხანდახან ისეთ ხასიათზე ვარ, რომ შემეძლოს, მაგრად მოვკუშავდი ტუჩებს და საჭმელი სიახლოვეზე არ გავიკარებდი, მაგრამ ხელს ის მიშლის, რომ კბილები ჯერ კიდევ არა მაქვს და აბა, ჩემი პირის ძალად გაღებას რა უნდა. გამიღებენ პირს, ძალით მასხამენ საჭმელს და მეც იძულებული ვარ, გადავყლაპო, რადგან დახრჩობის მეშინია. დახრჩობის მაშინაც მეშინია, როცა აბაზანაში მაწვენენ. ბავშვთა ლი, თავი წყლის ზემოთ მაქვს, მაგრამ მაინც მეშინია და ვიქნევ ფეხებს, რაც ძალა და ღონე მაქვს, ვაქაფებ წყალს. დახრჩობით ჩემი მტრები დაიხრჩვნენ, მაგრამ არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ და მკითხონ, წყალში დახრჩობა გირჩევნია თუ საჭმლით დახრჩობაო, წყალში დახრჩობას ვირჩევდი. რაც უნდა იყოს, წყალი სუფთა და წმინდაა, საჭმელი კი სუნიანი და უგემური. და ამ უგემური საჭმელსაც კი გრამობით რა წვეთობით მიზომავენ. თუ კარგი და გემრიელია, ისეთ საჭმელს, მე რომ მაძლევენ, რატომ არც ერთი მოზრდილი არ აკარებს პირს? ჯერ არ დამინახია, ვინმეს ჩემი შეშურებოდეს, როცა ვჭამ და არც ის გამიგონია, ვინმეს ეთქვას, ამ ბავშვის საჭმელი რა გემრიელიაო. ჰოდა, ეს უგემური კერძი მაინც მომეცით საძღომად, თქვე დალოცვილებო. ზედმეტად გასუქდებაო, რაღაც ნაადრევად შეეკვრებაო, დადონდლოვდებაო. მართალია, დადონდლოვება არც მე მინდა, ღმერთმა დამფაროს მცონარეობისა და მოუქნელობისაგან. მართალი გითხრათ, ასეთებს ვერც მე ვიტან, მსუქნებს რომ ვხედავ, ექიმებზე ნაკლებად მომდის გული, მაგრამ ყველაფრის გრამობით და წვეთობით აწონა ცოტათი შეურაცხყოფელიც კია. ეს იმას ნიშნავს, რომ არ მენდობიან, არ სჯერათ, რომ მათზე ნაკლები ზომიერების გრძნობა არც მე მაქვს. ბოლოს და ბოლოს, მართლა ღორმუცელა და გაუმაძღარი არ გგგონოთ, შევჭამ იმდენს, რამდენიც მომესურვება და დავტოვებ, რაც არ მენდომება. ასე მათთვისაც უკეთესი იქნება და ჩემთვისაც. მე ნაადრევად არ მომშვდება, ისინი კი სულ იმის ფიქრში არ იქნებიან, აი, ახლა ატირდება და აი, ახლაო.

როგორც კი წავიკრუსუნე, მაშინვე პირში მატყუარა ჩამიდეს და ცოტა ხნით შიმშილი გადამავიწყდა. ზოგჯერ საფეთქელთან ისე მიტოკავს ძარღვი,

თითქოს შიგნიდან რბილ ჩაქუჩს მიკაკუნებენო, განსაკუთრებით ამას მაშინ ვგრძნობ, როცა საფეთქელი ბალიშზე მიდევს. მაკვირვებს, რატომ ვგრძნობ მხოლოდ ამ ძარღვის ფეთქვას და არა სხვებისაც. როცა ბალიშიდან თავს წამოვწევ, ცოტათი ცხრება, დავდებ და მირახუნებს. იქნებ ეს იმის ბრალია, რომ მე ტვინის იმ ნაწილით უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე სხვა ნაწილით. განა ასეთი რამ არ შეიძლება ხდებოდეს? განა ტვინი თავის ქალაში თანაბრადაა განაწილებული? რაა ამქვეყნად თანაბრად განაწილებული, ტვინი რომ იყოს? დედის საშოში ვინ წონის მას სასწორზე მისხლობით და მერე ამ სასწორზე აწონილ ტვინს ვინ დებს მარჯვნივ და მარცხნივ თანაბრად? ჰოდა, მე, ალბათ, ის ადამიანი ვარ, ვისაც თავის ქალის მარცხენა ნაწილში მეტი ტვინი მიდევს, ვიდრე მარჯვენაში. მერანი, პირიქით ყოფილიყო, ყველა ამბობს, მარჯვენა უფრო ძლიერია, ვიდრე მარცხენაო, მაგრამ, ეტყობა, ბედმა დამჩაგრა და ახლა ამას აღარაფერი ეშველება, თავის ქალაა ხომ ვერ გამიხსნიან და მარჯვნივ მდებარე ტვინს მარცხენაში ხომ ვერ გადაიტანენ და მარცხნივ მდებარეს, მარჯვენაში. რა გაეწყობა, რადგან მარცხენათი უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე მარჯვენათი, იყოს ასე, მხოლოდ არ იფიქროთ, ამის გამო მრუდე აზრები მომდიოდეს თავში და ყოველ დილით მარცხენა ფეხზე ვდგებოდე. თუმცა, სხვა რა უნდა იფიქროს ამ სტრიქონების წამკითხავმა, მადლობელი ვიქნები, გიყად თუ არ ჩამთვლის. მაგრამ საქმე არც ისეა, თქვენ რომ შეიძლება მოგეჩვენოთ. იქნებ ტვინის მარცხენა ნაწილით ფიქრი უკეთესიც კი იყოს, რადგან გულთან ახლოსაა და ამიტომ შეიძლება მის კარნახს მეტ ანგარიშსაც კი უწევს. მოვიყვან ერთ მაგალითს. ამას წინათ გათენებულიც არ იყო, რომ გამეღვიძა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხასიათზე დგება ადამიანი, გათენებამდე რომ გაეღვიძება. ტუჩებზე წუხანდელი საჭმლის გემო მაქვს შერჩენილი, რაღაც მაწუხებს, რაღაც მინდა და ვერ მივეხვდარვარ, რა. ამ დროს მეორე [illegible] დან ვიღაცის ხვრინვა მესმის. მართალია, კარი დაკეტილია, მაგრამ ხვრინვა მაინც მესმის. ვფიქრობ, რა მოვიმოქმედო, რით ჩავაჩუმო ეს უსიამო ბგერები, ხვრინვა რომ არ მესმოდეს, შეიძლება კვლავ ჩამეძინოს-მეთქი. მაგრამ რა უნდა მომეფიქრებინა. ჩემი ერთადერთი იარაღი ტირილი და ღრიალია და ამიტომ გადავწყვიტე ავღრიალებულიყავი, დამეფრთხო ძალი ყველასათვის, მაგრამ ამ დროს გული მეუბნება, კაი ახლა, ნუ ხარ ასეთი ბოროტი და მოუთმენელი, იქნებ კაცი დაღლილია, იქნებ სახლში გვიან მოვიდა მთვრალი და ახლა მაგის წამალი მხოლოდ ძილია. მოითმინე ცოტა, მთლად შენი ნუ გგონია ეს ქვეყანა, სხვებსაც ხომ უნდათ ცხოვრება? და მეც მოვითმინე, აღარრიალებლად დაღებული პირი ისევ დავმუწე და ცხვირით დავიწყე სუნთქვა. როცა ეს ამბავი მომაგონდება, არც ისე მტკივნეულად განვიცდი, ტვინის მარცხენა ნაწილით რომ უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე მარჯვენათი და არც ის მაშინებს, საფეთქლის ძარღვის ფეთქვა რომ ასე დიდხანს გრძელდება.

მაგრამ ყოველთვის როდი ვახერხებ საკუთარი თავის დამშვიდებას და გამხნევებას. შავი დღე მაშინ მადგება, როცა საჭმლის მონელება მიჭირს და მუცელი მტკივა. მუცლის ტკივილი მართლაც საშინელებაა და მაშინ სევდიანიც ვარ, ბრაზიანიც, ანჩხლიც, უმწეოც და უმადურიც. ვწყევლი ჩემი გაჩენის დღეს, არავინ და არაფერი არ მახსოვს, არაფერსა და არავის არ ვუწევ ანგარიშს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყველას, ვინც წიგნის კითხვა იცით, მუცლის ტკივილი დავიწყებული გაქვთ და ამიტომ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რა საშინელებაა. ღმერთო, თუ ასეთი ძნელი და მტკივნეულია საჭმლის მონელება, რაღაც უფრო ადვილი და უმტკივნეულო ვერ მოიგონე! ამგვარი წამებისათვის როგორ გაიმეტე ჩვილი ბავშვები? თანაც კვირაში ერთ-

ხელ, ანდა ჯანდაბას, დღეში ერთხელ მაინც მტკიოდეს მუცელი, ეს ხდება ყოველი ჭამის შემდეგ და შიმშილი რომ ყველაფერს არ მავიწყებდეს, მათ შორის ტკივილსაც. სულ არ დავაკარებდი საჭმელს პირს. აი, ასეთ გაჭირვებაში ვარ, არ ვჭამ და შიმშილით ვკვდები, ვჭამ და, ტკივილით. სხვას რას ჭქვია, აბა ორ ცეცხლს შორის ყოფნა. მართალია, ამ ბოლო დროს, რაც ცოტათი წამოვიზარდე და მოვლონიერდი, ტკივილს ნაკლებად ვიჩაგრინებ თავს, არც მუცელი მებერება ისე საშინლად, ადრე რომ მებერებოდა, მაგრამ როცა მომაგონდება, რა დღეში ვიყავი ამ ორი სამი თვის წინათ, თავზარი მეცემა. არ მინდა, ბატონო, არც ამ ქვეყნად მეორედ მოსვლა მინდა და არც იმის გადატანა, რაც უკვე გადავიტანე.

ახლა მღვიძავს, შილიფად მაცია, ტახტზე ვარ გაგორებული, თვალები დაჭყეტილი მაქვს, აქეთ-იქით ვიყურები, სმენაც გამახვილებული მაქვს, რადგან მუდამ თვალებზე ჩამოფხატული ქუდი არ მახურავს და ორი რამ მაკვირვებს — როგორ იცლება დღის მანილზე განათება და რა ძნელია იმ ბგერების გამოთქმა, უფროსები რომ გაუჭირვებლად გამოთქვამენ. ისე, მაინც, რამდენი ლაპარაკი უყვარს ზოგიერთს. ამიყვანს ხელში, დამასეირნებს ოთახში და მელაპარაკება გაუთავებლად, ჯერ იმას მიყვება, რამდენი გაჭირვება გადახდა თავს, როგორ გაუბედურდა, როგორ დაიხარჯა ამაოდ, მერე სულელურ კითხვებს მაძღევს, მერე ისე მეფერება, რომ მთელ სახლს ესმის, მერე ისევ თავის თავზე მიყვება რადაცას, მერე იმაზე, რაც ქალაქში ხდება, მართალსაც და მონაჭორსაც. მე კი ვარ ჩემთვის გაბუსუნებული, ხმას არ ვიღებ, პასუხს არ ვცემ, მაგრამ მეშვება? რატომღაც ჰგონია, რომ მე მას უკეთესად გავუგებ, ვიდრე აქამდე მისთვის ვინმეს გაუგია. საბედნიეროდ, მას არ სჭირდება ჩემი პასუხი და იმის დასტური, რომ მესმის მისი და თანავუგრძნობ. თუმცა, რა მესმის, ყველას თავისი გაჭირვება აქვს და ეს გაჭირვება იმხელაა და ისე მძიმედ სატარებელი, რომ მეც რე ადამიანი მას ვერც იტვირთავს და ვერც ბოლომდე გაიზიარებს, მით უმეტეს, ჩემისთანა ღლაპი, რომელიც ვერც ვერაფერში დაეხმარება და ვერც ვერაფერს შეუმსუბუქებს. მე მასზე უფრო მიჭირს და მასზე უფრო უმწეო ვარ, ის საკუთარი ფეხებით მაინც დადის ქვეყანაზე, მე კი ამის ძალაც არა მაქვს. ამიტომ ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, ალბათ, მარტოა საწყალი, ხმის გამცემი არავინ ჰყავს და ახლა ჩემთან ლაპარაკით იქარვებს გულის დარდსმეთქი. ამიტომაც არ ვიქმეხნინ შუბლს, არ ვაბრუნებ გვერდზე თავს. ილაპარაკოს, თუ ჩემს მეტი მსმენელი არავინ ჰყავს, ამოიფხიკოს გულიდან კაეშანი, მე რას მიშავებს ამით. ქვეყანაზე იმდენი გაჭირვებაა, რომ მე უკვე ვისწავლე სიტყვების ერთ ყურში შეშვება და მეორედან გამოშვება. აბა, რა ვქნა, მე ვუშველი ამდენ ბედგამრუდებულს და გზაგაუკვლეველს, ამდენ მომჩივანს და მომდურავს? მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ ყური ვუგდო და ხანდახან, როცა მომეპრიანება, გავუღიმო. ჯერჯერობით ღიმილზე და სიცილზე უკეთესად არაფერი მემარჯვება. ზოგჯერ იმის შინიც კი მაქვს, იმან, ვინც გაუთავებლად მელაპარაკება, ჩემი სიცილი დაცინვად არ მიიღოს. მაინც რა ამბავია ამდენი ჭ, წ, ჩ, ღ, უკაცრავად ღ-ს მეც კი ვამბობ, ეს ერთადერთი თანხმოვანია, რომელსაც მეც კი გარკვევით გამოვთქვამ, თორემ ა-ს თქმას, აბა, რა უნდა. დანარჩენი თანხმოვანები კი ყელში მეჩხირება და ბგერად არ იკვრება. ვერ გამიგია, რა მიშლის ხელს, სხვები, თუნდაც ისინი, მე რომ მელაპარაკებიან წ-საც და ჩ-საც თუ დაუბრკოლებლად გამოთქვამენ, მე რა ჯანდაბა დამემართა, რა ნაკლი დამყვა ასეთი? თქვენ გგონიათ, არ ვცდილობ ამ ნაკლის გამოსწორებას? როცა მარტო ვრჩები, ვვარჯიშობ ჩემთვის, ვატრიალებ ენას მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან, ვცდილობ როგორმე მოვიხელთო ბგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, შეეკრა, გავმართო, მაგრამ არაფერი გამომდის, ისე მისხლტება ხელიდან, როგორც ჩემი სატყუარა პირიდან, როცა დამაცემინებს. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ საშინლად მექავება და ზოგჯერ მტკივა კიდეც ნუნები და ხელს სულ პირში ვიჩრი, ვიქქავ და ვიქქავ ნუნებს. შეიძლება ეს უწესობა და უზრდელობაა, მაგრამ რა ვქნა, თმენის ძალა არა მაქვს. მართალია, ნუნები კი მექავება და მტკივა, მაგრამ როცა ჩემს უენობას მათ ვაბრალებ, ამას ჩემი უნათობის გასამართლებლად ვაკეთებ. თავის მოტყუება არც თქვენთვის უნდა იყოს უცხო და მე რა ისეთი წითელი კოჭი ვარ, რომ თავის მოტყუება არ მინდოდეს. ისე, გულახდილად რომ გითხრათ, რა ვქნა, არ შემიძლია ჯერ-ჯერობით ლაპარაკი და თუ გინდათ მომკალით ამისათვის. დარწმუნებული ვარ, თქვენ არც იმაზე გაქვთ წარმოდგენა, თუ რამხელაა ის შიში, სიტყვის წარმოთქმის სიძნელე რომ იწვევს. ვიტყვი ერთ-ორ ბგერას და სიტყვა პირში მატყდება. მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება, ხომ არ ვბერდები, ვიზრდები, მოვა დრო და მეც ამოვიდგამ ენას. აი, მაშინ კი მომერიდეთ, ყურებში თითები დაიცავით. თუ ენა ამოვიდგი, რაღა გამიჭერებს, ვიტიტინებ დილიდან საღამომდე, მე თქვენ გეტყვით, სათქმელი გამომელევა თუ კითხვები. აუხსნელი კითხვები იმდენი მაქვს თავში დაგროვილი, იმდენი რამეა ჩემთვის გაუგებარი, რომ ვისაც გინდა, იმას დავდები და მოვაბეზრებ თავს. რომ გითხრათ, ყველა კითხვაზე გამცემენ-მეთქი პასუხს, არ დამიჯერებთ და მართალიც იქნებით. ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა მთა კი არა, ღმერთო, ნუ მიწყენ, იმასაც კი არ შეუძლია, ვინც სამყარო შექმნა. შეიძლება ბევრი რამ მათთვის უფრო გაუგებარიც კი იყოს, ვიდრე ჩემთვის, რადგან მე ბევრ რამეს ჩემი პატარა ჭკუთი ვხსნი, ისე როგორც მაწყობს და მეპრიანება, ისინი კი ეცდებიან ზოგადი კანონი, ზოგადი საფუძველი მოუნახონ კითხვას და როცა ამას ვერ მოახერხებენ, მე დამიწყებენ ბოლში მდურვას და წყრომას. ... ...

სითაც. რამაც ხალისიან გუნებაზე დამაყენა. პატარა. ოთკუთხა მაგიდაზე, სადაც ჩემი რაღაცები ყრია, ზოლიანი სუფრაა გადაფარებული. ადრე ვერ ვამჩნევდი. რომელი ზოლი რა ფერის იყო. მერეოდა ერთმანეთში, ახლა კი ცხადად ვხედავდი, რომ ერთი ზოლი ლურჯი იყო, მეორე კი თეთრი. მას შემდეგ ეს ფერები ერთმანეთში აღარ ამრევია და, ალბათ, აღარააოდეს ამრევა. შუადღის შემდეგ სინათლემ იკლო, ოთახში ჩამობნელდა, ჩრდილი და სიბნელე ისევ გამობობდა კუთხეებიდან და მეც გამიფუჭდა გუნება. ცალ ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მოიღრუბლა და მალე გამართლდა კიდეც ჩემი ეარაუდი. ფანჯრებზე წვიმის მძიმე წვეთები ჩამმიღვარა. ეს წვეთები ისე მიგორავდნენ დაბლა, როგორც მე დამიგორდება ტირილის დროს წვეთები ლოყებზე და ისეთივე კვალს ტოვებდნენ, ცრემლები რომ ტოვებენ. ოთახში, განათების შეცვლასთან ერთად, ყველფერი შეიცვალა, ნივთებმა ყურები ჩამოყარეს, მათი მოხაზულობა გაბუნდოვნდა, მე ალერსი, სითბო და ყურადღება მომენატრა. ახლა იმის მოფერებაზეც კი არ ვიტყოდი უარს, ჩემზე რომ თქვა, რა უხასიათო ბავშვიაო. იწვიმა დაღამებამდე, როცა დაღამდა, სინათლე ჩართეს, გარემომ და ნივთებმა სულ სხვა ფერი მიიღო. მართალია, იქაურობა განათდა, მაგრამ რაღაცნაირი მკვდარი შუქით. ამიტომ არ მიყვარს ხელოვნური სინათლე, მზის სინათლე ცოცხალია, მისი ახი-ვები დახტიან, ხალისიანად ელავენ, სიცოცხლე და სიხარული მოაქვთ, დედამიწაზე ნაყოფიერი თესლივით იბნევიან, ელექტრონის შუქი კი რაღაცნაირი ცივი, უძრავი და უხალისოა, ვერც გარემოს აცოცხლებს და ვერც ნივთებს. ამიტომ აღარ ვიცი, რა ვქნა ახლა, ავტირდე და ხელში აყვანა მოვითხოვო? მაგრამ მაშინ ხომ იმ ოთახში გამიყვანენ, სადაც ის საძაგელი მოციმციმე ყუთი დგას და კიდევ უფრო მიმეშხაპვება გუნება. არ ავტირდე და, მოწყენილი და სევდიანი ვარ. გარეთ წვიმს, მესმის წვიმის წვეთების ფანჯარაზე კაკუნი, მე კი მარტო ვარ და კაცი-შვილა არ ვახსოვარ. რა ვქნა, რა მოვიგონო, რით გავიროთო თავი? გადაბრუნება და ცოტა ხოხვა უკვე შემიძლია, ვიფიქრე, მოდი, ავდგები და სხვებია დაუხმარებლად ისე გავლას ვცდი, დიდები რომ დადიან-მეთქი. ჩემს საწოლს, საწორედ იქ, სადაც თავი მიდევს, ერთი ტაბიკი მორყეული აქვს. არ ვიცი, რამ მოარყია. შეიძლება თავიდანვე მოკლე და მორყეული იყო. ჩავეხიდე ამ ტაბიკს ორივე ხელი და მანამდე ვარყიე, სანამ მთლად არ ამოვაძვრე. არ ვიცი, რამ ჰომეკა ამდენი ძალა, ნუთუ მარტოობა და მოწყენილობა აეე ძნელი ააატანია? ჰოდა, ამოვაძვრე თუ არა ტაბიკი, გავაკაკი ხვრელში თავი, თავი გამეტია და რადგან გაგონილი მქონდა, სადაც თავი გავა, იქ ტანიც გაეტევაო, დავიწყე გაძრომა. გავძვერი წელამდე და ხელებით იატაკს დავეყრდენი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ხელებით მთელ ტანს ვერ დავიჭერ და რა ქქნა ახლა, გადავძვრე, თუ უკან, საწოლში შევძვრე. მაგრამ უკან შეძრომასაც რომ ვერ ვახერხებ, რომ ვერ ვერევი თავს? და ვარ აეე გადაკიდებული საწოლის ძგიდეზე, ველარც წინ წავაულვარ და ველარც უკან დამიხვევია. ელანძღავ, ვამბორახებ ჩემს თავს — რეგვენს, უტვინოს, დამთხვეულსა და დარტყმულ ვეძახი, მაგრამ საკუთარი თავის ლანძღვა ჩემს გაჭირვებას ვერაფერს შველის. არა და, არც ის მინდა, რომ ავღრიალდე, ყველანი აქ შემოცვივდნენ და ამ უმწეო და სასაცილო მდგომარეობაში მნახონ. ისიც საკმარისი იყო, მე რომ საკუთარ თავს ვლანძღავდი და მათი ლანძღვა ახლა კიდევ უფრო ამიშლიდა ძარღვებს. ბოლოს ვიფიქრე, სადამდე უნდა ვიყო სარეცხივით თოკზე გადაკიდებული, რაც მომივა მომივიდეს-მეთქი და გავიტანე თეძოები საწოლს გარეთ, მაგრამ ჩემმა ხელებმა ვერ გაუძლო მთელი ტანის სიმძიმეს, მოიკეცნენ და თავით იატ-

აკზე ხღართანი მოვადინე. კიდევ კარგი, ჩემს საწოლთან ხალიჩა აგია, თორემ თავი გამისკდებოდა. ვწევარ ჩემთვის გასუსული, პერანგის ამარა, ფეხები გახსნილი მაქვს, ქვემოთ ისეთი შარავალი მაცია, ტერფებსაც რომ მიფარავს და ვფიქრობ, რა ვქნა ახლა, როგორ მოვიქცე. უკან, საწოლში მე ვეღარ ავცოცდები, შემიძლია მხოლოდ დიდი ოთახის კარისკენ გავხოხდე, მაგრამ რას იტყვიან, როცა დამინახავენ? ხომ ატყდება ერთი ვაიუშველებელი, ხომ დაიქცევა ქვეყანა. არა და, აქ, იატაკზე სანამდე უნდა ვიწვე, ხომ შეიძლება გაავცივდე, რაც უნდა იყოს, ჯერ კიდევ ზამთარია. გაცივება კი სასტიკად არ მიყვარს. აბა, რა საყვარელია სიცხე, ხველება, წვინტლი. ჰოდა, ამიტომ ხელებსაც ძალა დავატანე, ფეხებსაც და დიდი ოთახის კარისკენ გავბობღდი. რაც უნდათ, ის თქვან, თუ დაიქცევა ქვეყანა, დაიქცეს, სხვა გამოსავალი არ მაქვს, ვფიქრობ და მძიმედ მივბობღავ, მიჭირს, ვხვნეში, სახეზე ოფლი მასკდება, როცა ძალ-ღონე გამომელევა, ვისვენებ, მერე ისევ მივბობღავ და ბოლოს მივაღწიე კარამდე. კარი ღრიჭოდ იყო დატოვებული, ამიტომ მისი გაღება არ გამჭირვებია. ჩემი ვარაუდი გამართლდა. ყველა, ვინც სახლში იყო, იმ მოცემაცმე, გამომაყეყეჩებელ ყუთს მისჩერებოდა. ამიტომ ჩემი ოთახში შებობღება არავის გაუგია. თვალი მაშინ მომკრეს, როცა თითქმის შუა ოთახამდე მივბობღდი. მომკრეს და ატყდა, მაგრამ რა ატყდა. ველეშაპის დანახვა არ დასცემდათ ისეთ თაეზარს, ჩემმა დანახვამ რომ დასცათ. აყვირდნენ და აკივლდნენ, აყაყანდნენ და აქაქანდნენ, ისე დაიბნენ, რომ ჩემი ხელში აყვანაც კი ვერ მოისაზრეს. იდგნენ ჩემს ირგვლივ გაოგნებულები, ვიშვიშებდნენ და ისეთი შეშნებული თვალებით დამყურებდნენ ზემოდან, თითქოს უხსენებელი ვიყავი და მათგან შეუმჩნეველად შემოესროალდი ოთახში. მერე კი იყვირა ვიღაცამ, მგონი კაცის ხმა იყო: „ერთი შეხედეთ, ჩვილი ბავშვია ახლა ეს? ამ ოჯახში ყველა გიჟი და გადაგიჟებული როგორ ცხოვრობა, მოდი და ნუ გაიქცევი სახლიდან, ნუ გადაიკარგები ცხრა მთას იქით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გონს მოვიდნენ, რა თქმა უნდა, ხელი დამტაცეს და ისევ ჩემს საწოლში ჩამაგორეს. იმ საღამოს ისე იყვნენ დაბნეულნი და დაზაფრულნი, რომ ხეირიანად ვერც კი გამიწყრნენ და დამტუქსეს. ხელს აბა ვინ დამაკარებდა ქმესი თვის ბავშვს. ის ტაბიკი, მე რომ მოვაძვრე, რაღაცნაირი ყველაფრის დამწებავი წებოთი დააწებეს და ზემოდან ლურამანიც კი დაარტყეს. ვარ ისევ ჩემს გალიაში, ჩემს ციხეში გამოკეტილი. არ ვიცი, დამსაჯეს თუ იმის შიშით, კიდევ არ გამოძვრეს საწოლიდანო, საფენები შემომახვიეს და გამკოჭეს. ასე დავკარგე ის თავისუფლება, დიდი ვაივაგლახით, ჯოვილითა და ფეხების ქნევით რომ მოვიპოვე. ახლა არ გინდა ხელახლა შეეჩვიო ტყვეობას და ბორკილებს? დიდება თავი ქკვიანებად მოაქვთ, ბრიყვულად კი იქცევიან. ჩემი დასჯით მათ საკუთარი თავიც დაისაჯეს. არ უნდათ ამაღამ ძილი? ეს ვერ გაითვალისწინეს, მე კი ვიცი, ამაღამ რომ მთელ სახლს ავიკრეს, შინაურებს კი არა, მგონი მეზობლებსაც კი დავუფრთხო ძილი. თავისუფლების დაკრეგვამ მართლაც მომიშხამა გუნება, ვწევარ დამნაშავესავით გატრუნული, ვცდილობ ცოტა ხანს მაინც შევეყავო თავი, დაე, დაცხრნენ, დაშშვიდდნენ და ვფიქრობ იმაზე, რაც ჩავიდინე. ის აზრი, რომ საწოლიდან გამოვმძვრალიყავი, თავისთავად, ძალდაუტანებლად დამებადა, მანამდე ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია, რომელიღაც ქვეცნობიერმა გრძნობამ მიკარნახა და მე მიეხვდი, რომ, გარდა იმისა, რაც ნათლად ჩანს და ზემოთ დევს, არის ჩემში კიდევ რაღაც ბნელი, დაუნახავი, გაურკვეველი და ეს დაუნახავი და გაურკვეველი სადღაც ღრმადაა ჩემში ჩაქვესკნელებული და ჩემს ცხოვრებაზე, ჩემს ქცევაზე არანაკლებ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე ნათლად გამოკვეთილი და ზემოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებარე. სწორედ იმ ქვეშა გრძნობის ბრალი იყო, მე რომ საწოლიდან გამოძვეული. ამიტომ ამირიდან ანგარიში მასაც უნდა გაეწიოს და როცა ეს საქმრო იქნება, დათრგუნოს კიდეც, თორემ ასე ქარაფშუტულად რომ ავყვე, სადამდე მიმიყვანს? თუმცა, ალბათ, არც ის ივარგებს, მთლად რომ ჩავკლა და ჩავასამარო. მეც ხომ მჭირდება გამოცდილება, მეც ხომ მჭირდება ალღო, გუმანი და თუ არაფერში შეეცდი და არაფერი დავაშავე, სიიდან შევიძენ ამ გამოცდილებას, რა გამიმახვილებს ალღოს. სულ დედის კალთას ხომ არ ვიქნები გამოკერებული.

მეძინება, მაგრამ ხელს ის მიშლის, რომ დიდი ოთახიდან ლაპარაკის ხმა მესმის, ერთი კი არა, რამდენიმე ხმაა. ცხადია, ჩემზე ლაპარაკობენ, არ ვიცი, რას ლაპარაკობენ, მაგრამ ჩემზე რომ ლაპარაკობენ, ამაში ეჭვი არ მეპარება. თუმცა მას შემდეგ, რაც ჩავდინე, კარგს რას იტყვიან. ალბათ, მთათხავენ, მიწასთან მასწორებენ, ჩემი მომავალი შავ ფერებში ესახებათ. ჩვილი ამას აკეთებს, როცა გაიზრდება, ვინ მოთოკავს და მოარჯულებს, ვაი ჩვენი ბრალი მაგის ხელშია, მოთქვამს ერთი. ხმაზე ეტყობა, რომ მოხუცია. ხედავთ, რა ქნა, არ დაგეზაფრა და დაგვიხეთქა გულები, ამ ცერის ტოლა ბალღმაო, კვერს უკრავს მეორე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მართალია, ახლა მლანძღავენ და მთათხავენ, ყველა ჩემს წინააღმდეგაა გაწყრომილი და ამიტომ მათ ყურისგდებას აზრი არა აქვს, მაგრამ სხვა დროს, როცა შინაურები და სტუმრები ერთად შეიყრებიან და ჩემზე დაიწყებენ ლაპარაკს, სხვების აზრი მაინც მაინტერესებს ჩემზე. და ასეთი მარტო მე კი არა ვარ, მე მგონი, ყველა ასეთია, დიდიც და პატარაც. სწორედ ეს მიშლის ხელს დაძინებაში. თქვით ერთი, როგორ შეიძლება არ გაინტერესებდეს, რას ამბობენ სხვები შენზე, როგორ ადამიანად გთვლიან, რა ღირსებებსა და ნაკლს ხედავენ შენში, რას გიწუნებენ და რას გიქებენ, როგორი დამოკიდებულებისა აქვთ შენდამი, რა აზრს, რა ვარაუდს გამოთქვამენ შენს ნიჭზე, უნარზე, გამჭრიახობაზე, შენს შორეულ მომავალზე, კარგს გაწბილაწყარმეტყველებენ თუ გუნებაში ცუდსაც ამატებენ, ძოსწონთ შენი მადა, ზრდა, მატება თუ შეშფოთებას გამოთქვამენ. მათი სხა-ბაასი სულ სიტყვებია, მხოლოდ სიტყვები, მაგრამ მანც საინტერესოა, რადგან მათ სიტყვებში მათი სახე ჩანს. მე ხომ ანგარიშს არ მიწევენ, ჭკნნიათ, არც სიტყვის შინაარსი მესმის და არც აზრის გაგება შეძიძლია, ამიტომ ხშირად ჩემი თანდასწრებითაც მასლაათობენ ჩემზე. ერთმა ქალმა, მისი სახე ბუნდოვნად მახსოვს და ამიტომ ვერ დაგიხასიათებთ, ასეთი რამეც კი თქვა: ეს ბავშვი ისე იქცევა ან გენიოსი გამოვა ან სულელი. მოდი და ელაპარაკე ახლა ამ თავდაჯერებულ წინასწარმეტყველს. რაღა მანცდამაინც უკიდურესობებს ღებულობს, ცოდვაა ადამიანი, რომელიც არც გენიოსია და არც სულელი? ანდა რა შემამჩნია ასეთი, რას ვაკეთებ მე გენიალურს ან რა სისულელე ჩავიდინე, აქედანვე რომ მატყობს სულელი გამოვაო. მერე კიდევ, რამ გაყო სულელი და გენიოსი. ყველა ადამიანი ერთსა და იმავე დროს გენიოსიცაა და სულელიც. განა გენიოსები არ შემცდარან, არ დაუშვიათ სულელური შეცდომები და განა ვიღები და სულელები არ გამხდარან წინასწარმეტყველები დაგენიოსები? ჯერ დაადგინონ ზღვარი ოგენიოსსა და სულელს შორის და მერე ილაპარაკონ. იმას კი, ვინც ეს სიტყვები თქვა, ზღვარის დადგენა კი არა, საკუთარ თავში ერთი ცოცხალი, დამოუკიდებელი აზრის ვამონახვა არ შეუძლია. იმის თქმა, იმ ქალმა რომ თქვა, ყველა ბავშვზე შეიძლება და ამიტომ დიდად არ გავბრაზებულვარ. მე მხოლოდ ის არ მომეწონა, ჩემზე რომ თქვა ის გაკეკეთილი აზრი, რომელიც, ალბათ, ათან, ასგან მაინც უთქვამს. საერთოდ, ცხოვრებაში იმდენი გაკეკეთილი ფრაზა და აზრია, იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი იმეორებს ერთსა და იმავეს, რომ მათი დამახსოვრება წყლის ნაყვად მიმაჩნია. შეიძლება სწორედ ამის გამო მივეჩვიე არასინტერესო საუბრის ერთ ყურში შეშვებას და მეორედან გაშვებას. იყო შემთხვევები, რომ მათი ახრები ურთიერთსაწინააღმდეგოც კი მომჩვენებია, მაგრამ როცა ჩავუკვირდი, ძირამდე ჩავყევი, კვლავ ერთმანეთის მსგავსი აღმოჩენილა. თუმცა ასეთი ადამიანები ისე არ მაღიზიანებენ, როგორც იანი, რომლებიც ჯიქურ ამტკიცებენ, შავი თეთრია და თეთრი შავიო. საბედნიეროდ, ამგვარი ადამიანები არც ისე ცოტაა. პირადად მე ერთ-ორს უკვე შევხვდი. ისინი თავიანთ ახრს ყველას ახვევენ თავზე, ასე წარმოიდგინეთ, საკუთარ თავსაც, სხვებსაც, დიდებსაც და პატარებსაც და არავითარ საწინააღმდეგო მოსაზრებას არ იზიარებენ, დასაშვებადაც კი არ მიაჩნიათ. ამა, ერთი სცადეთ და შეედავეთ, შეეკამათეთ. ვაი მაშინ თქვენი ბრალი. თვალები სიძულვილით დაგბინდდებათ, სახე მოექცევათ, გაფითრდებიან, გაანჩხლდებიან, ხმას აუწევენ, თუ გაჯიქდი, აყვირდებიან კიდეც და მანამდე არ მოგეშვებიან, სანამ შეშინებული და თავმობეზრებული არ დაუდასტურებ ამ ეკრპთაყვანისმცემლებს, რომ შავი თეთრია და თეთრი შავი. და მეც ვუდასტურებ, ამა, რა ექნა, თავს ხომ არ გავაგლეჯინებ შუაზე.

გუშინ საღამოს ვიყავი, ცივი, მოღრუბლული დღე იყო, გათოვებას აპირებდა, ქალაქში ნისლი იყო ჩამოწოლილი და მეც მინისლავდა თვალებს და ამიტომ სულ უფრო ფართოდ და ფართოდ ვახელდი. ცოტა ხნით გამოვდივარ გარეთ და არ მიხდომა რაიმე გამომრჩენოდა მხედველობიდან. არ მიყვარს, როცა სახლში ვბრუნდები და ახალი შთაბეჭდილება არ მომაქვს თან. მე ხომ ამ შთაბეჭდილებებით ვცხოვრობ, მათი წყალობით ვირთობ თავს და ვკლავ დროს. ესეც რომ არ მქონდეს, ხომ მოვსავდი და მოვიმჩაღე მოწყენილობისაგან. ამიტომაც ეროვნული ბიბლიოთეკა ქალაქში გასეირნება.

ვიწრო ქუჩით უფრო ფართო ქუჩაზე გავედით, რომელსაც გამზირს ეძახიან, აქ უამრავი მანქანა მიქროდა მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ. არ გინდა ახლა გადახვიდე ამ ქუჩაზე თუ გამზირზე? მე თქვენ გეტყვით, ვინმე უყურადღებაა მოგაქცევა, ანგარიშს გაგიწევს, მოგერიდება იმის გამო, რომ პატარა ხარ და სიარული და სირბილი არ შეგიძლია, რომ ოთახში დახუთულს, სუფთა ჰაერი გენატრება? თქვენც არ მომიკვდეთ, ალმაცერად, ცალი თვალითაც კი არ შემოგხედავს არავინ, არ დაინტერესდება, როგორი ვარ, ღრმა ჩემი გულისთვის მანქანის შეჩერება, გზის დათმობა თუ არა. სხვადან თავიანთ მანქანებში გულჩათხრობილნი, გაგულგრილებულნი და მიქრიან სადღაც, მათ სახეზე მე ჯერ არც თავაზიანი ღიმილი მინახავს და არც გზის დათმობის სურვილი შემინიშნავს. მე რას მარიდებენ თვალს, რა მათი ამხანაგი და მეგობარი ვარ, მანქანა რომ გამიჩერონ და სადღაც წამიყვანონ. არც მჭირდება არსად წაყვანა, აგერ ახლოს მივდივარ ბაღში სასეირნოდ და სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად. ნეტა სად ეჩქარებათ ასე, ერთმანეთს რომ ასწრებენ, რა ასეთი სულზე მისასწრები საქმე აქვთ, რა დარჩენიათ იქ ისეთი, სადაც გარბიან? ნუთუ ისე ცოტა დრო აქვთ, რომ თუ არ ირბინეს და იქროლეს, ვერაფერს მოასწრებენ? ვთქვათ, ერთსა და ორს მართლაც არ ჰყოფნის დრო, მართლაც ისეთი და იმდენი საქმე აქვს, რომ თავის მოსაფხანად არ სცალია, მაგრამ ყველა რამ გადარია, ყველა რამ გაასაქმოსნა ასე? შეიძლება იმიტომ გარბიან და მიქრიან, რომ სხვა საქმე არაფერი აქვთ და ამ სირბილსა და ქროლვაში კლავენ დროს? შეიძლება იმიტომ არ იყურებიან გვერდზე, იმიტომ არ უწევენ ანგარიშს ფეხით მოსიარულეებს, რომ მათი ძირითადი საქმიანობა მანქანით ქროლვაა და არ უნდათ მოცდნენ, სხვებს ჩამორჩნენ, სხვებზე ნაკლები კილომეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები გაიარონ. თუ კაცის ღირსება შემოსავლით იზომება, რატომ არ შეიძლება გარბენილი კილომეტრებითაც გაიზომოს? თუ მოცულობას ფასი აქვს, რა დაამშავა სიგრძემ, რატომ არ უნდა დაედოს მასაც ფასი? მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, რომ პასუხისმგებლობას, მოვალეობას, საზრუნავს გაურბოდნენ — ცოლ-შვილს, ოჯახს, სამსახურს, მტერს, მოყვარეს, მოვალეს და ასე შემდეგ, მერედა, ასე ადვილია გაექცე ცხოვრებას ან საკუთარ თავს? ასე ადვილი რომ იყოს, ვინ დარჩებოდა ოჯახში ან სამსახურში? ერთ-ორჯერ მეც ვცადე გაექცეოდი საკუთარ თავს, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ერთ ოთახში ვიყავი თუ მეორეში, მარტო თუ სხვებთან ერთად, ჩემი ფიქრები და საზრუნავი ყველგან თან მახლდა. რა აზრი აქვს გაქცევას თუ ამას ვერ დაუსხლტები ხელიდან, რაც გაწუხებს. ამიტომაც ვისწავლე ჭკუა და ჩემს თავს ღარ გავურბივარ. წინ გრძელმა, შავმა მანქანამ ჩაგვიქროლა. საჭესთან მსუქანი, გაბღენძული კაცი იჯდა და ისეთი სახე ჰქონდა, ისე მიიჩქაროდა სადღაც, კაცი რომ გაეტანა, მანქანას მაინც არ გაარჩრებდა. ახლა, იფიქრეთ, ასეთი კაცი მე, ღლაპს დამითმობს გზას? მოდი და, ნუ მოერიდები ასეთებს, ნუ დაიხვე უკან, გაგიტანს და მერე იკვლიე, ვინ იყო დამნაშავე. არა, კვლევას და ძიებას მე ისევ სიფრთხილე მირჩევნია. მაინც რამ გაიცოფათ ასე, რა მოსწრების სენი შეეყარათ ისეთი, რომ ყოველ წამს გაიაახიან, გზა მმიტიეთო. ამას ისე მოითხოვენ, თითქოს ეს ქვეყანა მარტო მათი იყოს და ,ოცა მანქანას მოაკროლებენ, სხვებს ქუჩაზე გადასვლის უფლებაც კი არ უნდა ჰქონდეთ. თუმცა ფეხით მოსიარულეებს ისინი. ალბათ, ადამიანებად არც კი თვლიან და თუ თვლიან, მხოლოდ მეორე ხარისხოვან ადამიანებად მიაჩნიათ. შეიძლება მართლებიც არიან. ახლა იმდენს ჰყავს მანქანა, იმდენს ლაპარაკობენ მათზე, რომ უმანქანო კაცი მართლაც რაღაცნაირი ჩამორჩენილი, უფხო, უუნარო და ,ენაური გეჩვენება. თორემ რატომ არ უნდა მანქანაში ,ჯდომა და ქროლვა, ყველასთვის ყველასათვის მისწრება, გაააქმოსნება? ვერ ხედავს, რა ხდება ქვეყანაზე, ბრმა ხომ არაა მამაცხონებული? ჩემი საქმე სხვაა, მე მეპატიება ფეხით რომ დავდიავარ, დავდიავარ კი არა, სხვას დაეყავარ ატაებული, მაგრამ იმას რა ღმერთი გაუწყრა, როგორ გაუბედურდა და ჩამორჩა ცხოვრებას ისე, რომ მანქანის ტარება, მანქანით ქროლვა შეუძლია და მაინც ფეხით დადის? ჰოდა, ახია მასზე, იაროს ფეხით, როგორ შეიძლება ასეთი უცნაური, ასე გამორჩეული იყო სხვებისგან. კაცი კაცს უნდა ჰგავდეს და არა თითით საჩვენებელ პინგვინს. ჰოდა, იდგეს ახლა ტროტუარზე და იცადოს მანამდე, სანამ ზრდილობიანი კაცი არ ჩამოუვლის და გზა არ დაუთმობს. შეიძლება ხვალ ისევ გამმოიყვანონ სასეირნოდ და იგი იმავე ადგილას დამხვდეს დაყუდებული, სადაც დავტოვე. ამასობაში გახდება, ჩემსავით თან ხომ არ დააქვს საჭმელი, წვერი გაეზრდება და ისედაც საცოდავი, მთლად მათხოვარს დაემსგავსება.

როგორც იქნა, ქუჩა გადავჭერით და გეზი ბაღისკენ ავიღეთ. ამ დროს გათოვდა, ციდან ფარფატით წამოვიდნენ ფიფქები. მე ისე გამეხარდა თოვლის მოსვლა, კინაღამ ავკუოლოპინდი. ზამთრის ბაღი, მიუხედავად მარადმწვანე ხეებისა და ბუჩქებისა, მაინც მოწყენილია. ზამთარში ბაღს თოვლის ცვენა თუ აცოცხლებს და ახალისებს. მეც იმან გამახარა და გამახალისა, რომ ბაღის გაცოცხლებასა და თეთრად მორთვა-მოკაზმვას შევეცწრებოდი. დამსეირნებენ ხეივანში, თავზე თოვლი მაცვივა, ირგვლივ მწვანე ხეებია ჩამწკრივებული, ეხედავ ფოთოლგაცვენილი ხეების შავ ტოტებსაც, ვაუნჯავ სუფთა, დამათრობელ ჰაერს, ვგრძნობ, როგორ მიფაკლდება ლოყები, როგორ მიჩქროლდება სისხლი, ზოგჯერ ფიფქი ლოყაზე მეცემა და ზედ მადნება და მე გუნებაში ვმღერი, გუნებაში კი არა, მართლაც ამომდის ხორხიდან სიმღერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგვარი ბგერები. შეიძლება ხსვას ჩემი სიმღერა ლუღლუტად ან ჭყლოპინად მოეჩვენოს. ჩემთვის კი სიმღერაა, ისეთი სიმღერა, რომელსაც ჩემს გარდა, ვერავინ იმღერებს. მთელი დღე სახლში ყოფნითა და წოლით თავმობეზრებულს შენატრება სივრცე, გასაქანი, თვალსაწიერი. სივრცე მიტაცებს, მაღელვებს, მისი დასაკუთრების სურვილს მიღვიძებს. შინაურები არ დამანებებენ, თორემ მე სულ სხვანაირად გადავაკეთებდი და გადავასხვაფერებდი ჩვენს ბინას. მოვარღვევდი ტიხრებს, ყველა ოთახს ერთ დიდ დარბაზად გავაერთიანებდი, კედლებს შუაში შევცვლიდი, შემოვუშვებდი შიგ მეტ სინათლეს, მეტ ჰაერს, მოვზიდავდი მიწას, დავყრიდი მთელ იატაკზე, მოვაშენებდი მარადმწვანე ხეებს, ბუჩქებს, ყვავილებს, დავდგამდი ყველაზე დიდი ხის ძირას ჩემს საწოლს და ვიძინებდი ხის ჩრდილში, ხოლო როცა გამმეღვიძებდა, თავისთავად აღმოვჩნდებოდი დიდ სივრცეში და აღარ იქნებოდა საჭირო ჩემი სუფთა ჰაერზე გაყვანა, საგანგებოდ ბაღში გასეირნება. სუფთა ჰაერიც სახლში მექნებოდა და ბაღიც. მაგრამ ვინ დამანებებს იმის გაკეთებას. დიდებს ისე უყვართ განმარტება, თავიანთი კუთხე-კუნჭული, ისე გაურბიან ერთმანეთსაც და თავის თავსაც, რომ აბა, ერთ დიდ დარბაზში როგორ იცხოვრებენ, ხომ გაგიჟდნენ დასაკუთრებული კუთხე-კუნჭული რომ მოვუშალო, ხომ მაცვეს ჯვარს? აი, ამას აღარ მაპატიებენ, შეიძლება ნამდვილ გიჟად გამომაცხადონ და საგიჟეთშიც კი დამამწყვდიონ. აბა, ვინ მოიწონებს საუკუნეობით დადგენილი წესის მოშლას, ოჯახური მყუდროების გბაღვენახებას, სახლის სახოგადოებრივი დასვენების ადგილად გადაქცევას. რომელი ექიმი გაბედავს და იტყვის ყოველივე ამის შემდეგ, რომ ჭკუაგამყოფელი ვარ და არა გიჟი. ხომ წაგლიჯეს წიწილავით თავი, ხომ უთხრეს, ექიმად კი არა, ბატის მწყემსად არ ვარგიხარო, სახლი იმიტომაა სახლი, რომ ის, რაც ოჯახში ხდება, უცხო თვალისაგან იყოს დაფარული და არა საქვეყნოდ გამოფენილიო. შეიძლება სწორედ ესაა იმის მიზეზი, გამვლელ-გამოვლელნი რომ ყოველთვის სხვის სახლის ფანჯრებში იცქირებიან. ეს, ალბათ, თქვენც შეგინიშნავთ და არც მე გამიმრჩენია მხედველობიდან. მიაბრუნებს თავს მარჯვნივ ან მარცხნივ, გააჩნია, ქუჩის რომელ მხარეზე მიდის და ისე იცქირება სხვის ფანჯრებში, თითქოს იქ რაღაც ისეთი ხდებოდეს, რაც მის ოჯახში არ ომხდარა. მაგრამ ახლა მე სახლის ბაღად გადაკეთება უფრო მაინტერესებს, ვიდრე გამვლელ-გამომვლელთა ურცხვი ცნობისმოყვარეობა. ვთქვათ და, სახლი მაშინ გადავაკეთე ბაღად, როცა შინ არავინაა. მოვარღვიე ტიხრები, გავაკარე გარეთ ავეჯი და ჩვრები, წიგნები და ჭურჭელი, სურათები და ჭედურობა და ერთი ხელის მოსმით მოვუშალე ყველას მყუდრო კუთხე-კუნჭული. საინტერესოა, როგორ მოიქცევიან, რას იტყვიან, როცა შინ დაბრუნდებიან? პირველად, ალბათ, იფიქრებენ, სხვაგან მოვხვდით, ეს ჩვენი სახლი არაა, მისამართი შეგვეშალა, ავუარეთ, რაღაც გვემართება და ეს, ცხადია, ნერვების ბრალია, თორემ სახლში რა უნდა ბაღს, ანდა ასე უცებ ვინ გადააქცია სახლი ბაღადო. ამიტომ უკან გაბრუნდებიან, ქუჩაში გავლენ, სახლის ნომერს ახედავენ, თვალებს მოიფშვნეტენ, კიდევ ერთხელ ახედავენ, იფიქრებენ, ჭკუაზე ხომ არ გადავედითო, ერთმანეთს იმავე გამობრეცილი თვალებით მალულად შეხედავენ, ყველა გადავედით ჭკუაზე თუ მარტო მე ვარ ამ დღეშო და შემდეგ დარწმუნებულნი იმაში, რომ რაღაც მოგვეჩვენაო, დარაზმულები ისევ უკან შემობრუნდებიან და როცა იმ სახლში, თავიანთი რომ ჰგონიათ, კვლავ ახალგაშენებულ ბაღს დაინახავენ, ხოლო ერთ-ერთი ხის ძირში ჩემს საწოლს მოჰკრავენ თვალს, მიხვდებიან, რომ მთელი ეს ოინი ჩემი მოწყობილია. ახლა კი ატყდება ერთი ყვირილი და აურზაური. დამადგებიან თავზე რო-

ვორც ქვეყნის დამაქცევარა, რომელსაც ეშმაკისთვის მიუყიდია სული, თორემ სახლს ბაღად როგორ გადააკეთებდაო და დაიწყებენ მოთქმას: „ხომ ვამბობდი, გიეი და გადარეული, ხომ გამართლდა ჩვენი სიტყვა, ხომ დაგვიქცია და გაგვიპარტახა ოჯახი, ხომ გაატანა ქარი ჩვენი სიმწრით მონაგარი, ხომ დაგვიღეწა ჯამ-ჭურჭელი, ხომ მოგვიშალა მყუდრო კუთხე-კუნჭულები. რა ვქნათ ახლა, ვის შევეფაროთ თავი, ვინ გადაამქცევს აწი ამ ბაღს სახლად და ოჯახად“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. კარგი იქნებოდა ამისთანა სეირის ყურება, მაგრამ მართლაც სასწაულმოქმედი ხომ არა ვარ, სახლი ბაღად რომ გადავაქციო და ბაღი სახლად.

ამიტომ სჯობია ისევ მიწაზე დავეშვა და ჩემს ყოველდღიურ საფიქრებელზე ვიფიქრო. ერთი დიდი სადარდებელი და საფიქრებელი ისა მაქვს რომ არ გავციოდე, ავად არ გავხდე, ნემსების გაკეთება არ დამჭირდეს. ავადმყოფობა არც თავიანთავადაა სასიამოვნო, მაგრამ მე იმის უფრო მეშინია, რომ დამახვევენ თავზე ექიმებს, დამიწყებენ ნემსის ჩხვლეტას, გამჭყეპენ წამლებით და მტკივან კუჭ-ნაწლავს კიდევ უფრო ამატკენენ. ამიტომ, როგორც კი ცხვირში მიმიჭერა ან ხველებას დამაწყებინებს, ვცდილობ არავინ დავანახვო გაცვეთილი ზღვარზე რომ ვდგავარ, პირიქით, ვიღიმები, თითქოს ხალისიან გუნებაზეა კი ვარ და ხელში აყვანას ვთხოვლობ, იქნებ სხვიამა სითბომ ისე გამათბოს, რომ მოსალოდნელმა ავადმყოფობამ უკან დაიხიოს. ამას წინათ ბავშვთა კონსულტაციიდან ჩემს სანახავად ორი ქალი მოვიდა. მათი სტუმრობა არ გამკვირვებია, რადგან ჩემს სანახავად ბევრი მოდის ცალ-ცალკეც და ერთადაც, უამრავი საჩუქარი მოაქვთ, იმდენი რაღაც დამიგროვდა, აღარ ვიცი, სად წავიღო. მაგრამ როცა იმ ქალებმა პალტოები გაიხადეს და ჩემს ოთახში შემოვიდნენ — გავშრი. ვიფიქრე, რადგან თეთრი ხალათები აცვიათ ან რაღეს მატკენენ, ანდა ახალ საზრუნავს და საფიქრალს გამიჩენენ-მეთქი და თავი მოვიმძინარე. მიუხედავად ამისა, მაინც ამომიყვანეს საწოლიდან, გამაშიშვლეს, მსინჯეს, მაბრუნეს, მაგრამ მართლა სულელი ხომ არ ვიყავი, რომ თვალები გამეხილა, ისე ვიქცევი, თითქოს დაბანგული ვარ, ისე მაგრად მძინავს, რომ გასინჯვა კი არა, ზარბაზანის სროლაც ვერ გამაღვიძებს. ამის გამო ისეთი რამე თქვეს ჩემზე, რომ თავი ცოტა შეურაცხყოფილადაც კი ვიგრძენი. ეს რა ძალის გუდა ყოფილაო, თქვა იმ ქალმა, რომელიც მსინჯავდა და მატრიალებდა. ოღონდ არაფერი მატკინონ, ავადმყოფად არ ჩამთვალონ და ამგვარ შეურაცხყოფას როგორმე ავიტან. რა მოხდა მერე, ცოტაჯერ უთქვამთ ჩემი აუგი? იმ დღეს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, არც ნემსი გაუკეთებიათ და არც ავადმყოფობა დაუწამებიათ. მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ მოიტანს კოკა წყალს. ერთიც ენახოთ და, მართლა გავცივდი, სიცხე მომცა, ცხვირიდან წურწურით წამოვიდა, მაშინ ხომ ვერც თვალების დახუჭვა მიშველის, ვერც ჭირვეულობა და ვერც თვალთმაქცობა. დამლაკა ან გაქცევა მაინც შემეძლოს სადმე, მაგრამ ესეც კი არ შეიძლება. მთელი უბედურება ისაა, რომ ყველას წინააღმდეგ მარტო ვიქნები, ჩემიანებიც კი ექიმებს მიუდგებიან და ნემსის გაკეთებაში დაეხმარებიან, იმათ კი არ გაყრიან კარში, მე გამაკავებენ აქეთ. რა იციან ეს ერთმანეთის მიხმარება, თუ აქეთ-იქიდან არ შემიდგნენ და არ გამაკავეს, ისე ვერ მატკენენ იმას, რაც უნდა მატკინონ? კაი, ნემსს ვერ გაატაბობ და გააგემრიელებ, ნემსი ნემსია და ხორცში უნდა ჩაგერჭოს, მაგრამ ეს ოხერი წამლები რატომაა ასე შხამივით მწარე, ვერ გაურევენ შიგ რაიმე ტკბილს, გემრიელს? თუმცა მაშინ ხომ წამალი წამალი კი არ იქნება, არამედ კანფეტი და ხომ დარჩებიან წამლის მკეთებლები უსაქმოდ და ულუკმაპუროდ. ამიტომ არც მოიშლიან არასო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეს შხამიანი წამლების დამზადებას და მე ისღა დამრჩენია, რომ შხამის სმას შევეჩვიო.

ჩამობნელდა, ალბათ, ღამდება. მგონი სველი ვარ და არავინ მაკითხავს, მაგრამ ყვირილს და საფენების გამოცვლას, ისევ თქვენთან საუბარი მირჩევნია. ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მეშვიდე თვეში გადავდექი. თქვენ, ალბათ, გეცინებათ, ერთ კვირას რომ ასეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, უთუოდ, ფიქრობთ, წინ ათეული წლები უდევს, ეს კი დროს ერთი დღით და ერთი კვირით ზომავსო. მაგრამ დროის ფასი არავინ იცის ისე, როგორც ჩემი ხნის ბავშვებმა და ღრმა მოხუცებმა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მე მოვდივარ ამ ქვეყანაზე, ის კი მიდის. განსხვავება, რა თქმა უნდა, უზარმაზარია, მაგრამ არა დროის გაზომვისა და შეფასების თვალსაზრისით. ტკივილები ორივეს გვაწუხებს, ორივენი უძლურნი და უმწეონი ვართ და ჩვენთვის ყოველ წუთს, საათს, ერთ დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ამიტომაც ესმით ერთმანეთის უკეთ მოხუცებსა და ბავშვებს, შეიძლება აქედან მომდინარეობს მათი ურთიერთსიყვარული. ბებიას, რომელიც ხშირად მეფერება, ოთახში დამსეირნებს და მანანავებს, ზოგჯერ თავი და წელი სტკივა, მაგრამ თავისა და წელის ტკივილი ხელს არ უშლის ჩემთან შემოვიდეს, დამხედოს და თუ საჭიროა, მომხედოს კიდეც. მას იმის ტარება უჭირს, რაც ნახა, გადატანა და იცის, მე კი ის მიმძიმებს სულს, რომ ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ ენახე და ძალიან ცოტა რამ ვიცი, მაგრამ რა ვქნა, ასე ყოფილა ეს ცხოვრება მოწყობილი და მე ხომ ვერ გადავაკეთებ. ერთი მიდის, მეორე მოდის, ერთი შიშით უყურებს მომავალს, მეორე იმედით, ერთს უნდა დრო შეჩერდეს, მეორეს კი მალე გავიდეს, მოხუცის სურვილი და ინტერესები ბავშვისას ეწინააღმდეგება, ბავშვისა კი მოხუცისას, ასე ყოფილა ყოველთვის, ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალშიც, რადგან თვით ცხოვრების კანონია ასეთი და რაც უნდა გავიქაჩ-გამოვიქაჩოთ, ბოლოს მაინც უსიტყვოდ უნდა მივიღოთ ის პირობები, ცხოვრება რომ გვთავაზობს.

უჰ, რა სასტიკად დავიღალე. ამდენი ფიქრისა და ლაპარაკისაგან თავი მისკდება, ამიტომ ახლა ყველაფერს აჯობებს, თქვენც დაგასვენოთ და მეც დავისვენო. დაღლილიც რომ არ ვიყო, აღარც გამოცდილება მაქვს მეტი და აღარც შთაბეჭდილებები დამრჩა გასაზიარებელი. თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მე კიდევ შეგახსენებთ თავს, ასე, ერთი-ორი წლის შემდეგ, როცა მეტ გამოცდილებას შევიძენ და მეტ შთაბეჭდილებებს მოვუყრი თავს. ახლა კი ბოდიშს გიხდით, ისე მეძინება, თითქოს სამი დღის უძინარი ვიყო, ნახვამდის, ძილი ნებისა!

ტაგუ მებურიშვილი

●

ჭარბი სიახლის გამოშვებამ,
გამოშვების გამო შვებამ
ცოტა გამომაკეთა.

სისხლი ისევ გაიღება,
შვების კარიც გაიღება
და მეც წავალ აქედან.

●

იმისთანა ჟივჟივი
ატეხეს ბეღურებმა,
ვერხვზე მჯდარი ბულბულის
სტვენა არ მეყურება.
მე ვინ მკითხავს ვისი მსურს
მოსმენა და ყურება.

ერთადერთი შენა ხარ

ერთადერთი შენა ხარ
ახლა ჩემი მომფერე
და ჩემს ფიქრში ბრდღვიალებს
დღეთა სიოქროსფერე.
ერთადერთი ეგაა
მე რომ იმედა მისახავს, —
ვითომც რომ არ შეცვლილხარ
და ისევე ისა ხარ.
ისევ ის ხარ, —
საკუთარ
თავს საქმეებს
არ ულევ,
ისევ ის ხარ
მომჭირნედ
შვილთა მოსიყვარულე.
რომ მსურს ვეყო,
შენ სწორედ
იმისთანა მამა ხარ.
დიდხანს, დიდხანს
ეს კერა
უშენოდ არ ძანახა.
ერთადერთი შენა ხარ
ახლა ჩემი მომფერე
და ჩემს ფიქრში ბრდღვიალებს
დღეთა სიოქროსფერე.

სოფელ სადმელისთან სათქმელი ლექსი

გადაიდგა ის ნაბიჯიც
ძნელად გადასადგმელი.
ბიჭმა გოგოს უთხრა: გელი,
გოგომ უთხრა: სად მელი?
ეს იქო. და იმ ადგილს
ჰქვია ახლაც სადმელი.

დღეს სხვა ვაჟს აქვს სხვა ქალისთვის
იმგვარივე სათქმელი.
თრთის გულები სამუდამოდ
ერთურთს გადასაბმელი,
ბიჭი გოგოს ეტყვის: გელი,
გოგო ეტყვის: სად მელი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე ველოდები აულ სხვა დაიარებს,
მე ველოდები სხვა განთიადებს...
ერთს ვიმეორებ ისევ და ისევ,
უნდა შევერთდეთ და გავმოლიანდეთ.
მხოლოდ ერთ სხეულ და ერთსულ
ქცევა
გვიშველია,
თუკი რამე გვიშველის,
თქვენ მაშინ ნახეთ მტრის სისხლის
ქცევა.
თქვენ მაშინ ნახეთ გაჭრა შიმშერის,
ვიდრე იმერი ლიხს იქით მღერის,
ხოლო ამერი ლიხს აქეთ მოთქვამს...
მანამ ნუგეშის მთქმელი და მხანელი
არ ეყოლება ჩვენს ჯიშს და მოდგმას.

●

მესმა გულის საკუთარის ყრუ
დანაკვხესი
მე ჩემს თავს რომ ავარიდე თვალი
სარკეში.

ღვთაებრივი იმ წუთიდან — მეტი რა
მინდა —
ვიბადები კაცად კაცი ჩემსავ თავიდან.

გმოძღვრავთ ყველას: ცოლიანებს
გინდაც უცოლოთ:
უნდა ევნოთ, მერმის თვალი რომ
გაუსწოროთ.

რომც შეცვალო

ძლივს ჩანს მთვარე, მთვარის ლაქა
ლეგა ღრუბლის ლაქაში...
ქარი გრილი და ლაქლაქა
ქრის,
სივსივებს ლაქაში.
იაფდება მისი მოსვლის
სასო, ისევ იაფი.

ბოლოვდება ძველი ბოსლით
ხედი თუ რელიეფი.
ჩავლილების ალი-კვალი
დღე თენდება მორიგი,
რომც შეცვალო ქალი ქალით.
სიმშვიდეს ვერ მოიმკი.

მიმინო

ცა, ღრუბლის ქულა, მიმინო...
მიმინო მყავდა, მიყვარდა,
აქამდე მახსოვს, ქარდებით
ხელები რომ დამიქარდა.

მაინც მიყვარდა, ვერ ვგრძნობდი,
სვე თუ ავ რასმე მიქადდა...

მეზობლის ბიჭმა მომიკლა,
მიმინო მე რომ მიყვარდა.

როგორ ვდარდობდი! ის დარდი
აქამდე არ გამიქარვდა.
რომ ვმღერი, ვმღერი ტირილით:
მიმინო მყავდა მიყვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ზურგს რომ არ ემძიმო

ღრუბელია წავარნებიდან
მზის შუქი მოედინება,
უცქირე, ნუ შეეხები,
არილი მზეს ეტკინება.

ხმა არ გაიღო, სიჩუმე
ცაა არ ატკინო ხმაურით,
სხვაგან სადაა ასეთი
სიახლოვარით გზა დახრამული.

ემანდ საცოურთა ხაფანგებს
არ წამოედო სიბეცით,
მიწის ზურგს რომ არ ემძიმო,
ჩამოხმი, სულად იქეცი.

კალამი შენგან ნასახსოვრევი

ნატა ბაქრაძეს

კალამი შენგან ნასახსოვრები
ავიღე ხელში და მომაგონდი...
მხოლოდ მოძმეა ჩემი მომრევი,
მტრისგან არა ვარ ჯერ დანაკოდი.

ერთხელ გითხარი დაბეჯითებით:
ისე ვიხაროთ მეც და ნატამაც,
იქნება ფერხთით ცვენა ტიტების,
ნუ გაიკარებ ეჭვის ნატამალს.

ავდარს ყოველთვის თან სდევს დარები,
ბედის გაწყრომას ფერებაც თან სდევს
და ცხადში მაშინ ღირს ნეტარება,
თუ სიზმრად ეკლის გვირგვინით
გრთავდნენ.

კალამი შენგან ნასახსოვრები,
ავიღე ხელში და გამახსენდი,
შიგ შუა გულში ვაწებ ცხოვრების...
და ვწერ,
მაქვს პოეტს ჩვევა ასეთი.

●

იღბალმა თავი აიშვა,
ნეტავ აქამდე სად ება?!
სულ რომ ვფუსფუსებ, რა ჭქვია
ნეტავ ამნაირ მზადებას?!

რატომ მაჩქარებს კალამი
და ფანქრის წვერი წათლილი...
რომ წამიკიდა მოსწრების
და მილაგების წადილი?!

ხომ არ მივდივარ? იქ წამსვლელს
მაინცდამაინც არ ვგავარ...
ჯერ ლექი ვერ გამიმეტებს
წასასვლელ-დასაკარგავად.

გივი ბერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენგას ამბავი

მოთხრობა

1

საღამო ხანი იყო. სითბოდაკარგული მზე მთას ეფარებოდა, იწურებოდა მოღლილი დღეც. საღამოს პირზე მისვენებულ მზის ჩრდილებს შორის იდუმლად გამომკრთალი.

— გენგა. ჰაი გენგა!.. — ქალის ხმამ მიწყნარებული სიმშვიდე ზარივით გაჰკვეთა. გენგა არც შერხეულა. ზურგით ღობეს მისწოლოდა, ფეხები მიწაზე გაეშხლართა, მოჭუტულ თვალებში ჩამავალი მზის სხივი ჩასდგომოდა, რაღაც ისეთიც, გულს რომ ულხენდა...

— გენგა, ჰაი გენგა!.. — ქალის ხმა ზარივით უხმობდა... ორღობეში შავკაციანთ ელია გამოჩნდა. სიბერის ტვირთა წელში გაეტეხა მისი ჩრდილიცა. ცალი ხელით ჯოხს ეყრდნობოდა. მეორე წელზე შემოედო და თითქოს ბნელში მოჩანჩალებდა ჯოხის კაკუნით.

— გენგა, ჰაი გენგა!..

„შეჩერდა ელია,
დარახტული შავი რაშებითა,
მძიმე ეტლითა,
ჰე, ელია, ელია!..

გადაიგრუხუნებს ელვის ისრებით. ჩამოაქცევს ღვარცოფსა, მერე ჩაინთქმეცა მთების მიღმა ჩაწოლილ ლილისფერში... ნაწვიმარი მიწის სუნი მსუყეა“, — იტყოდა გენგას დიდედა.

— არ გესმის, გეძახიან, — შეეხმიანა გენგას.

„ჰე, ელია, ელია!..
ღმერთო მოგვეც მზის თვალი...“

— არ გესმის-მეთქი?..

„აღარ გვინდა ტალახი...“

თითქოს გამოიხედა გენგამ. თავზე ელიას მწუხრის ჩრდილი წამოსდგომია. დაეცქერდა ჩრდილია მოხაზულობას...

— შენც გაიგონე?.. — მერე ჩაეკითხა სივრცეს ყურმიპყრობილი.

„ჰე, ელია, ელია!“

— „ბრმაა ელია, ყრუ კი არაა,“ — იტყოდა დიდედა... თბილი იყო დიდედას დამჭკნარი მკერდი, დამჭკნარი მკლავებიც. კედლის გადაღმა მფშვნავი ძროხა წყნარად იცოხნიდა. ბუხარში წივა ღვივოდა, ხრჩოლავდა ნეხვისა და ბზის თბილი სურნელი...

— კაცის სახე აქვს ელიასა? — შეეკითხებოდა ბალღი.

— ელიასა?.. — კაცსმიმგვანებულსა თუ არ მიმგვანებულსა სახე ჰქონდა ისეთი, მხოლოდ დიდედას მიმჭრალი თვალი სჭვრეტდა... — სახე კაცისა აქვსო, ასე იტყოდა დიდედა.

— მეცა მაქვს, ჰა, დიდედა?..

— მამაშენისა.

— ღონიერი მკლავები ჰქონდაო...

— გუთანსაც გაიტანდა, — იტყოდა დიდედა. — მაგრამ ერთხელაც სათევზაოდ წავიდა და აღარ დაბრუნდა. მაშინ ღელეული წყალუხვი იყო, გულუხვიც... ახლა რა? ცამ გალია თუ მიწამ?.. ძლივსღა მოწანწკარებს ხახაგამშრალ ხევში თავადაც მწყურვალი... ხელკარიელი არასდროს ბრუნდებოდა... მაგრამ წავიდა და აღარ დაბრუნდა, — მწარედ ოხრავდა დიდედა. — ეშმაკის მორევმა ჩაითრიაო. სად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაიღო და სად მისილა ველარ მიაგნეს... კვერი დატრიალდა დატრიალებულ ცის კვეშაო... სულიც გალეწა და ხორციცა სიმწრის სასმელადო, — მწარედ ოხრავდა დიდედა, — მერე დედაშენიცა... ფეხმძიმედ დარჩა... გიკაკ რომ შემატა ქვეყანასა, ვიღასთვისღა დავიცადოო. ქალი იმიტომაა გაჩენილი, ბალღები გააჩინოსო... შაკაციანთ ელიმ გადაიტყუა, თუმცა დიდხანს აღარც დასცალდათ... ვითომ, სიცოცხლეა რასაც მეტს გამოვრჩებიო... რას გამორჩები? წარმავალს მხოლოდ წარმავალს თუ გამორჩები... მამაშენიცა, რაც მეტს მოვილხენო... — ოხრავდა დიდედა ნაღვლიანად, სარკელში შემოჭრილი საღამური ბინდიცა, მის სახეზე ნაღველს რომ აუჩინარებდა... მერე მოციმციმე ვარსკვლავები სარკელს ამოკენჭავდნენ. უკუნს გამოღწეული მიმქრალი შუქი სულში ჩამდგარ მთვლემარე სიჩუმეს კრძალვით ავსებდა.

— რამდენი ვარსკვლავია, ჰა, დე?..

— ჩაეკითხებოდა ბალღი.

— ყველას თავისი ვარსკვლავი უნთია, — იტყოდა დიდედა.

— ჩემი ვარსკვლავიცა?.. იქნებ ჯერ არც გამოუნათებია, წყვდიადს ებრძვის სადღაც შორეთში?

— დაიძინე და დაგესიზმრება, — იტყოდა დიდედა... ერთხელაც დაიძინა და ლელას თვალებში ენთო ის ვარსკვლავი...

2

გენგას დროდადრო მამის სისხლი რომ წამოძალებოდა, მამისეულ ბადეს მოიგდებდა და სათევზაოდ გასწევდა... თუმცა ამაოდ უნდა დამაშვრალიყო წოწიალით. მოქანცულიყო ბადის თრევით. ღელეულში იმდენი თევზი სადღა იშოვებოდა, მისთვისაც გამოემტკბინა, მაგრამ იმის იმედით მოულოდნელად ბადეში თევზი რომ აფართხალდება, თითქოს სულ სხვა სიხარულს შევეჩეხეო, თავად ასე ამბობდა მრხეულხული ღიმილით... ბოლოდ მაგისთვის, კაცი წელს მოიწყვეტსო? იღრიჯვეთ სერა, მაგრამ ის როგორღა იყოო? ის ამბავიო? ახლა ღრეჭვითა, პირში მოქირქილე. ზურგსუკნიდანაც დაგადევნებდა... გენგაც ისევ მონუსხული ღიმილითა. ათასჯერაც და ათიათასჯერაც ერთი და იგივეს მოგიყვებოდა. მაშინაც ფერმის გადაღმიდან ამოვიარეო. მოწმენდილმა ცამაც პირი შეიკრა. გადმოიღვარა თქეში. ჰაერი ჩამორეცხა, ჩამოსნიავა... ჰო, ჩემი თვალით დავინახეო. განმარტოებულ ცაცხვთანა, თქეშში დაჰქროდა იმ თქეშივით, სველი კაბა ტანზე აჰკვროდა. იცინოდა იმ თქეშივითა. ყველაფერი ნორჩი იყო, ის დღეც... ისევე რომ გადაიკარა და როგორც ვარსკვლავი დღის სინათლეს შეეფარება. ლელაცა გაბრწყინებულ მზის კალთებს... განა იმ ვარსკვლავივით გაფერმკთალდა და გაუჩინარდა? უფრო ნათლად დაინახა, ოღონდ სულ სხვა თვალმაო. რაღაცის მომასწავებელმა ისეთისაო, როდესაც ნაღდ ბუნებას შეიცნობო, უფრო საკუთარ თავსაცო სხვამაც რომ გირწმუნოსო. თვალი ველარ მოაშორა. ლელაც ისე იღიმებოდა, თითქოს მკერდი მოუღია, როგორც მიწას წვიმის შემდეგო... გაღვივებული მიწის სურნელიც ხორბლის ფერიაო, იტყოდა დიდედა... მზეც ხორბლის ფერი იყო, ლელაცა... მერე ბილიკიც დაუთმო, კვალიც დაუთმო, მხოლოდ თვალი გააყოლა რწევა-რწევით მიმავალსა. ლანდიც რომ დაუტოვა, ჩვენებაც... მერე ცხელ ღამეში სიზმრიდან გადმოდიოდა. უკვე მისეული, მისეულიდან მოსული. ღამეც ლექსივით ილეოდა, როდესაც სული ჩამოლექსავს იმ ფერისას, როგორიც ცხელი მიწის სუნია სხეულში დაგლილი... ღმერთია მოწმე. ერთხელაც მეც იმ ბილიკს დავადგები... ქვეყანა არც ისე დიდია. უგზო-უკვლოდაც რომ იარო, საკუთარ სახლს მაინც მიადგებიო, იტყოდა დიდედა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰო. ეგ კი ეგრეაო, მაგრამ... სერაც თვალმოჭუტული, ცნობისწადილითა... ჰმ. იმ ბილიკითაო... კაცი სიკვდილამდე თავის ბალღობას დასდგესო... უცებ გული უობილდებოდა. იქნებ ადონიას გოგო იყო-მეთქი? ისევ თვალმოჭუტული ღიმილითა... გოგო იმაზე ითქმოდა. ნატვრის თვალიც უსველდებოდა... ჩასაფრებული მოთვალთვალისა, არც გამბედობა რომ ჰყოფნა, არც შემართება თუ ენინ იმ სიყვარულისთვის, ნაღდი მამაკაცივით რომ დასწაფებოდა საკუთარ ლხენასა და ტკივილს... განა შიშით? იქნებ ვერ შეეძლოო?.. ფანჯარაში მადიან მკლავებს რომ გადმოაწყობდა, თეთრ-თეთრსა. წყურვილით ხახა გაგიშრებოდა, მაგრამ წყურვილს რა მოგიკლავდა? თუმცა იმასაც ამბობდნენ, ვისაც თვალს დაადგამსო... შეიძლება იმიტომაც ადონიამ ქალაქში წაიყვანა აქეთ აღარ გამოუხედოთ. იქ ჩაიკარგნენ... იქნება, ჰა? ახლა ძუნწის ჩაციებით... შენც ხომ არ გამოგარია?.. ხი... ხი... ხი... ყველას თვალიც დაუყენე-მეთქი?.. ვენგა თიმოქოს საიდანღაც იყურებაო... ისევ თავის ამბავს გააგრძელებდა... იმ დღესაკო... წყალგაღმაც ვეცადე წყალგამოღმაცო. გაკერპებულ, გულჩახუტულ ღელეულს რას გამოვტყუებდი? ეშმაკის მორევამდეც ავაწრე. მზეც წითლად ამომრგვალდა ციხის ნანგრევების იქიდან, ჩრდილი გადმოფინა ადამჟამინდელი. იქაც დაკარი ბადე. ცდა ბედის. მონახვევრეა-მეთქი. იუკადრისა ეშმაკის მორევმა, წამოიფაფრა და წამოიქაფა... გადათეთრებულ თვალებს მიტრიალებდა. ბომწყდი თავიდანაო... არ მოვეშვი... კიდევ დავკარი ბადე... ახლა უფრო აიმღვრა და გული ამოუშავდა. მაინც არ მოვეშვი. ჩემი გავიტანე თუ ბედმა გამიღიმა!... ოღონდ ქაფეშვილს არ უნახავს, ბადეს ისეთი რამ მოჰყვა. რაღაცნაირი კუდმოკლე. მუცელდიდა, შუბლზე დამსხდარი გადმოკაკლული თვალებით... ეშმაკის მორევმა ეშმაკი ნაშიერი გამოიმეტა. ისიც რიყეზე მოვისროლე. სხვაც გაებრიყვებინა. წამოვედი ხელცარიელი. ბილიკი ამოვიარე ფერრის გადაღმიდან. ნიავს გათიბული ბალახის სუნი მოჰქონდა. ცაცხვიც მშვიდად შრიალებდა. როდესაც მივუახლოვდი, მაშინ დავინახე. ცაცხვის ძირას გადმოხრილ ჩრდილში ქალი იდგა. გამიღიმა კიდეც. ასე მომეჩვენა, ლელას თვალებია-მეთქი, მოკრილებული ცის ფერი, ეზით რომ აროს სავსე გული გალღვა, გაიწურა. ლელა ხარ-მეთქი? ჩავეკითხე. ლელაო? ჩაიცინა. და ცაცხვს ახედა. როგორ დაბერებულაო, ესა თქვა ნაღვლიანად... ყველაფერი ისევ ისეა, ვუთხარი... ისეა დღეც, ამ ცაცხვთან რომ შეჩერდა ის ბილიკიც... არც ბალახს გადაუვლია, არც ნიადვარს... მეც იმ ბილიკს დავდგები-მეთქი, ყოველდღე ამაზე ვფიქრობდი... მართლა ეკრე ფიქრობდი? თვალები მოწყურა, უფრო თვალებში ჩამდგარი შუქი მოწყურა. ჩემი არსებაც მასში მოიმწყვდია... ეგ ბილიკი ჩემთან მოგიყვანდაო. უცებ გაიცინა მთელი სხეულით, ხორცითა და სისხლით... ლელა ხარ? ისევ ჩავკითხე და მაშინ დავინახე, სახეზე დამჭკნარი ყვავილისა თუ გამოუწვავი თიხის ფერი გადაჭკროდა... თვალებიც მოწყენილი ჭქონდა. სევდამორეულიც... ლელას თვალები არ იყო... განა შენც ისეთივე ხარო? ასე მითხრა. ის დღეც ისეთივე დაგხვდება უკან რომ შეაბიჯოო?.. ვითომ იაიც არ იცვლება, არ სხვაფერდება შენებურადაო?.. არა-მეთქი, ყველაფერი ისევ ისეა. ლელაც ისეთივე იქნება, ასე ვუთხარი და ჩემი ბილიკი გავაგრძელე... ის კი, გენგა, გენგაო, მომძახოდა. ღმერთია მოწმე. გენგაო, გენგაო „ჰე, ელია, ელია!... ცას ღრუბელი აჰყარე. ჯავრის ფერი გადაუკრავს. ღელეულიც დროდადრო რომ აზვირთდება, საკუთარ ტანში ვეღარ დაეტევა. იქნებ გავაღწიოო?.. მაგრამ საით? მაინც ჩაცხრება, ჩაიწურება, ისევ სიმშვიდის საფარველს გადაიკრავს ერთსახედ და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთხმოვნად და თავის სავალზე ივლის", — იტყოდა დიდედა... ვითომ ასეა?.. ჰმ, გენგაო, გენგაო...

— შენც გაიგონე? — შეეკითხა ელიას და ზლაზვნით წამოდგა. ჩაგრეხილ-ჩაძირკვული იყო. შარვლის ტოტები ბამბის წინდებში ჩაეტანებინა...

— გაიგონეო? — ქალს ხმა ჩაუწყდა... ადე, გასწიო...

ჰაი, დედასაო!.. ამოიოხრა გენგამ ბოლმიანად და ორღობეში გაძუნძულდა... შავკაციანთ ელიაც თავისი გზით წაჩანჩალდა. განა საქმის მოსაკლავად? უფრო დროის მოსაკლავად. ხვალინდელი დღეც ხომ უნდა გაათენოს, თუმცა ისედაც გათენდება. ოღონდ ვისთვის როგორ გათენდება... ესეცაა...

„ჰე, ელია, ელია...

ვის მიუგდებ ღვარცოფსა?.." — იტყოდა დიდედა.

4

ვახშმად უნდა დამსხდარიყვნენ. თეონას სუფრა გაეშალა. მოხარშულ დედალს მადის აღმძვრელი ოხშივარი ასდიოდა. სუფრის თავში გიგა წამომჯდარიყო. ქონმორეული, გაღაქღაქებული, თვალებჩაწითლებული... ოჯახის ბეჭედი, გვარი და სახელი. კუშტად გამოიყურებოდა... გენგაც შემოილანდა ფეხათრეული. მაგიდას მიუჯდა, უხმოდ, უთქმელად... თეონაცა... გიგამ გენგას კუშტად შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. დოქი აიღო, ჭიქებში ღვინო ჩამოასხა. მერე პური გატეხა და მოხარშულ დედალს მისწვდა. შავ დედალსა. ბარკალი აახლიჩა, ბარკლის ძირიცა. მერე თეონამ, შემდეგ გენგამ. პამიდორიც გაკბიჩეს, წითლად რომ ღვიოდა, ცოცხალი წვანილიცა, ხრაშა-ხრუშითა. მადიანად ჭამდნენ სიჩუმეში. მხოლოდ ენის წლაქუნი ისმოდა. გრძელი დღით მოღლილები თუ სიფიქრებელითა... ყველას თავისი დღე აქვსო, იტყოდა დიდედა...

გიგამ თქვა: ჭორფლიან პეტრესთან იყავით? ფული მე გამოვართვიო, არ გითხრა? გენგამაც: მითხრაო, განა არ მითხრაო... მორჩით მაინცა? ისევ გიგამა... წელი მომწყვიტა ხრეშის თრევამაო... გიგამ თვალები დაბრიალა, გადმოკაკლული, უფრო გადმოეკაკლა. თეონასაც შავშავ თვალებზე ცეცხლი წაეკიდა. გესმისო, უქმად უნდა დავბრძანდეო... ქვეყნის სალაყბოდ, სალაზღანდაროდაო. გაპამპულავებენ, ვერ უნდა მიხვდეო... ხან ერთს აეტორღიალები, ხან მეორესა... ღელაო... ამას ესოა აკლია?.. მოთმინჭმა გაგიწყდა?.. გენგა სადღაც მიღმა იხედებოდა. რას ხედავდა, ან არ ხედავდა, ანდა როგორ ხედავდა... ერთხელაც დავადგები ამ ბილიკსა, წამოილაპარაკა... გიგამ, მიეთმოეთები არ გამოგადგებაო, მწყრალადა, სახე წამოწითლებულმა... მე ათას საქმეზე ვარ გამოკერებული... ვენახი მოსავლელია, კარმიდამოცა... ეს ქალია და ესა... თუმცა შვილი ღმერთმა არ შემარჩინა, ესეც თქვა... კაცმა რომ მოინდომოს, ძალიან მოინდომოს, რას იტყვი, გიგა?.. როგორაო? ძალიან რომ მოინდომოსო?.. ჰო, მოინდომოს-მეთქი... წინ რაღა დაედგება... ეგრეა?.. ეგრეა... ჭიქაში ნეკით ღვინოს პირი მოწმინდა გიგამ... გენგა წამოდგა, გარეთ გავიდა... ხედავ?.. მაინც ვუელითო და... თქვა თეონამ და თავსაფარი შეისწორა, მაშ როგორა, ძმაა და... — წაიდუდუნა გიგამ... გენგა ღობესთან ჩამჯდარიყო, ცას შესცქეროდა. ცაზე ვარსკვლავები დამსხდარიყვნენ. განა შეიძლება მოკრიალებული ცა ნაღვლიანი იყოს? იტყოდა დიდედა... „დიდებაო მზესა, იმის მყოლ ყოველსა", — ასეც ილოცებოდა ხოლმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ხსოვნის რვეულიდან

წინათქმა

რა ვქნა. მითხარი,
რა ვქნა, მითხარი,
ლამის წუთითაც არ მასვენებენ,
მინდა თუ არა, არცა მკითხავენ,
ომის დღეები თავს მახსენებენ.
აღწანთებული ვედარ ვიძინებ,
სიცხადეა თუ სიზმარეული —
ისევ ნახანძრალ გზებს მივყიჟინებ
ღიმილს და ღიღინს გადაჩვეული.
ისევ ნაღვერდლის ღველფზე შიშხინებს
სტრიქონი ურჩი და ჭირვეული
და მე მწადია,
თუ არ მწადია
ეს მერამდენე წელიწადია
კვლავ იწერება ხსოვნის რვეული.

წერილი, რომელიც დედაჩემს არ მიუღია

ღამე მოვიჩრდილე,
კვლავ გზებს მივლტები და
ვხედავ ივრის პირებს
ვარტისპირეთიდან.
შენა გხედავ, დედავ,
ვხედავ სახლის კარებს,
თვალთა შენთა ციდან
ცრემლი მოწანწკარებს.
— ნუთუ ვაზის ცვარი
აღარ დამასველებს...
შეიმშრალე თვალი,
ცრემლი დაასვენე!

ველ-ველ მივდივარ და
სულში სტრიქონს ვნასკავ,
ყინულებქვეშ ვარტას,
ღრუბლებს ზემოთ ვარსკვლავს
სძინავს, წამით ომსაც
მორევია რული.
ჰოი, საწუთრომ სად
მაფარცხვინა ხნული...
— იას რა ფერი აქვს,
ვერცრით გავიხსენე...
ძილი მორევია —
ცეცხლი დაასვენე...

უკანდახეულ მტრებს
დღე და ღამე მივსდევთ.
სანთლებს არვინ უნთებს
სოფლის კართან ქრისტეს.
ლულაში თვლემს ტყვია
როგორც წყალი ხეში,
სდუმს ყოველი, მხოლოდ
ფეხქვეშ თოვლი ხვნეშის.
— მთელი კვირის თოვა,
გზები — საარსენე.
დედი, ძილის დროა.
ჭრაქი დაასვენე!

შენს ფალავანს, დედი,
გზას უშუქებს ახლაც,
ის შარავანდედი,
შენ რომ თავზე გადგას.
აღარ შეწყდა თოვა,
აღარც ქარი ჩადგა,
მაპატიე, თუკი
წავბორძიკდი სადღაც.
— რას გალობდა ქნარი,
ღმერთო, გამახსენე...
დედი, ცოდო არი —
დარდი დაასვენე!

ტბა

ცრემლებისაა ეს ტბა უძირო,
თეთრი დუმილი — გედი რონინებს,
ათასი დღე და ღამე უძილო
დაეძებს,
ელის,
ვინ აპოვნინებს!

ეს ტანჯვაც,
ათასმეერთედ თქმული,
უჩანს მირაჟად და ცრუ წადილად.
ამღერებული...
ო, დედის გული...
უღლები შვილი ცრემლში ჩავდივარ...

(ივანური დღიურიდან)

კლდისპირს მდგარი ძახველი,
ჩამავალ მზეს მისტირის,
კოშკში დევი ახველებს,
კედლებს ცვივა ქვითკირი.

ნაყვავილარ თათარყანს
სახე უგავს დანაყილს...

ცოტა მალაპარაკა,
ბევრი — მასვა არაყი!

ვარსკვლავები აწვიმს კოშკს,
მთვრალი მთვარე ბანცალებს.
თათარყანი არჩვის ხორცს
ხანჯლის წვერით მაძალებს...

(დედას)

ღამეს ახრჩოლებ ჭვარტლიან ჭრაქით,
მაშფოთებს შენი სახის სიყვითლე...
იმ ოღრო-ჩოღროს გადვურჩით რაკი,
სხვა სატკივარზე ნუღარ იფიქრებ!..

შენი ცხოვრება იყო წამება,
მაგრამ რისთვის და რატომ —
ვერ იტყვი,
შეგვავედრებდი წმინდა სამებას
და პირჯვარს გვწერდი წმინდა ბერივით.

რისთვის და **რატომ**,
რისთვის და რატომ,
ასე ჩამძახის ვიღაც ზარივით,
ულუკმაპურო და მარტოდ-მარტო,
მკერდზე ჩვილით და ზურგზე მარილით.

მაშფოთებს შენი სახის სიყვითლე,
ღამე მხრჩოლავი ჭვარტლიან ჭრაქით.
სხვა სატკივარზე ნუღარ იფიქრებ,
იმ ოღრო-ჩოღროს გადვურჩით რაკი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინგილოს მუხის ბუბუნს...

ბედის ქარმა გამიტაცა,
მზის ნატეხად მაქცია,
ავეთნე და ავჩირაღდნდი
მარტია კაბა მაცვია...
ცა კიდეზე ქორწილს მიხდია
წუთიაოფლის მდინარე.

დავინიცლე მზია სხივებით
ცეცხლად გავიმდინარე...
საინგილოა მუხის ბუბუნს,
იმედის მთა აჩერება:
ფრთაშეესხმული ლაღად ვუხმობ
საუკუნია ჩანჩქერებს.

დაყოვნება არ იქნება

აევდა ღრუბლად მოვიბურე.
პაემანზე მოდის მთვარე,
ხევში ზვავი დავაცურე,
ბედიაწურავ. რად გაგვყარე?!
უასარულო ზღვაა და ზეცა,
ჩემი ხარის რეკვა ბზარავა.
დაღლილივით ფეთქავს მწაც,
მოელიან ცეცხლის კარავს...

დილა ნაძვებს ანთებს ისევ.
შესაცინება აი თვალი,
იცი? შენზე დარდებს ვისევ,
მეკიდება ცეცხლის ალი.
მზესთან ერთად წამოდექი,
დაყოვნება არ იქნება,
უკვდავების მარანში ხარ —
ესეც უფლის არის ნება.

საქართველოს ნახევია...

ქურმუხა გული დაუტოვე,
მთებს ნიალები ჩაეხვია,
მოაფქვამა მწარედ საინგილო,
ლელა მკითხავს: — რა ხევია?
რა ხევია? — ჩემო ლელავ,
საქართველოს ნახევია...

საქართველოს ნახევია,
წყლული მწვავედ ახვევია,
დიდ ქურმუხის ტალღის ტაშმა
მთებს ქუდები გადახადა,
ულუბაში ცრემლს იმშრალებს, —
ცის სამოკი ვინ გაგვხადა.

მთვგო გელათის!

ვადაიხადეთ აიჩუმის ქუდი
მთვგო გელათის!
მე მანდ ჩემს ფრიდონს,
მაღლა აფრენილს
სანთლად შევნათი...

სიცოცხლემისჯილი

რომანი

აჰა, მისი საფიცარი ძე მეთვრამეტეში გადადგა, სიმართლეს კი ძველებურად უმალავდა. თუმცა ნაკლებად არც სატანჯოელი გარჯილა. უთანაგრძნო ცოლის ძმისწუოლ და რაც კი ოდაბადეესთან აკავშირებდათ: სისხლი, ნათესაობა, მეზობლები, წარსული და მომავალი ყმაწვილს ერთიანად მიეჩუმათეს.

ბოლო დროს მათ სამოსახლოში ჭოფიას შვილიშვილმა, ბაგიმ მოუხშირა სიარულს.

ყმაწვილს დიდედასთან დასტოვებდნენ. კაცები ჭურიის ლელიანებს დაივლიდნენ. იოსების ბიჭი სულ აქაურობის გაკაფვას და კამეჩების მობევრებას ჩემულობდა. ბაბუის ჯიმადს მახარეს მომავლისთვის ზრუნვას ავალებდა. თვალში თვალს გაუყრიდა კოჩია ჰალიძონიას. ისიც გზამაჭრილივით დაიძაგრებოდა. თითქოს მემკვიდრეს ართმევენო. ჭანჭყორობში მეოცნებეს ხალხი არ წამოჰყვებაო, ამ ფიქრებით უჩუმდებოდა მამითობოლს. მერე გამოხდა ხანი. ბაგი ანთარიამ ჯერ კოლი კარდუხია და ჭაჭია თუბალია აცდუნა, შემდეგ მესამე და მეოთხე. ჰექტრამდე მიწა გაკაფეს. ჭურიის კუნძულიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით ფარები გაიჩინეს. იქიდან მოყოლებული უღრანებს შეუჭიდნენ. უსიერი ათეული ჰექტრობით ჩაღრანტეს.

— ვერაფერი გამიგია — ბრაზობდა ტუჩმოკმული — რაღა ჩემი სისხლი და ხორცი მეთაურობს მოუფიქრებელ საქმეს? უგუნური იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ მამულის ტყეთა ცოდვას კისერზე რად იდებს ნასწავლი ბიჭი?! — მწარობდა. ბაგის ნაბრძნობს — თხმელნარის ტოლა ყანგბადს სიმინდის ყანაც მოგვცეს მსო — წარამარა ამაახარავებდა.

სატანჯოელს უმადურობა არ სჩვეოდა. ზურგს უკან თუ პირში ხშირად უმადლოდა ხელისგამართვისთვის. ამოჩემებული ჰქონდა ელექტრო-ძრავა, მოტორიანი ნავი, ტელევიზორი რომ შეაძენინა. სოფლის სახელოთი ტარანზისტორი რომ უსახსოვრა. საჭირო წიგნებიო, მედიკამენტებითია და ბენზინით რომ ამარაგებდა. კი, ბაგის ყურადღებას დიდად აფასებდა, მაგრამ წყენაც წამოუვლიდა და მაშინ ყველაფერს წყალში ჩაუყრიდა. საქვეყნო საქმეებს ამოფარებულს, განდიდების მანიით შეპყრობილს ეძახდა.

მტკნარ თვალებს შეავლებდა კოჩიას. ბანჯგვლიან მკერდს მოიქექდა.

— ვფიქრობდი, ცოტას მოასწორებენ და დაწყნარდებიან-მეთქი, მაგრამ გავონილა?! — ბრდღვინავდა ბერიკაცი — ოდაბადელებს კახათელებმა აუბეს მხარი, კახათელებს — ინგრილებმა, ინგრილებს — რუხელებმა. კანონი მათ მხარეზეა და რატომაც არა?! სადღაა ახლა ათას ოთხასი ჰექტარი ტყე?! — იტყოდა ამას ბრაზმორეული. აქვე ცოლის ძმისშვილს ცხვირწინ ხელისგულს დაუტრიალებდა. თითქოს ჭურიის ჭორომებისკენ ხალხს ნოჩოს ბიჭი მოუძღოდა.

— თიბეთ ხაია და ყალტამი! — ისე მიახლიდა, გეგონებოდათ ამ ფერხულს კოჩია მეთაურობდა.

ტყეების განადგურება ჟინი ანთარიას

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 1, 2.

მაინც აფორიაქებდა. მისი ბრალმდებელი სიტყვები ბაგისაკე თავს ჩაალუნვინებდა. უკმეხობდა, ბრდღვინავდა, რადგანაც ბუნებას ტრიალ მინდორზე ტანაყარილ მუხასავით ერთადერთი ეყარჩლებოდა. თითისქნევით ასწავლიდა სტუმარს ოდამადე, კოლხეთი, ზოგადად ქვეყანა ტყეებით რომ სულდგმულობდა და არა თივის ზვინით. არარსებული სათიბისკენ ყელს გადაიგდებდა. სწორედ ტყეა, შვილო ჩემო, შთამომავლობის აკვანიცა და სახლიცო, ფერს აცვლევენებდა აქამდე უნაჯახო ხელით ულრანების შემმუსვრელ ნათესავს. ქარების მოძალებას, ხმელეთის ზღვის სათარეშოდ ქცევას მისნაირების წინდაუხედაობას მიაწერდა. მოყვარეს ყოველთვის ამდაგვარად ალმობიერებდა, მაგრამ იოსების ძე წყენას თანდათან სძღვნდა. ნელ-ნელა დადინჯდებოდა. ბრალმდებელს უშურველ ღიმილს მიაგებებდა. იკამთებდნენ. იდავებდნენ, მერე გაგულისებული ბაგი ანთარია ცხენზე შეჯდებოდა და ოდაბადესკენ გასწვედა. სატანჯოელები კი უხვჩრდილიანი ცეცხვის ძირას სუფრას გაშლიდნენ.

კოჩია ჰალიძონია სანთლის არაყს ჩამოისხამდა. სანახევროდ გავსებულ ფლილ ჭიქას ხელსაყრელ დროს ერთი ყლუპით გადაჰკრავდა. მამიდის ჭინკებით სავსე თვალებს დაუნაღვლიანდებოდა. პურს დაყნოსავდა. დამანჭული სახე სწრაფად წამოუგიზგიზდებოდა.

ღვინით აფერადებულ სასმისს მზისკენ ასწვედა ჭინი ანთარია. სიცხლისფერ სითხეს შემომქმედის სიდინჯით გახედავდა. ტყესმიჩერებულ ბუტუტის ადღეგრძელებდა. ნება-ნება სვამდა. ბალნიანი მაჯით ტუჩებს მოიწმენდდა. ჭიქას აუტანელი სიდინჯით დადგამდა. პიტნით შეკმაზულ გებეალის მიაყოლებდა.

— გაუმარჯოს! — იტყოდა სადღეგრძელოთი ნასიამოვნები კოჩია ჰალიძონია -- ვინმე უხიაგს! — უტიფრად მიაშტერდებოდა მემკვიდრეს. მეორეკ უკვე შესაშური სითამამით გადახუხავდა. გამოცლილს ძეს მიუპახუნებდა.

— ასე ნუ მიყურებ! — წაეუკმეხებოდა მამას დაჭინებული მზერით ბუნებული.

— აბა. სხვა რა ხრიოკს და სიკვდილს შეეხედო?! — ნიკაპი აუთრთოლდებოდა მშობელს. დაიკენესებდა. საკუთარ ფესვს და ძირს გადასხვაფერებას, ყოჩივით კუშტობას საყვედურობდა.

გასაქცევად წამოწეულ ყრმას ჭინი ანთარია მაჯაზე დროულად წაეტანებოდა.

— ჩამომისხი ოჯალეში, თოლიგე, ყავარჯენივით შემომეშველება — სთხოვდა.

ჯელი შეუვსებდა, მერე კრიალა თვალებით თვითმფრინავით გახაზულ ცას ჩაჟინდებოდა.

— მოვეშვათ მაგ ბიჭს! — დააშოშმინებდა კოჩიას სატანჯოელი, როცა ბუტუტი ახლობლებს მოუბოდიშებდა და აკაციის ტევრისკენ გაეშურებოდა.

საუბრობდნენ. ყოველი სიტყვა ყმაწვილის მომავალს დასტარიალებდა.

მამის მიმართ ბიჭის სიცივეს მოხუცი მოხერხებულად ამართლებდა. ბუტუტის სოფიცხეს დუღილს მიაწერდა.

ესოდა მაკლდა ახლაო, გაიფიქრებდა არყით გათამამებული. კბილებს გაახჩიალებდა. ეშვი აქამდისაც მოსძალებია — ღვიძლს ზეზეულად არომევდნენ. ბერიკაცის შემპარავი კილო აღიზიანებდა. ბოდმას კბილებით იკერდა.

ამჟამადაც, ჭინი ანთარიას მახვილი მზერა კოჩიას შინაგან დუღილს მეთვალყურეობდა. ამიტომაც ამკვეთრებდა შეგრძნის ამასწინებზე ნათქვამს.

— განათლება თავისუფალ კაცს სჭირდება და არა სატანჯოს აკლდამებში ჩაკეტილსო, გამიმხილა რაღაცნაირი სევდით თუ წყრომით — ნათქვამმა არყისმსმელი მაშინათვე დაჩუტა. არ აკმარა ესეც. — კოსმოსში გასულა ადამიანი. მთვარეზე დაუდგამს ფეხი. მე კი წყეული ტყეებიდან ვერ გავდწეულვარო, ბამენდო. მყვირალობის ეამის დადგომამ იცის აგრე.

გადამრია შვილი, მაჯობა ტუჩმოჭ-

ბელმა. გაოფქრა კოჩიამ სინანულით. ვერ ვიმჩნევ განა, მყვირალობისგანაა ეს თუ ახვა რამისგან. არ ედგომება შინ ჩემს ძალზეს. ერა კეკეცვილ ფუთრის სხეული ყოველი ნაკვთი. ეჩრნარი ძაფი სადღაც ეწევა. ნუთუ გათქვეა ჩემი საიდუმლო? ხელი გონებაში ხეიბარი, ნუთუ ცირბია შკვითინხეს არსებობა გაუმხილეს?! ტუილუბროლოდ სწუხდა კოჩია ჰალიძონია, ვინაიდან ბუტუტის ცოცხლადმოკვდინებული დედა ჯერ კიდევ ღრმად ემარხა აკაციის ტყეში. ყრმის სიყვარულში „ეს ბალნიანი რომ არა“ არავინ ეცილებოდა.

— შენზე ახლობელი ვინ ჰყავს?! — უთხრა ქინი ანთარიამ და მსგავსი გულისამაჩუყებელი სიტყვებით ბალღივით აცრემლინანა.

რა ენაღვლება, მწარედ აკვნდა რაქიტანი, დამტირებელი შვილი წამამოთა. ძმათამკვლელი! ძმათამკვლელი! ფერმრობდა ბოლამორეული და ივიწყებდა ოდესღაც თვითონ როგორ წაგლიჯა მახარია ცოლს. რაღა დროსი იყო, ორრემ ახლა დიდებულად ხვდებოდა სატანჯოელმა სიმართლე რისთვისაც დაიფარვინა.

ბუტუტის სატანჯოში ჩაკეტვა, „ხრონეკი“ ანთარიას საბოლოო განადგურებას ნიშნავს, გუმანობდა კოჩია ჰალიძონია. ხანგრძლივი გამოკვლევის შედეგებს სხვანაირად ვერ გამოააშკარავებს. აბა, სახელგამტყდარა თავი სად გამოეჩინება? უყურე შენ, ბაგისაკ რისთვის იახლოვებდა სიცოცხლემისჯილი?! ჭეერიაში მოსაბრუნებელი საბაბი რომ მიეცა, კარგ წიგნებს კარგი მკითხველი უნდაო, ეტყოდა. სიტყვას შუასაუბარში აი, რისთვის გაუწყვეტდა თურმე?! მაგრამ აქ მალე საწინააღმდეგო აზრის ნაკადიც შემოეჭრა. ჩაჩანაკს ბუტუტის ხალხში გასვლა თუ სწადია, სხვაა რომ თავი დავანებოთ, ჩემს ანგელოზს ბაგის მაინც რისთვის უმალავს?! რა მიზნით დაატარებს კეთროვანის ნიღბით ძონძებში გახვეულს?! ნეტავ რა სწადია, რა?!

ასე იყო თუ ისე, ეკმაწვილის ადგილიდან წაავლა კოჩიასთვის თოფ-ბრომშოს დაკარგვა უდრიდა, ვინაიდან ბუტუტის სახოგადოებაში კარეკა წლობით დაფარულ სიმართლეა გამოააშკარავებდა.

—ტუილისა და მეგრელის მეტი ყველაფერი საზოგალია ჩემგან — მოსჭრა წვეროსანმა ანაზდეულად და აროსმსმელს ჭრილობაზე მარილი გულმოდგინედ მოაყარა.

ამდენად, ბუტუტის მოტყუება უნებლიეთ კოჩიაა აეტვირთა. ეფრო მეტიც, თუ ყმაწვილა მამა აიეტის სკიპტრითა და გვირგვინით იდეალურ პიროვნებად წარმოუდგენდა თავა, სატანჯოელმა პირქით, იმთავითვე გაუმხილა ჰატარა ცოდვა — სულიერი დაცემა თვისი. ქედმოდრეკილი შეგრძდა საკუთარი წაბორძიკების მაგალითზე ზრდიდა. მანკიერებისგან განთავისუფლების გზებს ასწავლიდა. მოწაფის სულის ყოველი წიბო ქინი ანთარიას გაებასრებინა. არც მუშტი-კრივი აშინებდა მის თვალსჩინს. არც — ტყვია და რაპირი, რადგანაც ოსტატმა მოზარდი თურმე საკუთარი ხასიათის სპირისპირო ცეცხლის ქურაში გამოაწრთო. ესეცაა, ნასწავლი, შეძენილი, მყვირალობის წამლეკავ ჟამს ვერაფრით დააოკებსო, გაუმხელია კოჩია ჰალიძონიასთვის ზოგჯერ ქინი ანთარიას. ახლაც „ბიჭის საკვირველი გამოცვლით“ შეწუხებული მასწავლებელი შეზარხოშებულ მამას ასჯერნაჩრჩნებით აუბარდა:

— თუკი რამე შეაფერხებს ბუტუტის, იცოდე, მხოლოდ და მხოლოდ — უიღბლო სიყვარული. მამაკაცის ბედის განმსაზღვრელი ძალა გარკვეულწილად სწორედ რომ Femininum-ია, მდედრობითი სქესი. მფასნაირა გადაეყრება და ააშენებს, მაგრამ ცირბია შკვითინხეს მსგავსი, თავქარიანი დააქცევს. ესეც იღბალზეა. ტუილისა და მეგრელის მეტის ყველაფერი უსწავლია ჩემგან!— განგებ ათამაშებდა ამ სიტყვებს ქინი ანთარია. მისი ოდნავი ქარაგმაც კი რა-

ქიტიანის ფერად-ფერად ხალიჩებს ხუ-
ხულასავით დაშლიდა.

აქაურობის უფლიწულად ზრდიდა.
დროს ხელი არ მოუწყვდებია. ეგონა,
ბაგრამ გარემო სწრაფად იცვლებოდა.
მათი სამეფო თვალსა და ხელს შუა
ილეოდა, „ერთნიჩებოდა. ტუჩმოკმული
ხმამ დაიკარგა და დაიკარგა.

თავდადებული უკვე ქონა ბატონს
ციცქნა ბალღის ამარა შთენია შეჩქვი-
თინებდა.

—ეგრა შემარჩინა ქვეყანამ — ალ-
ვარდკარებდა ცრემლებს — აიკეთე და
სიყვარული არ ჩამომართვა ცხოვრე-
ბამ. ხელი ამიკარა ბადაგით ავიდე თაა-
ზე — როგორც კატის წინაშე თაგვი
შესაბარალიად მხრებში ძვრებოდა —
არ მემეტება სოფლისთვის. გამრეყვ-
ნიან და წამბილწავენ იქ — ცახცახებ-
და კოჩია ჭალიძონია. ზველს სთხოვდა,
ენინ ანთარია კი პურია ნამცეცებს მონ-
დომებით აგროვებდა. ამოიოხრებდა.
კამკამა დღეებია ამამღვრევეს ბაგის
ყასიდად კიცხავდა, სინამდვილეში —
უზომოდ ემადლიერებოდა. მას უკვე
რა ხანია ბუტუტია წინსვლისთვის
მსხვერპლად მიეტანა ულრანებიკა და
სატანჯოს აკლდამებიც.

— შუაზე ვიხლიჩები კაცი! — აგრ-
ძელებდა წუწუნს „შვილწართმეული
მამა“. შენ ხარ ამის მიზეზიო, ვერ შეჭ-
ბედა მრიახანე მოწინააღმდეგეს.

ხანმრავალმა ენადგაკრეფილ მიწის-
ფერი მარჯვენა მხარზე დაადო. დაუუ-
ვავა:

— ხალხს, ჩემო, კოჩიდ სატანჯოს
უბადრუკი მითი ერთხელ დასამუდამოდ
დაავიწყდა. ჯერ კიდევ იქიდან, როცა
ჰოფია ანთარიას ბორანზე მიზიდულ
ხორაგს ტაკიობდნენ. შენთვისაც მო-
მიკავეს იქ თვალი, უთავბოლო ლრიან-
ცელში მონაწილესთვის თუ არა, მო-
ყურიადესთვის მაინც. ხალხი რაცაა
დავრწმუნდი. სატანჯოა ჭაობისგან ბევ-
რად კი არ განსხვავდება, ძვირფასო.
ლოტოსივით ამოატივტივებს ხოლმე
ენერგიანათელ ადამიანებს, რათა მათი
თვალებით სამყაროს შეხედოს. ერთხელ
ტებება ამ თვალებიდან შემოლ
შეკონ. მერე საკუთარი თავ შეხარ-
ლება. დაგმანავს ჭეშმარიტების საო-
ცმლებს. შთანთქავ მშვენიერა და ამაღ-
ლებულს. ასეთი იყო შენი ოდამადე,
ასეთის მეცვეურია ბაგი. რომ მოელენ
უეჭველია და გამოჩნდებიან თუ არა,
დაფარულიც მყარვე გამეფენდება.
სხვის წუხილზე ხელის მოთბობას ეა-
ნტრებულ კაცს ამისთანა შემთხვევა
როგორ გამორჩება?! ამდაგკარი გულ-
რძო ყოველი მეხუთე მაინცაა ოდაბა-
დაში და ნეტავი რომელ ერთს გინდა
პირი ამოუკეროთ?!

ამის გამგონე კოჩია ჭალიძონია გა-
ლახული ძალლივით აიძურწა. აკაცის
ტყეში გადასაყვანი ფუტკარი მოიმიზე-
ზა. „ზღვიდან ქარით ამობერტყილი
ღრუბლები“ დაიმოწმა. მომქანცველი
საქმე ბუტუტის მოსანახულებლად გა-
მოჩხრიკა.

სკები ცხენებით ამოიტანა. ააავდე-
ბულები ნაკადულ მიაყენა. ამას სასმე-
ლად როდი ხმარობდნენ. წყარო ქვევით
ჰქონდათ, ნამეხარ წაბლთან, მაგრამ
მობანავე შვილის სიახლოვე აბრუებდა.
წყალს ყასიდად ეწაფებოდა. სინამდვი-
ლეში ბიჭია ზრახვების ამოკითხვას
ლამობდა.

ბუტუტის ს

რავებულის სული. მაგრამ სისუსტეს სძლია. თავჩაქნდრული ნაკადულს ეედევნა.

ამ დროს ნავის კიჩოს მისვენებული ქონი ანთარია დუბინდიით უთვალთვალებდა მზით გაჯერებულ ოდაბადეს სანახებს... რა დრო გასულა? ფიქრობდა ნოეს ძე, მას აქეთ, ღმერთმა უწყის, რამდენმა ტიტლიკანა ცინგლიანმა იქორწილა და მათი ნაშიერის ნაშიერი აგერ მამლაყინწობს კიდეც.

— წრებრუნვა თუ სპირალი? — საკუთარმა ხმამ შეაკთო.

მზე სილას აჩალისფრებდა. მუხლმოდრეკილი ტრიფები ნაადრევად გაყვითლებულიყვნენ.

სიყვარული მოაკლდათ, სიყვარული. ეს ენგურიც რა პატარა ყოფილა. არადა, ხომ იყო დრო, როცა სიკვდილივით გვეშინოდა მისი? გარემო ნაპირზე გამორიყული კალმახის ლაყუჩებით სუნთქავს. ნიკაპი აუცახცახდა მეოცნებეს.

ენგურის სიკამკამემ მოხუცი სინანულით ჩაალმა. მდინარეს გოყორო[1] ბავშვებიც მოშნიაურებოდნენ. იატაკჩამპალ, გაუქმებულ ბორანზე მწყურვალე არვე კიკინებდა. იქვე მერხზემჯდომელი ძმისშვილი თუთუნს აფუტებდა.

ბაგირზე ალისფერი მკერდის ნისკარტით მქექავი მერცხლები ისხდნენ.

ათასწლოვანი ჭადრის ძირას არავინ იჯდა. ყვავ კარდუხია დრომ მიიზიდა, მისი მრეული — ტელევიზორმა.

ადრეც, როდესაც აღმოსავლეთი ახალ იალონს ამოისუნთქავდა, სოფლის ქალები სარეცხს მოიტანდნენ. ენგურის დინებაში ამოავლებდნენ.

ქონი ანთარიას მაშინაც უშურველი ღიმილი გადაურბენდა ტუჩებზე. დეკაკაცები მბზინავ მუხლისთავებზე კაბის კალთებს აიკრეფდნენ, ისე რომ ზოგიერთი ჭოფიას მიმქრალ თვალებისთვის სხვა სითეთრესაც იმეტებდა. მებორნე კი მანათობლით აალმასებული მთების კუნჭულთა ათეულებს და ასეულებს მიაცვდებოდა. მერე ნიჩბებს მიაწვებოდა სატანჯოელი. მისაბაძველ წაიავაზმებდა. ბუხრის მახლობელ ტახტთან მიიკუნჭნჩებოდა. თვალს მილულავდა, მაგრამ შიგნიდან ჩხვლეტდა რაღაც თუ ვიღაც. აკვნესებდა, აფორიაქებდა.

შალმოხურული მაფა ჭალიძონხე მიმქრალ ცეცხლს შეშას უმარჯვებდა. საბანს შემოუკეცავდა. დაცვარულ შუბლს ხელსახოცით შეუმშრალებდა. სიზმრებით გაწამებულს დაანყნარებდა.

არადა, იზრდებოდა ბუტუტი. რინამისაჯებულის სიყმაწვილე განსაცვიფრებლად მეორდებოდა. ახლდებოდა მისი სხეული, ნაკვთები, ხასიათი, ხმა, მიმიკა. საკვირველად, დაუჯერებლად. ეს მსგავსება ქონი ანთარიას აზიმემდა და კიდეც აშინებდა. დიახ! იღბალს მთლად არ გაეწირა. დე, ოდაბადელებმა ცხვირპირმოჭმული, ულულწარწყმედილი, ძმათამკვლელი მიძახონ, დე, შვილებს სატანჯოზე ფეხის დაბიჯება აუკრძალონ, ჩემი სნეულებით დაანინონ, მე მაინც გავალ ხალხში. ბუტუტის მშვენიერებითა და უმანკოებით გავალ გავალ.

ფოთლები პაწაწკინტელა აფრებივით ტაკაცუნებდნენ. ქონი ანთარია დაფერფლილი სულიდან წამოიმართებოდა. სიბერის ბორკილებს წყვეტდა. წლობით შემოქურეშებულ შლამს და ამქვეყნიურ მტვერს იცილებდა.

სატანჯოელის წარმოსახვაში ქარი ქვიშას აღმართავდა. ხვეებს ჯეგავდა. თვალწინ ფოთლება აუსინათებდა. ნილების კარვებს კეცავდა. მზეც საადამიანოსკენ მოისწრაფოდა. გარემო გვარგვასებდა და ამ მექანიკურ მასაში შეუფერხებლად მიაბიჯებდა ბუტუტი, როგორც ერთადერთი ნუგეში, ერთადერთი წყალობა, როგორც მისი ცოდვილი სულის ერთადერთი ხსნა.

●

ადრე, როდესაც ბუტუტი კოჩიას გამოჩორკნილი მშვილდ-ისრით უმწი-

[1] ღლაპი (მეგრ.)

ფარ ხაპებსა და ყელიან გოგრებს ცხრილავდა, ამათ ზა ერჩიო, გაუწყრებოდა ოსტატი. არც უნორჩესი ნერგების მოთელვას მიუტევებდა და მით უფრო ფრინველების აწოკებას. ესენიც ცოცხლობენო, უხსნიდა და ჟინი ანთარიას წყალობით, ყმაწვილიც დედაბუნებას თანდათან ერწყმოდა. ეფერებოდა გაკვირტულ შიმელებს. ფრთოსანთა ბუდეებს პატრონობდა. მერე და ფერგნია ჰარმონია! მიუჩვეველი თვალისთვის დაფარულ რამდენ მშვენიერს მალავდა ტყე?! ტოტებს მიმოსწვედა, სიგრილე-სინოტივეში შეცურდებოდა, აკაციის ყვავილების სურნელით გაჟღენთილ ჰაერს ღრმად ჩაისუნთქავდა, მობიბინე მოლში მიწვებოდა და ფოთლებში ასხმარტალებულ მზის სხივებს თვალმოჭუტული შესცინებდა. სიცოცხლით დამუხტულ სამყაროში ღვთაებრივი შუქი ეფინა ყველაფერს.

არა, რაღაც მფარველობდა პატარას. რა იყო ეს, დედის ნათელი თუ ამის უღალატო არსება. დიდი ამბავი თუ წამით სუნთქვა შეწყვიტეს. ხელიც უბრალო გატოკებაც კი საკმარისი აღმოჩნდა მათ გასაცოცხლებლად.

დღეს კვირა ემატებოდა, კვირას — თვე.

ბუტუტის, წარმოსახვით სულჩადგმულ ადამიანებთან ტიტინიც რომ ყოფნიდა, ახლა ჟინი ანთარიასთან მეცადინეობამ მილევადი შებინდების დიდებულება დაანახა. სიბრძნის ძალა აგრძნობინა. მშვენიერისა და ამაღლებულის რაობაში ჩაახედა. მზე და მთვარე აფიცებინა. ზარატუსტრას ქადაგებით აჰურა მაზდა ახლოვინა. ბევრჯერ ამაღლა ცათამდე. მოედინებოდა მასწავლებლის წარმოდგენები სხეულზე, მოძრაობაზე, ფარდობითობაზე. ასე რომ, ბიჭს ჯერ კიდევ რიგინაად ვერ დაედგინა ოსტატის ცოდნის მასაზრდოებელ-მარწყუოელი წყარო. ვერ გაერკვია სატანჯოელის სიბრძნე საიდან იღებდა სათავეს. როგორ გამოისახებოდა სიტყვებით. რანაირად შემკვრივებულიყო, წვეთ-წვეთობით თუ ერთბაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტისბუდისტოლა ოთახში ცხოვრობდა ჟინი ანთარიას წესრიგში ჩაწნული შეგირდი, საიდანაც ღამ-ღამობით ჯადოსნური ვგრიები მოცურავდნენ. ისინი აყურადებდნენ ფეხმძიდი ჭელაზგის რისხვას. ზღვებზე ახეტიალებდნენ ტელემაქეს ჭკუამრავალ მამას. ებრძოდნენ ქარის წისქვილებს და მინერვას ბიუტზე ლორდივით გართხმულ ყორნებს. წინაპართა თავისქალაში აკლდამებიდან ამოჭქონდათ და ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე ბარბაცებდნენ. ვალპურგის კლასიკურ ღამეში ინთქმებოდნენ. დორიანის სულჩამდგარი პორტრეტივით იკრუნჩხებოდნენ. იკუმშებოდნენ, ილეოდნენ ?ბაგრენის ტყავის მსგავსად. უმეტესად კი მანტუის მკვიდრი ბაბრის გამეხებულ კლანჭებს ალიგიერს წარსტაცებდა და ასე თავზეხელებშემოჭდობილი, სინიბების უნაპირო ჭენებით სათნოების თავთხელებისკენ მიქროდა.

— კი, მაგრამ რისთვის?! ჩემი სიცოცხლე ხომ ერთი კვირტია ამ მარადმთრავ სამყაროში?! რას შეეცლის, რას გადაადგილებს კენტი, თუნდაც აციმციმებული წვეთი?! — აცხადებდა ხმამაღლა ხმელეთის ბინადართა ძიძგილის მოთვალთვალე ბუტუტი — ნუთუ უმარტივესს ურთულესად სწორედ ეს წრიალი გარდაქმნის — კითხულობდა იგი და სამყაროს მიზანსწრაფულობას პრიმიტივთა ფუსფუსშიც პოულობდა. ტანს იყრიდა. გასაოცრად იმახთოვრებდა ყოველ სიტყვას, ყოველ ფერსდა ბგერას. ო, როგორ ბედნიერდებოდა ბუტუტი, როცა წარსულს მოხდაადდა და ნათელი დღეების ასხმა კამკამა სილრმეებით შემოანათებდა. როგორ გადაჰკრავდა მათ ოქროცურვილი ბალეტისა და მინდვრების ფერი?! ო, რა ტკბილი იყო ყრმობის წლებზე ყურის მიდება?! მაგრამ ჟინი ანთარია უმალვე გამოარკვევდა. მის სულს ქანდაკებასავით ძერწავდა. ნაკადულს გაჰყვებოდა ლოყაზე გასრიალებული უნე-

ბლე ცრემლი და მიუხედავად ამდაგვარი შინაგანი თრთოლისა, მაინც ზეიმობდა, ჰჩატდებოდა. მოვლენებს უღრმავდებოდა.

მათ დაუსრულებელ კამათში სიდარბაისლე სჭარბობდა. მოწიწება სუფევდა იმ ხმაში და საუბრებში, სადაც არ უნდა გამართულიყო ეს, — ჭიანჭველების საბუდართან, კამეჩების ჯოგის ღელქაშში გადადენისას თუ სილიან სანაპიროზე ფეხშიშველა ხეტიალის დროს. მოკლედ, შეგირდი მთელი არსებით ერწმუნებოდა ოსტატის განჭვრეტილი სამყაროს სწორედ იმდაგვარ სურათს, სადაც სიცოცხლის ჩასახვა ცნობიერდებოდა, როგორც სულისთვის ხორცის მისჯა. ერთი სიტყვით, ბუტუტის ენი ანთარიას ფილოსოფიის ანი და ჰაე ზედმიწევნით აეთვისებინა. ხოლო ოდეს მასწავლებელი, შენც ბრუტუსო, გაუოცდებოდა ვითომ კეისრის გამომეტყველებით, ყმაწვილი გადაიბარხარებდა. გადაიზნიქებოდა. ქთქთა კბილებს აიელვარებდა. ჭკვიანისთვის საკმარისიაო, ჩამომარცალდა და ბრძენკაცის წინაშე მუხლებზე დაეცემოდა. გამოწვდილ ხელზე ეამბორებოდა მოძღვარს. ასე და ამგვარად, ყრმასა და მხცოვანს შორის ზღვარი წაშლილიყო. ისინი თანაბრად მსჯელობდნენ საგნებზე, მოვლენებზე.

ვინ იცის, ყოველივე ასე როდემდე გაგრძელდებოდა, მასწავლებელს ერთხელ ფოთში წასვლა რომ არ განეზრახა.

ყმაწვილი ქალაქში ადრეც ყოფილა. საჭირო ნივთებისა და სანოვაგის საყიდლად ზოგჯერ კოჩიას დამგზავრებია, ზოგჯერ სულიერ მამას გაჰყოლია თაფლისა თუ შებოლილი სულუგუნის გასაფულებლად.

საზოგადოებას მოწყალეტილი ბუტუტი, წესით, სხვა გარემოს უნდა მოეხიბლა, თუმცა მახლობლების საკვირველად, ბიჭს სწრაფად ბეზრდებოდა ქვაფენილები, მანქანები, ხალხი, უშველებელი გემები, მათი საყვირების ომახიანი ხმები. ტოლების ასკინკლა-ლახტობანა თუ ტყავის ბუთზე ფეხბურთ ერიამელი. უფროსებს სახელზე ექაჩებოდა გამუდმებით და თვალი სულ სატანჯოსკენ ეჭირა. იქ ცხადისა და ირეალურის ნაჯვარი ქვეყანა ელოდა: ისლების სისინი, ბაყაყების ყურის-წამღები ყიყინი. ჭიანჭველების შეუსვენებელი ფუსფუსით, ფუტკრების ზუზუნით, კამეჩების ყროყინით. ჩაშამბული სამარხებით, მეცნიერული წიგნებითა და მსოფლიო ლიტერატურის შედევრებით. ნამდვილი ცხოვრება „პატარა ფილოსოფოსის“ ცნობიერებას ნაკლებად ესადაგებოდა. ამიტომაც არიდებდა თავს ჭურიაში ათასში ერთხელ შემოხეტებულ გარეულ ინვებზე მონადირეთ, გაქსუებული საქონლის მაძებრებსაც, ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით ბაგი ანთარიას გამართულ ფარეხსაც და მის მკვიდრ მწყემსებს, კოლი კარდუხიას თუ ჭაჭია თუბალიას.

იმ დღეს ოსტატ-შეგირდმა თადარიგი დილაბნელიდან დაიჭირა. ბალონებით ბეწზინი მოიმარაგეს. მფი ჰალიძონხეს ჭიშკართან დაემშვიდობნენ, კოჩიას — ზღვისპირთან. მგზავრობისას განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ამაღელვებელ წუთს, როგორიცაა: თერმთან ტრიალი, ფოტოგრაფთან კოპწიაობა თუ შინმობრუნებისას სასხვათაშორისოდ ხსენებული ამბავი — აქამდე გარდაცვლილად მიჩნეული დედის, ცირა შკვითინიას, კუნთულ ოდაბადეზე ყოფნა.

სატანჯოელის გამხელილი ბუტუტმ კოჩიას რატომღაც დაუმალა. არც ამდენი ხნის მანძილზე მოტყუების მიზეზები გამოუკვლევია. იცოდა, დღეს იქნებოდა თუ ხვალ-ზეგ, მასწავლებელი ხვაშიადს უსათუოდ გაუმეღავნებდა. გარეგნულად, თითქოს არაფერი შეცვლილა. ძველებურად ვახშმობდნენ. ტე-

ბუჩი ფეტელავა
სიცოცხლემისჯილი

ლევიზორს მიაჩერდებოდნენ. მუსიაფოობდნენ, მაგრამ ვაჟის ჩასაფრებული მზერა უკვე თვალნათლივ ამჩნევდა სატანჯოელების ურთიერთობაში შექმნილ დაძაბულობას.

ორი კვირის შემდეგ მოხუცმა ხელოვნური ფიქის ნაკლებობა მოიმიზეზა.

ერთხანს ქალაქში საჭირო ნივთებისთვის იბორიალეს. ჯერ სპასპორტო მაგიდის უფროსს შეუარეს, მოგვიანებით — პროფტექსსწავლებლის დირექტორს. სანაპიროზეც ისეირნეს. მოედნის მტრედები დააპურეს. შინისკენ ისეთ დროს მობრუნდნენ, როცა ზღვა საგრძნობლად ღელავდა.

საჭესჩაფრენილი ქინი ანთარია „მეცხრე სიმფონიის“ მოტივზე ღიღინებდა. აქა-იქ ნავს ტალღს დაუჯახებდა. შეანჯღრევდა ამბოხებულ სტიქიას მიჩერებულ ბუტუტის, თითქოს მშობლების სამარცხვინო წარსულის მოსასმენად ამზადებსო და რამდენადაც მძაფრდებოდა ზვირთების მრისხანება, ხმასაც იმდენით უწევდა უკვე ფეხზე წამომდგარი „ორნასმისაკენ“. დაურიდლად აშიშვლებდა აუია აბშილავასთან თუ ხახანტი მაკრონიასთან შეკავშირების მიზეზს, მიზანს, იმ წუთებს, იმ ფერს და ციავს. უყიქინებდა ჭიქე კვეკვეს თუ კემეს სახირობით დაშინებულმა როგორ მოისროლა მდინარეში ხეიბარი ჩვილი.

— შენს არსებაში აქამდე იმიტომ ვიჩხრიკებოდი, შურიგე — გაჰკიოდა ნოეს ძე —იმიტომ ჩავკირკიტებდი შენს ქცევებს და ჩასიათს, სიეოცხლემისაკენ ალი ალის ფვიძლი შვილი ხარ. პატარობიდანვე ვაფაციცებით გითვალთვალებდი, მაგრამ. საბედნიეროდ, საღი, ჯანმრთელი შემძენიხარ. წინამძღოლად მოევლინები ადამიანებს ჩემი ფესვი. ერთიელ გამონათებულივით ივლი ასე, სულ წინ და, თუ მწარე სიმართლისთვის დაჩაჩანაკებულს მომიძღულებ, დაე, ჩემი თავი და ბოლო მეწყერს წაუღია ბეხრეკ ძვლებიანად.

ზღვა გრგვინავდა, ღმუოდა. მეტეორიან ნავს ნაფოტივით ათამაშებდა. ბუტუტი ხანია გადაბრეცილ მუხასთან მობორიალე კოჩია შენიშნეს, მაგრამ ჭალიძონიასთვის ახლა არც ბუტუტის სცხელოდა და, მით უფრო — ქინი ანთარიას.

—ორფერი! ორფერი! — წამოიყვირა ბიშმა და ოსტატის გასილაქება რომ არა, შესაძლოა კიდეც აქვითინებულიყო.

— ნურას ერჩი ჩემს თვალისჩინს! — გალახული ძაღლივით შესწკავწკავებდა ტუჩმოკმული ბიძას კოჩია, თუმცა, არამკითხე გამშველებელს ქუსლები მიაზილეს და ამოყირავებული ნავის სიახლოვეს, ნაგავში შეკვეხეს.

მოულოდნელმა სიმართლემ ბუტუტის ჰაერივანი კოშკები უმოწყალოდ ჩამოუნგრია. ლოდების ზვავში მოჰყვნენ არა მარტო გაჭოგონილი სახეები, არამედ კოჩიაც, მაფა ჭალიძონხეც და თვით ქინი ანთარიაც კი. ბინდისფერმა სძლია ანკარასა და ლურჯს. ყმაწვილს უკვე ადრინდელივით არც ფსკერმოკენჭილი ნაკადული ხიბლავდა, არც — „ალიონის ბაუბედავი თითები“. აკაციის ტევრში მოჩვენებითად გათხრილ სოფლავებს ხომ წარმოსახვაშიც და ცხადშიც ირონიით მიაჩერდა.

საღილობდნენ. სატანჯოელს ჯორომგზიდან შვილის უმტკივნეულოდ გახეხვნა ეწადა. ამიტომაც სასმელ-საჭმელს „ლუმინალი“ მალულად მოაპნა.

რაქიტიანი სიმხნევის მოსაკრებად სანთლის არაყს დაეწაფა. მალე ბიძა-ძმისშვილს მთქნარება აუტყდათ. ძილი ბუტუტის ქუთუთოებსაც ათასი ბრჭყალით წაებღაუჭა.

სატანჯოს აკლდამები აქ მთავრდებოდა. ახოსთან ნაკადული მოჩუხჩუხებდა.

წვეროსანი მარჯვენა ხელით ნავის თოკს ბღუჯავდა, მარცხენათი — თვალმამრეულ ახალგაზრდას ეხუტებდა.

ჩამავალ მზეს ტალღები გ დაეწიოლებინა. ყველაფერი მანათობელს ეპოტინებოდა. ხარ-ირმის რქების ჯახანით ულრანები უკან რჩებოდნენ. თვალები

ებლანტებოდა ბუტუტის, მაგრამ დაინში გახვეული სანანები სისხლს მაინც უჩქროლებდა. ნეტარებით აღიმებდა. მის სულში კოჩიას საუბრებით შემოჭრილი მახარეს კუთვნილი სივრცე უკვე სულ სხვა პიროვნებამ, ყინი ანთარიამ დაიპყრო და დღეების წინ ყოფნა უსაშველოდ რომ ეჩვენებოდა, ახლა საფეცარი მასწავლებლის ღვიძლ შშობლად გარდაქმნა. ათმაგად ასხივოსნებდა. თითქოს ყმაწვილის ცნობიერებაში რაღაც შექანდა და გაშლილი ნიკორიდან. აქამდე ფარულმა მარგალიტმა გამოაშუქაო. ამირიდან იშვიათ განძს პატრონობდა, რომელი საუნჯეც მარტორობისგან ათავისუფლებდა. ხალხისკენ უბიძგებდა. საკუთარ ბედისწერას კოსმოსური სიმაღლიდან ანახებდა.

მოტორიანმა ნავმა კუდი მოიქნია და მოლივლივე ზღვაზე გასრიალდა. ზვირთებში ჰაძირვამდე მათრახის ტარი აკლდა მზეს.

ერთხანს ყინი ანთარიამ ბეტონის ვეება დამბებთან დაახანა. ნავს ბრეზენტის შალითა გადაეფარა. დაიბოქლომა. დასავლეთის უკანასკნელ მაჯისცემას დაუცადა. მერე ღრმა ძილით გათანგულ მემკვიდრეს იღლიაში ხელი ამოსდო და ნაპირნაპირ აციმციმებულ სასტუმროსკენ წაბორძიკდნენ.

მეორე ღილით ქუჩაში გამოსული ყინი ანთარია სიხარულისგან თითებს იმტვრევედა. მარილით გაღღენილ ჰაერს ხარბად შეისუნთქავდა. მოვლილ პარკში უმიზნოდ დაბორიალებდა. მერე სიშმაგემ გაუარა. დაცხრა. დაწყნარდა. მძიმე ნაბიჯებით ატელეფსაკენ გასწია. ტანმორჩილ მკერავს კოსტიუმები გამოართვა. დახლქვეშ იმპორტული ფეხსაცმელი ორმაგ ფასში იყიდა. ბერძენი მეზღვაურისგან ჯინსის შარვალხალათი და „ბოტასები“ შეიძინა. საკომისიო მაღაზიაში — იტალიური ზუსტგჩანთა. ყველაფერი ნომერში აიტანა. საღამის ძილით შეპყრობილი ვაჟი ალერსით შეათვალიერა. მორიგეს, ხელების გაშლით, რას გაუწყობო, ანიშნა. ისევ დაუშვა კიბეებზე. ჯერ პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორს შეუარა, შემდეგ — სპორტო მაგიდის ახლომხედველ უფროსს. შემნახველ სალაროსაც მიაკითხა. მოგვიანებით რკინიგზის სადგურში საერთაშორისო ვაგონის ერთი ბილეთი აიღო და სავარძელში მოკალათებული სასტუმროს აივნიდან მოხახსოვ დასალიერს მიაჩერდა.

როდესაც ბუტუტის გამოეღვიძა, შუადღე კარგა ხნის გადასული იყო.

უსიტყვოდ წანაყრდნენ. ლუკას ჩაციებული ლუდი მიაყოლეს. ისხდნენ პირისპირ და ერთმანეთს ლმობიერად, გამომცდელად უმზერდნენ.

უცვებ ყინი ანთარია სკამიდან გადაიწია, ხელჩანთას წაეტანა. ელვასაკრავი ბოლომდე გაასხრიალა. მაგიდა იდაყვით მოასუფთავა და ზედ მიყოლებით დაალაგა პასპორტი, დამადებისა და სამხედრო მიწერილობის მოწმობები, შემნახველი სალაროს წიგნაკი, წარჩინების დიპლომი, კომკავშირის მანდატი, მუყაოს ცისფერი საქაღალდე და ბოლოს, მატარებლის ბილეთი.

ბუტუტი საბუთებს ფურცლავდა და გული ბაგა-ბუგით უცემდა.

— ციდან არ ჩამოცვენილა — დაიწყო სატანჯოელმა — სულ პირველად სასწავლებლის დირექტორს დავუახლოვდი. საშარო საქმეაო, მეეჯერა, მაგრამ თუ მანეთი დამიფასა, ხუთი გავუნაღდე და თვალისდახამხამებაში მოვათვინიერე. შენი სახელი და გვარი საღრიცხვო ჟურნალში სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ შეჰქონდათ, ოღონდ ბუტუტი ანთარიად კი არა, გიორგი ხანთარიძედ. სხვანაირად ვერ მოხერხდა, რადგან ანთარიას სიის ბოლოში მოხვედრა სიყალბეს გამოაშკარავებდა. ხოლო რაც შეეხება გვარის ძეზე დაბოლოებას, ეს უკვე ჩემი დამსახურებაა! ეჰ, სახელი რაა, მაგრამ ზოგადქართული რომ დაგანთლე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, სრულიად ახალი შთამომავლობისთვის ჩაგეყარა საფუძველი — მოხუცმა მღელვარების დასაფარავად გაბებღილი წვერი რამ-

დენჯერმე მობრუკალა — აბა, რა მექნა?! ჰალიძონიას ან ანთარიას გვარით ხომ არ ივლიდ ოდაბადელების საქილიკებლად. ნუთუ არ კმარა რაც მე გავეწამე. ვერ მიართვეს! სადაც ტკბილი სიტყვა გამიკუდდა, ფული შემოვიველე, ფული — ჯოჯოხეთის გამნათებელი, რომელიც ხან ოდაბადელების შემსარგებლად გამინიავდა, ხან ლაბორატორიის შესაძენად და ექსპერიმენტებისთვის, მაგრამ ხომ თქმულა, ზღვათაცა შესდის და გაედინებისო. ამ ექვსნაწნა ციფრს შეხედე, სხვა თუ არაფერი, არაბული ჯიშის ერთ ბედაურს მაინც გიყიდის, როგორი ბედაურიც შარშან დაბადების დღეზე საჩუქრად მიართვეს თურმე სტავროპოლელმა მეცხენეებმა კოჩიას, ძმისშვილს, ხანტურ ჰალიძონიას.

ასე იყო თუ ისე, თითოეული ფურცელი ბუტუტის არსებობას ადასტურებდა. ის უკვე სრულუფლებიანი მოქალაქე იყო, საზოგადოების ნამდვილი წევრი, დავით ხანთარიძისა და მარიამ სეპტუაშვილის მემკვიდრე, გიორგი ხანთარიძეო! ... ბუტუტ...

მშობელმა პირმშოს საბუთების დათვალიერება ადროვა. აცალა ვიდრე ნეტარების ალმური გადაუვლიდა, ვიდრე მოამაგე მამას აწყლიანებული თვალებით არ მიეჩერდა. [illegible] ანთარიამ ძეს ხელი ხელზე დაადო და ხავერდოვანი ხმით გაანდო:

— ზუსტად ათი დღის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი შეუდგება მუშაობას — უხსნიდა, თან თითებს საქაღალდისკენ მიაპარებდა — შენ კი, შვილო, ჩემო, ამ მონოგრაფიის რეზიუმეს წაკითხვა გევალება, რაც ერთიორად დაიჩქარებს მისი გამოქვეყნების საქმეს. ტექსტი ყოველმხრივ მომზადებულია — ანოტაცია, შესავალი წერილი, სქოლიოები...

მართალია, ბევრი შევცოდე, გავწამე ახლობლები, საკუთარი ხორციცა და სულიც, მაგრამ მომავლის წინაშე თავაწეული შენით ვდგავარ. არ მეშინია ამისი ხმამაღლა გაცხადების. ზოგადო საქმეთა უკეთ გამგრძელებელი შეგქმენ, ხო, შეგქმენ, როგორც დედალოსმა იკაროსი. მამას რომ ჩაუტყდა, იმ კიბის საფეხურებს, მჯერა, ძე აერიდება. მჯერა, სიკეთისთვის ალმოდებული სანთელივით დაიწვება იგი, რადგანაც წინამძღოლისთვის კი არა, თვით ძე შეცდომილისთვისაც არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვინმე იცხოვრო ადამიანებისთვის, იბრძოლო ადამიანებისთვის, მოკვდე ადამიანებისთვის.

მოსაუბრე გაჩუმდა და წამებაგამოვლილი თვალები ისეთი სიანკარით შემოაგება, ბუტუტის გული შეეკუმშა. მოეჩვენა, თითქოს ისინი უკანასკნელად ანათებდნენ.

ასე იყვნენ ერთხანს, ვიდრე პორტ მოახლოებული გემის ბარიტონმა ჰაერი არ შეარხია და თითქოს ნიშანს უცდიდაო, სატანჯოელმაც მოტორიანი ნავი აქოჩრილ ტალღებზე გაასრიალა. პირმშოს ახლოდან ერთხელ, ერთხელ მოხედა მოხუცმა, მერე სიჩქარეს უმატა. სილაკვარდემ ნელინელ შეიწოვა სიცოცხლემისჯილის აცახცახებული მხრები.

დასავლეთით გადახრილი მზის ძალუმი მცხუნვარებით გათარანებულ ასფალტსა და ქვაფენილს ბუღი ასდიოდა. ცაზეც კვამლისფერი ღრუბლები გროუდებოდნენ.

— მატარებლის გასვლამდე არ გინდა გაძლო?! — ჩაილაპარაკა ბუტუტიმ და ხეძის მოაჯირს ორთავე ხელით ჩაეფრინდა.

მგზავრი მოქუფრული რიონის ყელში ძვალივით გახირული მეჩიჩებს უთვალთვალებდა. უცებ მისი ყურადღება მოძრავმა ბალახებმა მიიპყრეს. წვავ იქნებაო, გაიფიქრა ახალგაზრდამ, მაგრამ როცა სანიშნო წერტილს მზერა გაუმახვილა, აშკარად გაარკვია ჭრელი კატა, რომელსაც კნუტისთვის კბილები ჩაეკვლო და ყვერში ფრთხილად მოაბიჯებდა. დედასავით ხატული უსუსური თათებს საცოდავად ამოძრავებდა.

— ეტყობა ვილაც უსულგულოს ენტები წყალში გადაუყრია — თქვა ხანთარიძემ.

შეკოწიწებულმა სურათმა მგზავრი ერთიანად შეაძაძაგა. მოაჯირს სწრაფად მოსცილდა. სანამ კატა ცინდალს სამშვიდობოს გაიყვანდა — გაასწრო, თუმცა გზადგზა სულ ნანახი უტრიალებდა თვალწინ. წარმოიდგენდა მშიერს, გაწუწულს გვერდით როგორ მოუწვებოდა დედა. ჯერ კიდევ თვალგაუხელელს რძით რანაირად დააპურებდა. სხეულით რარიგად გაათბობდა, ანდა, საჭიროების შემთხვევაში, რა შემართებით დაიცავდა მტრისგან.

ჯილგის გადასარჩენად სტიქის შერკინებულმა ძუმ ყმაწვილს ბავშვობის წლები გაახსენა. მახარე, შვილოს, მოთქმით თვეში ერთხელ მაინც ენგურს გალმა მოვიშვიშებული „შვილწართმეული ანას ანრდილი“ ამოუტივტივა, რომელსაც კოჩია თოფს ბათქა-ბუთქით შეაშინებდა. მერე შებინდებაზე, როგორც კი მიკოტი აკვლდებოდა, ანა კიკის, ანა კიკისო, იტყოდა ყოფილი მამამისი.

ახლაც ჩაწვდა ბუტუტი, ის მოზარე ქალი ვინც იქნებოდა. „დაწყეველილ ადგილებში“ რა ენდომებოდა. შესაბრალისად რას მწუხარებდა. სრულიად სხვადასხვა დროში განფენილი ორი სინამდვილე — ჯრელი კატის თავგანწირვა და დაკარგული შვილის მაძებარი ანას ანრდილი, ანაზდეულად შეირწყა.

— თბილისამდე ბილეთს ხომ არავინ ინებებს?! — ჰკითხა მანისალარასთან შეჯგუფებულ ხალხს და გამოშვერილ ხელებთაგან უახლოესს ანგარიშიუცემლად მიაჩერა. ბედნიერმა მყიდველმა ბილეთს საკმაო ხანს უკირკიტა. ნაჩხვლეტს გახედა. პატრონის სანდოობა შეამოწმა. ბუტუტის სხვა ვითარებაში საფასური შესაძლოა არც კი გამოერთმია. მისთვის მომჭირნეობის გრძნობა უცხო ხილი გახლდათ, მაგრამ ჯიბეში შეუმოწმებლად ჩაკუჭებული ფული ყმაწვილის გადაწყვეტილებას ჭეშმარიტების ბეჭედს ასვამდა.

დამოუკიდებლობის სიტყვა პრეზიდენტად ოგმა. დიახ! თავისთავადი იყო! სატანჯოს სამპოხებრისგან თავისუფალ! კოჩიას ყბედობისგან, ოსტატურ-ძმის ცოდნის არტახებისგან თავდაღწეულ! ეს ალმოჩენა აჩვენებდა. ის, რაც ბუტუტის პიროვნებაში წლების მანძილზე წრთვნამ ჩამოაყალიბა, არსებითად შეაოყია შმორიდან წელამოთრეული ძუს თავგანწირვამ.

სასტუმროს ნომერში განმარტოებული სარკმელში ზანტად მოკურავე ღრუბლებს უმზერდა, თან ოდაბადეში მოხვედრის ხელსაყრელ საბაბს ეძებდა, ისე რომ, დედისა და „უბედური უფროსი ძმების“ რაობაში ძირფესვიანად გარკვეულიყო ვინაობადაფარული.

თავი ხან ექიმად წარმოისახა, ხან — კორესპონდენტად, ზოგჯერ ფეიმწერის მოლბერტს დასწვდა, ზოგჯერ — ფილალორისტს მაგნეტოფონს, აქეთ ხათელმხილველის მანტიაში შეძვრა. იქით — მაწანწალას ძონძებში, მაგრამ თოთო ნაკლი არჩეულ ყოველ პროფესიას აღმოუჩინა. ბუტუტის ფიქრი ზუნაქარით დაძრულ ღრუბლებს ვერაფრით დაეგზავა.

ძალმა თვალთმა ფიქრებში დასტყუა ბუტუტის.

სიზმარიც უჩვეულო ეწვია. ტრიფოლიატას ოსტატურად მოწნულ, ცასაწვდენილ ცოცხალ ღობეს ხედავს. მწვანე კედელი იმდენად ხშირია, კაცი ნემსსაც ვერ გაძვრენს. გალავანს შესასვლელი ერთადერთი აქვს. ბჭე სამახსოვრო ამითაც არის, ერთდროულად მტრედი და ყორანი დაუტყვეებია.

— არ მომეკარო! — წვიის პირველი და ეკლებს ეხეთქება.

— მიშველეთ! — ყრანტალებს ყასიდად ძირს ფრთადათრეული ლეშიკამი.

ხანთარიძე გაორებულია, გაწონასწორებული. მარჯვენას მტრედისკენ წვდის, მარცხენას — ყორნისკენ. ერთი ლაჟვარდისკენ ეწვევა, მეორე — ჭაობისკენ. ეკლებს უვიროვესი თვალე-

ბი სიხარულისგან უბზინავთ. უკვე მოლით დაფერილ მინდორზეა. ბალახების ძირებიდან დაჩრჩილული ცხვრები ჰაერს შემზარავად შეიყნოსავენ. წაკითხულ-დან ახლოს თუ ნანახიდან ვერ განუსაზღვიათ. გარედანაც ყურისწამლები ერიამელა.

— შენც აუტუტ! — ესმის დუდღუნი.

უნდა აქაურობას რამენაირად მოშორდეს. ცაში მოფართხალე მტრედს გაჰყვეს, მაგრამ ყორნიც თავისას ცოდვილობს. გამოძებნა სათმაშო დრო! ბურთის გადმოდებას იხვეწება. ხედავს სფერო მორიელსპოლოებიან ტრიფოლიატას რანაირად გადმოვვლო. ლურჯი. წითელი. ყვითელი. შავი. თავს უხვევდრებს ულან მისაბრუნებლად, მაგრამ მაცდუნებლად მობრუკვიალე სფერო ქვა აღმოჩნდა. კეფა ჩაელწა. პირი მოტკბო, თბილი სისხლით ევსება. არა, ამ განცდას შიში როდი ახლავს, არც რაიმე წყენა, ოღონდ ესაა ლოდის ფარულ ფეთქვას აშკარად გრძნობს. ცხადად ამჩნევს — მისი სისხლით რანაირად იკვებება. აქვე მტკივან თავისქალაზე მდედრის თაკარა ხელისგულის შეხებაც უტყუარია. ქომაგის დანახვა სწადია, რომელიც ახლა წკვარამ ღამეში აყვავებული იასამნის სურნელით შეიგრძნობა. რატომღაც მიანნია ზურგსუკან უდაბნოსმაგვარი სირთხეა, ან იქნებ სულაც „ყელგამოდგული მზით მოთხრილი ზღვა". ასე თუ ისე, დაბეჯითებით სჯერა — კვდება. ვიღაც უხილავი ქალის თანდასწრებით, მტრედითა და ყორნით ზესკნელ-ქვესკნელისკენ დაძრული სადაცაა მისხვაფერდება და ყველაფერს რომ მოვეშვათ, უკვე ეს გარდასახვა ნეტარებისაა. ასე მოძრაობს სილა ქვიშს საათებში. ეგეც რომ არა, ახლახან ზურმუხტისფერი ლოდი გაჯიგრილ ფრებულა. შესაძლოა სფინქსის დამსხვრეული სხეულისაგანაა. მის თვალწრე იეროგლიფები გარბიან. მათ სალამურის ბგერები გამოსცემენ. ყოველ ასო-ნიშანში საკვირველად ერთიანი მოძრაობს, ერთიანი სულდგმულობს. ამ აღმოჩენით სუნთქვაშეკრულ ასკვნის, რომ თითოეული ცფერი ერთისგან გაქცევაა, სხვადაქცევის, სხვადაყოფნის სურვილია. აღმაცური მზერით საღდუმლო წარწერებს ამახსოვრებს. უსასრულო ხარისხის ფესვის ნიშნის ქვეშ ელვისებური სისწრაფით ენაცვლებიან ნატურალური რიცხვები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა დამაბმაववები სინათლე და ისევ თავიდან. ტოლობის ნიშანი კი სრული სიჩუმეა. ბუტუტის სიკვდილზე მეტად ეს დუმილი აშიშებს. სულ იმას ცდილობა, მოჭუტულმა თვალმა ტოლობის ნიშნის ხელმარჯვნივ, თარაზული რვიანის ნაცვლად ერთიანი არ დალანდოს. ზღვის ნაპირას ბავშვატაბტებული ქალი ვარბინ. ზოგჯერ ჰაერივით გამჭვირვალე, ხან კიდევ ჰარმონიული კონტურებით გამოსახული. ამასობაში ქანცგაწყვეტილს წამით მივიწყებული ფორმულაც ახსენდება, მაგრამ იქ არც უსასრულო ხარისხის ფესვია, არც ნატურალური რიცხვების კანონზომიერი შენაცვლება. მხოლოდ ტოლობის ნიშანია, რომლის ერთ მხარეს დედამიწა საათის ისრის საწინააღმდეგოდ ბრუნავს, ხოლო პასუხის ალაგას მუშა ჭიანჭველები დამსხვრეულ ფრთებს ახვევენ. უმატებენ და უმატებენ. უფრო ხანდაზმულები კი ცისკენ წარგზავნილ წყვილებს მოუთმენლად ელიან.

გამოღვიძებულს ტორშერის შუქი ეცოტავა და სამნათურიანი ჭაღიც აანთო.

მერე წუთს საათი გადაება და საათს — დღე, მაგრამ სასტუმროსა და რკინიგზის სადგურს შორის ბუტუტი წინ და უკან არც უჩვეულო სიზმარს უტარებია, არც ყინი ანთარიასთან განშორებას და, მით უფრო, გადია-მამბილის უნახაობას. ეგონა დამოუკიდებლად იარსებებდა. ახალ კალაპოტს გაკვალავდა. გარეგნულად თითქოს მიმართულებაც შეიცვალა, თუმცა ყოველივე წინასწარ ნავარუდევი, უზუსტესად გამოანგარიშებული აღმოჩნდა.

ოსტატს მონოგრაფიის სატიტულო ფურცელზე **Formica rufa** წოდებული ფანქრით გადაეხაზა და „როგორც ასეთის“ წინ, იგივე ფანქრით ოდაბადე ჩაეწერა. ასე რომ, უკვე სათაურშივე მეტაფიზიკურ ნაწარმოების თვისებრივი ნახტომი — ბუნებისმეტყველების ხასიათის თხზულებას ფილოსოფიური აღნაგობა და შინაარსი შეეძინა.

ადრინდელი გამოკვლევიდან მხოლოდ ძირითადი — ჭიანჭველების ფრთაშესხმის პროცესი და მასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური ცვლილებანი დაეტოვებინა. იგი უზოგადოეს პრინციპებში მოიცავდა ოდაბადეს, იგივე სამყაროს, აბსტრაჰირებულ ისტორიას. უფრო მეტიც, როგორც გამოკვლევის წინათქმა ჰპირდებოდა მკითხველს, მასში ჭეშმარიტებასთან წილნაყარი სამყაროს ჩონჩხი აწ და მარადის აღსდგებოდა. ნაშრომს ენობრივ ქსოვილი ჰეგელის „გონის ფილოსოფიასთან“ ანათესავებდა, სტილი — არისტოტელეს „პოეტიკასთან“. თხზულება ხუთი თავისგან შედგებოდა. პირველი თავი სამყაროს მექანიკურ მდგომარეობას ასახავდა. ამიტომაც იყო იგი ყველაზე მოკლე და ლაკონიური. მეორე თავში ფიზიკური მოვლენები განიხილებოდა. ეს თემა ორ ნაწილად იყო წარმოდგენილი. მესამე განაკვეთში ქიმიური პროცესები შუქდებოდა, მეოთხეში — ბიოლოგიური და სულ ბოლოს, საზოგადოებრივ ფორმაციებს, ურთიერთობებს. თითქმის წიგნის ნახევარზე მეტი ეთმობოდა. „ოდაბადე, როგორც ასეთის“ მიხედვით ადამიანის ანატომია, მისი ორგანიზმის ეკოლუცია მაკრო და მიკრო განზომილებების კვეღლით შუქდებოდა. სამყაროს სატანჯოელი ადამიანთან აიგივებდა. ამდენად წამოწეული იყო რეალური და გონითი სივრცის იდენტურობის საკითხიც.

მონოგრაფიის სიღრმეებს ზიარებული ბუტუტის ღამ-ღამობით ხან კაცისტოლა, გაადამიანებული ჭიანჭველები ესიზმრებოდა, რომლებიც ქაჩალ-ბოლრასკენ მიათრევდნენ, ზოგჯერ ადურესობამდე შეკუმშული, გაჭიანჭველებული ხალხი მის გამოხრულ თავისქალაში მიმოდიოდა. **Formica**-სა და **Homo**-ს განზომილებათა გაწონასწორებას ლამობდა.

ეღვიძებოდა ჭირის ოფლში მცურავს. გემების ანძებს მიღმა ჩამუქებულ სივრცეს კრთომით მიაჩერებოდა. მახლობლად მოედანი ციმციმებდა. ბუტუტავდნენ ნისლშეცურებული ლამპიონები. ჩირაღდნებისგან მოშორებით „ოდაბადე, როგორც ასეთიდან“ წამომართული სილუეტები დაფარფატებდნენ. წიგნი ბედისწერასავით ექცა, ვინაიდან დარწმუნდა, ყველაფერთან ერთად, მისი ხორცისა და სულის ბიოგრაფიასაც ასახავდა. ამას ბუტუტი გაუცნობიერებლად ჰაშინაც ბრძნობდა, როდესაც მეცნიერი აღსაზრდელის კუჭის წვენის, სისხლის თუ შარდის შემადგენლობას ელექტრო-მიკროსკოპით უკრკოტებდა. მიზდა — სიეოცხლემისჯილი, იგივე ატომებისა და მოლეკულების გროვა, ბიოლოგიური მასა, გამოგონილი ტუუპისცალი მაბარე კი არა, თვითონ იყო, რომელსაც დედალოსის მიერ ფრთამომართულ იკაროსივით მერამდენე წელიწადია აგროვებდნენ, აკოწიწებდნენ, ხვეწდნენ. უსიყვარულოდ შექმნილს დღენიადაგ წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ. ხან დადებითი, ხან უარყოფითი ემოციით მუხტავდნენ. სასურველ ფორმას ანიჭებდნენ, მაგრამ თუ საქმე მოითხოვდა სულაც უსხეული ენერგიად გარდაქმნიდნენ.

კატის დედობრივი ინსტინქტით გამოწვეულ ომპუოლს წაკითხულმა მიზანიც შესძინა. ხანთარიძეს საშინლად მოუნდა საკუთარი პიროვნების განსაზღვრა, დადგენა, გნებავთ, დამკვიდრება, რასაც ოდაბადელებთან ურთიერთობა ისეთნაირად სჭირდებოდა, როგორც თვესლის გაღივებას ხელსაყრელი ჰუმუსი.

დედულეთისკენ გასამგზავრებლად სამზადისს, მარტობის მეოთხე დღი-

დან შეუდგა. სპორტიული მაღაზიები მოათვალიერა. სპეციალისტების რჩევით სარკეანი ფოტოაპარატი შეიძინა. რამდენიმე სიმძლავრის ობიექტივთან ერთად ექსპონომეტრიცა და სხვადასხვა მგრძნობიარობის ფირიც იყიდა. მერე ფოტოატელიეში აპარატის მუშაობის პრინციპები გულდასმით შეისწავლა. აქვე სასინჯი სურათებიც გადაიღო. ნაშუადღევს „ოდაბადე, როგორც ასეთის“ ტექსტი მბეჭდავ-მემანქანეთა ბიუროში მიიტანა. ღამით სიზმრებს ეომა. დილით — სასტუმროს ნომრის ფულის გადასახდელად ადმინისტრატორს ჩააკითხა, მაგრამ ვიღაც ღვთისნიერს მისი ლუქსში ყოფნა კიდევ ერთი კვირით გაეხანგრძლივებინა. ტაქსში მოკალთებულმა გზად მესურათეს გაუარა. ფერადი ფოტოები გამოართვა და გათარანებულ შუადღეს ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრათან, ჩხოუშიას ხიდს აქეთ მიუსწრო.

გაზეთის ნაფლეთებით, მტვრითა და დარდუბალანით წარყვნილ მომცრო მოედანზე, იგივე სახალტუროზე შეყოვნებულებს მგზავრები მოაწყდნენ. დაფაცურებულ ხალხს ხანთარიძემ გამოღებული კარიდან აუხსნა სათაკენაც მიდიოდა.

— ოდაბადეში მიხვალთ, შემოგვეღლე?! წამოყვანეთ რამენაირად! ვერ ხედავთ, ზეზეულად დავიხრუკე ამ დასაწვავ ალაგას?! — შავოსანი დედაკაცი მეტოქეებს ასწრებდა და ვეება პარკს მოათრევდა.

ყმაწვილმა ჩაიჩოჩა და ასაკოვანი ქალი სალონში შეუშვა.

— შვილო, მტვრიანი არ გეგონოთ, მანქანას არ დაგისვრით — ამბობდა, თან ტვირთს ფეხებს შორის მოხერხებულად იმწყვდევდა.

— იქნებ ინგირამდე წაგვიყვანოთ — სთხოვეს აქა-იქ.

ბუტუტიმ კიდევ ორი მანდილოსანი შემოიკედლა და ტაქსიც მაშინათვე მოწყდა ადგილს.

ძაძებიანი ქალი ოფლიან სახეს ხელისგულისოდენა ცხვირსახოცით წარამარა იწმენდდა. სადაური ხარ, შვილო, ჰკითხა, როგორც კი სულ ... ითქვა.

ყმაწვილმა სალიტერატურო ქართულით ფოტოგრაფობაც აუწყა, თბილისელობაც, საყველპური მეგრული ცოდნაც და კოლხეთში სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად საჭირო ფულის მოსაკუჭებლად ჩამოსულაც.

— ჩემს გულში, შვილო, დღესაც წვიმს და თოვს. მიალერსება რომ არ დამცალდა ისე, ოთხი თმაქოჩორა ვაჟი ხელიდან წამგლიჯეს. ცრემლიც შრება თურმე! ვაი, თქვენს დედას, რომელი მიწა გჯამთ! სურათების გადიდება შეგიძლიათ?! — ჩაეძია გვარიანი დუმილის შემდეგ. — შვილო, შენ ისაუბრე, ქართულად, ყველაფერი მესმის, ვერ ვლაპარაკობ თორემ. — ეუბნებოდა ბუტუტის მშვენიერებით მოხიბლული. გულში მისი დედის ბედს ნატრულობდა. ყმაწვილსაც მშობლიური სიობო ენით აღუწერელ გრძნობას აღუძრავდა. დამნაშავესავით მიაჩერდა ხანთარიძეს, ოდეს ლეჩაქის წვერი თავსაფრიანმა დედაკაცმა თვალთაგან წამოგორავებულ კურცხლს მალულად მიაშველა.

ევკალიპტებისა და გორილასმკლავებიანი ნაძვების ქარსაცავ ზოლში მიქრიდნენ.

— ეს ქვეყანა თქვენია, შვილო! ჩვენნი გაჭირვება ღმერთმა გაშოროთ, მაგრამ მთლად ასეც არ ივარგებს. ცოტა მეტი მოხედეა გვჭირდება დედებს, სოფელს. ჩვენი მონდომება გაკლიათ, შემოგვევე, თორემ უქონლობის უღელს ქედიდან ... ...ქამდისაც გადავიგდებდით. ჩემს ქმარს ჭოფია ჰქვია, გვარად ანთარიაა. შვილიშვილებმაც წამოგვისწრეს, მაგრამ რად გინდა?! იქნებ თქვენ გამაგებინოთ, შვილო, სად მიდის ეს ქვეყანა?! ქალიშვილებმა კაბები ისე დაიმოკლეს, ყველაფერი რომ არ გამოიჩინონ, სხვა გზა არაა. ბიჭებმა დედაკაცურად მოუშვით თმები. მოწამლულია ჰაერი, მოწამლული. იცით, შვილო, ქინძი რომ ქინძია, არც ის ხა-

რობს ძველებურად. ჩვენს უფროსებს დაეხსენ! მათგან ხეირს ნუ მოელი. აგერ არდაშელ ჭალიძონია! ვერ აიგსო მისი გასახეიქი პირი და მუცელი. მამისეული თხილნარი რომ გააჩანაგა, ჩვენსას არ გააცწრობდა მიწასთან?! „სხვას დაინდობს რძლის გამბახებელი? ცირნბიას ბიჭის შიშით თვენახევარია რაც შინიდან ცხვირი არ გამოუყვია, დარიხინაობდა, მაგრამ დაემართა შესაფერისი. არის საკადრის დღეში. აბა, როგორ ეგონა, შერჩებოდა საცოდავი ბაღანას ამოჩემება! იმისი დედა სულელი და უსისხლო ძმადსაკადრის მაზლს ძუძუებს გადმოუყრიდა. არ ერჩივნა საწყალი კოჩიასთვის ეპატრონა. არ ვიცი. ეს საქმე როგორ დამთავრდება. ურჯულელია ყვაბანი, გამოვა შინიდან არდაშელი და, უნახავ ძმას ეფიცავ, ღორიანი დავკლავო, დაიბღვირება თურმე". წმინდა გიორგ, სქან ოროშ გოლვაფრო, სი დეფარი ჩქიმ ყურუ მოთალეფი!!

ჭოფიას ცოლს თვითონაც უკვირდა ასეთი სიფრთხილით რა ასაუბრებდა. რისთვის მალავდა „სამიწე არდაშელის" ,ბინგამოკეტვის მიზეზს. ან პირიქით, რატომ უხატავდა სოფლისგან ზურგშექცეულების სამდურავს. მათი გაჭალაქების სიბაბს. რამ, რამ გაამთარხებინა მუჭა წურბელები. რამ დაადანაშაულებინა ისინი უგზოობაში, ხიდის უქონლობაში. რომ არავინ პატრონობდა გაპარტახებულ კლუბს, სასადილოს მიბრწყინ ლატაკს, კოჩია ჭალიძონიას მაღაზის დაობებულ ჭერს.

ჩაკეტილ შლაბაუმთან ორთქმავლის მანევრებს ინგრეულებმა ვეღარ გაუძღლეს. თანამგზავრებს თავაზიანად დაეშვიდობნენ და მანქანების საყვირთა გამაყრუებელი ხმაურის მიუხედავად, შაოსანიც ენაწყლიანად ალაპარაკდა:

— ჩემს ბაგის თუ დაუჯერეს ოდაბადელებმა, არ წაგებენ, ღმერთმანი! მართალია, ახალგაზრდების უმეტესობა ჯერ კიდევ ალმა-დალმა დაბოდიალებს, ბუთის დასდევს, ნარდს აყოლარუნებს ჩრდილში მოკალთებული, ან ცეცხლავენ არაყს და უხეთქუნებენ მერე ერთმანეთს ხან მუშტს, ხან — კეტსა და მესერს, მაგრამ ჩემი სიკვდილის დღის დადგომასავით მწამს, ხვალ იქნება თუ ზეგ, ყველა ერთად, დიდი, პატარა, გამოჰყვება. ხალხს აქა-იქ გამოცოცხლება დაეტყო. აბა, რისთვის დაღვარეს სისხლი ჩემმა ბიჭებმა?! რისთვისაა ძაძები რომ არ გამიხდია და ღამეებს თეთრად ვთენებ?! არდაშელ ჭალიძონიასნაირებს რომ დარჩენოდა ეს ქვეყანა, იმიტომ?! ვერ მიართვეს! — ქალმა კბილთან მიტანილი ფრჩხილი გააწკაპუნა — ტოლები მეიმედებაო, ამბობს ჩემი შვილიშვილი და დაუჯერებლობა არ იქნება. ვის როგორც უნდა ისე თქვას. რამდენიც უნდათ იმდენი აჭორავონ ზუთგს უკან, თვითმარქვია თავმჯდომარე არიოს. მე მაინც ჩემსას ვაკეთებ. წამოწევა რომ გაგიჭირდება, ისეთ მამაკ ინდაურებს თავებს წავაცალო, ნიგოზს დავნაყავ, ჩავაყაცვებ. ფუმფულა პურებს გამოვაცხობ. კანაფხალს დავამწნილებ. ბაკა ქუდონაწუა[2] და მთვარისოდენა ყველს ჩამოვქნი. მერე შევკრავ ერთად. ბორანთან მივზიდავ. შვილი შვილია. ოთხი დავკარგე, მაგრამ მეტი მყავს ახლა, მე წყლისა და მიწის წასაღებს. ოუმა დედას მეძახიან, მეთამაშებიან და სულიც არ ამომხდა. ბაგის შემოვეელე! ნასწავლი შვილიშვილები სხვებიც მყვანან, თუმცა ის ღვთის დანაბადია. ჭურიაში წაიტყუა „ყინი ანთარიას სუსუნატით დაშინებული" ოდაბადელები. ტყეები გაკაფეს, მიწა მოხნეს, დათესეს, დაფარცხეს, ყანები გათოხნეს და ვისაც თავში ჭკუა ჰქონდა, დღეს ნალია სიმინდით აქვს სავსე... გველენა ხალხი მაინც იკბინება. ახლაა ჩვენთვის თავგამოდებული, თორემ, როგორც კი არდაშელის სკამზე გადაბრძანდება, ისიც

[1] წმინდა გიორგი, შენს ნათელს ვენაცვალე, შენ დაიფარე ჩემი შეუგონარი შვილიშვილები (მეგრ.).

[2] რძეს კვეთს ვუზამ (მეგრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისვრება, ქარვასლებს დახარბდებაო. არმობრუნება ყველა ავსულს! ვერავინ გაიგებს დედის რძით გამოზრდილან თუ შხამით. საიდან იტვენენ სულში ამდენ ობობასა და მორიელს?! თუმცა წყეველაც დაეხსნათ! ისინიც ცოდვანი არიან, არგასაზრდელები და ხეზე თავმისახლელები. ჩემს ფუნჩოლა ბიჭებს ვენაცვალე! ჩემი კაცის ბორანთან ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს და შებინდებამდე ქვასა და რკინას ეჯაჯგურებიან. — ლეჩაქის ყური თვალებისკენ ისევ გაამარა — წმინდა გიორგი, შენს სახელს ვენაცვალე, როგორრაა ენა რომ გამექცა?! სხვისთვის რაც მისაყვედურებია, ის აქეთ დამემართა.

ძუბა ჭანიას მარჯვნიდან და მარცხნიდან სტუმრის ვინაობას ეკითხებოდნენ შვილობილები, ჭიჭე კვეკვე, თეთრეულის მრეცხავი ქალები თუ გოლიათი ჭადრის ჩრდილს შეკედლებული მეჩაიე გოგონები.

— ისეთ სურათებს იღებს, ლამის სახეში შემოგაფრინდეს — ხალისით წარმოაჩენდა ბუტტების უბადლო ოსტატობას ჭოფიას ცოლი — მათი ნაკლი ისაა, ლაპარაკი რომ არ შეუძლიაო, ხოტბანარევ დახასიათებას გასამგრეველ საბუთად დასძენდა წარამარა. მოკლედ, საერთო სიცილ-ხარხოცში, გადაძახილ-გადმოძახილში, კამეჩების ყროყინსა და ძროხების ზმაურში. ძალღლების ღაღვაში, ოწინარების ჭრიალსა და ქვაბების ხეხვაში სულ რაღაც ორმოციოდე წუთის მანძილზე თითქმის მთელმა ოდაბადემ შეიტყო „დედაქალაქიდან ფულის მოსაქუჩებლად ჩამოსული ობოლი ბიჭის“ გვარი, სახელი, ასაკი, წარმოშობა, ჩაცმულობა, ტანწყობილება, ცოტა მიმატებულ-შელამაზებული, თუ გამოკლებულ-გაუშნოებული. საგარეო ტანსაცმლებით ამიტომ იმოსებოდნენ. ხიდმშენებელთათვის საადრეო ხილ კრეფდნენ, განსაკუთრებულ შეჭამადს კმაზავდნენ.

ეს ფაცაფუცი და სურნელი ჭიჭე კვეკვეს უკვე ნესტოებში უღიტინებდა.

ოდაბადელები ქინი ანთარიას უფროს ნაბიჭვარს ვითარებისდა შესაბამ-სად შეესიტყვებოდნენ. როცა ენაბილწი ბუშის ფიზიკური დამცირება სწადდათ, ჭიჭე კვეკვეს ეძახდნენ „ბიძის ყურებით აღმურვილს“. თუ წარმომავლობას უგინებდნენ, წიწიკვაკვათი მიმართავდნენ. როდესაც ერთსაც და მეორესაც ემასხრებოდა, პოეტური ფსევდონიმით, ოდოიათი ექირქილებოდნენ. თუმცა საკმარისი იყო უკანონოდ გაჩენილის შუბლს რისხვის ფთილაც გაკარებოდა, მაშინათვე „ტორონჯიათი“ მიელაქუცებოდნენ.

დაგვიანებული სადილის სამზადისი ჭიჭე კვეკვეს ნერწყვს აყლაპვინებდა, თუმცა იცოდა, დუღაბის მომთავრებამდე კუჭი ამაოდ უწრიალებდა. ასე რომ, ვეება ლოდზე აბღუნკული სამქმეს დირიჟორივით ანაწილებდა. ხელებს რუპორივით მოიშველიებდა. ვახშამს დაუჩქარეთო, გადასცემდა „ჩაისმგლეკელ“ ქალიშვილებს. წინკეია კარდუხიას და მის ამფსონებს ნიჩბის მაგრად ჩაბღუჯვას ავალებდა. ოჯახის ჭუჭყით თვეზებს ნუ ანაბაგებთო, აქილიკებდა თეთრეულის მრეცხავებს. წიწიკვაკვას შორსმხედველი თვალები ტარიელ კარდუხიას დუღაბიან ურიკასაც მისწვდა. მაგდენს როჭო სკინტლავს დღე-ღამეშიო, დაიღიჯინა და პირთამდე გაავსებინა. ლაზღანდარას არც მებორნე გამორჩენია მხედველობიდან. რას აპირებენ შენი ყიმყრალი შვილიშვილებიო, ჩააცივდა თამმაკოს კვამლში გახვეულ მოხუცს. მერე „ოხერი და სუნსულო“ თენგიზ ანთარია ამოიჩემა. სიგარეტის გადაგდებას ურჩევდა. შე, ფუროხნის გაკეთებულო, ნუთუ დამწვრის სუნი მაინც არ გაწუხებს, მერე როგორ ჩაუძვრები ჯიბეში ღუბაძგარ! მამაშენსო, უცაცხანებდა. კისრულობთ თუ არა დასალევს?! ჰე, ცხენო, ამოღერღე! მე არ დაგაკონვერტებინე ის ჭორფლიანი?! ხომ არ გექავება, ბიჭო, ხანდისხანო, ანგლობდა ლოდზე მონუმენტივით აღმართული. გახურებულ მუშაობაში გარ-

[1] ქეაწია, ძუნწი (მეგრ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულთა მისამართით ხელი უნუგეშოდ ჩაიქნია. ბიუბების ტანსაცმელს რიგ-რიგობით ჩამოუარა. თითო-ორი მანეთი ყველას ასწვანა. „ძუძას ფოტოგრაფის“ თუმნიანიც ოსტატურად მოიშუა. ხელს მარცხენათი აჩხრიალებდა, მარჯვენათი — საჩვენებელი და შუათითიდან გამოჩრილ ქაღალდს გაბურძგნულ ნიკაპს აფხანინებდა.

წიწიკვაკეს მიკიბულ-მოკიბული სძულდა. ჩემს გარდა ყველა შეფარვით საუბრობს, ბაგიც კო, ტყუილად როდი ტრაბახობდა გამუდმებით.

უკვე სადილზე მიპატიჟებული ყმაწვილები ეივან-ხვიერით შარვალ-ხალათს იბერტყავდნენ. თეთრეულის მრეცხავ ქალებთან და ჩაისმკრეფავ გოგონებთან წუწაობდნენ.

ბუტუტის სული კაკანათიდან თავდაწეული ჩიტივით ნავარდობდა სივრცეში. საზოგადო მხიარულება ზეასწვედა. ხაბოდან გადაშლილი პანორამა აჯადოებდა. გულს უჩქროლებდა, „მაგრამ ბორანზე შეკრებილებს სიკეთე და კანმრთელობა მაინც მოკრძალებით უსურვა.

— გიორგის პროფესია ორმაგად დანაშაულებრივია — თქვა ტორონჯიამ სტუმრის გასაგონად — პირველი იმიტომ, რომ თანსირი ბუნების გამომზეურება არავის გვწადია და, ამდენად უაჩრია, მეორე და მთავარი — ამისთანა ბიჭის მესურათეობით მოცდენა ბარბაროსობად ეიმაჩნია ჩემ: ნება იყოს, ეგრეევე ნაზარეველის როლში შევაცურებდი. განა მხოლოდ შენ უნდა გეკუთვნოდეს ქართული სისხლით მოზელილი ეს სილამაზე?! — ჰეეეე ეეე

უკუდგნენ, იქით მიეახლა ნათესავებს. ფაშფაშა დედაკაცს ბარკაშით მორთმეული მოსაკითხი გამოართვა. ძვალკანაა და ფსიორას შეგროვილი ფული გადასცა. ეანყარატრუ შეხებითია და რაღაც მაქარგულ-მოქარგული ფიგურებით ორთავე შინისკენ მიაბრუნა.

ტორონჯიამ ყველანი კეკრები საჩვენებელი თითით მიქეკ-მოქეკა. ერთი ბარაქიანი დაითარა. დანარჩენი გობიანად სუფრაზე შეასროილა.

— გიორგის ჭირიმე, წეღან ძღვენი რომ მოგვართვა, ჩემი უფროსი დედაა, ელა ჰქვია. დაწინაურებულ კაფანდარას — მინაკა, ისეთი ჯანმრთელება არიან, სხვას თუ ვერა, ძუბა ჭანიას მანეკ გაისტუმრებენ საქართველოს, ნივრით იზელენ ჭორფლიან ტან-ფეხს. დანაყავენ და არაყთან ერთად მიირთმევენ. ისინი ჯერ ცალ-ცალკე არავის უნახავს. ყველგან ერთად დადიან. დუყანა ანთარიას წისქვილში თუ კორია ჰალიძორნის მაღაზიაში. ფეხაწყობით წავლენ. მოყანყალე ურიას წაჭრიალებენ. ხან ფქვილი მოაქვთ, ხან — ნავთი. საგანგებოდ გახეხილ სპილენძის ქვაბივით უკრიალებთ ეზო-კარი. ზარად ძვირფასი დისშვილი მოეწატრებათ და შუქს თავში გამოვლენ. ბორანთან მრფუსფუსე ადამიანებსაც გახეფავენ. თან ჩვეულებისამებრ კრუსუნებენ. აქა-იქ ამომხმარ ტრფოლიატს ღობეს ზომ ხედავ — დეიდებისაა. თუ მზერას უფრო გაუმახვილებ, ეროთი თავდაჩეჩქვილ აკაციის სარებსაც შენიშნავ. ზოგან თუთის წყნელით ოკრობოკოდ ამოუწნავთ, ზოგან ალუმინის ტაფები აუფარებიათ და სხვაგან კიდევ — რკინის საწოლის ქანგიანი ბადე. ყოველი ღრეჩო წკირითაა ამოგმანული და ფერად-ფერადი ჭინჭებით ეკლიან ძირებზე აკრული. ისინი ჯვარზე მოფარფატე ძონძებთან ერთად ავი თვალისგან იცავენ მათ სამოსახლოს. სექტემბრობით შინმობრუნებული მოსწავლეები ტრიფოლიატას ყვითელი ნაყოფით ჯიბეებს გამოიტენიან და გზაგზა მიაბერთავებენ. ის კი არა, უფრო თამამები ბაღშიც შეიპარებიან და ხილსაც წაეტანებიან ხოლმე. ... ღობეს, რომლის კენწეროს ჯერ მაკრატელი არ გაჭკარებია. ხოლო ქვედა ნაწილს პირობითად რომ ეთქმის ცოცხალი, ზამთარ-ზაფხულ წყლით გაზარნებული ღელე ჩაუდის. აქვე არის შუკის სიღრმეში მცხოვრები ანთარიების ალკიდეე ათიოდე ოჯახის სამანქანო ხიდი. რომლის კაცის სიძალილის მალი დეიდებმა ერთხელ და სამუდამოდ გადაკეტეს. დღესაც, თუკი ხელში რამე ნაკავი მოჰყვებათ, მიაყრიან. აქაოდა, ზემოდან მაზღვევებული წყალი გეტბორავსო და თავსხმების მერე ხიდსაქეთა მიწვები კვირაობით ტბევდება. მგონი ბარშანწინ იყო, ვიღაცამ ჯვბირის მოშლა გაბედა, მაგრამ ძუბაა ურჯუკელებმა სამეზობლო კინაღამ მუგუზლების ტრალითი გადაბუგეს და ამის შემდეგ იქიდან ვინმე კენჭის ალებასაც კი ითავებდა განა?! ხდება ასეც, ტრფოლიატას ღობეს ძრახა, ღობი ან კამეჩი გაეხატუნება ხოლმე. დეიდები მაშინათვე გზისპირზე მიხერგილ ქვებს დაწვდებიან და მათებური წიელ-კიელით კირუტყვს დადევნებიან. როგორ იქნება მათი ნასროლი ყურისძირში ან ჩანგალა რქაზე არ მიეხათქუნოს ბედდამწვარ საქონელს. გამოედევნებიან კუნტი თუბალიას ნამოსახლარისკენ თუ კემე მაკონიას, ესე იგი, ჩემი ჯიმაყონერის[1] მამულისკენ. თან გამვლელებს ხელისქნევით თავიანთ გასაჭირს უხსნიან: გაგვიტიალეს, გაგვიგერანეს ამათ ცოცხალი ღობე! ნუ გვავწროვებთო და, თუ რომელიმეს ღიმილი შეეჯარა, მერე ვერავითარი სიკეთე გაამართლებს მათ თვალში. ხადაც არ უნდა შემოეყარონ, ჯიქურ შეაშტერდებიან, უნებლიე დამნაშავეს თავს დაახრევინებენ. ხოლო, როცა სულკანაბული მგზავრი მუხლების ცახცახით ჩაივლის, მუშტებს ცერებთან შეყრილ და ისე დაატრიალებენ, თითქოს თეთრეულს წურავენ ან ნავთის კასრს თავს უხრახნიანო. ამ მოძრაობას ოდაბადელები კარგად ცნო-

[1] ჯიმაყონერძმა (მეგრ.).

ბენ და დეიდების ენაზე კისრის წაწყვეტას ნიშნავს. შემდეგ წაგლეჯილ, არაოსებულ ნადავლს მიწაზე დაანარცხებენ და ფეხით გასრესენ. მტვრად შარაზე აჩქარებული უკანმოხედვას შიშობს, ვინაიდან სულ ზურგზე ქვის მონარცხებია მოლოდინშია. ასე რომ, ჩემო „ფოტო“... გოაფო, ელასა და მინაკას ხელმარდიანობაში გათვითცნობიერებულთა გამოცდილებას ენდე. რანაირი გადაუდებელი საქმეებიც არ უნდა გქონდეს, დეიდებთან სასაუბრო დრო ყოველთვის გამოიბენე. მათი ხელების ნახაზებს უხსენებლით მონუსხულ ვაჟაკასავით შეუყოვნდი. შენთვის აჯობებს, შენთვის. ჯერ კიდევ მხნედ ჭრიალებს მათსას გახა ჰალიძონიასეული ჭიშკარი. შეამჩნევდი ტალახშინათრევი კამეჩისფერი დაჰკრავს მას. შორს წაგვიყვანს წარსულის გახსენება. ამჟამად უმჯობესია ტრიფოლიატს ტოტები ვიმყოფინოთ. ქურდ-ბაცაცებისგან იცავენ ისინი აქაურობას. ნაქარი ხილი თუ შტო სულ მეზობლებს ბრალდება, ამიტომაც თავებს სათითოდ წაწყვეტენ და ჩვეული ღიჟინით მიწაში ჩაფლავენ. საუბარს მოჰყვა და გჯერდეს, ოდამადეში იშვიათად იპოვი კაცს, რომელიც ამ ჭიშკართან ერთხელ მაინც არ დასამარებულიყო: ძუბა ჭანია ეს, კოლი კარდუხია, კუნტა და ჭაჭია თუბალიები, არდაშელ ჰალიძონია, გვიტ ანთარია თუ ცირნია შკვითინხე. ბოლოსწინა, ორს გაუმაძღრობა ბრალდება. როცა მათზე საუბრობენ, მთელს კვეყნიერებას პირში იყრიან, ფუმფულა საგნებს ხატავენ. ლოყებს გამობუშტავენ, თითქოს მომხვეჭელების სულიერ მდგომარეობას ნაწილ-ნაწილ თხზავენო, მერე „პლუ-პლუს“ ძახილით ზურგსუკან ხელებს მარდად ისვრიან. ყვაბანისა და მახარეს დედას კი ორ მოკაკულ თითზე შეყენებული ქმრის ბადევებაში ადანაშაულებენ. სიარულში ბაძავენ როგორც ერთს, ისე — მეორეს. ცოლს ელა განასახიერებს, კოჩიას — მინაკა. ცერებზე მინარარებენ. თეძოებს მიათამაშებენ, თანაც ჰაერში მოწყვეტილ უცხო სხეულებს ყოველ მეხეირეხებულ ალაგას დიდი ოსტატობით იტენიან, რითაც ცურუს გაზრდილს საეჭვო მიდრეკილებებს ცხადლივ მიანშნებენენ. თავზეკეთ გაჩაჩხულ თოლებს შეაპარაშებენენ. ჰ.ჰ.ჰ.ჰ.ჭუუუუუუ, ქშინავენ, თითქოს ცირნიბიას ცეცხლისფერი თმის დატყვეკვებას ლამობენო. ბოლოს თითებს დაძაგრავენ, რაც მათებურად ბევრს ნიშნავს, მარცხენას მომუშტავენ და გაშლილ მარჯვენა ხელისგულს ზედ დაარტყამენ, მრავალგზის დაატრიალებენ. ვისი წაწყვეტილი თავი არ გაგორებულა დეიდების მოტიტვლებულ ჭიშკართან: მილანდარ მუშუქიასი, კემე მაკრონიასი, ჭოფია და ბაგი ანთარიების თუ სხვათა და სხვათა. ზოგს ფიზიკური ნაკლი შეეწირავს, ზოგს — მომეტებული სილამაზე; ვის სიმდიდრე უმეხთლებს, ვის — ხელმოკლეობა; ბევრს ენორჩინუ მიყოთანს,[1] მავანს — მრავალშვილიანობა; ათასს უზნეობა ნაცრავს, ორ იმდენს — პატიოსნება. მოჭეილად რომ ვთქვათ, მთელი არარსებული აკლდამაა ელასა და მინაკას მოყანყალე ჭიშკართან. როგორც კი შებინდდება, საქეეყნოდ ცხრილ შესასვლელს დეიდები ეკლიანი მჯეთულით ახლართავენ. ფიცრულში ჩაირაზებიან. შუშად ჩემი ჯიმაყონერის ფიჩხს იმყოფინებენ. ფეთხუმ დიასახლისებს, როცა დაქცევაზე მისული ოჯახე, დაუპატიჟებელი სტუმრებით აევსებათ, სამარის ლოდქვეშაც რომ მეძინოს, უსათუოდ მომძებნიან. დეიდებისკენ წამიძღოლიებენ. წვალებით შევაღწევთ მათსას. საალერსო სიტყვებით ვუხმობთ. სარკმელში ანთებულ ასანთს ვატრიალებთ. თითისწვერებზე ვდგებით. როდის-როდის რომელიმე შეგვნიშნავს. მუხლზე წაუჯიკავებს მეორეს. წამოიმართებიან და ათასი კაუჭითა და რაზა-კოჭაკით ჩაგმანულ კარს გამოგვიღებენ. სხვენზე, როგორც წესი, მინაკა აცოცდება. ელა

1 ბერბიჭობა-შინაბერობა დაღუპავს (მეგრ.).

ჭრაქს მიუშუქებს კიბიდან. წაწყარებს არაყი. ჩხრიალებს თხილი და კაკალი. დიდხანს ფოთიალებს იქ უმცროსი და ბანდარინს უსათუოდ ჩამომიტანს. მხიარულობენ. დამგზავრებულ დედაკაცს რბილში უთათუნებენ. გეგონებათ განთქმული ნათესავის ამალამ მოსალოდნელ სიამოვნებას ამოწმებენო. მერე ნივოისსუნიან ხელისგულებს თვალებზე აიფარებენ. ჰაი, ჰაი, გაწყდა თქვენი სინსილა! რას თხოვდებოდით, არ გერჩივნათ ჩვენსავით ყოფილიყავით?! შვილების გაჩენას რომ გადაყოლილხარო, გიჯობი ცოტა მეტი გაისარჯოთ და ბნელში წაწყლაც აგშორდებათო, ეუბნებიან ამით. ვერმიხვედრილი ქალი მყისვე მე მომაჩერდება და ოდაბდელი პრინციც ტუჩების ცმაცუნა მოვყვები. თავს ვაკანტურებ. მანდილოსანს ათას ცოდვას ამოვუქექავ. დიდები მოჭარბებული ხალისით სხმარტალებენ. მუხლებზე ხელებს ირტყამენ. ხორხოცებენ. იგრიხებიან. გადაფიჩინდებიან. ანგელოზებივით შემოფრენილთა კიდევ რამდენიმე წუთით დაყოვნებას ლამობენ. რა უნდათ ჩემი ცოდვით ამოგდებულებსო, ჩამეკითხება დამფრთხალი დიაცი და მეც ცხადია, ჩავერთვები. სოფლის ცხელ-ცხელ ამბებს ხელისგულზე გადავუშლი. მაჯებს მიმოვისვრი. თვალებს ვბრიცავ. ყირაზე გადავდივარ. დეიდებს არაადმიანურად ვატკარცალებ. ამასაც არ ვჯერდები. ათასნაირი ჭმირობის სურათს ვხლართავ. მოვუთხრობ ჭაბაში ღობისძირას მიწვენილ ქალს რამდენზე ავუწევ კაბა, რამდენი გროში და უზალთუნი აღმოვუჩინე. მე გავამდიდრე დეიდების ენა. ყოველ ნივთს, მოძრაობას თუ მოვლენას შესატყვისი ეესტი დავუძებნე. ყოველ გრძნობას და საქციელს ჩემეული მადლი წავცხე: ულვაშზე ხელის მოსმა კაცს გულისხმობს, თმაზე გადავლება — ქალს, საჩვენებელი თითების შეერთება — ცოლ-ქმრობას, მოკაკვა — უძლურობას, დაშორება და ძირს დაგდება — სიკვდილს, ფეხზე კბენა კაკალია. ყანყარტოზობა — ბა — არაყი. საფეთქელზე თითნაჭერტყლია — ოფოფების სიმრავლე. წელის შექანავება — ქალური სისუსტე. მემკვიდრეობით გადმოცემულს თვითონაც წავუმატე და ახლა ძუბას ურჯუკელების უმეტოქო თარჯიმნად ვითვლები. ახლობლებს შებინდებულზე მივაკითხავ ხოლმე. ფიცრულში მოურიდებლად შევალაჯებ. ბუხარს მივეფიცხები. დეიდები კი თითქოს ზღვის მეწამულ ტალღებს ეთამაშებიანო, ზეზეულად ირხვიანან. ვის მწუხარებას სახედამანჭვით ვამძაფრებ. ვის ბედნიერებს ზეაწეული ვათიმთიმებ, მყავე პრასს ვაწკლაპუნებ, თან დაუძინებელ მტრებსაც სათითაოდ ვაცნობ. აქვე, არავისთან გამამეფავხოთ, მთავარი მოფრთხილებაა-მეთქი, ვასწავლი. თუ გამბელთ, უეჭველად ზეციური შეგრისხავთ-თქო, ჩავაგონებ. ღმერთის კი, იცოცხლეთ, დისწულზე ნაკლებად როდი ეშინიათ. ამიტომაც, როდესაც საქონელი ეკარგებათ ხოლმე, სკამებისა და მაგიდების მუხლებზე მაშინათვე ფერად-ფერადი ჭინჭები გაინასკვება და ღობალზეც, მეორე თუ მესამე დღეს, როცა იმ პერიოდში ჩემს მასპინძელ ოჯახს დამწყვდეულ პირუტყვს კარგად გამოვაწველინებ, უცილობლად ვიპოვი ზღვისპირა ჭალაში ან სატანჯოს აკლდამების შეაგულში. უცილობლად მგლების ხროვას, დათვის ტორებს ან შვილების მოამაგე მამის სისხლიან კლაჭებს გამოვსტაცებ. მოვუთხრობ კბილებდაკრეჭილი კეთროვანებით მაოზე თავდასხმისთვის როგორ ემზადება ცხვირპირმოჭმული სიძე და თუ სადმე ქაღალდის ფული გადაგინახავთ, აჯობებს მე მომაბაროთ-მეთქი, ვმოძღვრავ. შემნახველ სალაროს მუშაობას ვუიოლებ. ხანდისხან პურის ფქვილის თუ კალოშების საყიდლად ვუბრუნებ კიდეც ათიოდე თუმანს და ცხადია, ძუბას ურჯუკელები ობოლი დისწულისთვის არაფერს იშურებენ. ვალში არც პირმყრალი ვრჩები. ამას წინათ, აი, იქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან, იქიდან, საგანგებოდ მათთვის ელექტრონი ჩამოვიყვანე. ბუნებრივია, ინ დაზოგილი ფულით, რომელიც შესაძლია, ხვალ-ზეგ ყინი ანთარიამ წაღლიტოს და აღგზნებით ვხატავ სატანჯოში წარწყმედილის მიერ ყელგამოღადრული ადამიანების სისხლის პეშვით შეხვრეპის სურათს. უთოც ვუყიდე. ერთხელ ლოგინად ჩავარდნილ მინაკას. ქალქიდან ექიმიც ჩამოვუყვანე. სასთუმალთან მიჩოჩებული ტაბურეტი წამლებით გავუვსე. ოდაბადეში კი, ბაყაყების ყურისწამღებ ყიყინში ატეტივდება თუ არა დეიდების ზეაღმტაცი ხმიანობა, აქაური დედაკაცები ერთმანეთს ეშმაკური ღიმილით გადახედავენ — აშკარად იგრძნობა, რომ ელასა და მინაკას წარმოდგენაში ვიღაცის სინდის-ნამუსის სძირკველს კიდევ ერთი აგური გამოეცალა.

საუბრის მომთავებელი ჭიჭე კვეკვე უკვე მესამე ყველიან კვერს ილუმეტბოდა. თვალებს წკურავდა წიწიკვაკვა, ტორონჯია თუ ოდოია და ღმერთმა უწყინს, მისი ფიქრი დატბორილ თხილნარებს და ყანებს დასტრიალებდა თუ სხვას, ალალ-მართალი ოდაბადელისთვის ასე მიუწვდომელსა და გაუცნობიერებელს.

მალე ბორანზე გამართული სადილების მოთავე ძუბამ ბუტუტისაც უხმო, მაგრამ ჭიჭე კვეკვე ზეწამოიჭრა. ერთ ხელს სუფრისკენ დაძრული სტუმრის შესაჩერებლად იშვრდა, მეორეს — ხმაურით გადაყლაპული ლუკმის ასამოძრაველად მკერდში იბაგუნებდა.

— ოდაბადელების ლხინში მოუნათლავი კაცის შემოშვება როგორ იქნება — ბლოყინებდა, ვიდრე სულს მოიოქვამდა. — ისე, კაცმა რომ თქვას, რაც ჩვენ ლაფში ვთრეულვართ, იმას ძუბას გამოჩხრეკილის ფოტოაპარატი აუვი ვითომ?! გიორგის ჭირიმე, აქაურობაში მგონი გაგარკვევ ცოტათი. ახლა მთავარ საქმესაც მივხედოთ. აქამდე მესურათეობით მოცდენილი შენი მშვენიერება, ჯიჯი, მუნწსასტან ცოდვათა შესუბუქებას მოითხოვს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ამისთვის გმართებს წარმართს მონათვლა. ოდაბადელებო, იქნებ სულაც ჩავისიძოთ, მაგრამ, ჯერ მოდი, შეერთებული ძალით გავარკვიოთ, პრანწი-პრუნწის გარდა კიდევ რა შეუძლია, რითი გამოადგება სიდედრსა და სიმამრს?! აბა, ჯანჯალი და წინკეასნაირები საკუთარიც ყელამდე გვყოფნის — წიწიკვაკვამ თავისქეციანთ პირში სიტყვა შეატოვა ხანთარიძეს — ხალხო, ტვირთის აწევა მეხერხებაო, ტვირთის აწევა, მაგრამ რანაირია ეს ტვირთი, რა სიმსხო, ან რამსიმძიმის, ვეკვთ ნათლიმამასაც გამიმედავნოს — წიწიკვაკვამ გასახტებულ ყმაწვილს გარშემოუარა. წკიპზე მისული ყველიანი კვერი ცხვირთან მიუტანა. დააყნოსვინა. თითქოს ამით ეუბნებოდა, ხომ დარწმუნდი, რა ვაეიც ვყოფილვარო.

— აი, მაგალითად, ბარვა მე არ მემარჯვება და თოხნა. წარმოგიდგენია, ვერც ქამჩას ვხმარობ გედე ჭანიასავით და ვერც ზურგს ძუბას ცოცხის წინაალმდეგ ჭოფია ჯიმადიშვილივით.[1] ნაჯახს თუ ვიქნევ, იმასაც გარკვეული მოსაზრებით, ასე რომ, გიორგის ვენაცვალე, არავინ გაცდუნოს, ტორონჯიას ოთხი ფიცრის შეკავშირებისთვის ემალლიერებიანო. მგონი შენითვე ხვდები ასეთ უქნარას, ესოდენად რა ღირსების გამო მაფასებენ ოდაბადელები?! მაშ, მაშ, მკვდრების გაპატიოსნებისთვის მოგვართმევენ სწორედ ყველით გათვითვნებულ კვერებსა და ხაჭაპურებს!

— ნინა ვაუღუდკონ, ყვარია მიდელინდ თუ შობელძაღილს![2] — ჩაილაპარაკა ზოგ-ზოგების გასაგონად მებორნემ.

— ელას და მინაკას სათქმელი ღმერთს ჭიჭე კვეკვეს ენისთვის მიუურთებია და რატომაც არა?! — გამოექომაგა ცოლი.

ენით ზურგს იფხანს, ისეთი ენა აქვს, ათ წყვილ ფეხსაცმელს ლანჩად ეყოფა,

---

1 ბიძაშვილივით (მეგრ.)

2 ენა რომ არ ჰქონოდა ყვავი წაიღებდა ამ შობელძაღლს (მეგრ.).

წიწიკვაკვას ენა ენგიურში რომ ჩაადო, შავ ზღვამდე თევზის ნასახს არ დასტოვებსო, ტყუილად როდი ქილაკებდნენ მასზე ოდაბადელები. ეს ჭეშმარიტება ბორანზე დაყრილმა ონავრებმაც მშვენივრად იცოდნენ. ამიტომაც ენის წვარზე თითის მიდებით ურთულესი ამოცანის ამოხსნაში მიეხმარნენ.

შემქნილ ვითარებას ბუტუტიმ როგორც იქნა ალღო აუღო. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. მარცხენა ცერითა და საჩვენებლით მიმოსში ჭიპმოჭრილივით ენა „ამოიზლტა“, მერე მარჯვენა საჩვენებლითა და შუათითის გაწკლაპუნებით „გადაბასრული“ ძირს დაადო და ყრუ-მუნჯების შესაფერი მონდომებით ფეხისწვეროთ გასრესა.

— ყველფერში მართალი ხარ, გიორგი, — თქვა მოსანათლავის მიხვედრილობით კმაყოფილმა ტორონჯიამ — მწარე ენის გამოა ოდაბადელები რომ მელაქუცებიან. სატირლად აქვთ საქმე თუ საცინრად, სულ ერთია ჩემთვის, უკლებლივ მუცელზე ვახოხიალებ. ქვეყნიერების ჯორი და ჯორჭმელი ზღვასპირეთის მავთულებივით ზუზუნებენ ამ ხაპისმაგვარ თავში. აი, რანაირ ღირსებაზე გეკითხებოდი?! — ჭიპე კვაკვემ თვალები მაღლა ალაპარო. იფიქრებდით, ხანთარიძის ოცნებასთან დამაკავშირებელ ძალას უხმობსო — ოდაბადელებო, გესმით, გესმით, მთელი დღე წყალში დგომა შემძლიაო, მიმხელს თქვენს მალულად. მთელი დღე თენგიზ ანთარიას კუდზე დავარდნილი კამეჩებიც ნებივრობენ გვადიას ღელეში, თუმცა შეკრებილებს რაში გვარგია?! მაწონი არ მოგვირბენინოს უცებ წუწურაქაშვილმა! ისე, კაცმა რომ თქვას, წყალში დგომაც საჭიროა ხანდისხან. განსაკუთრებით მაშინ, როცა გენიალური გიკიდია, მაგრამ ეგ ჩემი ცოდვით სავსე, გასავლელ თოკს რომ მოხოვს, რა განუზრახავს ნეტავი?! თოკი სამუშაოოდ კი არა, ზოგიერთებს თავის ჩამოსახრჩობად ვერ გაგვიჩალიჩებია, თუმცა ჩვენ რომ ვსაჭიროებთ მაგდენს ფლორტლიისთვის ძლივს ამზადებდა მეჩვიდმეტეს. ეს ბუ-კუნის ინგლისი — წიწიკვაკვა ბაკურ ტონს თმობდა. სიცილისგან ისედაც მისავთებულ ქალიშვილებს ქუთუ-თების გამალებული ხმამაღი, წარ-ბების ანაზღეული აზიდვით, შუბლზე თითის მიბჯენით თუ თვალების ამაზ-რზენი გადმოქაჩვით, გულის შეყრამდე ატკარცალებდა.

იცოდა ტორონჯიამ ხრჩობის ნებ-სმიერი სინტაქსური ფორმით ხსენ-ება ვისაც შეაწრიალებდა. ძუბა ჭანი-ასკენ არც კი იმზირებოდა, მაგრამ ჭოფის ცოლის ელემელეთს აქედან-ვე გრძნობდა. გარეგნულად ისე იქ-ცოდა, თითქოს მესერათის ბუნები-დან რაღაც მნიშვნელოვანის ამოკით-ხვას ლამობდა, თითქოს მხოლოდ მი-სი პიროვნული ღირსებების გამოვ-ლინებით ყოფილიყო გართული.

— აქნევენ, ჭიპე კვკვე, აქნევენ! შეევედრნენ წიწიკვაკვას ბორანზე თა-ვმოყრილი ბავშვები.

— თუ მართლა არ ტრაბახობდი, ჯი-ჯი, სცადე. ვერ ხედავ, დაიხოცა ხა-ლხი შიმშილით?!

— კმარა, შე კისერწასაწყვეტო! ამ ქართველს პირი დაცემისგან გაუსკდა გგონია?! ჩაიჯინეთ და სადილი შეარ-გეთ! — ყრუდ შეეხმიანა წიწიკვაკვას თავის ჩამოხრჩობის აკვიატებული ხსე-ნებით განაწყენებული ძუბა ჭანია.

— ჩემი ამბავი მე ვიცი — უკმეხად მიახალა ქალს ჭიპე კვკვემ. „უყურე შენ რამდენს ჩემულობს ჯოჯოხეთის მაშხალა, განა სხვებივით გადავივწყე რძალს საკუთარი ხელით ყულფაზ რომ გააყოფინე თავი, დამაცადე ჭუჭიანო დედაკაცო, დამაცადე“.

— სინჯოს, სინჯოს! — წამოიძახეს აქა-იქ.

ხალისიანი ხმების შემოშველებამ ყმაწვილი მძიმე ტვირთისგან გაათა-ვისუფლა. სიამაყის გრძნობას სძლია. სითბოდ და ღიმილად დაიღვარა. მარ-ვლის ტოტები აიკეცა. მოქანავე, შლა-მისფერ ბაგირზე გადაცოცდა. ხელე-

ბი გაშალა და მის დუნე რწევას აჰყვა. შეფორიაქდნენ ჩამომწკრივებული მერცხლები.

— რა ხდება, რა ამბავია?! — კითხულობდნენ ახალმოსულები და აღრეცილი ჭოფია ანთარიაც: იშოვა საკბილო, მონათლვას უპირებს, შიმშილობა მიუსაჯა, მაგრამ სამაგიეროდ ჩასიძესას ჰპირდებაო, უხსნიდა ცნობისმოყვარეთ.

ტორონჯიას მოხიბლვა თითქმის შეუძლებელი იყო. ის ხომ ყველა ადამიანში ხინჯს ეძებდა უმეტესად და რადგანაც ოსტატურად პოულობდა კიდეც, ამა, რომელი ვართ ქრისტეო, ამისი ძახილით დიდს და პატარას ბილწავდა. ხანთარიძემ კი ერთბაშად დაიპყრო, აღფრთოვანა, განაცვიფრა თითქმის. მესაფლავეს ნათლობა დამაგვიგონებელ ფაზაში გადაჰყავდა. წარმართის აღზევებაც ეწადა, მაგრამ მთლად წმინდანობისთვისაც არ ემეტებოდა. წიწიკვაკვას უკვე იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გიორგი ხანთარიძე თვითოეულ დაბოკოლებას ისე მოხერხებულად გადალახავდა, რანაირი ქარის სიმსუბუქითაც შეეანგფულ ბაგირს ეთამაშებოდა ამწუთას. ამიტომაც ისედაც თავქარიან ონავრებს, ერთი თქვენებურად დაარწეოთ, ჩაანწვეთა და ბორანმაც იხუელა. დიდხანს უმკლავდებოდა ბუტუტი გველუშაპის კუდივით კლაკნა ბაგირს. ხან მარჯვნივ წაუპოტინებდა ჰაერს ხელს, ხან — მარცხნივ. ეჩინარ ტოტებს იშველიებდა თითქოს, მაგრამ ბოლოს ურჩხულმა თავისი გაიტანა. განირიდა მხედარი. ტერფებმა ოდაბადელების თვალწინ გიიქთქათეს და მუშაითმაც მდინარეში გულღიმა მოადინა ზღართანი.

გოგონები ბორნის მოფამფალებულ მოაჯირს ტკარაკალთან მიაწყდნენ. ხორხოცებდა, ხაფხაფებდა ცა და დედამიწა. მუცელზე ხელწაჭერილი პატარები იატაკზე კოტრიალებდნენ. წიწიკვაკვას გამარჯვებულის იერით წელზე დოინჯი შემოერტყა.

— მოვნათლოთ, შე კისერმოსაგრეხო, ტორონჯია, მოვნათლოთ — ქაქანებდა. ძუბა ჭანია და ამოჩემებული თავისი გამო ბლიკვავდა. ლაზღანდარა მჯიღს წაუყრუებდა, თან დამაცადე, დამაცადეო, იქადნებოდა ფიქრებში.

წყალშიჩავარდნილ ფოტოგრაფს ქალიშვილები ხელებს უწვდიდნენ, ის კი დალუულ ენებურში ყვინთავდა და შემონთებულ ბრაზს ასე იქარვებდა.

— ოდაბადელებო, იქნებ ქუდებედს სიყვარულის პრობლემაც თოკზე სიარულივით გადაჭრილი აქვს და ამდენს ტყუილ-უბრალოდ მაქაქანებს. უსიყვარულობა ჯიჯი, შეიძლება ტორონჯიასთანას მიეტევოს, მაგრამ წმინდა გიორგის?! არაფრისდიდებით! ჩვენი ამბავი სხვაა. აი, მაგალითად, დანჯღრეული ფიზიონომიის კვალობაზე, არც მე მყავს სატრფო, არც — წინკეიასა და ბაგის, თუმცა ქვეყანას როდი ვემძიმებით?! — ახიხინებული ჰიჭე კვეკვე ქალიშვილების გუნდში ისე შეიპარა, როგორც წალკოტში — ბინდი — ოდაბადელებო, ოდაბადელებო, ითიოდე წუთი წყალში დგომა ვითომ რამეს დააკლებს ჩემს ჯილას?! მანამდე კი ერთობლივი ძალებით გავიხსენოთ თუ ვისი დაბადების დღეა ამალამ. ჩვენი ქუდი ხომ დავახურეთ, აწი დროა საცოლისთვისაც ვიზრუნოთ. ბოლოს და ბოლოს სანთელ-საკმეველმა თავისი გზა რომ ნახოს, რადგანაც ყელამდე წყალში დგომა სჯობია მიწაზე უსიყვარულოდ სიარულს, თქვენ, ვინც შებინდებიდან კარში ვერ გამოგიხედავთ და ღამის ქოთნებით იოლაზე გადიხართ, შეძვერით, შეძვერით მუნიან ლოგინებში, გიორგი ხანთარიძე კი არდაშელის ასულს, ხო, ხო, ხანტურ ჰალიძონიას თავსაც მოუდრეკს ზოგ-ზოგების ჯინაზე და ხელზეც ეამბორება. მაშ-მაშ ფოტოფირს თქვენი ტურტლიანი სახეებისთვის მივახარჯვინებდი სწორედ. ვყოფილვარ თუ არა მაგარი?! თქვენ რომ ვიღაც მესურათე და ასეთ-ისეთი გეგო-

---

ბუჩი ფეტელავა
სიცოცხლემისჯილი

ნათ, ხელის ერთი მოსმით ყველას წინაშე ვაქციე თუ არა გმირად?! აი, რატომ გჭირდებათ, ოდაბადელებო, ჟინი ანთარიას ნაბუშარი ჭიჭე კვეკვე?!

ბორანი ძველებურად თახთახებდა. ამასობაში წიწაკვაკვამ ,,არეულობით ისარგებლა, ტიდიდის მოტანილი თაფლიანი ქილა და არაყი დაისაკუთრა. აურია ერთმანეთში. კვლავ მოუბრუნდა მოსანათლავის გაბრწყინებულ სახეს. იქვე ჩაიმუხლა და აღელვებულ ყმაწვილს ქეციანი პეშვი მოამზადეო, უბრძანა.

წვეთავდა თითებიდან ბადაგი. ვაჟს ლოყაზე კურცხალი გაუსრიალდა.

— ჩემებო — ესღა ამოილუღლუღა ენაწართმეულმა. უნდოდა ამოეგმინა, თაფლი მზრდიდა დედის ძუძუს ნაცვლადო, მაგრამ მღელვარება ბორკავდა. უნდოდა მთელი ხმით ეყვირა, სატანჯოს აკლდამებში ჩაკეტილი, სიყრმიდანვე მოვიჩქაროდი თქვენსკენ ფრთოსან ჭინჭველასავითო, თუმცა ფორიაქი აოკებდა. უნდოდა ამოებღავლა, დაიები ხართ ყველანი, ვინაიდან ბუნებამ იძუნწა და არ გამოიმეტა ჩემთვის; ძმები ხართ სათითაოდ, რადგანაც ის ერთადერთი ტყუპისცალი მაზარია ჟინი ანთარიას მართალსიტყვაობამ წამართვა: დედები ხართ ერთიანად, ვინც დედად შემეფერებით, რამეთუ ატარაობიდანვე მშობლის მკერდიდან მომწყვიტეს; სისხლი და ხორცი ხართ უყლებლივ. აკვნის ჩვილიცა და სამარის კარამდე მისულიც. გავჯერებულვარ თქვენით! აჰა, მოვსულვარ, მოვსულვარ! აი, ამის ამოთქმის ლამობდა, მაგრამ მის წინაშე სატანჯოელის მოქუფრული სახე დაეყუდებოდა, „ოდაბადე, როგორც ასეთის“ საბედისწერო ფურცლებიც ავად აშრიალდებოდნენ, აქეთ პეშვიდან მთორობელა სითხესაც წრუპავდა. კვლავ შეუფსებდნენ და ახლა მომთენთავი სიმღერით დაძრული ხანთარიძის სულის ხელუხლებელი სიმები ისე თრთოდნენ, ისე ნეტარებდნენ, როგორც ფესვები ერთი კენწეროსთვის.

●

როცა ხიდმშენებელი ბიჭების სადილობის დრო მოახლოვდებოდა, ჯავრიანი ჭოფია ანთარია ათასწლოვანი ჭადრისკენ წაკვანჭალდებოდა. იქაურობას უხმოდ გაეცლებოდა. მერე ვისაც უნდა მოეკატიფნა, ვინც უნდა ეფიცებინათ, რამდენი შეხვეწებოდნენ, ფანჩატურში თუნდაც დილიდან მჯდარიყო, წელან დავნაყრდიო, იცრუებდა. ახალგაზრდების მხიარულებას გაერიდებოდა. ბორანვითი დამდგარ და მდინარის ფსკერზე მკვიდრად დალექილ წარსულს მიაჩერდებოდა. ყვეე კარდუხიას ჰანგების მიყურადება გარინდავდა. იმ მწველ ხმას, იმ ფერს და ციმციმს მიაჩერდებოდა. გოლიათ ჭადარს ზურგით მიეყრდნობოდა. ზვეთ, ზვეთ, კენწეროსკენ თვალს ააყოლებდა. იმ სიმაღლეს კაცის ხელი საუკუნეთა მანძილზე არ შეხებია. იქ უბერებელი ყვავები სახლობდნენ და მერცხლების ეღურტულთან ერთად სმენას მათი აბეზარი ყრანტალიც ეწვეთებოდა. არადა, განცვიფრებდა, ,,ამაყად გაშლილი, ქვეყნის ოთხივე კიდე-განის თამამად ჩამხუტებელი ჩინარის სიზვიადე. ხე მიწას იმისთანა ძარღვიანი, მძლეთამძლე ფესვებით ჩაფრენოდა, ისე გაბარჯღულიყო, თითქმის სამოსახლოდ სამყოფ ალაგს აჩეროდა.

ჭოფიას მარცხენა ფეხი ხის შუაწელიდან ჩამონარცხებამ გადაუმსხვრია, ტოტიდან ტოტზე ხათქა-ხუთქმა წვიმაარძაყი დაუღეწა. ონავარი დაბლამყოფებს ხელიდან რომ დასხლტომოდათ, ან ზუგდიდელი ექიმბაშის მოყვანა დაეხანებინათ, საერთოდ იქნებოდა კი ცოცხალი ახლა?! ასე იყო თუ ისე, ჭოფია ანთარიას არ გაემტყუნებოდა. ბორანი ათეული წლობით მის ცხოვრებას განასახიერებდა. ამიტომაც აღიზიანებდა სიყრმიდანვე თანშეზრდილის დაკნინება, დაბეჩავება. კვანჭალას

ბევრი ტკბილ-მწარე მოგონება აკავშირებდა: მასთან გამხელილი სიყვარულის გაბედითებაა ეს თუ მგზავრი ქალების ლურსმნის ნახვრეტისოდენა თვალებით გაზომვა. მის ხსოვნაში მამისა და ხუთი ბიძის თავდადებას ჯერ კიდევ ვინი ანთარიას ჩრდილი ეფინა.

კვიკვეს ძეს მოპურმარილეთათვის, შესაძლოა ახლაც შორიდან ეთვალთვალა, მაგრამ ჯიმადის ნაბიჭვარმა მომხიბვლელი მესსრათის ნათლობა წამოიწყო და ნავსი გატეხა, ჩვეულებასა უღალატა. ესეც რომ არა, აქამდე ენაწადებულმა ჭიქე კვიკვემ ხელაკვი გამოსცდო და სუფრის თავში დასვა. ცოლთან და ბორანთან ერთად დალოკა. წარსულთან მომავლის შემაკავშირებელი ხიდი უწოდა.

სხვა რა გზა ჰქონდა?! შექებამ აიღლვა. სამადლობელი მოიხადა. მრავალი ადღეგრძელა. თაფლთან არაყს ყრუმუნჯების ყველაზე კვერი მიაყოლა, მაგრამ მაინც კენტად დარჩა. რა ხანია სული ბორანივით დაეანგვოდა.

— ეჰეჰეი, ჭოფია, დუდი გემწოფია![1] — არ ეხმიანებოდნენ ძველებურად ნაგვიანევი მგზავრები. ოჯდა ხოლმე მოფამფალუნენ ფანჩატურში და სულ ოდინდელი, ძლევამოსილი ენგურის გამოჩენას ელოდა.

მუხლებმა ნაადრევად უმტყუნეს კვიკვეს ძს. ბორანი იყო მისი მუხლი, მაგრამ ერთიცა და მეორეც მდინარის სიმძლავრეს უკავშირდებოდა. ამიტომაც დაკუტბულიყვნენ უმისოდ. ენგურის ძირითადი ენერგია, გვირაბებითა და ხელოვნური არხებით დღეს სხვაგან მიედინებოდა, მამაპაპურ კალაპოტში კი ცათამბჯენი, თალოვანი კაშხალით გზამოჭრილი, საცოდავად მიღოღავდა.

— ახლა რომ ენგურია, მაგდენს მოგცრო პურობისას მოიიმასქნებენ — ტყუილად როდი სცინებდა მდინარეს ენაბილწი წიწიკვაკვა.

ჭოფია ანთარია ბორანს მაინც ებღაუჭებოდა. როცა ფიქრებში გადაეთულს ბინდი წამოეპარებოდა, მეულლე მოაკითხავდა ხოლმე. ხელკავს გამოსცდებდა. წამოაკვანჭალებდა. დილით ძუბას ქმარი ისევ ბორანს მიაშურებდა. გაზეთის ნაგლეჯში თუთუნს გაახვევდა. ხიდის ჩონჩხს ალმაცერად გახედავდა. ბაგის მეცადინეობით ახორხილი რკინა-ბეტონი მისი სამოცწლიანი ამაგის სამარედ ქცეულიყო. გავა წლები, ათი, ოცი, ოცდაათი, ფიქრობდა მებორნე, ჯერ ჭოფია ანთარიას ნაბორნალს ატყვიან, ისევე, როგორც თავიდან კვიკვე ანთარიას ბორანს ეძახდნენ. მერე ნელინელ, თანდათან, სვენებ-სვენებით ჩემს სახელს და სიცოცხლეს დრო-ჟამი შეიწოვს. აბა რომელ ერთს წამოცდება ბაგი ანთარიას ხიდით ვიმგზავრეთთო?! არავის! ოდაბადეს ხიდით გადავედითო, შეეხმიანება კაცი კაცს. დავიწყების მტვერი დაფარავს ჩემს სახსენებელსო, მოხუცს ეს საწუხარი აჭუტენებდა თვალებს.

რა ხანია ბორანს მოკიკინე არვე შემოსჩენოდა. ქალები თეორეულს რეცხავდნენ. ენგურივით უსაფრთხო ბერიკაცის მზერას მწვერვალისმაგვარ სითეთრემდე კაბებს აუკრეფდნენ.

ზემოთ, ბეთარანებულ სილაზე, ანცები კოტრიალებდნენ. სულ ცოტა ხანში იქ მისი შვილიშვილების შთამომავლობენ გაგორდებოდა და მდინარე არც მათ შეაკრთობდა, მაგრამ ამწუთას ჭიქა არყით აფორიაქებულმა, წყალი გამოუშვესო, მოჰკრა თუ არა ყური, უნებურად წამოიმართა. მოაჯირამდე მიჩონდრიდა. ოღროჩოღრო კალაპოტს მიაცივდა. არა, ძველებურად როდი ატყუებდნენ. მებორნის გადანისლულ თვალსაწიერზე ისეთი მგლისფერი, ფეხმარდი და ბურტყუნა ტალღები მეჩეჩებს სწრაფად იპყრობდა.

ჭოფია ანთარიამ ატკარცალებულ ჯეელებს კი წაუყრუა, თუმცა შვილიშვილების მოღუშულმა სახეებმა მობოჭა,

[1] ეჰეჰეი, ჭოფია, თავი წამოსწიე! (მეგრ.).

ხედავთ, ესირცხვილთ ჩემი ამჩატებაო, გაუკრთა გონებაში და თავი ჩაჰკიდა.

ენგური სწრაფად მატულობდა. ცას ზღვიდან ამოყრილი ღრუბლები ფარავდა. მერე ანაზდეულად ქარმა ჩაიღრიალა. მეჩხერი წვიმა ატყაპუნდა აქაიქ. გარეშო წამით გაირინდა.

ლხინის ეშხში შესულები დაბრეკილსუფრიანად ათასწლოვან ჭადარს დროულად შეეხიზნენ.

ბერიკაცმა ფანჩატურიდან ბრეზენტის ობისსუნდაკარგული, გახუნებული მოსასხამი გამოთარია და როგორც კი მხარზე მოისხა, ცარგვალმაც საარყე ქუაბებით გადმოუშვა თქვი.

ყანყალებდა. ფამფალებდა ბორანი. ღრმა ძალლებ გამორკვეულს შლამისგან სხეული ვერ აეგლიჯა. კვეკვეს ძე შეჟანგულ ბოქლომს ამაოდ ეჯაჯგურებოდა. გამწარებულმა ჯაჭვს მიაფურთხა ერთხელ, მეორედ.

— ეჰეჰეი, ჭოფია, დუდი გემწოფია! — შეწყობილად აეკვიდნენ წიწკვაკვას წაქეზებული ონავრები, რომელ გამოჯავრებასაც მოპურმაილოთა გულისწამღები ხოროცაც დაერთო. ბუქსირზე აიყვანე ბორანი, ბუქსირზეო, ამასსაბავებდნენ ისედაც ძარღვებაშლილს.

ბედის დაცინვა თუ გინდა, გაიფიქრა ბაგეჩაკენეტილმა მებორნემ. ხოსმეშოლილს სიმწრის ოფლი ასხამდა. აგერ, კოპებშეკრული შვილიშვილებნ მკლავებზე ებღაუჭებოდნენ. უჯიათ ბაბუას ნაპირზე ძალით გამოყვანას უპირებდნენ. ხაბოდან თავზე ტომარაგადაკმული ცოლი დასწაწანებდა. სხვას ვინ ჩოდა, მისიანები რომ აუჯანყდნენ, ეს აცოფებდა.

— ახლა, ამ სიბერეში, ხელი რომ დამსტყუოთ საჯარო, მერე როგორი იქნება თქვენი ბეჭობა?! ჰოდა, დამეხსენით შემოგვევლეთ! — თქვა ჭოფიამ, მაგრამ ფიზიკური შეურაცხყოფის საშიშროება ბიჭებმა აინუნშიაც არ ჩაადგეს.

ათასწლოვანი ჭადრისძირიდან ერთ-ერ ლებურად ხოროხოცებდნენ.

— ჩემს ჭკუის დარიგებას, ცინგლიანებო, აჯობებს ოჯახს მოეკიდებოდეთ! — წამოიწყო მეათასედ, როცა შემოქერებით ვერაფერს გახდა — სამარის კარამდე მისულს, ბოლოს და ბოლოს ჯილაგის გამგრძელებლებს მაღრისებთ თუ არა?! — უთხრა მოძალადეებს. მაინც არ მოეშვნენ. მაშინ კი ბრაზიანმა ენას სადავეები მიუშვა — იქნება გვარის მასახელებელი გჰირთრამე?! — დაასრულა ბოლო ბუზივით წაჭერილ თითებს ძალ-ტყავა მკლავები გამოაცალა.

მამაკაცობაში შეეჭვება ვაეებს აშკარად ეწყინათ. უსიტყვოდ შეტრიალდნენ გულნატკენები.

— თვალიდან დამეკარგეთ, თქვე ჭაკი ცხენის მხედველებო! — მიაძახა ახლებს მრავალნაცადმა პაპამ — ვერ ხედავთ, ცა ჭიქა-ქუხილისთვის შემზადებულა?! ჭადარს დაეხსენით! სახლებში წადით, სახლებში! — დაიყვირა ჭოფია ანთარიამ და პირში წყალი ჩაეღვარა. ბუტკვების მორყევის მოწდინემ ხიდის ჩონჩხს ალმაცერი მზერა ჭსროლა. შინმოუსვლელთა ჰარესაც კახედა, საიდანაც მუშტივით შეკრულმა ანთარიებმა ხელები დაუქნიეს. თავისკენ ეპატიჟებოდნენ ცისფრები და მჩატენი.

მდინარე ფესვებიანად მოთხრილ ხეებს ნაფოტივით მოათამაშებდა. თავსხმას წვრილი ღელეებიც გამმაჟინებინა და თითოეულს ბილიკი ენგურისკენ გამოეგნო. კიდევ ათიოდე წუთიც და მორიგმა ზვირთმა ბორანი საცობივით აატივტივა.

— გასკდით შურისგან ზაფრანასავით — ჩაილაპარაკა ლაზღანდარათა მისამართით ძუბას ქმარმა. მალე მოხუცმა ბორნის დამკავებელი ჯაჭვიც აუშვა და ბაგირზე ხარკალა გახრიგინდა.

— თქვენ ნურაფერს ნაღვლობთ — ეჩურჩულებოდა მამისა და ბიძების ანრდლებს შემკრთალი ჭოფია — ეს ეკ-

ნია ზეზეულად რომ ჩალა სატანჯოში, თორემ თქვენთვის ზეცა თაფლით სავსე გობითაა მორთმეული.

შემოგარენი გარგარებდა. სტიქია ქვეყნის დანთქმით იმუქრებოდა. ჟამი წამი-წამ გაჩენის დღეს ემსგავსებოდა. მერე ნაპირმა ერთხმად ამოიგმინა, როცა ახალმა ტალღამ ბორანი ზეასწია, ხარკალა გადაამსხვრია და ნაფოტივით გაიგდო წინ. გაცოფებული ენგური ბორანს ხან ერთადგილას აბზრიალებდა, ხან უკიდურესობამდე გადაფერდავდა და თუ იქამდე ჰოფია ანთარია მიწაზე საღი ცალი ფეხით მაინც იდგა, ამჯერად მეწყერმა ისიც გამოაცალა. კვეკვეს ვაქმა ჰაერს ხელი წაუპოტინა, მაგრამ ზემოდან ზესკენელი აწვებოდა, ქვემოდან მდინარე ებღაუჭებოდა და სანამ მორევში ჩაიძირებოდა, მის მზერაში ხიდის ჩონჩხიც მტკაველ-მტკაველ მაღლდებოდა, სადღაც, მებორნის უარმყოფელი ცისკენ.

რაღაცნაირი ბუბუტუით აყირავდა თუ არა ბორანი, წიწიკვაკვას ნათლულმაც არ დააყოვნა და ეგრევე ისკუპა მდინარეში. იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ეს ნახტომი, ფხიზელი თუ შეზარხოშებული ოდაბადელები ხაპოსთავზე ერთიანად გახევდნენ. სუნთქვაშეკრულები წამით გაირინდნენ, მერე გამამხნევებელი შეძახილებით, ქალიშვილების ქიქმატობით, დედოლო ძუბას შეცხადებით, „თავზეხელაღებულს“ ხალხი ნაპირ-ნაპირ გამოეხო.

ბუტუტი შედედებულ სიმრუმეში მიტივტივე ბრეზენტის მოსასხამისკენ ჩქარობდა. თითქოს ყელში დანა გაუყრიათო, მებორნის ხავილისმაგვარი ხმა ყმაწვილს აშკარად ჩაესმოდა. გასროლილი შუბივით მიაპობდა ბინდისფერ ენგურს. დამხრჩვალის საწვიმარს მალე მისწვდა ხანთარიძე და როგორც კი ერთხელ ჩააფრინდა „ამირანის მკლავგამობმული“, ყველამ შვებით ამოისუნთქა. ირწმუნეს, რომ მეწყერის წამოგრაგნილი ტალღები თუ მორების კორიანტელი ვერაფერს დააკლებდა ჭაბუკს. ოდაბადელების ფაფალაზე[1] წრიალი ათ წუთსაც არ გაგრძელებულა. ფოტოგრაფმა სატრფიალო ტირიფების სიახლოვეს ძეძვნარი გაარღვია და ამჩატებულ ტვირთთან ერთად ნაპირზე ამობობღდა არაქთგამოცლილი.

შემოეხვივნენ. მკერდში ეკრავდნენ. კოცნიდა ქალი თუ კაცი.

სხვები გონწართმეულ მებორნეს დასტრიალებდნენ. ასულიერებდნენ და როდესაც გადარჩენილმა, ჩემი ბორანი სად არისო, იკითხა დაყლეპილი გამოხედვით, იფეთქა სიცილმა.

ახლა გმირი მოიძიეს, მაგრამ გიორგის ჭიქე კვეკვესთვის ჰალიძონიების ადგილ-სამყოფი გამოეკითხა, საფუძვლიანად გაჩხრეკილი აღეჭურვილობა გამოერთმია და არეულობაში იქაურობას გაცლოდა.

წვიმდა განუწყვეტლივ. ჩამოქუფრულმა ცამ მდინარისპირი მალე ჩაყლაპა. სიბნელის შემაზარზეს მასას ელვა გახლეჩდა ხანდისხან. ჩრდილებინად წარიტაცებდა ბუჩქებს და კორომებს.

შუაა ნელინელ მოიხრეშა. სიზმრიდან გამოცხადებულ ყრუ-მუნჯებს ტრიფოლიატას ღობეს ბუტუტიმ უცნაური თრთოლვით ჩაუარა. უკან მოტოვა კოპწია ოდები.

არდაშელ ჰალიძონიას ციხე-სიმაგრესავით აღმართული სასახლე მგზავრმა შორიდან შენიშნა.

ეზოს გზატკეცილი ევკალიპტების შხვართი ხეივნით უკავშირდებოდა. შუკის ორთავე მხარეს ჩამწკრივებულ, სოკოსმაგვარ ლამპიონებს წვიმის წვეთების რიალი ქარგავდა. ჩაბეტონებულ თხრილში მოდედებული წყალი მოქშეოდა. ფარშავანგის აღნაგობის ჭიშკარმა ბუტუტი ერთობ მოხიბლა. იგი კოჩიას ძმამ თანასოფლელების ჯიბრზე ზუგდიდში დაამზადებინა ამ ათიოდე წლის წინ. ყმაწვილმა ზარის ღილაკს თითი შეახო. ჯერ მოკლედ დარეკა, მერე — გაბმულად.

---

[1] ხაბოზე (მეგრ.).

სელექტორიდან მამაკაცის ხმამ ვინაობა ჰკითხა. ახალგაზრდამ უპასუხა, ახლა ჰალიძონიებთან სტუმრობის მიზანიც გამოიძიეს. ხანთარიძემ უკარნახა სხარტად, კონკრეტულად და ფარშავანგის ბოლოც მაშინათვე შუაზე გაიხსნა. იმდენად დაშორდა ერთმანეთს, მგზავრი გვერდულად შემოტეულიყო.

შესასვლელიდან გარაჟამდე აღმართულ ტალავერს აქეთ-იქით დაფნის დეკორატიული კედელი გასდევდა. ბუტუტიმ მიხედა მომჯადოებელ ჭიშკარს და რატომღაც ანაზდეულად ნთლიმამას ნათქვამი მოაგონდა: არდაშელთან მისვლას ნუ ეხუმრები, ჯიჯი, მზეთუნახავს კი პატრონობს ნოჩოევიჩი, მაგრამ მის სამოსახლოსთან პოტენციური მკვლელი დაძრწის. ვინც დამპალთან მიბედავს, უნახავ ძმას ვფიცავ, არ დავინდობ, სულს ამოვხდიო, დაიქადნა ამასწინათ სასჯელმოხდილმა ყვაბანმა. ასე რომ, ტყუილად ოიდი გკითხე, გამბედავი ხარ თუ მშიშარამეთქი?! წიწიკვაკვას შეგონებას ძუბა ჭანიას გამხელილიც გადაება. ათი კაციც რომ გახლდეს, მე მესტუმრე, შვილო, ოღონდ ჰალიძონიებს არ გაეკარო! სულ ორად-ორი მოსახლეა ოდაბადეში და ისიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული.

მოტკბო დაღლილობამ, მომთენთავმა რღვევამ ჭინის ძეს, როგორც ერთის, ისე მეორეს დიდაქტიკა 'თავიდან ამოუფრიალა.

სასახლესა და აივნიანი ოდას შორის ამოზიდული, მარმარილოს ფილებით მოპერანგებული აუზი თავსხმამ პირთამდე გაევსო. ჩქერალები ნაკადის ყოველ მოწოლისას კიდეებიდან გადმოედინებოდა. მოზაიკური ფსკერის გარდამავალი ტონალობა ისე სხვარსხვალებდა, იფიქრებდით, აუზი კალმახების სხმარტალს გაუხალისებიაო.

ხბოსტოლა ნაგაზებს ძლივს აკავებდნენ ცერისსმსხო ჯაჭვები.

ჰალიძონიებისას ჭალები ერთდროულად აენთო. თითქოს აქამდე ბნელიდან იკვლევდნენო სტუმრის ხასიათს, კენჭის თუ მარგალიტის სიმაღლეს ანგარებდნენო, თითქოს დაზუსტებულ[illegible]სი ავი და კარგი. ამიტომაც ახლა ხელით უხმობდნენ გისოსებიანი ფანჯრიდან სათანადოდ ამოცნობილს. თუმცა ქოფაკების ალიაქოთში შებიჯება მხოლოდ დამთხვეულს თუ მოაფიქრებოდა.

როცა წოწოლა კაცმა და გალანდულმა ქალმა ყვირილით, წუნელების ხუზუნით ძაღლების ენიასს ვერაფერი მოუხერხეს, მაშინათვე დაფნარში ჩამაღლულ ფაცხას მიაშურეს. გაადფთრებული, ჯინჯილებიანი ნაგაზების კბილების ავი დაბზინება ხორცის ულუფებით მალე დააწყნარეს. სტუმარს გზა გაუთავისუფლეს. მანაც ვითარებით ისარგებლა და ნაშიშილებ ღრენიებს აივანზე ასწრო.

არდაშელ ჰალიძონია ფოტოგრაფის მის ჭერქვეშ შემომგზავნელების საწადელს მიხვედრილიყო. ყოველივე ყვაბანის გასაღიზიანებლად მოეფიქრებინათ. ამა, ოდაბადელებს ნაპატიმრალთან საშარო თავი სად ჰქონდათ, მით უფრო მამ ბერე, რაც გახას შვილიშვილიც შედრკა, მამულში მკვიდრად ჩაირაზა. სამასრეში ეკაკანით დატენილი ვაზნები ჩაამწკრივა. ხალათის ჯიბეში „ბრაუნინგი“ ჩაიცურა, ბალიშის ქვეშ „ნაგანი“: შებინდებისთანავე გასაავებლად დამშეული ძაღლები აუშვა.

ყმაწვილი მოხერხებულად უჩიოდა ობლობასა და ხელმოკლეობას. მოუყვა სოფელ-სოფელ როგორ დაწანწალებს. თავს მესურათეობით ირჩენს. საოჯახო ალბომებს ადგენს. სამედიცინო ინსტიტუტში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას, მაგრამ ჯერ ფულია მოსაქუჩებელიო, ახსენა სასხვათაშორისოდ და ოსტატურად გასაგრძო თუ რანაირად დაიმგზავრა ჭოფია ანთარიას ცოლი, დარჩილისკენ მიმავალი ოდაბადეში რარიგად აღმოჩნდა. ორც ჭიქე კვეკვეს ენამეტყვრობა და ოინები დაუშალავს. წამით გაჩუმებულს მასპინძელმა მხარზე გადაბვია ხელი.

—ეცი წიწიკვაკვამ თავისი საქმე —

მოიწონა ტორონჯიას გადაწყვეტილება მასპინძელმა — სხვისი საოჯახო ალბომების შედგენას ყოველთვის მოასწრებ, ჩვენია მთავარი თორემ. არც გაბედული ნაბიჯები ჩაგეყრება წყალში—თან არ გაგვიგონონო, ისე ჩასჩურჩული ხანთარიძეს ყურში, თითქოს დიდადმნიშვნელოვან საიდუმლოს უმხელსო. ქალს აუცილებელ საჭიროებას ანდობდა. ჰკითხა, ჰყავდა თუ არა ამორჩეული.

— იმიტომაც დაეხეტება ასე! — დასკვნა, როცა სარჩულინად ყველმა ფოტოგრაფმა იუარა. მოწყენას, მარტოობას უჩიოდა არდაშელი. ბუტუტის ტანსაცმლით დასველებული მაჯა უდიერად ჩამოიღო. ხალათზე შეიხოცა. გახას შვილიშვილი საქმიან თადარიგს იჭერდა.

— მალე აბაზანას გავაცხელებინებ ხანტურს და შენი დაღლილობა დავიწყებას მიეცემა — თქვა სასტუმროსკენ მიმავალმა. დარბაზის უშველებელი სივრცე ბროლის ჯაღს გაებრდღვიალებინა, რომლის იქით მოჩანდა ბილიარდის მაგიდა, ღრმა, ფუმფული სავარძლები, ნაირ-ნაირი სპირტიანი სასმელით გამოტენილი მომცრო ბარი.

ამ მოვლილი ეზო-კარის, მარმარილოს აუზის, შეფიცრული, გალაქული კედლების, ზომზომისა და ციაგის ჩრდილში ყინის ძე რატომღაც დაიბნა, თუმცა სულ მალე სატანჯოს ბუნებრივ სილამაზესთან შედარებით აქაური დამაბრმავებელი ბრწყინვალება არარაობად მოეჩვენა. ამ ფიქრებში გართულს მისაღებიდან უბოდიშოდ გასულმა კაცმა, ჯინისშარვლიანი, გულხელდაკრეფილი ქალიშვილი აახლა. ასულს მხრებზე ყორნისფერი დალალები ეფინა. წყვილი დიდრონი ფირუზი რაღაცნაირი იდუმალებით უელვარებდა.

— ვაჟიშვილი არ გამოიმეტა ჩემთვის განგებამ — ოჯახის უფროსს გიორგის წინაშე გული ამობერტყვა მოუნდა რატომღაც — ქარიხვეტია ერთი ძმისწული, მკერდზე თავის მოყრდნობის ნაცვლად ტყვიით მემუქრება, მეორე — ეშვებით გათანგულმა მაგალითმა სოფლიდან გახიზნა, უკეთურებს შეეკედლა და როგორც ოდაბადლები გეტყოდნენ, ალბათ, წმინდანს ჩეკავენ მორიგი გოლგოთისათვის.

არდაშელმა ხანტურს შუბლზე ამბორყოფით კეთილი, მიმნდობი ჭაბუკისთვის აბაზანის მომზადება სთხოვა. მამამ ტანისრხეკვით მიმავალ ასულს ხალათისა და პიჟამოს ჩამოტანაც მიაძახა.

სანამ გორიოზი დისასახლისი დაბრუნდებოდა და მესუთათე ბილიარდის მაგიდაზე ფოტომოწყობილობას გამოფენდა, მარტოდდარჩენ ლუბამ ათითოდე წინადადების გაცვლა-გამოცვლა მოასწრეს.

— თავქარიანები ხართ ახლები, სისლი გიდღეო. კაწში ვერ ეტევით. ჭოფიას ის საღი ფეხი რა ხანია სამარეში უდგას, შენ კი მომავალს რას ეუბნები?! სითამამე კარგია, მაგრამ მთლად ასეთი?! — თქვა და ხანმოკლე დიდაქტიკის მერე ბორანზე გამართული სადილიდან დაინტერესდა.

ჭიჭე კვიკვესთვის დამახასიათებელი მმიკრეთითი ხანთარიძის მიერ გაცოცხლებულმა სცენებმა არდაშელ ჭალიძონისა — ეს ვინ ყოფილი, კაცოო, — თავშეუკავებლად ახარხარა. მხარზეც ბოლის ადენამდე უტყაპუნა ხელი.

— კიდევ რა გითხრეს ბორანზე — დაინტერესდა საკუთარი ამბითაც — მაინც რაო?!

ხანთარიძემ პირდაპირი პასუხის ნაცვლად წყვეტილ-წყვეტილი სიცილი აკმარა და ყვავ კარდუნიას ათასჯერ თქმული „ნეხეს ნუ გაანძრევ, თორემ ასუნდება“ ნოჩოს ვაეს ახლა უფრო ენიშნა. ყმაწვილს მკლავი გამოსდო. უსიამოვნო თემას მოარიდა.

— ვიდრე ენგურთან ჭიდილის ნაშთს ჩამოიცილებდე, ყველაფერს ჩამოგიტანს მამისთვალი — უთხრა აბაზანაში შეყვანილ სტუმარს სანდომიანი ღიმილით.

ვეება ვარცლში ჩაწოლილს თავზე სურნელოვანი წყალი აუბუმბულდა.

აქამდე უჩვეულო განწყობილებებით, ხილვებით, ფათერაკებით თუ სიცოცხლის ნიღბით დაქანცულს, ეთვლიმებოდა. კედელს ხელისგული მიუყაპუნა. არა, ეს უკვე შეურეველი ცხადი გახლდათ. „როგორ განსხვავდება კოჩიასგან არდაშელი გვარისა და საზიარო დედ-მამას თუ არ ჩავთვლით, რა აქვთ საერთო, არაფერი. თვალი დახუჭა. გედივით შემართული ხანტურ ჰალიძონია შემოცურდა. ზეასწია ბუობუშელების გროვა, ჩაიხუტა დამყოლი, სურნელოვანი.

გასახდელში მობრუნებულ ბუტუტის გორგოლაჭებიანი მაგიდა დაუხვდა. დაუდევრად მორთმეულ გარდერობს სტუმრმა საკმაო ხანს უტრიალა. იქექა, იბუდრავა, როგორც იქნა, შეიმოსა და ჩაციებული ლუდით ნასიამოვნებმა შეორთქლილ სარკეს თვალი ჩაუპაჭუნა. მართლაც, ანგელოზს დამსგავსებოდა, რაც მამა-შვილის მზრაში მეტი სიცხადით აირეკლებოდა. ფანჯრის გისოსებდან მოწყვეტილ ვარდს ყნოსავდა მასპინძლებისკენ მომავალი ხანთარიძე.

— დაბადების დღეს გილოცავთ, ხანტურ! — უთხრა კიას დაყრდნობილ ქალიშვილს ხანთარიძემ, მაგრამ ასულმა გამოწოდებულ კოკორს ცივად ჩაუარა. საყრდენად მოხერხებული წერტილი შეარჩია, გადაიზნიქა, ჰეგზამეტრით გაწყობილი ხერხემალი გამოჭიმნა, უხერხულ ბურთს ელვისებურად დაარტყა და უუხესტობით უკმაყოფილომ ჯოხი მაგიდაზე დაარახუნა.

ყმაწვილი დაწუნებული ყვავილის წვალებას მოეშვა. წამოყირმიზებულ ქალწულს კვლავ შეანთა კრიალა თვალები, წაბიჯა კიდეც მისკენ, მაგრამ ვაჟის წაწეული ტანი ჰაერში გაიყინა. ზურგი აებურძგლა. კეფაზე თმა აეჯაგრა. თითქოს განამდვილებულიყო სასტუმროში დასიზმრებული. ჯერ ჭიჭე კვეკვეს დეიდების ტრიფოლიატას ცოცხალი ღობე, ახლა აგერ, ხანტურ ჰალიძონია — ასულს მარჯვენა მკერდი ფიცარივით მობრტყელებოდა, მარცხენა— გათქვირვოდა, გავსებოდა და ამ შეუსაბამობამ ხანთარიძე მონუსხა. . გიორგის ამღვრევისა და გარდასახვის მიზეზები არდაშელმა ცხადლივ აღიქვა. შვილის ნაკლული მკერდი ლურსმანივით დაესო გულზე, მაგრამ მისი დაბნეულობა, ყოყმანი თვალის დახამხამებაში გაქრა, სწრაფად გამოიცალდა, გამხიარულდა. ფოტოპარატი პატრონს დაუბრუნა, სანაცვლოდ ყვავილი გამოართვა და თავდადრეკით მიაწოდა ჰალიძონხეს.

— ჩემო მტრედო, შენს მშვენიერებას ერთი წლით დაბერება ჯერ-ჯერობით ვერაფერს დააკლებს. სანამ სუფრას გავშლიდეთ და რამერუმეებს მოვახლაფოთრებდეთ, იცოდე, ხანთარიძის ფოტოპარატის განკარგულებაში იმყოფები! აბა, დროს ნუ კარგავთ, საქმეს შეუდექით! — მოსჭრა და ზურგში ალერსიანად უბიძგა ქალიშვილს.

ხანტურმა ყმაწვილი წამოისწრო. კიბის საფეხურები მხარდამხარ აათვეს. განვლეს საძინებელი ოთახები, ხალიჩები და ფარდაგები. ილუმინატორის მსგავს ფანჯრებიან კაბინეტში, მეორე სართულის ნახევარი რომ ეკავა, მოჩუქურთმებული თაროებიდან სქელტანიანი წიგნების ლეგიონები ანათებდნენ, მაგრამ ამორძალმა კისერწაგრძელებულ სტუმარს მათი დათვალიერება არ აცალა, ბიბლიოთეკას მსუბუქი ხელკავით გამოარიდა. კვლავ ამაღლდნენ მესამე სართულისკენ.

დედოფლის სამფლობელო აქედან იწყებოდა. ყველგან მონტეგი უფლისწულისა და კაპულეტი ფერიას სურათები ეკიდა. ქალ-ვაჟის თითოეული ინტიმური კაცრი ძიფირელის „რომეო და ჯულიეტადან“ კედელზე დაეტყვევებინა. ასულმა რაც ეს ტრაგედია დედაქალაქში იხილა, მოსცენება დაჰკარგა. ხანტურის გარდაქნილს მამა დროულად მიუხვდა და ეიღბლო შეყვარებულების სინაზემ, მათმა ერთგულება-თავგანწირვამ აქაურობა მალე დაიპყრო. ახლაც წყვილს გზადაგზა ზოგჯერ აცამზევებელი, ზოგჯერ კაეშნიანი სახეები მიაცილებდა.

ბუტუტის ეგონა, საცაა ბაგე ბადაგის დასაღებელად ამეტყველებდაო. იმ განწყობილებიდან შხამის და სატევრის სიმძაფრეც ეგრძნობოდა. როგორც კი ბარს მიაღწევდი, სემირამიდას ბაღისკენ, ციტრუსების ნარგავებისკენ ზეაგწევდა ლიფტი. ბუტყვეებდა მერხების სინატიფე, ჩოგბურთის მაგიდა, სამტრედეები, ლამპიონები და ლამპიონები.

როცა ჰალიძონნებისას ელექტროქსელში ყველა წერტილი ჩაერთვებოდა, ოდაბადელთა ტელევიზორებში გამოსახულებანი ქრებოდნენ. მოდერნიზებული პირამიდის წიაღში ჩაქანებულიყო ხანთარიძე, ეს ტანკენარი კი ვის უწყის, იქნებ ნეფერტიტის მშვენიერებას იმეორებდა. ბუტუტის ოცნებაში უხსოვარი დროის მერიდიანები იკვანძებოდნენ. ფეხქვეშ თითქოს საჰარისა და შუამდინარეთის ქვიშნარები შარიშურობდნენ. მერე იშვა ბაბილონის გოდოლის წაქცევისმაგვარი ხმა. კედელს მალექრობადი ურჩხულები შეესივნენ, რომლებიც მეყვსეულად გარდაისახებოდნენ, მომღიმარ თვალებს ბასრავდნენ, წინდებულ ხატებს ამთობდნენ და ხელად შეყვარებულთა სევდიანი იერისთვის ახალ კონტურებს ამზადებდნენ.

არდაშელი უფროსი ქალიშვილისთვის არაფერს იშურებდა, არც სპილოსძვლით გაწყობილ როიალს, არც — კინოფიკაციას და ფილატელიას. სისვი, ასუანის ჩამომავალი, წმინდასისხლის არაბული კვიცისთვის ხუთასი ათასი მანეთი გადაურიცხა სტავროპოლის აუქციონს კოლმეურნეობის ბიუჯეტიდან და „სოფლის კეთილდღეობას გადაყოლილმა“ საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების აღსანიშნავად ასულს უსახსოვრა. დერეფნებში ჩამწკრივდა სხვადასხვა კალიბრის შაშხანები. რბილბეწვიანი ავაზების, წვრილთვალება მელის თუ კაცივით შემართული ჩრდილოეთის დათვის ფიტულებთან, კერამიკის დიდრონ ქოთნებში სპორტიული მშვილდ-ისრები ელაგა. ბუხარაში დამზადებული ჭადრაკი — ხალიჩის ვერცხლის ყოველი ფიგურა კილოგრამამდე იწონიდა.

ხანტურის სურვილები გავლენიან მამას შესაძლებლობათა განამდვილების არანად ექცია. საამწუთისოფლო ღირსებებს მათი განხორციელებით ადგენდა. ოღონდ ქალწულს მოგუნებებოდა და ნებისმიერ წადილს უყოყმანოდ უსრულებდა.

ჰალიძონნეს გათამამების მთავარი მიზეზი არდაშელისთვის მომეტებულ სიყვარულთან ერთად, ასულის აკვნისდროინდელი ტრავმაც გახლდათ, რომელი ნაკლიც „მამის მტრედს“ და „ფარშავანგის ფრთას“ მოწიფულობაში საბედისწერო შეექმნა.

ეს ამბავი ჰალიძონიებს სატანჯოში კოჩიას გაქცევიდან მეათე კვირას შეემთხვათ.

იმ დასაწვავ ღამეს არდაშელი გადამთვრალი მოვიდა.

ცარო კიმერელიას დასვენების დროა ხანი გამოეძებნა. ნიკრისის ქარების მომჩიენან ქმართან ერთად მერამდენე დღე იყო, რაც მენჯრი ისვენებდა და სავსე ოჯახი მეცხრე თვეში გადამდგარი რძლისთვის დაეტოვებინა, ამიტომაც თავმჯდომარემ რიკიმიდან წვეულ სტუმრებს სასადილოში გაუშალა სუფრა. ვგიან მობრუნებული და გალეშილი ჯერ ფეხმძიმე ცოლს წაეღლობუცა, მერე მძინარე ბავშვს მიესაყვარულა.

მილანდარმა ხელებდაგრძელებულ მეუღლეს ზნლადდაძინებული ბავშვი შეაბრალა: ჯიკავ-ჯიკავით მიიყვანა ლოგინამდე, წამოაწვინა, მაგრამ ადრინდელივით არც ფეხსაცმლები გაუხდია და არც მოჭეირილ ქმარი მოუხალვათებია. ცოტაც და კამეჩების მოსაწველად თითისწვერებზე გავიდა.

სასთუმალმა ნაღვინეკ კაცს თავბრუ დაასხა. წამოაჯინა. გატრეტილი მთვრალი ცუგრუმელას აკვნის გადასაფარებელ ქსოვილს წაეტანა. იატაკზე ჩამოაცურა. ჩალიშნა თვალებდაწრპალული „ჭაკურია“. შემდეგ ბანცალით სკამი მოაჩოჩა. ზედ ბუხრის თაროდან ჩამოღებული შუშამოყანყალე ლამპა დადგა.

გათვითცნობიერების დროის მპოვნელმა ფარსმან სპარსის შეგონებანი ვინ იცის მერამდენედ აიფარა სახეზე. ხუროთმოძღვარს მწუხრისეამინდელი სიბრძნის ჩათვავება არც აძჯერად დასცალდა. ვინაიდან მკითხველმა თავი უდროოდ ჩაჰკიდა. წიგნი კი ლოგინზე-გაშოტილს ღონეწართმეული თითებიდან გაუცურდა. ლეიბიდან სკამზე გადასრიალდა. შუქის სუსტ წყაროს უბიძგა. გამოღვიძებული ნორჩის საბანზე დაეწვინა.

ანგელოზის სარწეველა აალებისგან ბამბის საბანმა იხსნა, მაგრამ გაღვივებული ნაპერწკალი თანდათან ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა. აქამდე მოეღორტულეს აწრიალებდა, თავ-კისერს ატრიალებინებდა, ასხავლებდა.

ორდაშელი თვინიერად ხვრინავდა. სიზმარი ფერად ღრუბლებში დაანარნარებდა. მკერდზე ცირა შკვითინის ატმის ხესავით აყვავებული თავი მიეხუტებინა, ამ დროს კი მის ცოლს დედობრივი ალღო მიწაზე ფეხდაუკარებლად მოარბენინებდა. აწივლებული შვილი არტახებიდან ამოგლიჯა, მილანდარმა. ახრჩოლებული ლამპარი ფეხით ბუხარში შეაგდო. მეუღლეს ქერეში ჩაეფრინდა, თან წიხლებიც მიაზელა. დაფორიაქებულებმა ჭოფი ანთარეს ბორანი ააშვებინეს. მოკლედ პირქვეშ სიკვდილს გადაურჩა, მეორე ხარისხის სიდამწვრისგანაც განიკურნა, მაგრამ ოგონა ცარო კიმერელის და საკრთოდ, ოდაბადელების თვალში, მაინც „მილანდარის მსხვერპლად დარჩა.

წლების მომატებასთან ერთად ხანტურის გადიდებული სიდამწვრე ნელინელ ახალ თვისობრიობას იძენდა. განსაკუთრებით ეს უფრო ცხადი მას მერე შეიქმნა, რაც „დედის დაინვალიდებულის“ მკერდის მარცხენა არე ფარულმა, ქალწულებრივმა ბიძგმა შეარყია. აქამდე მეჯეჯვეთ უწყინარი კვირტის ქვეშ ცერისიმსხო ჯირკვალი ჩაუჯდა, რომელიც თანდათან დამფეფქველდებ იზრდებოდა, იბურცებოდა, „სიმსივნე“ უღვთოდ მატულობდა.

შეშფოთებული ჰალიძონხე ამ საქმეში ფრიად განსწავლულმა ბებიამ დაუწყნარა, მაგრამ თითქოს ბნელს ნათელი გამოეყოო, მალე გოგონამ გაორება აშკარად იგრძნო. სხეულის უძრავი ნაწილი, ჩამქრალი ძეძეუ, განვითარების ზოგად კანონებს, დროის ულმობელ დინებას გამოთიშვოდა, უბიწო-უსიკვდილო მდგომარეობაში თვლემდა, სუფევდა და ქალწულისთვის უნუგეშობასს მისაყრდნობელ კედელს დაემგვანა იგი. ფორმამ, ცხადია, შესაბამისი შინაარსი განავითარა. ხანტურის არსებაში თანდათან ფრთხილი, თავაწეული, ამასთანავე ყოველ სიტყვას დადარაჯებული პიროვნება ჩამოაყალიბა, რომლისთვისაც წინადადებაში არა თუ მკერდისა და ძეძეს ხსენება, საერთოდ სიტყვა „მარჯვენის“ ნებისმიერი სინტაქსური სტრუქტურით გამოჩენა ძარღვების ამშლელი შეიქმნა. მსგავს საკითხებზე საუბრები როგორც ტოლებთან, ისე უფროსებთან ყურის ბიბილოებს აუპილპილედა ხოლმე. თითქოს მკერდის მარჯვენა მხარეს კაბის ქვეშ ბამბით კი არა ნაკვერჩხლებით გამოტენილი ლიფი მიკვროდა.

ვინ იცის, ასე როდემდე გასტანდა, ერთხელ კიბეებზე ამომავალს კისრისტეხით გამოქანებული უმცროსკლასელი კინტირია რომ არ დაჯახებოდა.

ბუნებრივია, ნესვისთავა თუბალიას ანგლობა უკვე წელზე მაცქერალმა ხანტურამა არ შეირჩინა, ნირწამხდარ ვაუს მთელი თხუთმეტი წუთი სდია, ვიდრე ბებერ ტრიფოლიატებთან არ მიიმწყვდია. მალე თავხედის ყურებს ადრინდელი ზომები სანატრელი გაუხდათ.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლდოს ჰაქსლი

გლაქსტონების ოჯახი

მოთხრობა

რა მშვენივრად, როგორ აუღელვებლად ცხოვრობდნენ გლაქსტონები თავიანთ პატარა სახლში! ასე განსაჯეთ, კატაც კი ვეგეტარიანელი ჰყავდათ. სამაგალითოდ ექვსი წლის სილვია სულ არ ემორჩილებოდა გლაქსტონთა ოჯახში დამკვიდრებულ წესსა და ადათს. მაშინ, როცა ფაზი ჯერ მხოლოდ ოთხი წლის ფიზუნია იყო, დი მის ძარღვებში ვეფხვის სისხლი იდგა, ისიც კი სულ ბოსტნეულს, კარტოფილსა და რძეს მიირთმევდა, კარაქს ათასში ერთხელ თუ გაკკრავდა ტბილს. სიმართლე რომ ვთქვათ, სილვიასაც ძალიან უნდოდა, უარი ეთქვა ბეკონზე, განსაკუთრებით, როცა სტუმრად იყო, მაგრამ...

გლაქსტონები მტკივნეულად განიცდიდნენ ჯუდის ჭირქვეშ ცხოვრებას, თუმცა მართას კათხოვების შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო ცოტა ხნით დასთან ყოფნა რომ მოუხდათ. კაცმა რომ თქვას, მართა გლაქსტონს თითქმის ეშინოდა ჯუდის მწარე ენისა, მისი მართალი, მაგრამ ირონიული და მკაცრი სიტყვისა. ისე არც მაინდამაინც სიძე ეხატებოდა გულზე, რადგან ჯეკ ბამბოროუ მარტო აღიარებული მწერალი კი არა, ფულის შემომტანი კაციც იყო. საბრალო მართას ფულელ კი... ჰერბერტის მხატვრობა „ძალზე რთული და ღრმად ფსიქოლოგიური, ამიტომაც არის რომ ხალხი ვერ იგებს მის ნამუშევრებსო". ხშირად ამბობდა მართა, რომელსაც, ალბად, შურდა კიდეც სიძის ასეთი აღიარება. მართალია, ჯეკს ეს წარმატება თავაზიანები შრომისა და კრიტიკოსებთან გაუთავებელი კინკლაობის ფასად უჯდებოდა, მაგრამ მართას რაში ენაღვლებოდა. ამდენი ჯილდო და წელიწადში ათასი ფუნტი შემოსავალი არცოუ ისე ცოტააო, ფიქრობდა. ჰერბერტ ვერახოდეს ასაღებდა თავის ნამუშევრებს, ჯილდოებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მიუხედავად ასეთი არასაბარბიელო ურთიერთობისა დებს შორის, ჯუდი ბოლო ხანებში ზხორად ეპატიჟებოდა მართას. მართა თოქოს ახლა მაინც უნდა განეწყობილიყო კეთილად დისა და სიძის მიმართ. სხვა რომ არა იყოს რა, მათი ხასხის ბუზრებიც ხომ გახაწეშენი იყო, სახურავიდან წყალი წვეთავდა და ისიც შეკეთებას მოითხოვდა. ამიტომ იყო, გლაქსტონებმა სიამოვნებით რომ მიიღეს ჯუდის მიპატიჟება. მხოლოდ მათი პატარა გოგონა, პატარა სილვია იქცეოდა ურიგოდ — შეიტუნეულდებოდა დილაადრიანად სასადილო ოთახში და ზაზხს მიეპარებოდა. თუმცა დეიდა ჯუდი და ბიძია ჯეკიც ხომ ყოველ დილით მიირთმევდნენ გეშრილ ბეკონს. სილვიას უსაქციელობა კი იმ დღიდან დაიწყო, დედამ ბავშვს ბეკონის ჭამა რომ აუკრძალა. მერე, როცა ჯუდი იტალიურ, ინკუსტრირებულ კარადებში შეილაგებულ თეთრეულში იქექებოდა — ზეწარსა ან ბალიშისპირზე ხზირად ნახავდა ხოლმე ცხიმის პატარა ლაქას. დღეები დღეებს მისდევდა, სილვია კი არა და არ იშლიდა ამ ჩვევას. სალამოობით, როცა მის პატარა ძმას პაუულ ობანავებდნენ, გოგონა დროს იხელთებდა და თავს მაშინვე სამზარეულოში ჩკრავდა. სულმოუთქმელად აირბენდა კიბეზე და ზაზხის პატარა ნაგერს ხალიშის ქვეშ მალავდა. მერე, სინათლეს რომ ჩააკრობდნენ, მაშინღა იწყებდა ზაზხის ჭამას. დილით კი, ლოგინში მხოლოდ ქონის ლაქები და ზაზხის კანი რჩებოდა გოგონას „დანაშაულის" მამხილებლად. ჯუდი ამაზეც გულისანად იცინოდა ხოლმე, სიცილის მიზეზს კი ძალზე ხზირად ამლევდა პატარა სილვია.

— შენ ისე უშლი ბავშვს ბეკონის ჭამას, რომ მისთვის ღორის ხორცი აკრძალული ხილივითაა... — ეტყოდა ხოლმე ჯუდი დას და თან სიცილისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

ასეთი საუბრის დროს მართას სახეზე თავისი ჩვეული ღიმილი კი დასთამაშებდა, მა-

გრამ, ეტუობოდა, შინაგანად ძალზე დაძაბული იყო, ვინაიდან აშკარა იყო, გოგონა ჯდიხა და ჭეკის თანდასწრებით დედას თოჭმის არაფერად აგდებდა. მართას ერთი სული ჰქონდა, შვილი გემრielად მიეტოვა, მაგრამ ბავშვთან უხეშობა ხომ არ შეიძლება, არც ის არის სასიამოვნო, თუ შვილი შეგატუობს, რომ თავი მოგაბეზრა. ამიტომაც იგი მოთმინებით უხსნიდა სილვიას, ჯერებდა, უთითებდა და ცდილობდა გულმოსული კი არა, შეწუხებული და დარდიანი სჩვენებოდა.

— ჩემი და მამას აზრით, საკონლის ხოცვა სულაც არ არის აუცილებელი. რადგან ბოსტნეულითთაც ადვილად შეიძლება თავის გატანა.

— შენ რა იცი, რომ ბოსტნეულს არ სტაკვა? — ჭირვეულობდა გოგონა.

— ჩვენი აზრით, საკონლის ახე უმოწყალოდ ხოცვა დიდი ცოდვაა, ჩემო კარგო, — გაბაგრძობდა მისის გლაკსტონი, ისე რომ სილვიას სიტყვებს ყურადღებას სულაც არ აქცევდა.

— ჩემო გოგონი, ამა წარმოიდგინე, ამ ბეკონისთვის საბრალო, უდანაშაულო ღორი უნდა დაკლან.

— ჭირივით მეკვერებიან ღორები, — ისევ ეინიანობდა სილვია და სიბრაზისაგან ანთებულ შავ თვალებს ერთ წერტილს არ აცილებდა.

— მეკვერებიან ღორები, მეკვერებიან.

— ძალიან კარგი, — უთხრა დედა ჯუდიმ, რომელმაც დედა-შვილის საუბარს სწორედ ამ დროს შემოუსწრო, — ძალიანაც კარგი, თუ მეკვერებიან. ღორები მართლაც რომ საზიზღარი ცხოველები არიან. ღორებსაც ამიტომ ეძახიან.

ახლა მართა გახარებული იყო საკუთარ სახლში რომ ბრუნდებოდა. რა ბედნიერებაა, ჯუფის ირონიულ ღიმილს რომ აღარ დავნახავ, ჭეკის გაუთავებელ კბენა-დიდებას აღარ მოვისმენო, ფიქრობდა თავისთვის. თავის სახლში მართა მთელ ოჯახს თვითონ უძღვებოდა. დიახსალისაც თვითონ იყო და გამგეც-ლიც. სტუმრად მოსული მეგობრებს, ზშირად ეტყოდა ხოლმე ჩვეული ღიმილით: ჩვენ ჩვენი პატარა ირონულიღიმი ავაშენეთ ინგლისის ამ ხავერდოვან, მწვანე მიწაზეო.

ლუფის წარმოუთას ჭერ კიდევ მართას დიდმა პაპამ მიპყო ხელი. პორტსეიტატი მთელ ჩეზრსა და დემპშირში განთქმული იყვნენ თავიანთი სიმდიდრით. მამის ოჯახიდან მართას ყოველწლიურად დაახლოებით შვიდასი ფუნტი შემოსავალი ჰქონდა. ცხადია, გლაკსტონები ასეთი შეძლებით ვერ დაიკვეხნიდნენ. ისინი ხომ იმ ყვავილების მოშენებით ირჩენდნენ თავს, რომლის ფესვებიც ფართოდ გამოიყენება ლუდის წარმოებაში. ჰოდა, ინსთვის რომ ბრიტანელი მუშების წყურვილი მოეკლათ, პერბერტ გლაკსტონს დღე-ღამე უნდა ეფიქრა ამ ყვავილების მოკლა-აპატრონებაში. მაგრამ მართაზე დაკორწინებამ იგი საბუდამდე ისხნა ამ საქმიანობისაგან. მას შესაძლებლობა მიეცა მხატვრობისა და რელიგიისთვის „შეეწირა თავი“.

— ზრომის განაწილებაც ამას ჰქვიაო, — დამცინავი ღიმილით იტყოდა ხოლმე ჯუდი. — ვიღაცები ლონთონე, ჩვენ კი — მე და მარია „ვფიქრობთ“, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიგვანია, რომ „ვფიქრობთ“.

ჰერბერტი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ერთთავად ზურგჩანთამოკიდებულები რომ დადიან. ის კი არა, ზშირად ამ ზურგჩანთას ლონდონის ქუჩებშიაც არ იშორებდა, სადაც ეშვიათად თუ მოხვდებოდა. მაგრამ, მაშინაც ბინდ სტრატზე ისე მიაბიჯებდა, თითქოს მონმდალნზე აპირებს ახვლახო. ჩიატნეიდან შარალს ჩექმებში, ზურგზე ღარის ვეგეტარიანელებისთვის განკუთვნილ პრასხოთა და კომბოსტოთი სავსე ჩანთას მოიკიდებდა და მიდიოდა ასე არხეინად. მიდიოდა და ქერა წვერს ნიავი უშეწავდა. გოგო-ბიჭები ყიეფინო მისდევდნენ უცაბედად გამოწყობილ ძიას. უფროსები კი, ერთს გაილიმებდნენ და ამ ახირებულ კაცს თვალს ღიმილით გაყოლებდნენ. ჰერბერტი ინუფნიკუ არ აგდებდა არავის, დინჯად მიუყვებოდა თავის გზას და კეთილად ეღიმებოდა. კაცმა რომ თქვას, ამ ცხოვრებაში ყველას თავისი ზურგჩანთა დააკეს, თუმცა ჰერბერტი ამ ზურგჩანთას სხვებივით მორჩილად როდი ატარებდა, პირიქით, ამაყად და გამომწვევადაც კი დაჰკონდა, თითქოს სხვათა წინაშე რაღაც დიდი უპირატესობით იწონებს თავსაო. ისე, გამოირჩეოდა კიდევაც მრავალთა და მრავალთაგან თავისი კეთილშობილებით, თავისი მოშვებული წვერით, ჩექმებში ჩატნეული შარვლითა თუ ბაირონისებური პერანგით.

— რას იზამ, ვიცი, სასაცილო გეჩვენებით, — ეუნებებოდა იგი ამხანაგებს, — ვიცი, ხშირად იცინით კიდეც ჩემს ახირებულობაზე.

— რას ამბობ, ჰერბერტ, რას, — ყასიდად ეწინააღმდეგებოდნენ ამხანაგები.

— მე მაინც ჩემსას ვიტყვი. ეს ჩემი ახირებულობაა რომ არა, იცით, სადამდე მიხვიდოდით და რას გააკეთებდით? ალბათ, უმოწყალოდ სცემდით ბავშვებს, ამოელტდეთ პირუტყვს, ერთი შილინგის მოპარვისთვის კაცს სახრჩობელაზე ისე აიკუნდით, თვალს არ დაახამხამებდით. ოქვენც ისევე გაიმერებდით ყველი ან სისპილეულს, წარსულში რომ არად დაგიდევდნენ.

ჰერბერტი თავმოყვარე კაცი იყო. ერთი შეხედვით, თითქოს თავის თავის უფროსიც თვითონვე გახლდათ. არც მართა ჩამორჩე-

ბოდა ქმარს. მიუხედავად იმ მომხიბლელი, სათნო, ქრისტიანული ღიმილისა, რომელსაც ხახიდან თითქმის არ იშორებდა, სხვის სიტუკვასა და აზრს ანკარაზე არასოდეს უუგდებ. იგი დამოუკიდებელი ხასიათის ქალი იყო და ის მისი ღიმილიც, რომელიც მონა ლიზას იდუმალ და შეუცნობელ ღიმილთან მოწკალეულ კი გეჩვენებოდათ, აშკარად არაბუნებრივი ჩანდა. დიან, მართას საკმაოდ თხელსა და უფაერულ ტუჩებზე ერთთავად სათნო ღიმილი დასთამაშებდა, რითაც იგი გულმოდგინედ ცდილობდა თავები გულჩახვეულობისა და უხასიათობის დაფარვას. მისი უხასიათობის სათავე ეს მიზეზი კი ის იყო, რომ მთელი თავისი სიცოცხლე კოტაგი ამბობდა უარს ყველა ამქვეყნიურ სიკეთეზე, რათა „სულიერად ამაღლებულიყო". მისთვის რომ გეკითხთა, განა ზნეობრივ სისპეტაკეზე არ მოუთითებდა ის, რომ ერთნაირად უყვარდა როგორც მოკვახი, ისე მტერიც?! (არადა, მისი აზრით, მთელი ქვეყანა მისი მტერი იყო. მართას კი მაინც ყველა უყვარდა, უყვარდა იმიტომ, რომ სინამდვილეში არავინ უყვარებია.)

ბოლოსა და ბოლოს, ეს ღიმილი მართას ჩვეულებად ეკცა. თუმცა, დღისით უუურადღებოდ მიგდებული მოტიკეულის ანთებული ფარანივით ფუჭი და ულაზი იყო მისი ღიმილი. მაშინაც კი, როცა აშკარად ეალინანებული იყო, როცა კოტაი ჯორნეით იბრძოდა მიზნის მისაღწევად, ხახიდან ღიმილს არ იშორებდა. ნაცრისფერი თმა რაფაელის წინა დროინდელი სარკით დაეშვარგინა, მიცვალებულივით გაფთრებული ხასიათვის ეს ღიმილი ისეთივე შეუფერებელი იყო, როგორც ეს შემწუნარებლური სიყვარული მისთვის საძულველი და მტრად მოკიდებული სამეაროს მიმართ. არადა, ნაცრისფერ თვალებში ნათლად გამოკოოოდა იმ უსიამო განცდის ღრმა კვალი, რომლის დფარვასაც ასე გულმოდგინედ ცდილობდა მართა.

ფულის კეთება ჯერ კიდევ მართას წინაპრებმა დაიწყეს. მამამისი კი უკვე ბურჟუად დაიბადა. ლუდის ნარმოებამ მან გვარს ხაშეალება მისცა ენბობილი ხაოოტსმენები, ავორნიმები, ცხენოს ხელეკციონერები, პარლამენტის და ლონდონის საუკეთესო კლუბების წევრები გამხდარიყვნენ.

პორტსგეიტების მეოთხე თაობა უკვე საკმაოდ კარგად ეროკეოდა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. მართა ახალგაზრდობაშივე გაეცნო ეილიან მორისსა და მის ბეზაზეს, ტოლსტოის და როდენს, გაიტაცა ეროვნულმა ხალხურმა ცეკვებმა. გონებანათელი ჯუდი ეკ. ხელოვნებით და ფრანგული ლიტერატურით დაინტერესდა. მოიბიბლა მანტენია და დაუმერის, მატისისა და სეზანის ხელოვნებით. ლუდის მწარმოებლებმა შვილებს იმპრესიონიზმის, თეოსოფიისა და კომეინიზმის ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძღვებოდა. აქ თავს იყრიდა აღმოსავლეთ ჩეშირის მთელი საუკეთესო ახალგაზრდობა. მართა ამ ბაღში სოფლიდან მანქანით დადიოდა, ჰერბერტი კი მაი-სტრატფიდან ველოსიპედით ჩამოდიოდა. სწორედ ამ ხალამოებზე დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს. მერე, მერე კი, სიყვარულმა თავისი გაიტანა.

ამ დროს მართა უკვე ოცდაოთხ წლისა იყო და, მიუხედავად ცოტა უხეში და ფერმერთა-ული სახისა, შეუხედავად არ ითვლებოდა. ერთი წლით უფროსი ჰერბერტი ძალზე მაღალი ყმაწვილი გახლდათ, მკაცრნაკვთებიან, ირწიკისებური სახეს ქერა თმა უშშვენებდა, თუმცა არაჩვეულებრივად მშვიდი ბუნებისა იყო, რის გამოც ჯუდიმ „ირწიკის ბუმბულში გახვეული კრაკი" შეარქვა. იმ დროისათვის ჰერბერტს წვერი ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშვებული. ეკონომიურად გაჭირვებულს, სადა ჰქონდა იმის შესაძლებლობა, თავი გაენახვევინებინა ბრეგნობით მოეწონებინა. აუცილებლის მიმწყობ კანტორაში, სადაც ჰერბერტი კლერკად მუშაობდა, წვერის მოშვება მიუღებელი იყო, იხეკე როგორც ჩეკმენში ჩატანებული შარვალი, საკელოგადაღეული პერანგი, და ბოლოს, ამ გარეგნული განსხვავებულობის სიმპოლო — ზურგჩანთა. ასეთი ირიგინალობის შესაძლებლობა ჰერბერტს მხოლოდ ქორწინების მერე მიეცა. მართას შეიდასმა ფუნტმა წლიურმა შემოსავალმა იგი წელში გამართა. ახა ნანთვრეში სიარულის დროს რა შეეძლო?! ფიოლეს ეკლესიაზეციის ტარებისა და იდუმალი ოცნების უფლებასთუ მოსცემდა თავს.

მართას ძალიან უყვარდა ქმარი, მაგრამ უყვარდა მდუმარედ, გაუმხელლად. ახე გასხეკეთ, ჯიუტი ხასიათის გამო ეს დიდი გრძნობა ლამის სიცივეში გადაქცეოდა. არადა, ქალი აღმერთებდა ქმრის გამოქანდაკებულ ტანს, მის ზნოიან ხელებს, ირწიკისებურ სახეს, და ბოლოს, მის ირიგინალობას, რომლის სიუალბეკე უმალ თვალში ეცემოდა სხვას. ერთი სიტყვით, მართას ყველაფერი მოსწონდა ქმრისა. „იგი უილიამ მორისს და ტოლსტოის კითხულობს", — წერდა თავის დღიურში. „ის ყველასაგან გამოირჩევა თავისი გულისხმიერებით, ვისაც კი ჩემს სიცოცხლეში შეეხვედრივარ. იგი არც უსაქმეოა და არც ეგოისტი, არც ნერონივით გულგრილი, რომელიც მშვიდად უკრავდა ვიოლინოს, სანამ რომი იწვოდა. ჰერბერტი ყველასგან განსხვავდება თავისი კეთილშობილებით. ამასთან, იგი ხელოვანის მეტად მძიმე ტვირთსაც ეწევა, ამიტომ მიყვარს ახე ძალიან". სინამდვილეში მართას სწრაფვა ჰერბერტ გლაკსტონსადმი სულიერი კი არა, უფრო ფიზიკური იყო. ძლიერი ენებისთა და სურვილითა შეპყრობილი მართა ყოველ წუთს მზად იყო, ქმარს საავდრო ღრუბელივით დასტყდომოდა თავს. საბრალო ჰერბერტი კი, მხოლოდ მართას ნიბას ელებოდა, კაცმა რომ თქვას, ან კი ჰერბერტი რაღას კარგავდა, მის პატივმოყვარეობას ხომ აკმაყოფილებდნენ.

ლუდის მწარმოებლებს თავზარი დაეცათ, როცა გაიგეს, მართა მაღაზიის მეპატრონის ვაჟიშვილს მიჰყვებიო. იმათ ის უფრო ალიზიანებდათ, მართა ახე ჯიუტად და შეუპოვრად რომ იბრძოდა ცხოვრების საკუთარი და განსხვავებული გზისათვის. მას რომც არ მაკვარებოდა ჰერბერტი, მაინც გაკვეთდა ცოლად, სწორედ იმიტომ, რომ ვაჟის მამა ქსოვილებით მოვაჭრე იყო და როგორც პორტსგეიტები ფიქრობდნენ, საზოგადოების ეს ფენა მათ ოჯახს არ შეეფერებოდა. ყველაფრისან ერთად, მათ ჰერბერტის ტალანტიც აფიქრებდათ. მაგრამ რა დიდი ტალანტის პატრონიც არ უნდა ყოფილიყო, მართას შვიდასი ფუნტი წლიური შემოსავალი რომ არა, იგი მაინც აუცილებლად მომწყობ კანტორაში ამოიხრჩობოდა. ახე იყო თუ ისე, ეს ქორწინება მართას თითქოს რაღაც ვალდებულებას უკეთებდა ჰერბერტის მიმართ. „აკაცია და ქუდი ჰხურავს", მშვიდად უთხრა მართამ მამას ის იმედით, რომ ბერნსის სიტყვებით ჰერბერტზე გულს ოდნავ მაინც მოუსვლობდა და კეთილად განაწყობდა, მაგრამ მამის სასტიკ წინააღმდეგობას რომ წააწყდა, მართა აილეწა და ხმის ამოუღებლად გაგრილდა. თუმცა მან და ჰერბერტმა, რომელიც მართას სურვილს უთქვენლად დაპყვა, სამი კვირის შემდეგ მაინც იქორწინეს.

და აი, სილვია უკვე ექვსი წლისაა, პაული — ხუთის. „გოგონა შუბლებს ძნელად აღსაზრდელ ბავშვად მიიჩნევთ, მათი აზრით, ბეჭი შედარებით უფრო თვინიერი და დამკერი იყო. ამასობაში კი ჰერბერტი მთლიანად ცოლის ვაჟიშვილის ქეშ მოეკავა. სწორედ მართა გახლდათ იმის მიზეზი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჰერბერტმა მოულოდნელად თავის თავში ზხატვრობის ნიჭი აღმოაჩინა. თუმცა ჯერ კიდევ ხულმოცარული ბატონად ითვლებოდა „ეროვ ყოველ წარუმატებლობაზე თავს ისე იწონებდა, როგორც იმ თავის ზურგჩანთით, ჩეკმენში ჩატანებული შარვლითა და მოშვებული წვერით". გულს მაინცდამაინც არე მართა იტეხდა, გინდა თუ არა, ჰერბერტის წარუმატებლობის მიზეზს მისი ნიხატების ლრმა ფსიქოლოგიურობა წარმოადგენსო და დახვენდა, ეჭვიც არ მეკარება ჰერბერტის დროც დადგებაო.

ამასობაში კი სარეის ქუჩაზე მათი პატარა სახლი გაუსაღებელმა სურათებმა ლამის წალეკა. ჰერბერტის ნახატები ძირითადად ალეგორიული იყო. იგი ადრეული პერიოდის ინდოელი ოსტატების მანერას მისდევდა,

ამიტომაც მისი ნახატები აღმოსავლეთის ხალხთა ნიშან-თვისებებით გამოირჩეოდა. ბატაფი პუფის დე ჩივანის მსგავს მოსწყენ დიდმკერდიან, — ზვრილწყლიანსა და ფეხებმორკალულ ქალებს.

— მაპატიე, ჰერბერტ, — უთხრა ჯუდიმ სიძეს, როცა სადგურის ბაკანზე მატარებელს უცდიდნენ. ახლა იგი სახლში მიმავალი გლეკსტონებს აცილებდა. — ძალიან გთხოვ, უფრო გაბედულად ხატო. ასეთი მარტივი სტილით ხატვა არ გამოგადგება, ჰერბერტ. ვიწრე კი წარმოიდგენ, როგორ გამეხარდება, თუკი დღეის შემდეგ მაინც ულალატებ თავს.

„რა ბედნიერებაა, — ფიქრობდა მართა, — ამათ რომ ვეღარ დავინახავ. მართალია, ჯუდი ნამდვილად ძალიანაც...“ გაიფიქრა მართამ და გამომშვიდობების ნიშნად დას ხელი ღიმილით დაუქნია.

— როგორ მიხარია, რომ სახლში ვბრუნდებით, — წამოძახა ალტაცებულმა მართამ, როგორც კი ტაქსი მათი სახლისაკენ მიმავალ ალმათს შეუდგა. — როგორ მიხარია, — გაიმეორა მან.

— რა თქმა უნდა, შენს სახლს რა სჯობია, — დაუფახფახა ჰერბერტმაც.

— მეც ძალიან მიხარია, — ამაყვა მშობლებს პატარა პაული, რომელსაც ყელის გაუთავებელი ტკივილისაგან ხმა წართმეოდა. ის ხომ შობლების საყვარელი შვილი იყო და მუდამ იმას აკეთებდა და ამბობდა, რასაც მისგან დედიკო და მამიკო თხოულობდნენ.

იჯდა სილვია მანქანის ფანჯარასთან და მწვანენი ჩაფლულ ერთსართულიან სახლს ამრეზილი გაჰყურებდა. — რა შედარებაა, სად ეს და სად დედი ჯუდის სახლი, — თქვა სილვიამ.

მართა ჩვენები ღიმილით მიუბრუნდა გოგონას: — მართალია, დედი ჯუდის სახლი უფრო დიდი და კეთილმოწყობილია, მაგრამ ჩვენი ეს სახლია, ჩემი კარგი.

— მერე რა, რომ ჩვენია, —დაიინა მამაშვილმა, — მე მაინც დედი ჯუდის სახლი მირჩევნია.

მართამ გაულიმა და თავი გადაკვნია, —როცა გაიზრდები ამას მაშინ მიხვდები, — უთხრა, თუმცა მშვენივრად იცოდა, სილვიასთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო. უცნაური ბავშვია, ფიქრობდა იგი, რთული ბუნებისა, ნეტავი ცოტათი მაინც ბგაჯდეს პაული, ის ისეთი მშვიდი და დამჭერია, ეს კი მეტისმეტად ჭიტები და თავნები. ეტყობა, პაული მამას ბგავს, ამას კი, როგორც ჩანს, უფრო ჩემი ხასიათი დამყვა. ხასიათის სიმტკიცე ცუდი როდია, მოავარი როგორ გამოიყენებს ამ ხასიათს... სამწუხაროდ, სილვია არასოდეს უჯერებდა დედას. მართა ამ საკალლო მდგომარეობაზე მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინ დაფიქრდა, ოჯახის გულმოსულმა სილვიამ ბაბუა ბიგ სახეში შეაფურთხა. მაშინ ჰერბერტმაც და მართამ მოიალპარაკეს გოგონასთვის ჭკუა ეს ეწავლებინათ. მაგრამ როგორ და რა მეთოდით დაეწყოთ ეს ჭკუის სწავლება, ვერ გადაეწყვეტათ. რასაკვირველია, ცემაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მთავარი იყო, ბავშვი როგორმე მიეხვედრებინათ, რომ სწორად კარ მოიქცა. ბევრი ფიქრის შემდეგ დაასკვნეს, რომ გოგონას სწორედ ჰერბერტი მოლაპარაკებოდა. მშობლებს უნდოდათ, ბავშვს თავისი დანაშაული როგორმე შეეგნო.

— სილვია, მე შენ ეხლა ერთი პატარა გოგონას ამბავს მოგიყვები, — უთხრა ერთ საღამოს ჰერბერტმა და ბავშვი მუხლებზე დაისვა. — მამას ძალიან უყვარდა თავისი გოგონა. — სილვიამ ალმაცერად ახედა ჰერბერტს, მაგრამ ხმა არ ამოუღია. — ერთ მშვენიერ დღეს, ამ, ცოტა არ იყოს, თავნება გოგონამ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, სულაც არ იყო ჯიუტი და გაუგონარი, რაღაც დაეშავა. მამამ შვილი დატუქსა. როგორ ფიქრობ, ჩემო პატარა, როგორ მოიქცა გოგონა? იმის მაგიერ რომ ბოდიში მოეხადა, მამას სახეში შეაფურთხა. რას იტყვი, სილვია, ხომ ცუდად მოიქცა ის გოგონა? — სილვიამ თავი დაუქნია, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, სულაც არ ეთანხმებოდა მამას. — რას იტყვი, როგორ ფიქრობ, უსაკეთილოებისათვის ბავშვი ხომ უნდა დაისაჯოს?

სილვიამ კვლავ თავი დაუქნია. ჰერბერტი ჭერჭერობით კმაყოფილი იყო. ჩანს, მისმა ლაპარაკმა სასურველი შედეგი გამოიღო. — აი, იმ გოგონას მამა შენ რომ ყოფილიყავ, რას იზამდი? — არ ეშვებოდა ჰერბერტი. — რას იზამდი, შვილო, რას?

—რას ვიზამდი და, ავდგებოდი და მეც სახეში შევაფურთხებდი, — პირდაპირ პირში მიახალა გოგონამ მამას.

ამ ამბის გახსენებაზე მართამ მწარედ ამოოხრა. ძალიან ძნელად აღსაზრდელი ბავშვია, ნამდვილად უსახიათოა.

ამასობაში ტაქსი ბიშეკართან გაჩერდა და გლეკსტონები მანქანიდან გადმოვიდნენ. ჰერბერტმა ისეთი ცოტა გადაიხადა, რომ მძღოლი, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო დარჩა. და აი, ზურგჩანთამოკიდებული ოჯახის უფროსი ფაეე მშვიდად მიაბიჯებდა სახლისაკენ, რაკი, ასე თუ ისე, თავისი კალი მოიხადა, ავად იყო თუ კარგად, მძღოლი გაიხატუმრა. მართალია, ჰერბერტს ფულს ყოველთვის მართა აძლევდა, მაგრამ, როგორც წესი, გადაწდიდ ყოველთვის ჰერბერტი იხდიდა, ამიტომაც იყო, რომ ძალიან ზშირად ხდებოდა ცოლის სიძულწილ მსგავსი.

— ამბავი ჯერ გეკითხებარე და ორი პე-

ნსის გადახდა რა საკადრებელია, — მიაძახა ტაქსის მძღოლმა ზურგჩანთამოკიდებულ ბერბერტს.

მართლაცაა, რომ გეკითხათ, ორი პენსი კი არა, ერთიც არ ემეტებოდა, მაგრამ არსებობს დაუწერელი კანონები, რომელსაც ჩვენ კი არა, თვით სამლოდველოებიც ემორჩილება. ბოდა, მართალი იმიტომ მიდიოდა ამ დათმობაზე. ბერბერტმა კარგად იცოდა, მძღოლისათვის ახლა მან ორ პენსიზე მეტი რომ ეჩუქებინა, ცოლი მადლობას როდი ეტყოდა. მართალია, მართა გარეგნულად არაფერს შეიტყობდა, პირიქით — სახეზე ღიმილსაც არ მოიშორებდა, მაგრამ მისი უსიტყვო წყრომა და საყვედური მუდამ საშინელ გუნებაზე აყენებდა ბერბერტს. საკმარისი იყო ქმრის ერთი ასეთი ხელგაშვებილობა, რომ მართა მეტე კარგა ხანს მომპარინებდა, რათა როგორმე ბერბერტის დაუდეგრობით გაფფანგული ორიოდე პენსი აენაზღაურებინა. მისი ეკონომია ზომ მუდამ ჭამის ხარჯზე მიდიოდა, რადგან მართასთვის რომ გეკითხათ, ჭამა დიდი უბედობაა, მდიდრული ცხოვრება და მაღალი ზნეობრივი იდეალები კი, ერთმანეთისთვის სრულიად შეუთავსებელი. განა საშინელება არ არის, ხალხს ერთი ნაწილი შიმშილობდეს, შენ კი, მთელს შენს ცხოვრებას ღორბუკლობაში ატარებდე! იქნება მართლაც სწორედ ამიტომ უფრთხილდებოდა კარაქსა და ბრაზილიერ კაკალს, გემრიელ ბოსტნეულსა და საუკეთესო ხილს. იქნებ იმიტომ გადადიოდნენ გლაქსტონები კვირიდან კვირამდე ზღრის ფაფასა, კარტოფილსა და კომბოსტოსზე, მაგრამ ბერბერტი ზმის ამოღებასაც ვერასოდეს ბედავდა, ამიტომ ერჩია, ყოველ პენსს გაფრთხილებოდა, თუმცა არანაკლებ მტკივნეულად განიცდიდა იმასაც, როცა სიძუნწის გამო ლანძღავდნენ.

— იცოდე, სხვა დროს აღარ შეგაჩერენ ასეთ მასხარად აგდებას, — მიაძახა ტაქსის მძღოლმა ბერბერტს, რომელმაც სასწრაფოდ მოხარა სახლის კარი, ზურგჩანთა ნაჩქარევად მოიხსნა და იქვე, სკამზე დადო.

„უსინდისო, ვითომ ორ პენსზე მეტი რაღა უნდოდა?“ სამადგილოდ ახლა მართა დარჩებოდა მისი საქციელით კმაყოფილი და სადილზე ლობიოც და ბარდაც აღარ შემოაკლდებოდათ. ბერბერტს ხომ ძალიან უყვარდა ჭამა. გემრიელ ჭამაში არც მართა ჩაშორჩებოდა ქმარს, ვეგეტარიანელი კი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ საკმელში ზედმეტი ფული არ დახარჯოდა. ამაოდ, თითქმის ტანჯვის ფასად უჯდებოდა. როცა რაიმე გემრიელ საკმელზე ამბობდა უარს. მაგრამ თავს მხოლოდ იმით ინუგეშებდა, მარხულობით სულს ვაამებო. ამიტომ ეროოდა ადვილად თავის ღორმუცლობას. ამით გამოწვეული სიხარული კი უფრო დიდი იყო, ვიდრე ინდაურის ხორცის, ხენდროს და ნაღლების ჭამის სიამოვნება. მაგრამ [illegible] შიმშილისაგან ისე გამწარდებოდა, თავს ვერ ფარავდა მოერეოდა და ყოდელობდა მთელ ერთ გიორგანეკი ნაღლის ზოოკლად და ისეთი მოუთმენელი სიხარბით ელოდა პირის ჩაგერეკილებას, როგორი მოუთმენელობითაც პირველ ბანებში ბერბერტის სიყვარულს ელოდა. თუმცა ქმართან დაწოლის სურვილი ბავშვის გაჩენის მერე თითქმის მთლიანად გაუქრა, სამაგიეროდ მოკოლდის უზომოდ ჭამას მოუზრარა, თითქოს მისუსტებულ სასიცოცხლო ენერგიას ტკბილეულის ჭამით ალიდგენდა, და ცოლ-ქმრული კავშირის გაწყვეტის ანაზღაურებას ღორმუცლობაში პოულობდა. მაგრამ, სამარილე უნდა თქვას, ისეთი დახარბებული ჭამის შემდეგ თავს უფრო მკაცრი მარხულობისი ისჯიდა.

ხანი კვირის შემდეგ გლაქსტონები კვლავ თავიანთ სახლში დაბრუნდნენ. ის იყო ოფიც დაიწყო.

— რას იზამ, ომი ცხოვრებას ცვლის, — თქვა ჯუდიმ ომის დაწყების მესამე წელს — ეს კია, მართასა და ბერბერტს თითქოს არც კი არაფერი შეხებია. კაცმა რომ თქვას, პირიქით, სიკეთეც კი მოუტანათ. ასე განსაკუთ ადრინდელზე უკეთესადაც კი ცხოვრობენ. საოცარია, საოცარი! — ჯუდიმ თავი გააქნია.

არადა, მართასა და ბერბერტის საქციელში არც არაფერი იყო საოცარი. სინამდვილეში მათ სხვანაირად ცხოვრება არც შეეძლოთ. უბრალოდ, ომმა უფრო გამოავლინა ცოლ-ქმრის ხასიათი. ამ პერიოდში ისინი კიდევ უფრო ჩამიშორდნენ ხალხს, ერთი სიტყვით, სრულ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევოდნენ, მაშინ,- როცა ყველანი დრწმუნებულები იყვნენ გამარჯვებაში და ამ გამარჯვებისათვის თავდადებით იბრძოდნენ, დღეს და ღამეს შრომაში ასწორებდნენ. გლაქსტონებისათვის რომ გეკითხათ, ისინი თითქოს ბუფისტებიც იყვნენ, სოციალისტ-ინტერნაციონალისტებიც და ტოლსტოველებიც. სინამდვილეში, საკუთარი თავის გარდა, მათ არაფერი აღარდებდათ, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ მსოფლიო სიგიჟის ორომტრიალში მარტო ჩვენ დავრჩებით ნორმალურებიო. მათ ისედაც გარიყულ ცხოვრებას ისიც დაერთო, რომ, როცა ბერბერტმა უარი განაცხადა ომში წასვლაზე, მას სამუშაოდ ღორხეთის მამულში უკრეს თავი. კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი ცოლ-ქმარს წყენის მაგიერ გაუხარდა კიდეკაც. თუმცა ყველაზე მეტად მართას ომისღორიანდელი ფასეულის მერეკეთობა აბარებდა. ომის დაწყების პირველ ხანებში იგი პანიკამ შეიპყრო, ეგონა, მთელ ფულს დაკარგავდა და ქმარ-შვილთან ერთად მშიერ-მწყურვალი და უსახლკარო,

კარიდან კარზე სამეთხოვრად ხელგაწყვდილი ივლიდა. ამიტომაც დაუყოვნებლივ დაითხოვა ორი მოსამსახურე და ოჯახში საქმელი ისე შეზღუდა, ლამის პატიმრების უულუამდე დაიყვანა. მაგრამ დრო გადიოდა და მისი ფული დაკლებას მაგიერ, იზრდებოდა. ახლა მართა ისე იყო აღტაცებული ამ ეკონომიით, რომ, ალბათ, ვეღარასოდეს დაუბრუნდებოდა ცხოვრების ძველ ყაიდას.

— გარდა ამისა, — ხშირად იტყოდა ხოლმე მეგობრებში, — სულაც არ არის აუცილებელი მოსამსახურის ყოლა. კაცმა რომ თქვას, ანეკ რატომ უნდა გვუყვიდეს მოსამსახურეები, განა ისინი ჩვენნაირი ადამიანები არ არიან? სინამდვილეში მართას მხრიდან ეს გაბლდათ უარისეულური ხარეს მოხდა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. მოსამსახურის ყოლა ყოველთვის დიდ უბედურებასა და სირცხვილში მაგდებდაო, ამბობდა და თან ჰერბერტს იმიწვევდა. რაღა თქმა უნდა, ჰერბერტიც ეთანხმებოდა, იგი ხომ ყოველთვის იზიარებდა მეუღლის აზრს.

— უფრო მეტსაც ვეტყვით, — განაგრძობდა მართა, — ოჯახური საქმეები ყველა ქალმა თავად უნდა აკეთოს. აი, მე რაც დიასახლისობა დავიწყე, გაცილებით კმაყოფილი ვარ. ხომ მართალს ვამბობ ჰერბერტ? — ქმარმა თავი დაუქნია.

— შენი შრომით კი შვილებსაც მშვენიერ მაგალითს უჩვენებ. ამით ისინი თავმდაბლობასაც და ვარჯას მიეჩვევიან, ეს კი ურიგო საქმე როდია.

მოსამსახურის გარეშე ცხოვრება წელიწადში ას ორმოცდაათ ფუნტ ეკონომიას იძლეოდა. მაგრამ ჭამის ხარჯზე გაკეთებული ეკონომია გაცილებით მეტი იყო.

მართას ამირეულობამ შვილების აღზრდასაც დაიჭირა თავისი კვალი. იგი თავს აკერებდა, რომ სულაც არ იყო აუცილებელი, ბავშვების გაგზავნა ძვირადღირებულ სასწავლებელში, სადაც შეიძლება ისინი მორალურად გარყვნილიყვნენ, — მე და ჰერბერტს მოგვაჩნია, რომ ბავშვებმა ოჯახში უნდა მიიღონ განათლება, ხომ ასეა, ჰერბერტ?

სხვა რა გზა იყო, ჰერბერტიც იდგა და თავს უქნევდა ცოლს. რაც მთავარია, მართას უნდოდა, ბავშვებს ოჯახში მასწავლებლის გარეშე მიეღოთ სწავლა-განათლება.

— რატომ უნდა მოეკლნენ შენი შვილები სხვათა ცუდი გავლენის ქვეშ? აღმზრდელი იმან უნდა იქონიოს ვინც თვითონ ვერ ასწევს ამ მძიმე ტვირთს. რაღა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ არის ბავშვების აღზრდა, ადვილი კი არა, იმდენად საპასუხისმგებლოცაა, რომ, ალბათ, შვილებისათვის ყოველივე უნდა დაივიწყო, მაგრამ, რას იზამ, ეტანება, შვილებმა ყველაფერი შვილებს უნდა ანაცვალონ.

რასაკვირველია, ჰერბერტიც მზად იყო, ცოლთან ერთად ეტანოთა ეს მძიმე ტვირთი. — მიუხედავად დიდი ოფლიანობისა! — განაგრძობდა მართა, შვილების ეს ტვირთი მაინც სასიამოვნოა, რადგან ბავშვების აღზრდით განსაკუთრებულ სულიერ კმაყოფილებას ღებულობ. აბა, წარმოიდგინეთ, რამხელა ბედნიერებაა, თუკი შენი შვილები კეთილშობილი ადამიანები დადგებიან.

მართა, ერთი შეხედვით, წინააღმდეგი იყო ბავშვების მკაცრად აღზრდისა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით... მას უნდოდა, შვილები თვითონვე უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ აღზრდის მისეულ მეთოდებს. ერთი სიტყვით, მართას მიაჩნდა, შვშობლებმა შვილების სული თვითონვე უნდა „გამოკაჭნაკოონონ“.

მართა ცდილობდა, სილვია თავიხი მეთოდით გაეზარდა, მაგრამ გოგოსას სულაც არ უნდოდა საკუთარი თავი ისე „გამოეძერწა“, როგორც მის შშობლებს ეწადა. გლაკსტონების განათლების სისტემა მის სულსა და გულს ახლისაგე არ ეკარებოდა. მშობლები დღე და ღამე სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ, არ ეკოუტა, ტუუილი არ ეთქვა, დამჭერი, მშვიდი და ზრდელობიანი ყოფილიყო. გოგოსას პასუხები ძლიერი ქარიგით ეწინააღმდეგებოდა გლაკსტონთა პრინციპებს.

სილვიას ესთეტიკური და ინტელექტუალური სილამაზისა არაფერი გიეგებოდა, ისეეე როგორც ზნეობრივისა. და თუმცა გოგონა ძლივს აიძულეს, პიანინოზე დაკვრა ესწავლა, მართა შვილს მაინც მუსიკალურ ბავშვად თვლიდა, რაკი ორწლინახევრისა მშვენივრად მღეროდა „სად ბრმა თაგუნაის“. გოგონას, რა თქმა უნდა, არც მუსიკის სწავლა უყდებოდა ქკუაში დედამისს მეოთდებით. როცა მართა სილვიას მოცაკრის ბავშობაზე ელაპარაკებოდა, „ეარ, არ მინდა, მისი სახელის გაგონებაც არ მინდა!“ — სულ ერთთავად ბეიძახოდა გოგონა და უყრეზზე ხელს იფარებდა, მაგრამ ცხრა წლისა უკვე თავიდან ბოლომდე შეუცდომლად ასრულებდა „მერი ფეიზანტს“. დედა იმედს არ კარგავდა, რომ მისი კალიშვილი ბოლოს დიდი მუსიკოსი დადგებოდა, ხოლო პაუელი მომავალ გიოტად წარმოიდგინა, რომელსაც, შშობლებს აზრით, მამის ტალანტი მემკვიდრეობით დაპყოლოოდა. ჰოდა, ბიჭიც ისეთივე მოთმინებით ელოდა სახელის და დიდებას, როგორითაც წერა-კითხვას სწავლობდა, რაზეც სილვიამ სასტიკი უარი განაცხადა.

— წარმოიდგინე, სილვია, — დღეინადაგ ჩასჩიჩინებდა დედა, — რა ბედნიერებაა, აიღო რომელი წიგნიც გინდა, გადაშალო და წაიკითხო ყოველივე მშვენიერი, რაც კი ადამიანის გონებას შეუქმნია.

ოლდოს ჰაქსლი
გლაქსტონების ოჯახი

მაგრამ მართას ხვეწნა-შუდარა ამაო იყო. — თამაში მირჩევნია, — ჯიუტად იმეორებდა დაღვრემილი ბავშვი, რომელსაც ეს დაღვრემილობა ლამის ქრონიკულად გადაქცეოდა, როგორც დედაჩემს—ღიმილი. რაკი მშობლები თვლიდნენ, ბავშვს მკაცრად არ უნდა მოექცეო, თავიანთი პრინციპების გასამართლებლად, სილვიას ნებას რთავდნენ ეთამაშა, მაგრამ გოგონას უხასიათობა კიდნაგან ჩქონდათ გადაქცეული.

— შენ არც კი იცი, რა მძიმე ლოდივით გვაწევს გულზე შენი დარდი, — ხშირად ეუბნებოდა მართა გოგონას, — ოღონდ სილვია დედმორჩილებინა და მზად იყო, თავი შეებოლებინა. — რატომ არ გინდა წერა-კითხვა ისწავლო, იცი, როგორ გაგვახარებ, შვილო?

გაბუსულები ბავშვი ჯიუტადაც შეპყურებდა დედას სახეში და უარის ნიშნად თავს აქნევდა. — რატომ ჯიუტობ, რა იქნება, რომ ისწავლო წერა-კითხვა, სილვია, — უმეორებდა ისევ და ისევ მართა, სანამ გოგონა მოულოდნელად გულამოსკვნილი არ ატირდებოდა.

— იმიტომ რომ ჯიუტი ვარ, გაუგონარი, წადით, თავი დამანებეთ, — მოსთქვამდა გოგონა, როცა მშობლები მის დამშვიდებას ცდილობდნენ. და თუმცა ტირილით ლამის თავს იკლავდა, წიგნს ზედაც არ უყურებდა.

პაული კი სულ სხვა იყო. მართალია, ნელი ითვისებდა, მაგრამ კითხვას დიდი მოთმინებითა და გულისხყურით სწავლობდა. — ხედავ, რა მშვენიერად კითხულობს პაული, — ტაყოდ ხოლმე მართა სილვიას, იმ იმედით, იქნება ძმის კიბრით მაინც დაუდოს გული სწავლასო, მაგრამ სილვია სულაც არაფრად აგდებდა დედის ლაპარაკს და ეშმაკური ღიმილით ტოკეტდა ოთახს. ერთ მშვენიერ დღესაც აღმოჩნდა, რომ დედისა და მამის უჩემრად, სულ რაღაც ორ კვირაში, მშვენივრად ეცნაკა წერაცა და კითხვაც. მშობლები სიხარულით ცას ეწიენენ. ისინი გოაცებულნი იყვნენ გოგონას მტკაცე ხასიათით.

— ეს რა საშინელ წიგნს კითხულობ, სილვია, — უთხრა მართამ როცა ერთ დღეს თვალი შეახედო გოგოს უზეში წიგნი საგულდაგულოდ ჩქონდა გადამალულიო. ეს გახლდაი მოთხრობა ნიკ კარტერისა და მიჩიგან ბოუვერდის მკვლელობაზე.

ბავშვმა წიგნი დედას ხელიდან გამოსტაცა. — ძალიანაც მშვენიერი წიგნია, — შეეპასუხა სიბრაზისაგან სახეალანძული.

— ძვირფასო, — უთხრა მართამ მომზიბველი ღიმილით, თუმცა ბოლმით იყო სავსე, — აბა, რა უზრდელობაა წიგნის ხელიდან გამოგლეჯა?! სულ ცოტა ხნით მათხოვე, დავათვალიერებ და მაშინვე დაგიბრუნებ.

მართამ ხელი გაუწოდა. მართალია, იგი გოგონას უღიმოდა, მაგრამ თვალებიან ლამის ცეცხლს აფრქვევდა.

სილვიამაც მოურიდებლად გაუყარა დედას თვალი თვალში და თავი ჯიუტად გადაქნია. — არ მოგცემ!

— გეთაყვა, — გაუმეორა თხოვნა მართამ, თუმცა ეს თხოვნაც კი არა, ბრძანებას ჰგავდა. გოგონას მოულოდნელად ქვეთანი წახკა, წიგნი დედას მიუგდო და ბალში გაიქცა.

— სილვია, სილვია! — ეძახდა დედა, მაგრამ გოგონა იქამდე არ დაბრუნდა, სანამ მართამ წიგნი გულდასმით არ დათვალიერა და შვილის საიდუმლო სამყაროს არ ეზიარა.

ქაული გლანდებმა ისეთ დღეში ჩაადგა, რომ ათვისების უნარი ლამის მოლიანად დაკარგა. მართას კი, გარდა ქრისტიანული მეცნიერებისა, სხვა არც ერთი მეცნიერებისა არა სწყამდა, განსაკუთრებით არა სჯეროდა ქირურგებისა, რომლებიც ძალზე მეძვირეები არიან. ამიტომაც ჭქონდა ბიეს ამდენ ხანს გლანდები, ამ ბოლო დროს სხვ რომ გაურთულდა. ნოემბრიდან მაისამდე ერთთავად ყელი სტკიოდა. თითქმის ყოველ ზამთარს ანგინა და ყურისტკივილი კლავდა ხოლმე. 1921 წლის ზამთარმა ხომ კინაღამ ბოლო მოუღო საწყალ პაულს. გრიპი ფილტვების ანთებაში გადაეზარდა, თითქოს კიბრზე, სწორედ ამ დროს, წითელაც შეხვდა, ახალი წლისათვის კი, შუა ყურის ანთება დაემართა. პაულს მუდმივი სიყრუე ეშეკრებოდა. ექიმმა მართას გადაეჩინა ურჩია, ბავშვისათვის ოპერაცია შეეცალიანში გაეკეთებინაო. მთის ჰაერი და ზზის ამაზანებიდა იყო ერთადერთი იმედი. მართას თავგზა აეგნა. ისე სჯეროდა თავისი სიღარიბე, ვერ ჭარშიდგენა, ამდენი ხარჯის გაწევას თუ შეძლებდა. თავის გაჭირვება ჯუდის მისწერა, რომელიც ორ დღეში დასთან გაჩნდა.

— შენ რა, ბიეის სიკეთილი გინდა? — ჰკითხა გულმოსულმა მართამ. — რას უცდიდი, რომ აკამდე არ მოსწორე ამ ბინძურსა და ნესტიან სოროსს?!

ჯუდიმ სულ რამდენიმე საათში მოაგვარა ყველაფერი. გადაწყდა, ჭერტეტი და მართა პაულს დაუყოვნებლივ წაიყვანდნენ შვეიცარიაში. ისინი საწოლი ვაგონით გაემგზავრებოდნენ ლიეზენში. გამგზავრებამდე კი... — შენ დარწმუნებული ხარ, რომ საწოლი ვაგონი აუცილებელია? — შეეპასუხა მართა დას. — ხომ არ გავიწყდება, რომ ჩვენ დიდი შეძლებით ვერ დავიკვეფთნიო. — მე ის მახსოვს, რომ თქვენ ავადმყოფი ბავშვი მიგყავთ, — უპასუხა ჯუდიმ და, რასაკვირველია, საწოლი ვაგონი დაუკვეთა. პაული ოპერაციას ლიეზენში გაიკეთებდა (ჯუდიმ თავისი გაგზავნილი დეპეშის ფული კი არა, კლინიკის სპასახეო დეპეშის ფულიც გადიახდა. მართას ჯაგზმდაც გადავიწეულ ჯუდისათვის დეპეშებში გაეკახდილი ფულის მიცემა). ამასობაში ცოლ-ქმარი მშვენერ სასტუმროში მოეწყობოდა. როგორც კი პაული მომჭამობინდებოდა, ისიც მშობლებთან გადავიდოდა. ბიეის ჩაკერნალობისათვის, სულ ცოტა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი თვე მაინც იყო საჭირო. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, თუ მთელ წელიწადს შეეიცარიაში გაატარებდნენ. სილვია დიდი ჯუდიმ თავისთან დიატოკა, რითაც მართა დიდ ეკონომიას გასწევდა. ჯუდიმ ყველაფერთან ერთად, ისიც მოახერხა, რომ გლაკსტონების სახლი გააქირავა.

— ნამდვილი ველფრივით ლაპარაკობს! — უთხრა ჯუდიმ ქმარს. — სილვიასნაირი პატარა ველური მგონი არც მინახავს ჩემს სიცოცხლეში.

— ჩემი აზრით, ეს მისი ვეგეტარიანელი შობილების ბრალია.

— საბრალო გოგონა! — განაგრძობდა აღშფოთებული ჯუდი. — ზოგჯერ ასე მგონია, მართა მკაცრად დაისჯება-მეთქი, ისეთი სისწორის სამართლის დანაშაულს სჩადის ბავშვების მიმართ. ვის გაუგია ბავშვების ისე დაზრდა, რომ ტოლეზს არ გააკარო. ეს ხომ წარმოუდგენელია. მართა დღესიადგა ჩასჩიჩინებს ბავშვებს იესო ქრისტეზე, კოფთავებლად ელაპარაკება პირუტყვზე და ამასთან შთაგონებს, რომ მაგი ხოცვა დიდი ცოდვაა. ისე ელაპარაკება მათ სილამაზეზეა და ხელგაძღელობაზე, როგორც დიდებს. ამა, რა უნდა გიგიოს ბავშვმა ამეების, რა! სამაგიეროდ, უკრძალავს ბავშვურ ცელქობას და თამაშს. შვილებისაგან მორჩილებას და სიმშვიდეს თხოულობს მაშინაც კი, როცა თვითონ გალიზიანებულია. პირდაპირ აუტანელია მართას საქციელი! მან არც კი იცის, რომ ამ თავისი მეთოდებით ანგელოზად კი არ მოაქცევს, არამედ ეშმაკისაკენ შეატრიალებს ბავშვს.

ჯუდიმ ღრმად ამოიოხრა და ფიქრებში ჩაიძირა. თვითონ უშვილო იყო და, როგორც ექიმები ვარაუდობდნენ, არც არასოდეს ეყოლებოდა შვილი.

პატარა ველურის გამოსწორებას თანდათანობით ასაყეთო პირი უნანდა. დიდი ჯუდიმ გადაწყვიტა, პირველი რიგში ზამთერი ჭამა-სმა ეს წავლებინა გოგოსასათვის. საუკეთესო და ნარ-ნარი სასმელ-საჭმელი ბავშვისათვის უჩეულური იყო და ყველაფერს დახარბებული ეტანებოდა.

— ხვალაც ბლოშად გვექნება ყველაფერი, სილვია, — უთხრა ჯუდიმ, როცა გოგონამ პუდინგის კიდეგ ერთი ნაჭერი მოითხოვა. — შენც ხომ გვეკითხი არ გადაინახავ ხვალისათვის დღეკანდელ საჭმელს. ისე კი იცოდე, ბევრი ჭამა თუ არ აგნებს, არაფერს არგებს კაცს.

პირველი ხანებში სილვია ყინიანობდა. ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ეჭამა, მაგრამ, სანდნიერად, როგორც ჯუდიმ უთხრა ქმარს, ყველაფერი სულ მალე მოგვარდა. ნაღვლის ბუშტის რამდენიმე შეტევის მერე ბავშვმა თავი ანება ღორმუცელობას.

დიდი ჯუდის გოგონას ჭიუტი ხასიათიც ფიქრებდა. ხილვიას მშობლებთან არაფერი ახალისებდა და ამიტომაც სულ ერთთავად ჯიუტობდა. სიმართლე რომ ვთქვათ, ჭერეფერტ და მართა შვილს მკაცრად თითქოს არც ექცევოდნენ. ამა თუ იმ რამის გაკეთებას მზოლოდ ხთხოვდნენ, მაგრამ სილვია ხვდებოდა, რომ მათი თხოვნა ბრძანებას უდრიდა. ამიტომაც, სულ „არა, არა“-ს ძახლით იწუეებდა წინააღმდეგობას, მერე კი, ნერვიულობდა, რადგან მაინც იძულებული ხდებოდა, ჯავრითა და ბოღმით სავსე მშობლებს დამორჩილებოდა. ალბათ, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ბავშვების უმრავლესობის მსგავსად, მასაც ყოველთვის შინაგანი წინააღმდეგობა ეუნჩდებოდა დედმამის მიმართ. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუკი მშობლები გოგონას თავიდანვე მკაცრად მოსთხოვდნენ, მთ სურვილებს დამორჩილებოდა. ჭერეტრტ და მართა შვილს კი სთხოვდნენ გულწრფელობას, მაგრამ თვითონ გოგონასთან არასოდეს იუვნენ გულწრფელნი, არც მაშინ, როცა ულიმოდნენ და ეფერებოდნენ, და არც მაშინ, როცა თითქოს რაღაც-რაღაცებს ეპატიობდნენ. სწორედ მათი თავიხეტრება იყო მიზეზი, სილვია ისეთი გულნათხობილი და უკარება რომ გამდა. მშობლების ხელში გოგონას მთელი მაუშვთა გამწარებული ჭქონდა, გულმოსული ხმირად გარბოდა არხის პირას, რომ მშობლებისათვის სამაგერო გადეხადა. არხის შლამიანსა და ვიწრო კალპატაში წყალი ბობოქრობდა და ექვნი ფუტის სიმაღლიან გაავებული გრიალით ეშვებოდა დაბლა. მართლაც რომ საშინი ადგილი იყო. მშობლები ეშუდარებოდნენ და უკრძალავდნენ. იქ ნასვლას, მაგრამ გამწარებული გოგონა, მათ ჯინაზე, სწორედ არხისაკენ გარბოდა და თუ ხუთ ირიდნე ახლოს არასოდეს მიმკარებია წყალს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოლრიალე მორეკი მას უფრო აშინებდა, ვიდრე მის მშობლებს.

და აი, ლონდონში, დიდი ჯუდისთანაც გადაწყვიტა სილვიამ ჩვეული ეშმაკობისთვის მიემართა. ერთ მშვენიერ დღეს, რადაკაზე გულმოსულმა, დედა ჯუდის გამოუცხადა, ტაეში უნდა ჩავიდეო. გოგონა, რასაკვირველია, მოელოდა, რომ დედა ერთ ამბავს ასტეხდა და სილვიას არსაფერ კარ გაუშვებდა, მაგრამ მის გაკვირვებას საზღვარი არა ჭქონდა, როცა არავინ შეეკედრა, დარჩინო, შეეკედრა კი არა, გოცეებულმა დედა ჯუდიმ მხრები აიჩეჩა და: — წინ ვინ გიდგას, ახლავე წადი, თუკი ასე ძალიან გინდათ, — ისე უსახუბა, თავიც არ აუღია წერილიდან. შეურაცხყოფილი სილვია ნელთითიც ალარ დაფიქრებულა, ისე გაუდგა გზას. დაბურულმა ტყემ ისე შეაკრთო, შინისაკენ სულ კანკალი დაუწყებინა, მაგრამ ჯიუტი გოგონა მაინც არ გატეხდა, უკან დაბრუნებაზე არც უფიქრია. ორი საათის შემდეგ კი, შეცივებულნი, დათხუპნილნი, ნამტირალევი და ეკალბარდებისაგან დაკაწრულ-დასისხლია-

ნებული ბავშვი ბრაკონიერებმა დეიდა ჯუდის მოუყვანეს.

— წარმოგიდგენია,—უთხრა ჯუდიმ თავის მეუღლეს, — მართლა არ წვიდა ეს ზბერი ტეტუში!

მართალია, სილვიას ეშმაკობამ ამჯერად არ გაჭრა, კუდში არავინაც არ გამოჰკიდებია და მან თავისი ბავშვური გულისწყვლილი ვერ აისრულა, დეიდა ჯუდის ნერვიც ვერ აუტოკა, მაგრამ პატარა ეშმაკუნამ იქამდე არ მოისვენა, სანამ თავისი არ გიტანა და დეიდას არ აწუვინა. თუმცა გაუგონარი ამბავი მოხდა, გოგონა ისე შეაწუხა თავისმა საქციელმა, რომ ერთი საათის შემდეგ მორჩილად მიუკვდა ბვერდით დეიდას: — მაპატიეთ, დეიდა ჯუდი, მაპატიეთ, — თქვა და მოულოდნელად ცრემლები წასქდა. სილვია ნებაყოფლობით პირველად ითხოვდა პატიებას.

დეიდა ჯუდი ხშირად უშვებდა სილვიას ბავშვებთან სათამაშოდ. მართალია, გოგონას პირველ ხანებში გაუჭირდა ტოლებთან ყოფნა, მაგრამ თანდათან მიეჩვია და ისე თამაშობდა და იქცეოდა, თითქოს მთელი სიცოცხლე მათთან გაუტარებიაო. აქამდე ხომ განსაკუთრებულად ცხოვრობდა, ბავშვებთან თამაში არასოდეს ღირსება. ახლა იგი პატარა გარტერებთან და ბოლნსებთან თამაშობდა. გოგონა ცდილობდა, უცემ შეგუებოდა ამ თავისუფლებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, თავიდან შებოჭილივით გრძნობდა თავს, თუმცა, როცა პატარა „ეაჩალი“ მიეჩვია თავაზიანობას, თვითონაც ძალზე ბედნიერი გახლდათ.

ჯუდი თეატრის დიდი მოყვარული იყო. ახლაც ის და მისი მეგობრები ახალგაზრდულ სპექტაკლს „ზაფხულის ღამის სიზმარს“ დგამდნენ. მუსიკოსმა მისის ბოლმსმა ბავშვებს სიმღერები შეასწავლა, მისის გარტერმა კი, ხალხური ცეკვები. რამდენიმე თვეში სილვიამ მაღალი საზოგადოების ყველა ის თვისება შეიძინა, რასაც დედამისი წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდა. გოგონამ შეიყვარა პიოზია, მუსიკა და ცეკვაც, მაგრამ პლატონურად, რადგან სილვია ერთი ამათთაგანი იყო, ვისაც თანდაყოლილი აქვს მოუსწენელი და არაესთეტიკური ბუნება, ვისი სიყვარულიც ხელოვნებისადმი იმთავითვე არასრულყოფილია. გოგონა სიამოვნებით სწავლობდა არითმეტიკასა და გეოგრაფიას, ინგლისის ისტორიასა და ფრანგულ გრამატიკასაც. ჯუდი ბავშვს პატარა გარტერების აღმზრდელ ქალთან ამეცადინებდა.

— გახსოვს, რას ბგავდა, როცა ჩამოვიყვანე?

— უთხრა ერთ დღეს ჯუდიმ ქმარს სილვიაზე.

მან თავი დაუქნია, რაკი გონებაში შეადარა ცხრა თვის წინანდელი პატარა ველური ახლანდელი სერიოზული და ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული ბავშვს, ის-ის იყო თოხმოდან რომ გავიდა.

— თავი ლომის მომთვინიერებელი ბავშვია — გააგრძელეთ ჯუდიმ სიყვარულითა და ამაყით ამაყით სავსე ღიმილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ამასობაში მართას მოსწყენად ხდებოდა ინგლისში, თუმცა იქაური ჰავა ძალიან მოუხდა მის ჯანმრთელობას, ტანჯულ ადამიანებზე, ღმერთზე, ბუდაზე და უფრო მაღალ იდეალებზე ფიქრისათვის ალარ ეცალა. თუ მოსდებოდა და გაახსენებდნენდა, გუნებაგანწყობილება ეცვლებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის ალაშფოთებდა თავისი შესანიშნავი ჯანმრთელობა და სინდისი ქენჯნიდა, რადგან მთელი დღეები ვერ იცლიდა მაღალი ზნეობრივი იდეალებისათვის. ისე სიამოვნებდა აქაურობა, რომ სულნაკ ზარუნვა ვიღას ახსოვდა! ბა, რა შეიდრებოდა მზის ამაზნანეს, ნაძვნარსა და მაღალ მდელოებს, სადაც დღეინადაგ სეირნობდა, მინდვრის ლამაზლამაზ ყვავილებს, ყოველდღე რომ სიამოვნებით კრეფდა! ერთი სიტყვით, მართა მოიბეზეოდა ინგლისში ამ განუმეორებელი მშვენიერებით. მართალია, თავს ზშირად აყვედრიდა ამ სიამოვნებას, მაგრამ მზე და სუფთა ჰაერი ისეც და ისეც ავიწუებდა ყოველივე უსიამოს.

— ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება, — ამბობდა მართა, — როცა ამული მთლიანად გამოჯანმრთელდება და ინგლისში დავბრუნდებით.

ჰერბერტი ეთანხმებოდა, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ იგი მთლიანად ცოლზე იყო დამოკიდებული და წინაადმდეგობის გაწევას ამ რიგორ გაბედავდა, და მეორე მხრივ, თუმცა შეიცარიი მის ჯანმრთელობასაც ძალიან მოუხდა, სულიერად არც ის იყო დამშვიდებული. იმ ქვეყანაში, სადაც ყველა ჩეჩმებში ჩაგანებულ შარვალს, პერანგის გადაღელილ საყელოს და ზურგჩინთას ატარებდა, მას ყოველგვარი უბარატესობა დაკარგული ჰქონდა.

თხუთმეტი თვის შემდეგ ბლაკსტონები კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ სახლს. შეიეცარიაში ყოფნის მერე ინგლისის ჰავას მართა ველარ ეგუებოდა, რაღაც ციებასავით დასჩემდა, ველარც ჰერბერტი უძლებდა ძველ დაავადებას — კუბის ქრონიკულ შეკრულობას.

სილვიაც დაბრუნდა სახლში და პირველ ბაღებში სულ დეიდა ჯუდი ეეკრა პირზე. — დეიდა ჯუდი ამას მიკეთებდა, იმას მიკეთებდა, ისმოდა გაუთავებლად. ლამაზად მოლიმარი, ხაკმაოდ გაღაზიანებული მართა ცდილობდა მშვიდად ეპასუხა: — გენაცვალე, მე ხომ დეიდა ჯუდი არა ვარ. მართას შესძულდა და, რომელმაც სილვია სულ სხვა ბავშვად აქცია, მაშინ რიდეკაც, ფეთონ ვერაფერს ვიზდა ამ ძალზე თავისებური ხასიათის გოგონასთან.„შენ დიდი ამაგი დაგვდე, — სწერდა იგი ჯუდის. — ჩვენ ვერაფერს გადაგიხდით ამ დიდ სიკეთეს...“ მართა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებშიც ხშირად ამბობდა, რომ ჯუდის ამაგს მე და ჰერბერტი ვერასოდეს გადავიხდითო. ჰერბერტიც უსიტყვაოდ ეთანხმებოდა. უფრო დიდი მადლიერება და მოვალეობა კი რაღა იქნებოდა, მართას სძულდა ჯუდი, რომელმაც ასე სასიკეთოდ მოატარაცა მისი გოგონა. მისი გაღაზიანება სწორედ იქიდან მოდიოდა, რომ იძულებული იყო, ჯუდის მადლიერი ყოფილიყო. ვერ წარმოედგინა, რომ მისმა არასერიოზულმა და ამასთან არაღვთისმოსავმა დამ ასეთი კეთილშემოქმედი გაეკეთა ან იქონია ბავშვზე. მართამ ჯუდის დაუტოვა გულჩახვეული, ურჩი გოგონა, რომელსაც სძულდა ყოველივე, რასაც კი მისი მშობლები აღმერთებდნენ. ზეციერიდან დაბრუნებულ მართას კი, სულ სხვა ხასიათის ბავშვი დახვდა. სადღა იყო სილვიას სიჯიუტე და თავნებობა. ზრდილობიანი, მუსიკოთა და პოეზიით დაინტერესებული ბავშვი, სერიოზულად იყო გატაცებული ახლად აღმოჩენილი რელიგიური პრობლემებითაც კი. სილვიას ასეთი ხასიათეო გარდაქმნა მართასათვის აუტანელი შეიქმნა. ყველაფერს ცდილობდა, რომ სილვიას თვალში ჯუდი დაემცირებინა. სწორედ დის წყალობით, ახლა იგი მშვენიერად ახერხებდა ამას. ჯუდის ხელში გოგონა თვინიერი და ხათრიანი გამხდარიყო. ამიტომაც, მისმა მცდელობამ კარგი შედეგი გამოიღო. მართა სულ გაკირვებაზე ელაპარაკებოდა შვილს. გაუთავებლად უხსნიდა, რომ დეიდა ჯუდი მათთან შედარებით გაცილებით მდიდარი იყო და თავისუფლად შეეძლო ხელგაშლილი ცხოვრება. ამდენი სიკეთეც ამიტომ დასდო სილვიას. — მე და მამაშენი კი ღარიბები ვართ, — უმორჩილდა და უმეორებდა გოგონას, — თუმცა, მადლობა ღმერთს, უნდა ვილოცოთ, რომ მდიდრები არა ვართ. ხომ გახსოვს, რას ამბობს იესო მდიდრებზე? სილვიას ახსოვდა და ზმორალიც ფიქრობდა ამაზე. მართა კი ვანაგრძობდა! — მდიდრები თითქმის ყოველთვის უხეშები და ურწმუნონი არიან. კარგად დაიხსოვე, მიწიერი ცხოვრება იოლი საქმეა, დეიდა ჯუდი და ბიძია ჯეკიც ხომ სწორედ მიწიერებით არიან დაკავდებულნი.

გლეკსტონეს სილარიბე ძველ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი: სინამდვილეში მათ შეეძლოთ უკეთესად ეცხოვრათ. ბოლოს და ბოლოს, ერთი მოსამსახურე მაინც ჰყოლოდათ, თუნდაც ამ ძნელებდობის ეამს. მაგრამ არა, მათ მოსამსახურის გარეშე ცხოვრება ერჩიათ. — შენ კარგად იცი, მომსახურეობა უფრო კეთილშობილება, ვიდრე ის რომ გემსახურებიან. იესო ამბობს, მერის გზა სჯობია მართასსო. მაგრამ მე მართა ვარ, — ამბობდა მართა გლეკსტონი, — და ძალიან ვცდილობ მერიც ვიყო. მართა და მერი — საუკეთესო გზაა და ორივე ერთად, როგორც პრაკტიკულ მომსახურეობას, ისე ფიქრს ნიშნავს. არც მამაშენია ჩვეულებრივი კაცი, იგი შეშოქმედია და საკმაოდ გასსხვავდება იმ ამპარტავანი ხალხისაგან, ვისაც დამცირებად მიიჩნია ჩვეულებრივი სამუშაოს კეთება. ბავშვრად ეს არც ისეა საკმე, რომ ყველაფერზე თანამა ოყოს. ბაბრალო ჰერბერტი! სინამდვილეში ის, ალბათ, ყველანაირ სამუშაოზე იქნებოდა თანახმა, თუკი მართა უბრძანებდა. — ზოგიერთი მხატვარს, — განაგრძობდა მართა, — ერთი ნახატის მერე უკვე დიდების გვირგვინი ნებავს. მამაშენს სულაც არ აინტერესებს არც საზოგადოების ტაშისცემა და არც მათი აზრი. ის ნამდვილი შემოქმედია და ცდილობს, შექმნას ბეშმარიტი და მშვენიერი ხელოვნება.

ამგვარი ლაპარაკი ხშირად მეორდებოდა სილვიასთან. დაკალილშვილებისას გოგონამ მთელი სერიოზულობით გადაწყვიტა, ხასიათი გამოეცვალა. ფუჭტიერად ისევ მსხვერპლად შეწირული იყო. იგი მთელი ძალების დაძაბვით უკრავდა პიანინოს, თავაუღებლივ კითხულობდა ყველა წიგნს, რაც კი ხელში მოხვდებოდა და წაკითხულიდან გუშმოდგენედ იწერდა რვეულში ყველაზე შთამაგონებელ ადგილებს. თავის კეთილშობილურ ფიქრებს და ოცნებებს კი დღიურს ანდობდა, რომელიც ტანჯვისა და მარცხის მეხადიდულმე გაბდადთ. „რა ღირმუცელი ვარ! პირობას ვიძლევი, საუზმეზე მხოლოდ ერთი რენკოლდი (ქლიავის ჯიში) შევჭამო, ხოლო მერე საუზმეზე — ოთხი. ხვალ კი არც ერთს არ შევჭამ. ო. ღ. მ. ძ. გ. უ.

— სილვია რას ნიშნავს ო. ღ. მ. ძ. გ. უ? — ჰკითხა ერთ დღეს პაულმა ღვარძლიანსად.

გოგონას სიბრაზისაგან შავმა ფერმა გადაკრა. — წაიკითხე ჩემი დღიური? — ჰკითხა მან. — მხეცო, შე პატარა მხეცო! — და აღშფოთებული მიაშტერდა ძმას. სიბრაზისაგან ცხვირიც კი გაფითრებოდა. — თუ კიდევ გაბედავ ჩემი დღიურის წაკითხვას, იცოდე ცოცხალი არ გადამირჩები! — მიაძახა კარებში გასულ პაულს. ღელვისაგან ცხელი კბილს ბაგრად დაჯაჭირა, ნეტარება უთრთოდეა, სახე გაფითრებოდა და თმა გასწეწოდა. ახლი შეშფოთებული სახე ჰქონდა, თითქოს განზრახვა უკვე შეუსრულებიაო. — იცოდე, ცოცხალი არ გადამირჩები! — გაიმეორა მან. ო. ღ. მ. ძ. გ. უ. ნიშნავდა — ოჰ, ღმერთო, მომეცი ძალა, გავხდე უკეთესი.

სალაამის სილვიამ პატიება სთხოვა ძმას.

●

დეიდა ჯუდიმ და ბიძია ჯეკმა წლის საუკეთესო სეზონი ამერიკაში გაატარეს.

— უნდა წახვიდე, შვილო, აუცილებლად უნდა წახვიდე, — უთხრა მართამ სილვიას, როცა ლონდონიდან დეიდა ჯუდის წერილი მოიღეს. იგი გოგონას რამდენიმე დღით სტუმრად ეპატიჟებოდა. — ამაზე უარის თქმა როგორ შეიძლება, აუცილებლად უნდა წახვიდე. — ლონდონში მოუსმენ ოპერის საუკეთესო შემხრუ-

ლებლებს და დაესწრები კონცერტებს. ამაზე დიდი სიამოვნება, აბა რაღა იქნება?!

— მაგრამ ეს სიამოვნება რომ ძალზე ძვირი ჯდება, დედა. — ყოველნაირი უთხრა სიღვიან. ვფიქროთ, არც ღირს ნასვლა. სულიკა არ მინდა ასეთი სიამოვნება. ეს ხომ...

— არა, შენ აუცილებლად უნდა ნახვიდე, — გააწყვეტინა მართამ. მას ახლა იმდენად სჯეროდა შვილისა, რომ ჯუდის ზემოქმედებისა ადარ ეშინოდა. — ისეთი მუსიკალური გოგონასათვის, როგორიც შენა ხარ, აუცილებელია მოისმინო „პარციფალი“ და „ჟაღისნური ფლეიტა“. გაისად მეც მინდოდა შენი ლონდონში წაყვანა, მაგრამ რაკი წელსვე მოგვიკა ამის შესაძლებლობა, შენ უნდა გამოიყენო ეს ბედნიერი შემთხვევა, — დაამატა ჩვეულო მომხიბვლელი ღიმილით.

სილვია დაჰყვა დედის ნებას და ლონდონში წავიდა. იგი ალელეებული ისმენდა ეკლესიაში „პარციფალს“, თუმცა დროდადრო უადგილად უწყვდებოდა ყურადღება. ოჰ, ღმერთო, რა ტკბილეზეთი იყო ხავსე გოგონა! მისი ტანსაცმელი, წინდები, ფეხსაცმელი მთლიანად განსხვავდებოდა იმ გოგოსს ჩაცმულობისაგან, რომელიც მის უკანა რიგში იჯდა. მან სილვიას ალმაცერად გადმიხედა. სიღვიო ბრაალის ირგვლივ ზარების გუგუნი მოეფინა იქაურობას. სილვიას საკუთარი თავისა შერცხვა, ასეთი ყოფითი ამბები რომ ადელვებდა სიიდეშნო ზიარებისას. ხოლო როცა შეხვენების დროს დედა ჯუდის ნაყინი შესთავაზა, აფორიაქებულმა გოგონამ უარი უთხრა.

სილვიას უარმა დედა გააკვირვა. — შენ ხომ ძალიან გიყვარდა ნაყინი, სილვია?

— ახლა არა, დედა ჯუდი, ახლა არა. ეკლესიაში ნაყინის ჭამა ხომ ბერებელოობაა. იგი ცდილობდა ბრაალზე ეფიქრა, მაგრამ მწვანე სატინის ფეხსაცმელი და ძალზე ლამაზი მოვარდისფერ-მოიისამნისფერი ხელოვნური ყვავილით მორთული გოგონა ედგა თვალწინ.

მეორე დღეს დედა ჯუდიმ სილვია ხაუიდლებზე წაიყვანა. ადრეული ზაფხულის ნათელი, ულრუბლო დილა იდგა. ოესფორდის ქუჩაზე, ქოთელების მაღაზიიდან თვალს ატაცებდა ღია ფერის ნაირგვარი ქოთელები.

სანთლის მანეკენები თითქოს ანკოტსა და ბენლეიზე ზასასველად გამზადებულიყვნენ და ოკვე იტონისა და ჰაროუს მატჩებზე ღელავდნენ. ტროტუარზე იმდენი ხალხი იროიდა, ფეხს ვერ აუკვლევდა კაცი. გაუოკვეველი, ხმამაღალი ხმაური ნისლივით ედებოდა იქაურობას. ბზის სხივები თვალსხმამპერელად ანდეკრიალებდა ჩითელ-ყვითელ მდიდრულ ავტობუსებს. წელში მოხრილი და თავზე თითბრის ალტეეებშემორტყმული უმუშევართა პროცესია ისეთი ბზიარული მუსიკით მიდიოდა ქუჩაში, თითქოს ... ქვეყნად უმუშევრობასა და შიმშილზე დიდი ბედნიერება არც არაფერი ყოფილიყოს.

ორ წელს გაეკლო, რაც სილვიას ლონდონში არ ენახა. ქუჩაში მიხეკიანელ ხალხი, ბაალ ბმაური, ეს აურაცხელი საკვირველი და საოცარი სიმდიდრე. თითქმის ყოველი მაღაზიის ვიტრინაში რომ ბრწყინავდა, იმის თავში ნაირფერად ირეკლებოდა. გოგონა ახლა უფრო მეტად იყო გაოგნებული, ვიდრე მაშინ, „პარციფალს“ რომ ისმენდა.

ჯუდი და სილვია თითქმის მთელ საათს დაეხეტებოდნენ ხულელიოზზე. — აბა, სილვია, ამოირჩიე ამ კაბებიდან, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონს, — უთხრა ბოლოს დედა ჯუდიმ. და თან ქალიშვილების ხაზაფხულო მოდებზე მიუთითა. რა ფერს იტყოდით, აკ რომ არ ეყოფილიყო. იასამნის თუ ლავანდისფერი, ფუქსისულასფერი თუ მიხაკისფერი, მწვანე და ლურჯი, მოვარდისფერ-ალისფერი თუ თეთრი მშვენიერი კაბებით გაეკეთო ეკურობა. — ამოირჩიე რომელიც მოგწონს, — გაუმეორა დედა ჯუდიმ, — ან იქნება სალამის კაბა გირჩევნია?

მწვანე სატინის ფეხსაცმელი, დიდი მოვარდისფერ-მოიისფერი ყვავილი და უცხო გოგონას დამცინავი სახე გაკრთა სილვიას გონებაში.

— არა, დედა ჯუდი, არც ერთი არ მინდა, — თქვა მან ენის ბორძიკით და ფერფლდა.

— თუ ესენი არ გინდა, მაშინ მითხარი, რომელიც მოგწონს.

— არა, არც ერთი არ მინდა, ნამდვილად არა... და უცაბ დედა ჯუდის გასაოცრად, ცრემლები წასდგა.

●

1924 წლის გაზაფხული იდგა. გლაქსტონების სახლი აპრილის სუსტ ბზის სხივებში გაბეჟეულიყო. სასტუმრო ოთახის ღია ფანჯრიდან პიანინოს ხმა ისმოდა. სილვია ჭიუტად ცდილობდა ზოპენის ვალსის შესრულებას. მის უგრძნობ თითებქვეშ მზიარული, მაგრამ უსიცოცხლო ცეკვის რიტმი ძალზე სანტიმენტალური იყო. ისე გულმოდგინედ უკრავდა, თითქოს სადმე, დიდ საკონცერტო დარბაზში მაყურებლის წინაშე გამოდიოდა. მიუხედავად დიდი მონდომებისა, მაინც ადვილად შეამჩნევდით, ისე უკრავდა სილვია, თითქოს მეკანიკური პეალები მონაცვლებულ ფრთებს აშრიალებენო. იგი დაფინებით განაგრძობდა დაკვრას. ჩანჩქერის შეორე მხარეს, ბალის ბოლოს, პატარა ბუჩქნარში კი, ჩიტები მშვიდად დაფრინავდნენ და ეღერტენეზდნენ. ბერტერტი ტყეში, ხის ჯირკზე ჩამომჯდარიყო და გულმოდგინედ სარულებდა ოიგის ვარჯიშებს, რომელიც ძალზე შეელოდა კუბის მოქ-

მედებას. მარჯვენა ნესტოზე თითს მიიკრავდა, ხოლო მარცხენათი ღრმად სუნთქავდა, სანამ გულის ცემას ოთახშედ დაითვლიდა. შემდეგ თქვამდენ გულისცემაზე სუნთქვას იკავებდა და თან თავს შთაგონებდა: „არა მაქვს უაზნობა“, ახლა მარცხენა ნესტოს დაიკობდა და მარჯვენით იწუებდა სუნთქვას, სანამ რვას დაითვლიდა. ამის შემდეგ ყველფერი თავიდან იწყებოდა. აი, ახლაც მარცხენა ნესტოთი ღრმად ისუნთქავდა ფურნიულას, ახლად ფეიკეებული ფოლეტინისა და ნოტიო მიწის საამო სურნელეს. იქვე, მის ახლოს, პაული ბებერი მუხის ხეს ხატავდა. ხელოვნება იმდენად ამალლებულია, რომ მას ყველფერი უნდა ანაცვალო, ყველფერი უანგაროდ უნდა შესწირო. ჰოდა, პაულიც უსიტყვოდ ზიდავდა ხელოვანის ამ მძიმე ტვირთს. ახლაც იგი ქიისგან დახრილ ბებერ მუხის ხეს დიდი მონდომებით ხატავდა. — „სანინტერესოა, რა გამოვა ამ ბებერი მუხის ხისგან“, — გაიფიქრა პერბერტმა. პაერში ველფარი სუმბულის უამრავი ყვავილი დფრინავდა და იქაურობას საამო სურნელებით ავსებდა. ისეთი მახვილი წვერები ჰქონდათ, შესაძლებელი იყო, სულ ადვილად დაეჩხვლიტათ კაციც. არადა, რამდენიმე მზიანი დღეც და, სუმბულის სურნელოვანი, ცისფერი ყვავილი უკვალოდ გაქრებოდა, ჩაიფშვნიტებოდა ყვავილების მახვილი წვერიც.

დღეს პაულს მართა გოდალმინში აჯანვიდა საკედლებზე. ბიჭი ველოსიპედთ პირიტხა წასვლას, თან გადაწყვეტილი ჰქონდა, ამჯერად ერთის ნაცვლად, ორი შელინგი ირონია დედისათვის. ორი შილინგთი ცოტაოდენ შოკოლადს იყიდდა, კინოში წავიდოდა და ალბათ, სიგარეტს ფუფიც დარჩებოდა. მართალია, ცოტა არ იყოს, ხარისხი საკმე იყო, მაგრამ...

— პაულ, — უთხრა მამამ, — რა მშვენიერი რაღაცა დგებიტაკვს, — იგი წამოდგა და შვილისაკენ გაეშურა. დროს თავისი გაეტანა და ბერბერტ გლაკსტონის გარეგნობისათვის გარკვეული დალი დაესვა. მართალია, ისეთივე ქერა წვერი ჰქონდა, როგორც ყოველთვის, სიგამხდრეც ბაბუკური შეენარჩუნებინა და არც თმა შეთხელებოდა, ოღონდ სამაგიეროდ კბილები ალარ უვარგოდა, ის ძველებური ღიმილიც სადღაც გამქრალიყო.

— პერბერტმა აუცილებლად უნდა იმყოფნალოს კბილები, — დაეანებით უმორჩილად ჯუდი დას, როცა მან უკანასკნელად ნახეს ერთმანეთი.

— პერბერტი არ მიდის კბილის ექიმთან და მე რა ვქნა, — გულგრილად პასუხობდა მართა. — მას ხომ ხალხთიდან არა სწამს ექიმი. სინამდვილეში კი საკმე ისაში იყო, რომ პერბერტს კბილის ექიმისადმი გინეის მიცემას უკბილობა ერჩია. — ჯარა ამბავ, — განაგრძობდა მართა, — პერბერტი თავის ჯანმრთელობას არაფრად აგდებს. იგი თავის საქმეში ისეი ჩაფლული, ახეთ წვრილმანებს ვერც კი ამჩნევს.

— ჯარი, ჯარი, ძალიანაც ჯარად ამჩნევს. მაგრამ... — უპასუხა ჯუდიმ, — მე მაინც გაფრთხილება...

მართამ რასაკვირველია, უურადაც არ ილო დის რჩევა.

— როგორ მოახერხე ასეთი კარგი რაღაცის დანახვა? — გაუმეორა პერბერტმა ბიჭს და მხრებზე ხელი დაადო.

პაულმა უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა რაღაცა.

— იცი, როგორ განსაზღვრა ერთმა კაცმა გენია? — ჰკითხა პერბერტმა ბიჭს, რომელმაც მზვინვროდ იცოდა, მაგრამ ეს თეორია მას ისეთ სულელურად და შეუფერებელად ეჩვენებოდა, რომ მამისათვის არც უპასუხია. მამამ კი არა, დედამაც მთლად მოაბეზრა თავი, ლამის ტკუოდან გადაპკადა. — გენია, — განაგრძო პერბერტმა და თვითონვე უპასუხა თავის დასმულ კითხვას, — გენია ტკივილების მიღების განსაზღვრული ნიჭია.

ამ წუთში პაულს სძულდა მამა.

„ერთი და, ორი და, სამი და, ერთი და, ორი და, სამი და...“ სილვიას თითებქვეშ მეკანიკური პესლები ლითონის ფურთების რხევას რიტმულად გაანგარიშებდნენ. გოგონას გამომტკუვლება გაჩერნილ, სიმტკიცე და ტკივილი ასახლა სახეზე. ჩანდა, პერბერტის დიდკაცს სწორედ მასში ეპოვა გენია. სილვიას მტკიცე გადაწყვეტილების უკან დედამისი სალ კლდესავით აღმართულიყო. იგი ოთახიდან ოთახში დაბორიალებდა და ავეჯზე მტვერს წმენდდა. დრო მართსაც მძიმედ დასწოლოდა მხრებზე. სულ გაქალაქავებულიყო. ისე ნელა დადიოდა და ისე ზალიანზალ ისვენებდა, აშკარად შეიტყობოდით, რომ ადვილად ილეწებოდა. სილვია ბეკოთად განაგრძობდა დაკვრას. სიამოვნებისაგან თვალებშილულები მართა ალფრეთოვანებს ვერ მალავდა. — მშვენიერია, მშვენიერი, — თქვა და თავისი მომხიბველელი ღიმილით გაიღიმა. — შესანიშნავად ფურავ, ჩემო გოგონი, — მართა ამაყობდა, რომ ასეთი მუსიკალური და მტკიცე ხასიათის ქალაშვილი ყოფილა, მით უმეტეს, რომაც გაახსენდებოდა, რა შავი დღე გამოიარა სილვიას უხასიათობის გამო. — მშვენიერია! — ბოლოს ჩამოდგა და საწოლ ოთახს მიაშურა. კარადიდან საუკეთესო ხალათი ხავსე ყუთი გადმოიღო და მალულად შეკვამა ჩანდაქანი ალუმალი, ქლიავი და სამი გარგარი. ამამოცმაში პერბერტმა ხახელოსნისაკენ გაიხედა და თან წყიღო დაუმთავრებელი სურათი „ეფროპა და ამერიკა დიდი ინდოეთის ფეხებთან“. პაულმა ჯიბიდან შეიდენილი ამოიღო, მსხვილი ბაფანტი საგულდაგულოდ მოიარეო და კორდის იქით თაგვივით მოცუცუნე ჩიტს დაუმიზნა. — ჯანდაბას შენი თავი, — წამოძახა გაბრაზებულმა, როცა ჩიტი ფუნენლად აფრინდა. შემდეგი

სროლა უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. ჩიტმა უღონოდ ააფათქუნა თავისი პატარა ფრთები და უკანასკნელად წაიღლუტტული. პაულმა წამსვე მიირბინა და იპოვა დიდალი სკვინჩა, რომელიც სისხლიან ფრთებს ბალახზე საცოდავად აფართხალებდა. ზიზღისაგან აღელვებულმა და ათრთოლებულმა ბიჭმა ხელში აიღო პაწია ფრინველი, რომელიც ჯერ კიდევ თბილი იყო და ძლივსღა ფეთქავდა. პაულმა პირველად მოკლა ცოცხალი არსება. „რა მარჯვედ ვისროლე! — გაიფიქრა მან. — მაგრამ რად გინდა, რა! დამნახველი ვინ იყო". უცებ მისი ფიქრი დას გადასწვდა. — „არც სილვიაა მაინცდამაინც კარგი გოგო. მგონი რაღაც-რაღაცებში დედაზეც კი უარესია". პაულმა ხის ტოტით პატარა ორმო ამოჩიჩქნა და ვინმეს თვალი რომ არ მოეკრა მკვდარი ჩიტისთვის, სკვინჩა შიგ ჩამარხა. ეს ამბავი რომ გაეგოთ, კარგი დღე როდი დაადგებოდა! მრისანები ხომ ჭკუაზე შეიშლებოდნენ. პაულ, თქვენ საკმაოდ კმაყოფილი ნ ვიდა სასაუზმოდ, მაგრამ როგორც კი სუფრას მოაცლო თვალი, სახე შეიცვალა. — სულ ერთავად ეს მოსაბეზრებელი უგემური და გაყინული საჭმელი!

— პაულ, პაულ, — საყვედური გაისმა მამის ხმაში.

— დედა სად არის?

— დედა დღეს მარხულობს, — უპასუხა ჰერბერტმა.

— მერე რა, წაიბუზღუნა ბიჭმა, — დიდი საქმე იქნებოდა, რომ ჩვენთვის მოემზადებინა რაიმე ცხელი საჭმელი?!

თავდაბრალი სილვია მშვიდად იჯდა და უხმოდ და მორჩილად შეეკცეოდა კარტოფილის სალათას.

ინგლისურიდან თარგმნა
ნანა სუხიტაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

60 - არჩილ სულაკაური - 60

საქმეთმეტყველი

ახლა, 90-იან წლების კარიბჭესთან, სრულიად გამოიკვეთა ღვაწლი და დამსახურება იმ ლიტერატურული თაობისა, რომელსაც წილად ერგო, ისტორიულ გარდატეხთა კვალდაკვალ, მანამდის უცხო და ახალი ხმების დამკვიდრება მშობლიურ ლიტერატურაში. თითქმის მსოფლმხედველობრივი ცვლილებების დონეზე მოძხდარი იმ გარდატეხების, იმ სულიერი შემობრუნების ერთერთი მაცნე, თავისი თაობის ერთერთი გამორჩეული მწერალი, არჩილ სულაკაური, ახლა სამოცი წლისა გახლავთ!

ღირსეულად დაფასებულია ღვაწლი, შემოქმედება. მოქალაქეობრივი პატიოსნება... მწერლის ძნელი და დამღლელი გზა! ყველა წოდება თუ ტიტული, რაც ამ გზის გამვლელ მწერალს მოუხვეჭია, ნამდვილად „ალალი და უსაყვედურო“...

დღეს, როცა მისი უმცროსი თანამოკალმენი, მოკრძალებით მივმართავთ ბატონ არჩილს, იგი სრულიად დამსახურებული კავალერია ამ ძირძველი და მოწიწების გამომხატველი სიტყვისა! მხოლოდ ასაკის გავლითა და წელთა ხანდაზმულობით არ მოიპოვება ამ სიტყვის უფლება. ბატონ არჩილს მრავალი ძვირფასი თვისება დაანთლა განგებამ: ნიჭი შემოქმედისა, მოქალაქისა, მამულიშვილისა! არა ბრჭყვიალა და მყვირალა ნიჭი, არამედ დაუნჯებული, უხმაურო, მაგრამ ჯიუტი ნიჭი. ამ სიჯიუტით ებრძვის იგი ქართულ სიტყვას აგერ უკვე ორმოცი წელია და ამ ჯიუტი სიყვარულის ნაყოფიც, მისი შემოქმედებაც, ამიტომაა ასე ცხადი და თვალსაჩინო. დღეს სამოცი წლის მწერლის ჭკვიან და გამჭრიახ მზერაში მართალია სიპბტკის მგზნებარება აღარ გამოსჭვივის, სამაგიეროდ სიბრძნის მშვენიერებით გეხიბლავს. ამ მზერაში ილანდება პოეტის მიერ განვლილი გზის მთელი სიმძიმე. ილია ჭავჭავაძის ქვეყანაში მწერლობა ადვილი არასოდეს ყოფილა და არც არჩილ სულაკაურს უვლია ვარდ-ყვავილებით მოფენილი გზით. აქ არ ვგულისხმობ რაიმე გარეგან, ეგრეთწოდებულ მექანიკურ სიძნელეებს. მხედველობაში მაქვს ის სულიერი ბრძოლები, ის შინაგანი უხილავი გრადაციები, ის ზნეობრივი მაქსიმალიზმი, რომლითაც მთლიანადაა განმსჭვალული არჩილ სულაკაურის შემოქმედება. მას, როგორც მწერალს, აღელვებს ყველა ის ზნეობრივი პრობლემა, რომლითაც დღეს მისი ქვეყანა ცხოვრობს. ღრმად სწამს, რომ მყარი ზნეობრივი საფუძვლების გარეშე ერისა და ქვეყნის წინსვლა შეუძლებელია, ღრმად სწამს, რომ მწერლის სიტყვას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი და მაშინ აღწევს მიზანს, როცა ერთია მწერლის სიტყვა და საქმე; ღრმად სწამს და თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით კარგად ადასტურებს იმასაც, რომ ქართველ მწერალს უფლება არ აქვს მხოლოდ საკუთარი მწერლური ინტერესებით შემოფარგლულმა, სადმე მყუდრო ყურეს შეაფაროს თავი და ნარცისული თვითკმაყოფილებით გულდამშვიდებულმა შორიდან უყუროს საზოგადოებრივი თუ სამწერლო ცხოვრების ბობოქარ მორევს. თავისი ცხოვრების კრედო ხომ სადა, გამჭვირვალე სტრიქონებით გაგვიმეღიანა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მაცალე, ვიდრე მოვკვდები,
გადაგიხადო ვალი“...

ამ ვალს არავინ არ სთხოვს არც ერთ მწერალს და არც არჩილ სულაკაურს ეს ვალი ქვეყნისა და საშშობლოს წინაშე საკუთარი სინდისითა აქვს ნატვირთი ყველა შემოქმედს და სინდისი ხომ ის უმაღლესი სამსჯავროა, რომლის წინაშეც თვით უმცირესი სიყალბეც კი არ იმალება.

არჩილ სულაკაურს, სამოცი წლის გადასახედზე მდგარ, ნაშრომ-ნაღვაწ მწერალს, შეუძლია სუფთა მოქალაქეობრივი სინდისით გახედოს თავის გამოვლილ გზასა და სამომავლო აპპარეზს. ღირსეულად განვლილი წლების გამოცდილება უეჭველია ერთგვარად გაუადვილებს სახვალიო სავალს. ადვილი ალბათ არც ეს იქნება. ადვილი ამ ქვეყნად არაფერია, მითუმეტეს მწერლისათვის, მითუმეტეს ქართველი მწერლისათვის...

ის კი არადა, უბრალო საგაზეთო წერილის დაწერაც კი არაა ადვილი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა ამასწინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი მისი შესანიშნავი „კინტო“ წავიკითხეთ. დავრწმუნდით, რომ ქართველი მწერალი სულ მუხლჩაუხრელ მეზვრესა თუ მებაღესაცით უნდა იყოს ხელებდაკაპიწებული, რომ ეროვნულობის წმინდა სხეულს დროულად მოაშოროს ნებით თუ უნებლიედ მოძალებული სარეველა. ასე იღვწოდა ყოველთვის ქართული მწერლობა. ამ მისიით ცხოვრობს არჩილ სულაკაური, ამ დიადი მწერლობის სახელით, მისი ფარითა და მახვილით.

— ბატონო არჩილ!

გვინდა ჩვენი ჟურნალის მრავალათასიანი მკითხველის სახელით მოგილოცოთ ძვირფასი თარიღი! „ცისკრისთვის“ დიდად სასიხარულოა, რომ თქვენ უდგეხართ სათავეში ჩვენს სახელოვან „მნათობს“ და ხელს უწყობთ სწორი ლიტერატურული ატმოსფეროს დამკვიდრებას, ჰქმნით ნორმალური სამწერლო ცხოვრების ამინდს.

კვლავაც დიდხანს ეღვაწოს თქვენს მადლიან კალამს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეთრი ცხენი"

ამ წერილის მიზანს არირი სულკაურის უწინ გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიმოხილვა არ შეადგენს. მით უმეტეს, რომ მისი შემოქმედების შესახებ მრავალი წერილია გამოქვეყნებული ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე. მაგრამ თავს ნებას მივცემთ, შევეცადოთ რამდენიმე სიტყვით ზოგადად დავახასიათოთ მის მიერ განცდილი შემოქმედებითი გზა, რომელიც ვაზ გაიარა ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ რომანამდე „თეთრი ცხენის" სახელწოდებით.

არირი სულკაურო სამწერლო ასპარეზზე ორმოცეოდე წლის წინ გამოჩნდა, როგორც პოეტი-ლირიკოსი. ეს ის დრო იყო, როდესაც ლირიკა დაკნინებას განიცდიდა. არირი სულკაურის ლექსების კრებული „ჩემი ეროვნის დღესასწაული" ქართულ საბჭოთა პოეზიაში ლირიკული გაბედულების მაუწყებელი ერთ-ერთი პირველი მერცხალი იყო.

ერი შეხედვით არირი სულკაური უფრო პროზაიკოსია, ვიდრე პოეტი, რადგან 1957 წლიდან მოყოლებული, როდესაც მისი პირველი მოთხრობა გამოქვეყნდა, იგი მეტწილად მოთხრობებსა და რომანებს წერს და აქვეყნებს. თუმცა ლექსებსაც არ ივიწყებს.

ერთიმეორის მიყოლებით ისტამბება მოთხრობები: „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" (1957), „წუალდიდობა" (1958), „მტრედები" (1959), „დიდოთვლილობისა" (1959), „ბიჭი და ძალლი", „გაბო", „ზევით და ქვევით" (1960), „ბელის დაბრუნება", „ძველი ამბავი" (1961), „ბიდი" (1962), რომანი „ოქროს თევზი" (1965), „ღამე ეახანზე" (1968), „ეკმი დახვენებისა" (1969), „ლუკა" (1972); ზღაპრები — „ხალმურა" და „ჯადოსნური კაბა" (1974) და სხვა.

ჩამოთვლილი პროზაული ნაწარმოებებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ნიშანდობლივი ღრმა ლირიზმი, რის გამოც ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ ლირიკულ პროზას. არირი სულკაურის მოთხრობების სტილისთვის დამახასიათებელია უბრალოება, ლაკონურობა, ემოციურობა.

მწერალი თანაბრად ძლიერია, როგორც ეპიკოსი და როგორც ლირიკოსი. ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია ისიც, რომ არირი სულკაური ახალი გზების გამკვლევია, ნოვატორია უახლეს ქართულ პროზაშიაც და პოეზიაშიც. ამის შესახებ კარგად აქვს ნათქვამი გურამ ასათიანს: „მოდდა ისე, რომ არირი სულკაური ყოველთვის რამდენიმე ნაბიჯით უსწრებდა წინ ლიტერატურის განვითარებას". ამაზე მეტყველებს, თუნდაც, მისი ბოლო რომანი „თეთრი ცხენი", რომლის იდეურ-მხატვრულ ანალიზსაც ამ წერილში შევეცდებით...

ამ რომანის მოქმედების განვითარების დრო იფარგლება 1941-1947 წლებით, მაგრამ თემა ქრონოლოგიურად მეტი ცხოვრებისეული მოვლენების შემცველია. აქ აღწერილია მოქმედი პირების თავგადასავალი 1932 წლიდან მოყოლებული 1947 წლის დეკემბრამდე, როდესაც ჩვენს კვეყანაში ფულის რეფორმა ჩატარდა. აქედან 1941-45 წლებში ამბები სოფლად ხდება, ხოლო ბოლო ორი წელი — თბილისში.

მწერალი საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს რომანის მოქმედების განვითარების ადგილს. იგი ძირითადად ორგან მიმდინარეობს: თბილისში, მტკვრის ხანაპირო უბანში და ერთ-ერთ სოფელში, ზოგიერთი მინიშნების გათვალისწინებით, ალვანში ანდა მის მახლობლად მდებარე სოფელში.

„თეთრ ცხენში" ძირითადად ორი მთხრობელია — ოზო, რომელის პიროვნება, მისი თავგადასავალი, მის მიერ ნანახი და მოსმენილი მთლიან სიუჟეტურ რკალს მოიცავს და ოზოს მამდე ანანო, რომელის ნაამბობიდან ვიგებთ ინოთამისა და მისი შვილის ხასას ამბავს.

ძირითადად „ეთერი ცხენი" თხრობითი, ანუ ეპიკური ნაწარმოებია, მაგრამ რადგან ყველა მოთხრობილი ამბავი ოზოს პიროვნების პრაზმაშია გადატეხილი და არა უშუალოდ მოცემული, ამიტომ ნაწარმოებში ლირიკული ელემენტის ხვედრითი წონა ძალზე დიდია, იმდენად დიდი, რომ „თეთრი ცხენი", ხულ ცოტა, ხმი პოემის შენაერთად წარმოგვიდგება. ქრონოლოგიურად ანანოს ნაამბობი წინ უსწრებს ოზოს თავგადასავალს და ეხება სამამულო ომამდელ ამბებს, კერძოდ, ერთ-ერთ სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დროს.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კერძო-მეხაკუთრული მეურნეობის გადაყვანა კოლექტიურ რელსებზე, რომ დიდად პროგრესული მოვლენა იყო, ამაში, ცხადია, ეჭვი არავის არ ეპარება. მაგრამ ეს არ იყო უმტკივნეული

პროცესი და, ზოგიერთი შემთხვევაში, უდანაშაულო ადამიანების შეიპყრობის პროცედენტებსაც ჭკონდა ადგილი.

ზოგიერთი ხელმძღვანელად მივლენილი მედროვე ვითომ კერძომსაკუთრიულ ფსიქოლოგიას ეპრძოდა, სინაკვი მოუწოდებდა საზოგადოებას საქმისათვის თავდადებისაკენ, თვითონ კი სინამდვილეში ცდილობდა გამდიდრებას და, მომხვეპელის გაუმაძღარი მისწრაფებით განმსჭვალული, დანაშაულსაც კი სჩადიოდა. ასეთი ადამიანის ტიპიური სახეა შექმნილი „თეთრ ცხენში“ — ეს არის ბარნაბიშვილი.

ბარნაბიშვილი და ითომაი ერთმანეთის პირისპირ დგანან, როგორც ბოროტისა და კეთილის განსახიერება.

ბარნაბიშვილს წარსულის შესახებ არაფერი არ ვიცით. ავტორი რატომღაც გვერდს უვლის ამ საკითხს. კარგი კი იყო, მოულედ მაინც თქვენეული, თუ რას აკეთებდა მანამდე, სანამ სოფელს კოლმეურნეობის ორგანიზაციორად და თავმჯდომარედ მოეკლინა (წიგნის შემდგომ გამოაცემებში, კარგი იქნებოდა ამ ხარვეზის შევსება).

ასეა თუ ისე, ბარნაბიშვილი ცერძო საკუთრების წინააღმდეგ შებრძოლის როლს თამაშობს, ქადაგებს კოლქმეურნი შრომის საგრეპლიანობას, სინამდვილეში კი, მთელი თავისი არსებით, მოხვეპელი და ეგოისტია.

არჩილ სულაკაური ორიოდე ეპიზოდის გადმოცემით აბერხებს ამ გარეწარის საზიზღარი ბუნებიდან გაშიშვლებას და საუშარაოზე გამოტანას.

ეპიზოდი პირველი: გათვითცნობიერებულ, გამჩრქე გლეხს, რომელსაც გარკვეული განათლებაც მიუღია და ისეთ მოწინავეე ადამიანებთანაც კი ჰქონია კონტაკტი, როგორც გენიალური პოეტი ვეფა-შუაველა, ხუთიათას სულადგე ცხვარი მოუშენებია. მას პროგრესული და კეთილშობილური იდეები და მისწრაფებები გააჩნია. „ითომი ერთი აკვიატებული იდეით, ერთი აზრით ყოფილა შეპყრობილი, — ჭერ მშობლიური ენაზეა და მერმე მთელი კახეთი უნდა გავამდიდრო და ავაღორძინოო: „გამდიდრების წყაროდ კი თუშური ცხვრის მოშვაკლება მიაჩნდა თურმე“. ვეთხუოლობ „თეთრ ცხენში“.

ითომაზს მერიე გატაცებაც ჰქონდა: გადაშენების გზაზე მდგარი ქართული ჯიშის ლურჯა ცხენების მოშენება. მწერალმა ითომაზის ეს გატაცება გენიალურ ვეფას სახელს დაუკავშირა. ვითომ „ერთხელ ვეფას გულის ტკივილით უთქვამს: საქართველოში ქართული ჯიშის ცხენი თითქმის გაწყდაო... ყარაბახელს, არაბულს, ინგლისურს მივეტანეთ და ჩვენი ფორაჯებიანი ლურჯა, რომელიც ალაგობით, ამტანობით, ერთგულებითა და სილამაზით სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იყო, თვალსა და ხელს შუა გაგვიჭრა და გადაგვიშენდაო“. ვეფას ამ სიტყვებით შთაგონებულ [illegible] დაუწყია ქართული ცხენების მოშენება. [illegible] ცხენების რეგა უკვე 100 სულს ითვლიდა.

ცხადია, 5000-იანი ცხვრის ფარას მარტო ითომაი ვერ მოუვლიდა. მას საჭიროები და მწუემხეებიც დასჭირდებოდა ცხვრის მოსავლელად.

აქაც მას კომუნის მაგვარი რაღაც ჩამოუყალიბებია, გაწეული შრომის ანაზღაურების თავისებური ფორმით: ორი წლის მუშაობის შემდეგ მწეემხს ახსოვლიან ფარას ანლეგდა. რათა მასაც გაემრავლებინა თავისთვის ცხვარი. ავტორს ესმის, რომ შეიძლება მკითხველმა არ დაუჯეროს ავტორს და ეჭვი შეეპაროს ითომის პატიოსნებაში, ამიტომ წერს: „არ შეიძლება კაცს ამდენი ცხვარი ჰყავდეს და პატიოსანი იყოს-მეთქი, — გავიფიქრე, ანანო კი სხვას მარწმუნებდაო, ოურმე გონიერი, პატიოსანი და მშრომელი კაცის სახელი ჰქონდა დაკარდნილიო...“ შეიძლება ვინმემ დავა დაიწყოს, გინდაც, რომ ყოფილიყო სინამდვილეში ამგვარი კაცი, ეს ტიპიური მაინც არ არისო. ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ — ტიპიური არ ნიშნავს ბეეჯერი გამეორებულს. თუმცაღა, საქართველოს სინამდვილეში, გამგიი, ყოფილა ვინმე უამარიული, რომელსაც ითომაივით ბეერი ცხვარი ჰყოლია და მწეემხეების გასამრჯეოდ ისეთივე წესი ჰქონია, როგორც ითომაზს. ახეა თუ ისე, ბარნაბიშვილთან შედარებით ითომაი წმინდანად შეიძლება ჩაითვალოს.

ბარნაბიშვილი მთავრობის სახელით მოქმედებს, ამეეებს სოფლიდან ითომაზს, ხოლო მის ცხვრის ფარას ჰყიდის და ფულს ინაგებს.

ბარნაბიშვილის მამინქ სულს მამინჯი სხეული შეეხამაეს. არჩილ სულაკაური ხელშეხამაე პორტრეტს ვვიხატავს, თან სწორედ იმ დროს, როდესაც მისი სულიერი და მორალური დაკნინება მთელი სიხამაკლით ვლინდება, როდესაც გადამალულ ოკროს ეძებს, იმ ოკროს, რომელიც გაიძვერობითა და ორპირობით მოიხვეეა.

აი ეს პორტრეტიც: „დამალი, თითქმის ოთხკუთხედი, პირმრგვალი და მელოტი. ულვაშივით აპრეხილი ხშირი წარბები. წვრილი, ერთმანეთთან ახლოს მსხვარი, მოძრავი თვალები. სწორი და თხელი დიდნესტიოანი ცხვარი, უტუჩო, პატარა ფისოსავით პირი. ხაკისფერი, ძველი და გაცვეთილი ხალათი. თეთრ გაპუპეაინებულ სოფლურ ნინდებში ჩაგანებული ხაკისფერივე გალიფე. ფეიები ნეეტიან კალოზებში ნაეოფილი“. ასე გამოიყურება სოფლის რისხვა, კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, პატიმრობიდან დაბრუნებული ბარნაბიშვილი. აქ დახატული პორტრეტის ყოველი დეტალი მრავლისმაქმელია და მკითხველში ზიზღსა და სიძულვილის იწვევს.

საინტერესოა ეა ნიშნეული დიალოგი, რომელიც ბარნაბიშვილსა და ითომაზს შორის იმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თება, „ამდენი სული ცხვარი ერთ კაცს რა უფლებითა გაგაცა? — ეუბნება ბარნაბიშვილი იოთამს.

— არავის შეუზღუდივარ, — პასუხობს იოთამი, — ვფიქრობდი, ამ ცხვარს სოფლის საკეთილდღეოდ გავამრავლებ-მეთქი. თუ რამე დანაშაული ჩამიდენია, აჰა ვარ, არსად გავრბივარ!

— ეგ ცხვარი დღეიდან სოფლისა და ხალხის საკუთრება იქნება!'' —

ბარნაბიშვილი თვალთმაქცია, კაცი, რომელიც მიეტმასნა სახალხო საქმეს, სინამდვილეში სიტკვით ერთს ამბობს, საქმით კი საწინააღმდეგოს აკეთებს. იგი საკმაოდ ცხოვრებისეული ტიპია, ვისი წყალობითაც სხვადასხვა დამპახინჯებებს ჭქონდა ადგილი ისტორიული გარდატეხის წლებში. მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დიდი სოციალური ძვრები ხდებოდა.

ორპირი და თვალთმაქცი კაცი, მომზეველობის დაუძლეველი სურვილით შეპყრობილი, სოფელს, ვითომ, ახალი ცხოვრების დამკვიდრებლად მოევლინა და სრულიად კანონზომიერია ბარნაბიშვილის ბოროტებით აღსავსე ცხოვრების დასასრული. აი, მისი დასასრულის სცენაც. მწერლის მიერ დიდი ოსტატობით დახატული. ანანო და საბა ზედ წაადგნენ ბარნაბიშვილს სწორედ იმ დროს, როდესაც გადამალულ ოქროს ეძებდა ტყეში. ეს ის ფული იყო, რომელიც მან იოთამის ცხვრისა და ცხენების გაყიდვით იშოვა, და კიდევ საკოლმეურნეო სხვა ქონების მითვისებით.

სამალავი გაკურდფული აღმოჩნდა და ბარნაბიშვილს ცარიელი ორმოლა დახვდა. ანანო გაახსენებს ბარნაბიშვილს მის მიერ ჩადენილ ბოროტებებს და მაშინ ბარნაბიშვილი ალაზანში იხრჩობს თავს.

„ბარნაბიშვილს წამოდგომა არც უცდია, მხოლოდ თავი წამოუწევია, იქაურობა მიმოუთვალიერებია და ზოგჯა-ზოგჯით დაძრულა ალაზნისაკენ, უკან აღარ მიუხედავს, ოღონდ დროდაღრო სკუპ-სკუპით იმოალებდა გზას მდინარემდე. ალაზნის ნაპირთან მისული სულ ერთ წამში, თვალის ერთ დახამხამებაში გადამბტარა, გადაშვებულა... თითქოს ბაუაეი იყო და ბავშმა ჯოხი მოუჭნია, იმანაც თავს უშველაო. წყალში ისკუპა...''

ეს შედარება ბაუაეთან, საუკეთესოდ გადმოგვცემს იმას, რაც მოხდა — არაკაცი, გარეწარი ბარნაბიშვილის დასასრული, მაგრამ, სამწუხაროდ, უკან არ არის ბარნაბიშვილებისთანა დასასრული.

ომის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ბარნაბიშვილები ისევე არსებობენ, როგორც ჯაოუები და კვაკები, ისინი უფრო გაკნილი და „ყოველისშემძლენი'' გახდნენ. და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, მათი საბრალოზე გამოტანა, ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრეს ამოცანად რჩება.

ამ ეპიზოდით, რომელიც დაკავშირებულია იოთამისა და ბარნაბიშვილის კონფლიქტთან, გადმოცემულია ის ტრაგიზმი, რომელიც დამახასიათებელი და ნიშანდობლივია გარდატეხის ეპოქებში, როდესაც ერთი სოციალური ყოფიერებაა მეორეთი.

შეიძლება ვინმემ უსაყვედუროს მწერალს: კოლმეურნეობის თავმჯდომარე რაღა უარყოფითი ტიპი გამოიყვანაო, თანაც ისეთი თავმჯდომარე, რომელიც მივარდნილ სოფელში კოლმეურნეობას აყალიბებს?

3. არსებობს ორგვარი დამოკიდებულება ლიტერატურასთან: კრიტიკოსს შეუძლია რეგვარება მოახდინოს ნაწარმოების ან მხოლოდ გარეგან ფაქტორებზე (ლიტერატურული პიეტეტი, ისტორიული მომენტი, ავტორის ბიოგრაფია), ან შინაგან, წმინდა ავტონომიურ ღირებულებებზე. ამ შემთხვევაში, თუ ამ დამოკიდებულებათა სინთეზთან არ გვაქვს საქმე. დაუშვებელია იმ ელემენტარული პირობითობის იგნორირება, რაც პირველ რიგში კრიტიკოსს უნდა ახსოვდეს: ერთის მხრივ შემოქმედი, როგორც რეალური პიროვნება თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში და მის გარეშეთ თვით ცხოვრება ემპირიულად, ყოფითი სახით მოცემული, ხოლო მეორე მხრივ იგივე შემოქმედი, მაგრამ უკვე არა ყოფით ასპექტში, არამედ პოეტური, იდეალური კუთხით წარმოჩენილი და მხატვრული ნაწარმოები, როგორც შემოქმედის მეორე, იდეალური პიროვნების თვითგამოხატვის საშუალება. ასპექტი ასპექტს უნდა მიეხადგოს, თორემ არასახსოვნელ აღრეკას ექნება ადგილი. დაუშვებელია ამ სპეციფიკური მომენტის ბოროტად გამოყენება, მითმტყბის პირად და არა ლიტერატურული ინტერესებიდან გამომდინარე.

აგრეთვე არასახსოვნელია ლიტერატურაზე მსჯელობა ავტორის ბიოგრაფიულ მომენტებზე დაყრდნობით (ავტორთან პირადი ურთიერთობის მომენტზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაც ასე ნიშნეულია ქართული კრიტიკისათვის). ასევე დაუშვებელია შემოქმედზე. როგორც ასეთზე, მსჯელობა, თუკი ანალიზისთვის გამოიყენებთ არა მის შემოქმედებას, არამედ ამ შემოქმედებაში ასახულ რეალურ ცხოვრებას (ეს კრეტული ისტორიულ ან სოციალურ სინამდვილეს ახ). ასეთ ანალიზს მართალია გააჩნია მეორე მხარეც, დადებითი. ხომ უნდა დადგინდეს, რამდენად ეპოქალურია შემოქმედი, როგორ განიცდის თავისი დროის წნეხს, რეალისტური თუ ფორმალისტური ტენდენციების მომხრეა. მაგრამ საკმეიც ამაშია, რომ ეს ხერხი ხშირად არაკეთილსინდისიერად გამოიყენება ასევე არაკეთილსინდისიერი კრიტიკოსებმა მიერ.

4. როგორც ვიცით მხატვრული ნაწარმოები უშუალოდაა დამოკიდებული შემოქმედის პიროვნულ თვისებებზე. შემოქმედის პიროვნება ნაწარმოების უპირველესი საყრდენი უსუნქია. კრიტიკოსი, თუკი თავის ნაშრომში განუხრელად დაიცავს დინამიურობის პრინციპებს, ამ ფაქტორს გვერდს ვერ აუვლის. ეს დიალექტიკური კრიტიკული აზროვნების აუცილებელი პირობაა. ამ მხრივ ქართულ კრიტიკაში, შეიძლება ითქვას, რომ რაღაც უკვე გაკეთებულია. ავიღოთ თუნდაც ავტორიტეტული მწერლობის ბარიერის მოხსნის ფაქტი. საერთოდ, თუკი რამ კარგი გაკეთებულა ჩვენს კრიტიკაში, ალბათ ნახევარზე მეტი სითამამისა და პირდაპირობის წყალობით. მაგრამ სითამამე უხეშობაში არ უნდა გადაიზარდოს.

5. მთელი უბედურება ქართული კრიტიკული აზროვნებისა უსისტემობაში მდგომარეობს. სწორედ ამ უსისტემობის გამო ეკარგება ფასი ინსაც, რაც მართლა ფასეულია და გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს ქართული კრიტიკული შემეცნების ისტორიაში.

ტრადიციული, შუამდლიერის სიყვარულთან ერთად კრიტიკოსს დიდი ერუდიციაც ესაჭირო. დღეს, როდესაც ჩვენი ლიტერატურა სხვადასხვა დასავლური მხატვრული თუ ფსიქოლოგიური კონცეფციების დიდ გავლენას განიცდის, კრიტიკოსს ალარ გამოადგება ლიტერატურული პროცესის მხოლოდ შუამლიერი აზროვნების სიმყიდროვიდან თვალთვალი. ამას ვამბობ უახლესი ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის მიმართ.

ჩვენი დღევანდელი კრიტიკა, თუ პირადი ანგარიშსწორების მომენტს გამოვრიცხავთ, ალბათ უმეტეს შემთხვევაში ნაწარმოების აზრის ახსნას ეშაზურება, ესეც იწვევს კრიტიკის ცნების იგნორირებას, რადგან ყველაზე ნათელი აზრი ნაწარმოების შესახებ თვით ამ ნაწარმოებშია. კრიტიკა მხოლოდ იმორჩეს ნაწარმოების აზრს და ცდილობს ამგვარი ინტერესმოკლებული დუნლირებით გიიხანგრძლივოს სიცოცხლე. კრიტიკა კი არ უნდა ხსნიდეს ნაწარმოებს, არამედ უნდა ახდენდეს მის პერიფერაზირებას. იგი თავად უნდა იყოს ლიტერატურა (ლიტერატურის შესახებ), ფიქრი ფიქრის შესახებ! კრიტიკული მოღაწეობა მხატვრული შემოქმედების ადეკვატური აქტია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლიტერატურაში, და მითუმეტეს ჩვენს დროში,

არ უნდა ხდებოდეს მხატვრული ნაწარმოებისა და კრიტიკულის დიფერენცირება იმ ერთიანი სუბსტანციიდან, სადაც ისინი ჰარმონიულ მთლიანობას წარმოადგენენ. არამხართებულად მიმაჩნია პირველის პრიორიტეტი მეორეზე. თანადგომად კრიტიკოსმა უნდა შესძლოს განაბორციელოს მიზანი: დაუბრუნოს ერთიან პირველსაწყისს ლიტერატურა და მსჯელობა ლიტერატურაზე. ამისათვის კი იგი ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს იმ შორეული მწვერვალებისკენ, საიდანაც სათავეს იღებს ლიტერატურისა და საერთოდ სიტყვის ანკარა წყარო, მომრწყველი ედემისა, ვიდრე ორად განიყოფოდეს ყოველ შემთხვევაში მე ასე მესახება...

პაატა ჩხეიძე

1. პირველი კითხვა, გარკვეულწილად, პასუხსაც შეიცავს. აქ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენი დამოკიდებულება ლიტერატურული პროცესისადმი ლიტერატურული ინტერესებით უნდა იყოს განსაზღვრული, კრიტიკის ნაკლიც და ღირსებაც ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს, ლიტერატურული კრიტერიუმებით უნდა გაიზომოს.

„ხერიოზული თვისობრივი ნაკლი", ჩემის აზრით, ქართულ კრიტიკულ აზროვნებას კი არა, ცალკეული პერიოდების ყოველდღიურ, ლიტერატურას ძალით მიტმასნილ, ნამდვილი კრიტიკისაგან შორს მდგომ, წვრილმან ფუსფუსსა და მითქმა-მოთქმას ახასიათებს. უეჭველია, ამ არალიტერატურულ პროცესს დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. მაგრამ არა მგონია ქართული კრიტიკული აზროვნების თვისობრივ ნაკლად იქცეს.

ქართული კრიტიკა ანუ ახალი ქართული კრიტიკული აზროვნება, XIX საუკუნიდან მოყოლებული, იმდენად მძლავრი და მთლიანი მოვლენაა, რომ ძალზე ძნელია მისი ტრადიციული გზიდან გადაგდება. თუმცა, ხელის შეშლისა და დამახინჯების ფაქტებს ყოველდღიურად ვხედავთ.

ახალგაზრდა ქართველი კრიტიკოსების უმთავრესი ღირსება ზომიერების გრძნობა და ნაწარმოების შესაბამისი საზომებით შეფასებისაკენ სწრაფვაა. ამაში, რა თქმა უნდა, ახალი და ორიგინალური არაფერია, მაგრამ როცა კრიტიკის ბაჯანსიდებაზე ელაპარაკობთ, ზომიერება და ობიექტურობა უმნიშვნელოვანესი საკითხებია.

კრიტიკა ლიტერატურის ერთი დარგია. ის, მართალია, თანამედროვე სახით, პოეზიასა პროზასა და დრამატურგიაზე გვიან წარმოიშვა, მაგრამ ოდითგანვე მათ გვერდით არსებობის უფლება მოიპოვა. ამიტომ არ შეიძლება ლიტერატურული კრიტიკის შეზღუდვა და მისთვის ხელოვნური საზღვრების დაწესება; ის ბუნებრივად, კანონზომიერად ვითარდება და ფორმასა თუ შინაარსს დროისა და მოთხოვნილების შესაბამისად იცვლის.

ქართულ კრიტიკულ აზროვნებას, დღესდღეობით, აქვს გარკვეული სახე და თუმცა ევროპის ქვეყნების კრიტიკულ მწერლობას საკმაოდ ჩამოვრჩებით, გვაკვს რამდენიმე დიდი კრიტიკოსი, ესეისტი, ვისი შემოქმედებაც შეგვაღლენინებს ამაყად გვეკეროს თავი. წინსვლის ძალა სწორედ იმ რამდენიმე მწერალში უნდა ვეძიოთ, მათ უნდა მივბაძოთ — ესე იგი უნდა შევისწავლოთ და ღრმად ჩავწვდეთ ყველა დროის ქართულ მწერლობას და გავითვალისწინოთ ევროპული ლიტერატურის, კრიტიკული აზროვნების, ესეისტიკის გამოცდილება. დღესდღეობით ორ-სამ პირველხარისხოვან კრიტიკოსზე მეტად, საშუალო კრიტიკოსთა კარგი პროფესიონალური დონე გვესაჭიროება.

პროფესიონალი კრიტიკოსი უნდა იყოს კარგი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ღრმად ერუდიციული ენათმეცნიერების, ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხებში. იმის თქმა მინდა, რომ კრიტიკა და პუბლიცისტიკა მწერლობა კია, მაგრამ მარტო პროფესიონალი მწერლების საქმე არ გახლავთ. ლიტერატურათმცოდნეებმა, ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა უნდა გაიხსენონ, რომ მწერლობა მათი საქმიანობის ორგანული და განუყოფელი ნაწილია. თორემ რა გამოგა თუ ხარისხიან მეცნიერს უბრალო, საგაზეთო ან საეურნალო წერილის დაწერა გაუჭირდება.

ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია ეანრობრივი მრავალფეროვნება კრიტიკაში. წერილი წერილს რეცენზია რეცენზიას, ესეი ესეის უნდა მგავდეს; მათ შორის არსებითი განსხვავება და ეს განსხვავება თვით ნაწარმოებიდან უნდა ჩანდეს და არა ავტორის მინაწერიდან, სათაურის ქვეშ.

და ბოლოს, პოლ ვალერის გამონათქვამის პერიფრაზი რომ ვიხმაროთ, კრიტიკოსმა მთელი თავისი ძალა და ინტელექტი უნდა ჩაიკე-

ნოს ლიტერატურის სამსახურში. ქართველმა კრიტიკოსმა კი — ეროვნული ლიტერატურის სამსახურში.

2. პანეგირიზმი, ჩინმოთნეობა, ეპითეტების დეევალვაცია გარკვეულ არალიტერატურულ გარემოში წარმოქმნილი სნეულებაა, მძიმე და ძნელადგასაკურნავი ავადმყოფობაა. ამ ავადმყოფობის მოპყვება ატანელი მდგომარეობა ერის კულტურულ ცხოვრებაში, როცა ულირსის ან ნაკლებად ღირსეულის ხოტბით გართულს, ხშირად ნიჭიერ კრიტიკოსსაც კი, გამორჩება ხოლმე მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენა ეროვნულ მწერლობაში. ულირსის ქება-დიდება დამცინავი ღიმილისა და ზიზღის აღმძვრელია. ტუუოლად დაუენებული ბუქი და კორიანტელი მალე იფანტება, მაგრამ სანამ გაიფანტება, ჩვენს თვალწინ შექმნილ, ღირსშესანიშნავ ლიტერატურულ ფაქტს ან დუმილით ხვდებიან, ან ვინმე „ავტორიტეტის" მიერ დაუფიქრებლად შეთხზული სტერეოტიპითა და მიწმებებით იარლიყით იხსნიენენ.

ეპიშმარიტი კრიტიკის დანიშნულება კარგზე კარგია და ცუდზე ცუდის თქმა, ობიექტურობა და ეპიოთვნელობაა. როცა თანამედროვე ლიტერატურული მოვლენის ღირსებას აღვნიშნავთ, მის გვერდით არსებული ფსევდოლიტერატურის ნაკლიც არ უნდა დაგვავიწყდეს. მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭარო; როცა თავისთავად მდარე და უნიჭო მოვლენა ზოგად სახეს იღებს, პოპულარობას იხვეჭს და ზიანს აყენებს ლიტერატურას. ამბანნეკეს საშუალო ქართველი მეთხველის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ გემოვნებას, კრიტიკოსმა უთუოდ ხმა უნდა ამოიღოს. მაგრამ, ხშირად, ვიღაც რიგითი გრაფომანის განკიცხებასაც დიდ დროსა და ენერგიას ვწირავთ, რითაც, ფაქტიურად, მის პოპულარიზაციას ვეწევით, წამებულობის და დეგენილის ნიღბის მორგებაში ვეხმარებით.

3-4. ანგარიშსწორების ტენდენცია პანეგირიზმის გაბატონებასა და ეპეშმარიტი მწერლობის მტრობას მოსდევს.

ულირსთათვის დითირამბების მღერა და ღირსეულთა წინააღმდეგ ბრძოლა ერთდროულად ჩნდება ლიტერატურაში. ერთი მეორისგან გამომდინარეობს და ორივე ერთად არაკანონი გაწყვეტილებას ჭქმნის.

ანგარიშსწორების ტენდენციის ჩვენში, ხშირად, მწერლურ გაბედულებასა და სითამამეს უწოდებენ. თუმცა მას გაბედულებასთან და მოთუმეტის მწერლობასთან არაფერი ესაქმება. გაბედული კრიტიკოსის სახელს სწორედ ის ირქმევს, ვინც ორიოდე დღის წინ საშუალო, მაგრამ სახელიანი მწერლის მდარე ნაწარმოებს ადიდებდა.

ანგარიშსწორებაზე არანაკლებ საშიშია ზოგიერთი „კრიტიკოსის" განფრენელი და ხადაგეშიშვებული საჭმიანობა. მკვლევარის სახელს ამოფარებული დილეტანტი „სწავლობს" არა მარტო თანამედროვე. არამედ კლასიკოსი მწერლების შემოქმედებასაც და მისი „შესწორებარედაქტირების" სურვილიც უჩნდება — ასეთი კრიტიკოსებიც არიან დღეს ჩვენში.

5. როგორც ჩანს, თანამედროვე ქართულ კრიტიკულ ჯაჭოვნებას ნაკლი მეტი აქვს, ვიდრე ღირსება.

ქართულ მწერლობაში, დღესდღეობით, ვფიქრობ კრიტიკოსთა ერთი თაობაა. ეს თაობა ილია, იაკობ გოგებაშვილის, გიორგო ყიფშიძის, კიტა ბასშიძის, ვაზბანგ კოტეტაშვილის, პავლე ინგოროყვას, გერონტი ქიკოძის და სხვა დიდი პუბლიცისტების ბაზას აგრძელებს. თანამედროვე კრიტიკოსის ღირსება და ნაკლი სწორედ ამ ბაზაზე სწორი სიარულით იზომება.

თანამედროვე ქართველი კრიტიკოსის შემოქმედებას სწორედ მაშინ ექნება ეპეშმარიტი ღირებულება, როცა განვლილ გზას პირფთვნელად შეიფასებს და შესძლებს თავისი შემოქმედება ეროვნული პუბლიცისტიკის ტრადიციის ნაწილად აქცოოს.

როსტომ ჩხეიძე

ჩვენი ბალეტერატურო კრიტიკის დღეგანდელი ვითარება, ცხადია, ბევრ საფიქრალს აღძრავს — ტკივილით, მოღვაწეობის სურვილითა და იმედით სავსე საფიქრალს.

ტკივილს იწვევს სრულიად არეული კრიტერიუმები, უკადურესი ტენდენციურობით შეფუტებული მიმდინარე ლიტერატურული პროცესი.

ტკივილს იწვევს ის, რომ ახეთი კრიტიკა სრულებით არ შეიფერება ჩვენს მწერლობას.

ჩვენ დღეს გაცილებით დიდი ლიტერატურა გვაქვს, ვიდრე კრიტიკული წერილების მიხედვით შეიძლება ავარაუდოს კაცმა.

ფსევდოლიტერატურის განუკოთხავმა ხოტბამ, მხატვრულად ღირებულ ნაწარმოებთა უსამართლოდ ჩრდილში მოქცევამ ან. თუნდაც. მხოლოდ

ზერელე ქებამ შეუძლებელია სწორი, შთაბეჭდილება შექმნას ამაზე, რაც ჩვენს მწერლობაში ხდება.

ახეთია საერთო ვითარება და გარეგნულად როგორი უცნაურიც არ უნდა ჩანდეს, სწორედ ეს ვითარება — არეული კრიტერიუმები და უპიდურესი ტენდენციურობა — ბადებს მოღვაწეობის მძაფრ სურვილსაც და იმედსაც სწორედ ეს აღძრავს.

მარტო იმას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, როცა ხედავ, თუ როგორ უნდა მოიქცე.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, როცა ხედავ, თუ როგორ არ უნდა მოიქცე.

სალიტერატურო კრიტიკის ამ საერთო ვითარებას თითქმის არავინ მალავს და თეორიულად ისიც ყველას მშვენივრად მოეხსენება, თუ როგორი უნდა იყოს კრიტიკოსი, ისიც ყველამ იცის, რომ ტენდენციურობას ობიექტურობა სჭობს, არალიტერატურული მიზნებს — ლიტერატურული მიზნები, უსამართლო თავდასხმას — სამართლიანი შეფასება, არეული კრიტერიუმებს — ყველასთვის შესაფერი ადგილის მიჩენა...

კრიტიკის დანიშნულებისა და კრიტიკოსის ლიტერატურულ-ესთეტიკური და ზნეობრივი პრინციპების თეორიული ცოდნა არაფერს ნიშნავს, თორემ ეს ყველაფერი იმათაც მოეხსენებოდათ და თეორიულად ისინიც სულ პუნქტ-პუნქტად ჩამოაყალიბებდნენ, ვინც, ეთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილს მეხი დაატყო თავზე და კიდევ აღკვეთა მისი ლიტერატურული მოღვაწეობა.

იყო ასეთი დრო და ჰქონდა ასეთი უფლებები კრიტიკოსს, უფლებანი, რაც ბევრად სცილდებოდა კრიტიკოსის მოვალეობას და მწერლის მოღვაწეობის სრული აღკვეთა შეეძლო.

დღეს კრიტიკოსის უფლებანი მხოლოდ ნაწარმოების ანალიზითაა შემოფარგლული, გარდა ტენდენციური ანალიზისა სხვა რამ ზიანის მოტანა აღარ შეუძლია, და თუმცა ეს უმთავრესად ჩვენი ცხოვრების მონაპოვარია და არა უშუალოდ სალიტერატურო კრიტიკისა, მაინც მისი, გაკრეფილება კრიტიკაზე უთუოდ სასიკეთოა, იმდენად სასიკეთო, მეტი რომ აღარ იქნება.

ახეა თუ ისე, თუ რაიმეზე შეიძლება ითქვას სალიტერატურო კრიტიკის მონაპოვარი, ისევ ამაზე თუ თქმის და არა ავტორიტეტული მწერლების ბარიერის გადალახვაზე, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ და უუნაო „ცისკრის" რედაქციაც დაბეჯითებით წერს ერთ-ერთ საანკეტო კითხვაში.

არ ვიცი, ამ შემთხვევაში კონკრეტულად რომელ წერილებს გულისხმობენ, მაგრამ ეს ალბათ უფრო სურვილია, ვიდრე რეალური ვითარების გამოხატულება.

რეალური ვითარება სულ სხვას გვიჩვენებს.

სალიტერატურო კრიტიკას არავითარი ბარიერი არ გადაულახავს.

ავტორიტეტული მწერლების ბარიერი გადაულახავია.

ეს ბარიერი გადალახული რომ იყოს, არც კრიტერიუმების არეცა იქნებოდა ასეთი ტოტალური და არც ტენდენციურობა ასეთი უკიდურესი.

უნებლიეთ ხელს ნუ შევუწყობთ ილუზიის შექმნას.

იმას ვამბობდი, რომ თეორიულად ყველას კარგად მოეხსენება კრიტიკის დანიშნულებაცა და კრიტიკოსის მოვალეობაც, იმასაც ყველა ხედავს, ბევრი რამ რომ არის შესაცვლელი სალიტერატურო კრიტიკაში.

თეორიული მტკიცებანი იოლია, მითუმეტეს, ჩვენნაგან, ვისაც ორიოდე წერილი თუ გამოგვიქვეყნებია, იოლია სალიტერატურო კრიტიკის ცდომილებანი სხვას, დავაბრალოთ და ზეპირად დასწავლილი პრინციპებიც გამოვიმეოთ ჩვენი მხრივ საკმე უკვე მოთავებულად ჩავთვალოთ.

იოლია განსაკუთრებული მისიის აღმსრულებლებად წარმოვიდგინოთ თავი და იმ სასაცილო სიტუაციაში ჩავცვივდეთ, როგორ სიტუაციაშიც არაერთხელ არაერთი ჩავარდნილა და რასაც დიდი ალია ასე მძაფრად გვიხატავს:

„...ჩვენ მწერლებს ერთი საკვირველი ჩვეულება დასჩემებია: გამოსდგამს ფეხს თუ არა სალიტერატურო ასპარეზზედ, ყველაზეც უწინარეს ამას დაიძახებს ხოლმე: ვინც ჩემზედ წინ იყავით, ძველნი ხართ, ჩვენ კი ახალნია; ჩვენ წინ — მომავალნი ვართო და თქვენ კი დროს უკან ჩამორჩითო და თუ გინდათო, „ბოლოზედ ჩახვიდეთ ხელითო" და სხვანი".

იოლია, იოლი სხვისი განსჯა.

და თუ სალიტერატურო კრიტიკის ხვალინდელი ბედი გვაწუხებს, მისი დღევანდელი შეცდომები ამჟამინდელმა მოღვაწეობამ უნდა გამოასწოროს.

მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკულმა მოღვაწეობამ (პრაქტიკულ მოღვაწეობაში ვგულისხმობ არამარტო ჩვენი მწერლობის მიმდინარე პროცესის ანალიზს, არამედ მსოფლიოს კრიტიკული აზროვნების საუკეთესო ნიმუშების, ესეიგი ტიის შედევრებისა და თანამედროვე კრიტიკოსთა შემოქმედების, რაც შეიძლება, ფართოდ თარგმნას ჭირთულად).

პრაქტიკული მოღვაწეობა გამოაჩენს, ვინ რა იდეალებს ესწრაფოდა, რა ზნეობრივი და ესთეტიური პრინციპები ხელმძღვანელობდა, რამდენად ახერხებდა მათ დასამკვიდრებლად ბრძოლას და რამდენად ცდილობდა შესწეოდა ჩვენს მწერლობას.

მოღვაწეობა გამოაჩენს, თორემ ახე, სიტყვით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში ხშირად საყვედურობენ ლიტერატურული კრიტიკას ჩამორჩენილობას.

ამგვარი თვალსაზრისი მცდარიცაა და მართებულიც.

მცდარია იმიტომ, რომ არავითარი თვისობრივი ხასიათის სხვაობა მხატვრულ ლიტერატურასა და კრიტიკას შორის არ არის და, სხვათა შორის, არც შეიძლება რომ იყოს — ორივე ხომ ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული დონის გამოვლინებაა. ჩვენში იქმნება შესანიშნავი მხატვრული ლიტერატურაც (ცოტა) და ე. წ. მხატვრული ლიტერატურაც (ბევრი). ანალოგიური კრიტიკაც — იწერება ბრწყინვალე კრიტიკული წერილებიც (ცოტა) და ვაიკერიტიკაც (ბევრი).

მართებულია აღნიშნული თვალსაზრისი იმიტომ, რომ როცა უზენარი მხატვრული ლიტერატურა ქმეულნდება, ეს, ცხადია, ფართო მკითხველსაც ეხების, მაგრამ უპირველესად და უპირატესად მაინც ლიტერატურული წუნის ავტორის პირადი უბედურებაა. ხოლო როცა კრიტიკაა უნაგო და უზნეობის კრიტიკა, მაშინ ეს უკვე სოციალური უბედურებაა. ამგვარი „კრიტიკა“ რეაქციის საზოგადოებას, ხელიერ ღირებულებებს აუფასურებს, მწერალსაც და მკითხველსაც უნერგავს იმ აზრს, რომ ყველაფერი ნებადართულია. ხშირად განუკითხველობის და დაუჯელობის რწმენა ასაზრდოებს იმ ანგარიშსწორების ტენდენციას და პანეგირიზმს, რაზეც კითხვარშია საუბარი.

შექმნილ მდგომარეობას ძალიან ღრმა ფესვები აქვს და თუ რა გვიშველის, იმას ვერ ვიტყვი. თუ უკეთესობა გვინდა, ალბათ ისევ დემოკრატიზაციაზე და საჯაროობაზე უნდა ავიღოთ გეზი.

არის მაინც ორგანიზაციული საკითხები, რომელთა მოგვარება არც ისე ძნელია, მაგალითად კრიტიკის ოპერატიულობის საკითხი. ჩვენს დროში, როცა მოვლენები საოცარი სიხშირეთი ვითარდება, ლიტერატურული კრიტიკა კუს ნაბიჯებით მოძრაობს. ჩემი აზრით, მწერალთა კავშირში ყოველი თვის დასაწყისში უნდა ეწყობოდეს გასული თვის ლიტერატურული პერიოდიკის საჯარო განხილვა, შედეგები კი ოპერატიულად ქვეყნდებოდეს „ლიტერატურულ საქართველოში“. ეს უთუოდ გამოაცოცხლებს ლიტერატურულ ცხოვრებას.

მეორე ხელისშემშლელი გარემოება ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისა ისაა, რომ დაუწერელი კანონით ლიტერატურული პერიოდიკის რედაქციები არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. რას იძლევა ამგვარი „ხამშვიდობო პოლიტიკა?!“ — ერთფეროვნებას, მოდუნებულობას, უსიცოცხლობას. მე ვფიქრობ, დროა ხელი ავიღოთ ამ მავნე პრაქტიკაზე. დე. იყოს დავა, ლიტერატურული პოზიციების დაპირისპირება, თუ ვნებავთ ვნებათადელვაც — ეს მხოლოდ სასარგებლო იქნება ჩვენი ლიტერატურისათვის.

ᲫᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲡᲣᲠᲓᲘᲐ

„ᲥᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ ᲔᲜᲘᲡᲐᲐ“*

I. ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡᲘ

უკანასკნელ წლებში მრავალი მოსაზრება გამოითქვა ძველი ქართული თეოსოფიური მწერლობის ძეგლის „ქებაᲐ და დიდებაᲐ ქართულისა ენისაᲐ“-ს შესახებ. მკვლევარნი სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილავენ ძეგლს, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი სიძნელეთა წინაშე დგანან. მრავალი საკითხი, ძეგლთან დაკავშირებული, კვლავაც ბუნდოვანია და გაურკვეველი. არც ჩვენ გვიქვს პრეტენზია ძეგლთან დაკავშირებული ყველა საკირბოროტო საკითხისათვის შუქის მოფენისა. ჩვენი მიზანია მხოლოდ და მხოლოდ აზრის გამოთქმა ზოგიერთ პრობლემაზე.

დავიწყოთ იმით, რომ თვით ტრადიციული წაკითხვა ძეგლის ტექსტისა გვაყენებს დიდი სიძნელის წინაშე. გავიხსენოთ პირველივე წინადადება: „დამარხულ არს ენაᲐ ქართული დღედმე მეორედ მოსლვისა მისისა, საწამებლად, რაᲐთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამჰილოს ამით ენითა“. ამ სიტყვებს და, კერძოდ, სიტყვა „ენას“, იგებენ მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე მნიშვნელობით. სინამდვილეში, საკმარისია ღრმად ჩაეუკვირდეთ წინადადების შინაარსს და ნათელი გახდება ამგვარი ინტერპრეტაციის ცალმხრივობა, ვინაიდან „ენა“ ძველ ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში, მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ **ხალხს, ეროვნებას, მოდგმას**. ასე, მაგალითად, იოანეს „აპოკალიპსის“-ის ტექსტში: „შემდგომად ვიხილე და აჰა ერი ფრიადი, რომლისა აღრიცხვად ვერავინ შემძლებელ იყო, ყოველთაგან წარმართთა და ტომთა და ერთა და **ენთა**, მდგომარენი წინაშე კრავისა“ (გამოცხ. 7. 9.). აქ ბერძნულ ტექსტში „ენას“ შეესაბამება „გლოსსა.“ ვგონებ სადავო არ უნდა იყოს, რომ აქ ცოცხალ ადამიანთა კრებულზეა საუბარი, რომელნიც არიან „ყოველთაგან ენათა და ტომთა“, ე. ი. ყველა ხალხების, ყველა ეროვნების წარმომადგენლებზე. ასევეა „გამოცხადების“ მეთოთხმეტე თავშიც: „ანგელოსსა აქუნდა: სახარებაᲐ ხარებად მკვიდრთა ქუეყანისათა და ყოველსა ერსა ზედა და ტომთა და **ენთა**“ (14. 7). ვგონებ ნათელია, რომ ანგელოსსი ეკრაფერს ახარებდა „ენას“ (ვინც სალიტერატურო, გინდ სასაუბროს), ვინაიდან ენა ცოცხალი არსება არ არის. ცოცხალი არსებანი არიან ადამიანები, რომელნიც ამ ენათა, ანუ ეროვნებათა წარმომადგენლები არიან და მათ ახარებდა ანგელოსი. ასევე იმბარება ეს „ენა“ ძველ აღთქმაშიც: „ესე ძენი სემისნი — ენათა შინა მათთა, სოფელთა შინა მათთა, და ნათესავთა შინა მათთა“ (დაბად. 10. 31. დაბ. 3, 4-7, 5. 19, 29-31). სხვათა შორის, აქ ბიბლიის მცნეთურ ხელნაწერში „ენის“ ადგილზე ნახმარია „ტომი.“ „ენის“ მსგავსი მნიშვნელობით ხმარებას ხვდებით „ქართლის ცხოვრებაშიც:“ „სკვითნი, ხაზარნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი და ყოველნი ენანი და ნათესავნი (ქ. ც. ტ. II, 1959, გვ. 562). ამ ტომისათვის ს. ყაუხჩიშვილის მიერ დართულ ლექსიკონშიც ორგვარი განმარტებაა „ენისა“: 1) ენა— („ენა“) „ენა ვერ მიძრავს“. 2) ენა— (ტომი, ნათესავი) — „ყოველნი ენანი და ნათესავნი“. „ყოველნან ენამან მხოლოს ღმერთსა თაყუანის გცეს“ და ა. შ.

ამრიგად, იოანე ზოსიმეს „ქებაᲐ“ ეხება არა მხოლოდ ქართულ **ენას**, როგორც ასეთს, არამედ ქართველ ერს, ქართულ **ეთნოსს**, მის კულტურულ ისტორიულ მისსიას, როგორც ეს ესმოდათ საქართველოს ეზოტერულ-ქრისტიანულ წრეებში (რომელნიც ეკლესიისგან განცალკევებით რიდი არსებობდნენ).

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს „საწამებლად, რაᲐთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამჰილოს ამით ენითა.“ ზოგი მკვლევარი აქაც თანამედროვე მნიშვნელობით იგებს სიტყვას „საწამებლად“, როგორც „წამებას“, „ტანჯვას“. სინამდვილეში „საწამებლად“ აქ ძველი ქართული მნიშვნელობით არის ნახმარი, ისევე როგორც სახარებაში: „და სწამა იოანე და თქუა“ (იოანე, 1.32) ე. ი. „დაამოწმა,“ „სვიდეტელსტეოვალ“. თუ ჩვენ „ენას“ ეიგულისხმებთ მხოლოდ მისი თანამედროვე მნიშვნელობით, მაშინ გამოდის აბსურდი, თითქოს

---

* წინამდებარე ნაშრომი ნაწილია ვრცელი გამოკვლევისა, რომელსაც ავტორი ამზადებს იოანე-ზოსიმეს ესქატოლოგიისა და მასთან დაკავშირებული ფილოლოგიური და ეთნოლოგიური პრობლემების შესახებ.

ენამ, როგორც ასეთმა, უნდა სწამოს ქრისტესათვის. ენა თავისთავად ვერაფისთვის ვერაფერს სწამებს, ვინაიდან იგი არ არის ცოცხალი არსება, პიროვნება. სიტყვა „სწამებლობა," „სწამა" და მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები საღვთო წერილშიც და ქრისტიანულ ლიტერატურაშიც მუდამ იხმარებიან ადამიანთან, პიროვნებასთან ან ადამიანთა ჯგუფთან (თუნდაც ერთან) დაკავშირებით.

შემდეგი და კიდევ უფრო დიდი გაუგებრობა იმაზეა, იმ შემთხვევაში, თუ „ენას" მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი მნიშვნელობით წარმოვიდგენთ, როგორც მამხილებელს სხვა ენებისას: „ოჰ, თუ ყოველთა ენათა ღმერთმან ამხილოს ამან ენითა". ე. ი. გამოდის, რომ ქართული ენა არა მხოლოდ სწამებს ქრისტესათვის, არამედ **ამხელს** სხვა ენებს, ვინაიდან სხვა ენები ცოდო�len არიან, ქართული ენა კი უცოდველია და ამხელს მათ. რაში უნდა გამოიხატებოდეს ენის ცოდოინობა თუ უცოდველობა? ვით შეუძლია ენას, განყენებულ გაგებას, იმოქმედოს ისე, რომ სცოდოს ან არ სცოდოს, ამხილოს ვინმე ცოდეაში ან არ ამხილოს? „ამხილება" აქ, „გამხელას" რომ ნიშნავდეს, როგორც ზოგიერთი ავტორის მიანჩია1, მაშინ იქნებოდა „უმხილოს", როგორც ამას ვხედებით მოციქულთა საქმეში: „ესე უმხილა ვინმე საცღეს" — სხვა ვარიანტია „უუწყა საცღეს" (იხ. ი. აბულაძის ლექსიკონი). „ამხილება" იოანე ზოსიმესთან ნახმარია სახარებისეული მნიშვნელობით: „რომელმან თქუენგანმან ამამხილოს მე ცოდვისთვის?" ეუბნება ქრისტე ფარისეველებს. ენა, შესაძლოა მეტნაკლები აღქვავლტურობით გაიმოსცემდეს გარკვეულ ცნებებს, გარკვეულ სულიერ გაგებებს, მეტნაკლებად ღვთაებრივ-სულიერი იყოს ან მეტნაკლებად ბნიდარი, მაგრამ მისი „ცოდვიანობა" ან „მამხილებლობა" გაუგებარია. შეუძლებელია: იოანე ზოსიმეს ასეთი ამბები არ სცოდნოდა.

ეს ორივე წინაადმდეგობა მოიხსნება, თუ სიტყვა „ენას" გავიგებთ ისე, როგორც იგი იხმარებოდა იმ ეპოქაში, როდესაც შეიქმნა სახარებები და ალეკალიპსისი, ან როდესაც აღმოცენდა ქრისტიანობა და ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ლიტერატურა. საკმარისია დაშვება ყოველივე ამისა, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა მოიხსნება ძველის პირველივე წინადადების გაგებაში. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, **რომ იოანე ზოსიმე ქართულ ეროვნებას არ იგულისხმებდა ქართული ენის გარეშე, ვინაიდან ქართული ენისა და კულტურის გარეშე, მხოლოდ ერის მიღწეულ მეორედ მოსვლამდე არ ექნებოდა არავითარი მნიშვნელობა,** ასე რომ, ეს წინადადება დღევანდელ ქართულ ენაზე შემდეგნაირად უნდა გადმოითარგმნოს: „ქართული ეროვნება და მისი ენა (ქართველი ერი) შენარჩუნებულ იქნება მისი (ქრისტეს) მეორედ მოსვლის დღემდე, რათა მან სწამოს (ქრისტეს), რათა ყოველი ერი ღმერთმა ამხილოს (ერის მეშვეობით)".

ახლა უკვე გასაგები ხდება ყოველივე: ერთი ერი, შესაძლოა, იყოს უფრო მეტად ცოდვიანი მეორე — ნაკლებად, ერთი ერი, შესაძლია უფრო ახლოს იდგეს ღმერთთან, მეორე — ნაკლებად, **მამხილებელიც, შესაძლია იყოს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, ან ერი და არამც და არამც მხოლოდ მისი ენა.**

გარდა ამისა, ნუთუ შესაძლებელია, რომ მეათე საუკუნის (ან თუნდაც უფრო ადრინდელ) ქართველ მწიგნობარს, თავისი ეპოქისათვის განათლებულ ადამიანს, არ სცოდნოდა ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ არა მხოლოდ ქართული, არამედ ყველა ენა, ყველა დამწერლობა შენარჩუნებულ იქნება („დამარხულ იქნება") ქვეყნის დასასრულამდე, ე. ი. ქრისტეს მეორედ მოსვლამდე? რა აღმოჩენა, რა წინასწარმეტყველება უნდა ყოფილიყო ეს ფაქტი, რომელსაც იგი ესოდენ საზეიმოდ ამცნობს თავის თანამეშამპლეებს? განა არ იქნება ასევე შენარჩუნებული ძველბერძნული, ლათინური ან რომელიც გნებავთ ის მკვდარი ენა, რომელსაც გაარნია დამწერლობა? რა სიბრძნე უნდა ყოფილიყო ამის აღნიშვნაში?

რაც შეეხება ერს, ეროვნებას, აქ სხვაგვარად უნდა ყოფილიყო საქმე. ენა შეიძლება დარჩეს, ერი კი განადგურდეს. ქრისტიანული ესქატოლოგიის მიხედვით, მომავლის კატაკლიზმების დროს ზოგი ერი დაიღუპება, აღიგვება პირისაგან მიწისა, ზოგი კი გადარჩება. **აი, აქ კი საჭირო იყო პროფეტული ოპტიმიზმი, რომელსაც ამღლავნებს იოანე ზოსიმე, როდესაც ამხნეებენს თავის თანამეშამპლეებს: ქართველი ერი გადარჩება, იარსებებსო მეორედ მოსვლამდე.** იოანე ზოსიმე ამ შემოხვევაში ვერ იხმარდა ტერმინ „ეროვნებას", ვინაიდან ეს ტერმინი იმ ეპოქაში ჯერაც არ არსებობდა, იგი უფრო გვიანდელი ხანის პროდუქტია. ამიტომაც იხმარა მან „ენა", რომელიც მის ეპოქაში ნიშნავდა „ერს", „ეროვნებას", „ხალხს".

იოანეს ალეკალიპსისში ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ერი, ყოველი ქვეყანა როდი მიიღწევს უფლის მეორედ მოსვლამდე. მაგალითად, ღვთის რისხვის მეშვიდე ლანჯის დანთხევისას, (გამოცხ. 16, 17), რომელიც მეორედ მოსვლისა და მკვდართა აღდგომაზე გაცილებით ადრე ხდება, აღწერილია ბაბილონისა და სხვა წარმართთა და ენათა (ერთა) განადგურება. ბაბილონი აქ სიმბოლურ-კრებითი სახეა ყველა იმპერიისა, რომელზედაც შეგვიძლია ვთქვათ ალეკალიპსისსა და „ქებაჲსს" გაგებით, რომ ეს „ენა" არ არის დამარხულ დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა: „დაეცა ბაბილონი დიდი და იქმნა სამკეფოდ ეშმაკთა და საყოფელ ყოველისაგე სულისა არაწმიდისა და საყოფელ ყოველისა მფრინველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა არაწმიდისა და მოძღვებულისა“ (გამოცხ. 18. 2). ეს ყოველივე კი მოხდა მეორედ მოსვლაზე ადრე.

ახე რომ, იოანე ზებედეს წინასწარმეტყველებს: ქართველი ეროვნება, ქართული მოდგმა მიადწევს მეორედ მოსვლამდე. მხოლოდ ენის მიღწევას კი არ დასკვრიდნოდა არაეთარი წინასწარმეტყველება.

პპოკალიპსისის ფინალში ჩვენ ვხედავთ, რომ ერები, ანუ ენანი ორად არიან განყოფილნი. ერთნი არიან ეითარეა წყალნი, რომელზედაც დგას ბაბილონი, ე. ი. წარმოადგენენ ბაბილონის იმპერიის დასაყრდენსნი: „წყალნი იგი რომელ იხილენ, ერნი არიან და წარმართნი და ენანი“. (გამოცხ. 17. 15). ისინი დაინთქმიან ქვესკნელში ბაბილონთან ერთად. ხოლო მეორენი იშვებენ ცათა შინა, კრავის ქორწილზე: „შემდგომად მესმა, ეითარეა ხმაჲ დიდი ერისა მრავლისაჲ ცათა შინა, რომელნი იტყოდეს: აღალე

, მაცხოვრებაჲ და ძალი და დიდებაჲ ღმერთისა ჩუენისაჲ“ (გამოცხ. 19. 1). ვინ არის ამ დროს, იგი, ვინც **სწამპეს** იესოსთვის? ამის პასუხად ანგელოზი ეუბნება იოანეს: „და დაკვრიდ წინაშე ფერხთა მისთა თაყვანისცემად მისა, და მრქუა მე: „იხილე ენ, შენ თანა მონაჲ ვარ მე და **ძმათა შენთა, რომელთა აქუს წამებაჲ იესოსი**ა; ღმერთსა თაყვანისა ეგ, რამეთუ წამებაჲ იესოსი არს სული და წინასწარმეტყველებისაჲ“ (გამოცხ. 19. 10).

ესე იგი, ისინი, ვინც სწამებენ იესოსთვის, არიან ძმანი იოანე მოციქულისა, რომელიც სწამებს აგრეთვე მათთან ერთად და **მათაც აქვთ სული წინასწარმეტყველებისაჲ ანუ სულიერნიდ.** აი, როგორ ეკრეტს იოანე ზებედეს ქართული მოდგმის მომავალს, რომელიც „დამარხულ არს საწამებლად მისა“: მას ეძენება სული წინასწარმეტყველებისაჲ, სულიერნიდ, ისევე როგორც იოანეს და მის ძმებს, ანუ მართალთ, რომელნიც იშვებენ კრავის ქორწილზე ღვთის სასუფეველში ისრაელის 12 მეფლის რჩეულებთან ერთად. თუმცა ეტეგარეში, რომ იოანე ზებედეს ამგვარ ქართველებში ეკუნარეთ, ეს ეროვნებ ამგვარ ქართველებში ეკუნარეთ ქრისტიან ქართველებს გულისხმობს, რომელთაც უნდა „სწამონ“ ქრისტესთვის. მხოლოდ ასეთნი შეიძლება გაუთანაბრდნენ აპოკალიპსურ „ძმებს“ იოანესნის. იოანეს ეს ძმები, ამავე დროს, მამხილებელნი არიან ყველა ენათა და წარმართთა, რასაც აპოკალიპსისში სიმბოლური ზეციური თეთრტიკეოსანი მხედრის სახით ვხედავთ: „და ვიხილე ცაი განხუმულნი და აჰა ცხენი სპეტკეი და მჯდომარეაი მას ზედა ეწოდებოდა სარწმუნოჲ და ჭეშმარტი და სამართლით სჯის და იბრძვის. და თუალნი მისნი იყვნეს, ეითარცა ალი ცეცხლისაჲ, და თავსა ზედა მისსა გვირგვინნი მრავალნი, რომელთა ზედა წერილ იყო სახელები და სახელი წერილი, რომელი არავინ უწყის, გარნა მან თავადმან. და ემოსა სამოსელი შეღებული სისხლითა და წოდებულ არს სახელი მისი: სიტყუაჲ ღმერთისაჲ და მხედრობანი ცათანი შეუოდგეს მას, მხედრმარენი ცხენთა ზედა სპეტკეთა, შემოსილნი ბისოთა სპეტკეთა და ბრწყინვალითა და **პირსა მისისაგან გამოვიდოდ მახვილი ორპირი აღლესული, რაჲთა მით მოსრნეს წარმართნი და იგი მეწყესოდეს მათ კეტრნითა რკინისაჲთა“ (გამოცხ. 19. 11-15).**

„ორპირი მახვილი აღლესული“ არის სიმბოლურად „მახვილი მხილებისა“, სიტყვთა მხილება კაცობრიობის ცოდვათა, „რკინის კეტრნთით მწყემსვა“ კი არის გასამართლება ცოდვილ წარმართთა, (კეტრნთი სამართლის სიმბოლოა), აი, რომელ ეს ეპატოლოგიურ სახეს უკავშირდება იოანე ზებედესეული ,გაგება ქართველი მოდგმის, ქართული ეთნოსის მომავალი მამხილებელი მისსისა!

თეთრ ცხენზე მჯდარი ზეციური მხედარი არის არხისტრატეგოსი ზეციური მხედრობისა, მთავარანგელოზი მიქაელ, ძალი ღვთისა, ანუ პირი ღვთისა, აგრეთვე, პროფეტული განჭვრეტა მიქაელის მიწერილი რაინდის, წმინდა გიორგის მსახურებისა, რომელსაც უკავშირებს იოანე ზებედე ქართველ ერს, როგორც ეშმაკრიტი ქართველი **ქრისტიან-გეორგანი.** საქართველოს სახეს იგი სჭვრეტს ზეციურ ძლევამოსილ მხედარში, რომელიც ასრულებს საღვთო მისსიას წარმართთა, ერთა და ენათა **მხილებისას** და მათი მწყემსვისასა რკინის კეტრნთით, ანუ გასამართლებისას. აი, სიტყვა „მხილებს“ ნამდვილი მნიშვნელობა (პპოკალიპსური მამხილებელი სულიწმიდაა და მისი თეთრტიკეოსანი რაინდი).

ახლა გადავიდეთ შემდეგ წინადადებაზე: „და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამა ენასა ლაზარე ჰქვიან.“

ზემოთ უკვე დავინახეთ იდუმალი კავშირი ქართული ენისა, ანუ ეროვნებისა იოანე მოციქულთან, რომელსაც მეორედ მოსვლისას აქვს „წამებაჲ ქრისტესი“, ისევე როგორც ქართულ ენას (ეროვნებას). ახლა კი ვხედავთ, რომ ქართული ენა იდენტიფიცირებულია ლაზარესთან, რომელიც ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით. ლაზარე კი ზოგი თეოლოგიის თვალსაზრისით, არის იგივე იოანე მოციქული.[2] ახალ დროში არა მხოლოდ თეოსოფოსებმა, არამედ სახარების ტექსტის მკვლევრმა ფილოლოგებმაც მიაქციეს უურადღება იმ გარემოებას, რომ როდესაც იოანეს სახარებაში საუბარია იოანე მოციქულზე, როგორც მაცხოვრის საყვარელ მოწაფეზე, ნახმარია ზმნა „ფილეო“, სულიერი სიყვარული, იგივე ზმნა ნახმარია **აგრეთვე მხოლოდ და მხოლოდ ლაზარესთან დაკავშირებით** (იოანე 11. 3), **რაც სიყვარულის გარდა, სახარებისეული გაგებით, ნიშნავს უმაღლეს სულიერ მეგობრობასაც** (იხ. ფ. ვ. ფორრარ, იესო ქრისტეს ცხოვრება,

ლონდონი, 1880, იხგ. ენაზე), ვინაიდან ცნობილია, რომ სახარებ, განსაზვავებს სიყვარულის სამ სახეობას: ეროსს, აგაპეს და **ფილიას**. სხვა მოწმეებთან დაკავშირებით სიტყვა „ფილეო“ არ იხმარება. სხვა შემთხვევაში და სხვა მოწმეებზე სახმარია ზმნა „ეგაპა“, ნაწარმოები „აგაპედან“. ამ იდენტიფიკაციის საკითხებზე აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ შემთხვევაში ორი პიროვნების გაიგიება როდია მთავარი, არამედ ის რომ იოანე მახარობელს თავის სახარებაში ქრისტესეული (და არა იოანესეული) ნათლისღების, ანუ ინიციაციის პარადიგმად მოაქვს ლაზარეს მკვდრეთით აღდგომება. ლაზარესთან ქართველი ენის იდენტიფიკაციის შემდეგ ხომ იოანე ზოსიმეც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული ენა არის მისთანავე (ქრისტესთანვე) დაფლული სიკვდილით ნათლისღებისა მისისადმი.“ ე. ი. ღმებულობს ქრისტესეულ ნათლისღებას. რას ნიშნავს ქრისტეს ნათლისღება და რით განსხვავდება იგი იოანესეული ნათლისღებისაგან (წყლით ნათლისღებისაგან)? ამაზე პასუხს გვაძლევს თავად იოანე ნათლისმცემელი, რომელიც მასთან მოსული ხალხს ეუბნება „მე უკეთ ნათლგცემ თქუენ წყლითა; სონანდლად; ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერს ჩემსა არს, რომელისა ვერ შემძლებელ ვარ ხამლისა მისთა ტკეფოვად. მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მათე 3. 4). ამაზე პასუხს გვაძლევს აგრეთვე თავად მაცხოვარი, როდესაც იგი, **უკეე იოანესაგან ნათლებულები**, ეუბნება თავის მოწაფეებს: „ხოლო ნათლისღებაჲ მაქუს ნათლის ღებად და ვითარ შეურკებულ ვარ, ვიდრემდე აღესრულოს“! (ლუკა 12. 50). ე. ი. იოანეს ნათლისღების გარდა სხვა ნათლისღება უნდა გაიაროს ჯერ თავად იესო ქრისტემ. ამ ნათლისღებაში იგულისხმება ჯვარცმა, სიკვდილი და დაფლვა იესო ქრისტესი, რომელსაც მოსდევს გარდაუვალი აღდგომა. ამავე ნათლისღების წინასახეა ლაზარეს მკვდრეთით აღდგომენა, იგივე ნათლისღებაზე ესაუბრება იესო ქრისტე იაკობს და იოანეს, რომელნიც მოეკიდნენ მასთან და სთხოვეს „ნება მეეცა მათთვის, რათა ერთი მის მარჯვნივ დამჯდარიყო, ხოლო მეორე მარცხნივ. იესომ ჰკოთხა მათ: „არა იცით, რასა ითხოვთ. ძალგიეა სასუფეელსა, რომელსა მე შევსავმ, შესუბამ, ეს ნათლისღებაა, რომელსა მე ნათელ-ვიღებ, ნათლის ღებად? (მარკოზ 10. 38). მოციქულნი ეუბნებიან ქრისტეს, რომ მათ ძალუძთ ეს ყოველივე. ამაა მოსდევს პროფეტული სიტყვები, რომელნიც ცხადყოფენ, რომ ეს ორი მოციქული მართლაც მიიღებს მომავალში ქრისტესეულ ნათლისღებას: „სასუფეელი ს

ე, რომელსა მე ვსუამ, ჰსუთ, და ნათლისღებაჲ რომელი მე ნათელ ვიღო, ნათელ იღოთ“ (ბარკ. 10. 39). ეს სიტყვები გამართლდა ერეს მკვდრეთით აღდგომაზე, რომელმაც ამ ... ქრისტესეული ნათლისღება სიკვდილთან და აღდგომით, აგრეთვე სულეწმიდის მომადლებით. ასევე გამმარტავს ამ ნათლისღების არსს პავლე მოციქული: „ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ, სიკვდილსა მისსა ზიმრნთ ნათელ-ვიღეთ? და თანა-დაეფლენთ მას ნათლის ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რაჲთა ვითარცა იგი აღდგა ქრისტე მკვდრეთით დიდებითა მამისაჲთა, ეგრეცა ჩვენ განსაცხებითა ცხოვრებისაჲთა ვიდოდით. რამეთუ უკეეთუ თანაერგჲ ვიქმნენთო მსგავსებასა მას სიკვდილისა მისისასა ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ“. (რომ. 6.3-5). აი, აშგვარი ქრისტესეული ნათლისღება პირველად განხორციელდა ლაზარეზე, რომელიც მოკვდა და აღდგა, ე. ი. ლაზარე პირველი მონათლა სულეწმიდითა და ცეცხლით, ანუ ქრისტესეული ნათლისღებით. მაგრამ მის სნეულებაზე ხომ მაცხოვარი თავიდანვე ამბობს, რომ ეს არ არის ნამდვილი, სასიკვდინე სნეულება: „სნეულებაჲ ესე არა არს სასიკვდინე, არამედ დიდებისათვის ღმრთისა, რაჲთა იდიდოს ძე ღმრთისა მისგან (იოანე 11. 4). **ძე ღმრთისა იდიდა იოანე მოციქულსაგან, მისი სახარებითა და ამოკალამებისითა**. ქრისტესეულ ნათლისებას ქართული ენა ღებულობს, რათა მომავალში აღასრულოს ქრისტეს მისსა. რაში მდგომარეობს ეს მისსა? გავიხსენოთ თუ ვით ახასიათებს თავის მისსას იესო ქრისტე პილატეს სამკალეოს წინაშე: „ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვიელინე სოფლად, რაჲთა **ვწამო ჭეშმარიტი**. ყოველი რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, ისმინოს ხმისა ჩემისაჲ“ (იოანე 18.37). ხოლო ქართველ ენაზე იოანე-ზოსიმესეულ ძეგლში ნათქვამია: „დამარხულ არს ენაჲ ქართველი დღეადმდე მეორედ მოსლვისა მისისა, **საწამებლად**“. რის საწამებლად? ცხადია, ჭეშმარიტების საწამებლად, ქართველმა ენამ, ქართველმა მოდგმამ უნდა სწამოს ჭეშმარიტი, ისევე როგორც იესო ქრისტემ. მან უნდა ადიდოს ქრისტე, ისევე როგორც იოანე-ლაზარემ. ასე სწამს იოანე-ზოსიმეს.

იოანე-ზოსიმეს ოთხი დღის მკვდარი ლაზარე ბიაჩნია ქართველი ენის სიმბოლოდ, რომელიც არის „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული.“ თანაც იგი იქვე იმოწმებს დავით **წმიდა** წინასწარმეტყველს, რომელიც ამბობს: „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე.“ „ოთხი ათასისა“ შესახებ ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრებთ ქვემოთ, ახლა კი ვნახოთ, რას გულისხმობს ავტორი, როდესაც ამბობს: „და ახალ-მან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან,

ესე არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართალ.“

წარმოვიდგინოთ კვლავ, რომ სიტყვა „ენა“ ძველში ნახმარია მარტოოდენ მისი დღევანდელი მნიშვნელობით. გამოდის, რომ ქართული ენა მოაქცია ხინოს გარდა ჰელენე დედოფალმაც. დაეუშვეთ, რომ წე. ნინო საქართველოში მოსვლის შემდეგ დაეუფლა ქართულ ენას, როგორც წარმშობიერ მოსახ კაპადოკეიელ, და, ქრისტიანული გაგებებით გაამდიდრა იგი, რითაც „მოაქცია,“ მაგრამ აბა ჰელენე დედოფალი როგორ მოაქცევდა ქართულ ენას? ან ნუთუ ქართული ენა ნინოს ძიერ ქართლის მოსახელათანავე წარმართული ენიდან ქრისტიანულ ენად იქცეოდა უმალვე? ნინოს ხომ არ შეუქმნია რაიმე ნაწარმოებები ქართულ ენაზე? ან რა განსხვავება წარმართულ ენასა და ქრისტიანულ ენას შორის? მარგამ საქმეც ის გახლავთ, რომ აქ კვლავ საქმე ეხება **ერის, ეროვნების** მოქცევას. მარტოდენ „ენის მოქცევა“ აშკარად ნაძალადევი წარმოდგენაა, ერის მოქცევა კი ბუნებრივია. ჰელენე დედოფლის წყალობა გასაგებია: მან ხელი შეუწყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას რომში, რის შედეგადაც მომზადდა ნიადაგი საქართველოს გაქრისტიანებისთვისაც, გარდა ამისა, ჰელენე დედოფლის ზრუნვა ქართლის მოქცევისათვის და ნინოსთან მეგობრობა ისტორიული ფაქტია.

რატომ არის ნინო მარიამი, ხოლო ჰელენე მართა? ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ მარიამთან და მართასთან | დაკავშირებული ეპიზოდი ლუკას სახარებიდან: „და თავადი შვიდა დაბასა რომელსაც და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომელსაც სახელი მართა და შეიყვანა თავადი სახედ თვისა და იყო დაა მისი რომელსა ეჩქუა მარიაჲ, რომელი დაჯდა ფერ-ხთა თანა იესოჲსთა და ისმენდა სიტყვათა მისთა. ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათვის, ზედა მიადგა და ჰრქუა: უფალო, არა იღუნო, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტეცა მე მსახურებაჲ? აჰქუა მას, რაჲთა შემეწეოდის მე. მიუგო იესო და ჰრქუა მას: მართა! ჰზრუნავ და ზფოთ ხარ მრავლისათვის; აჰა ერთისა არს საჰპარ. ხოლო მარიაჲ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღის მისგან.“ (ლუკა. 10, 38–42). მარიამი, რომელიც ნიადაგ მაცხოვარს უმეწდა და საოჯახო საქმე არ აკეთებდა, არის სიმბოლო სულის შინაგანი მედიტატიური აქტიურობისა, მარადის ღვთის ჭვრეტისა, მისტიკისა, ხოლო მართა, რომელიც ნიადაგ საოჯახო საქმეს აკეთებს, სიმბოლოა სულის გარეგანი აქტიურობისა სოციალური ყოფის და ქველმოქმედების სფეროში. ერთი მისტიური ჭვრეტის გზაა, მეორე სოციალური განეთარებისა, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და პოზიტიური თეოლოგიისა. ამ ორ გზას შორის პრიორიტეტი თავად მაცხოვარი აიიჭეს პირველი, ე. ი. მარიამს. ამის გამო ნინო, მისტიკოსი ქალი, ნათელმხილველი, მარადის მლოცველი და მმართველი და მით სულიწმიდის მადლის მომპოვებელად შეფასებულია მარიამთან, ხოლო ჰელენე დედოფალი, იმპერატრისა რომისა, სოციალურ სფეროში მოღვაწე, შედარებულია მართასთან. ამით ავტორი მიგვანიშნებს აგრეთვე იმ ორი იმპოლსის თავისებურებაზე, რომელიც შემოვიდა საქართველოში მათი მეშვეობით. ერთთან დაკავშირებულია ღვთის მისტიური ჭვრეტა, მისტიური თეოლოგია, მეორესთან ჭველმოქმედება და საბართველოობა სოციალურ სფეროში, აგრეთვე ოფიციალური დოგმატური თეოლოგია, რომელიც წარმოდგენილია ნახელმწიფო დელიოლოგიას. ამითვეა განმარტებული იმ ორი მოდგმის მისსიის თავისებურება, როძლის წარმომადგენლებნი არიან ნინო და ჰელენე დედოფალი.

რაც ნიშნავს გამოთქმა „ახალნან ნინო“? გულისხმობს თუ არა ეს გამოთქმა რომელიღაც სხვა, უფრო ბეკნაწილ ნინოს? არაძე და არაძე. საქმე ის არის, რომ სიტყვა „ახალი“ ძველ ქართულში ნიშნავს **რიგით პირველსაც**. ასე მაგალითად, ბიბლიაში „ახალი, ახალთაჲ“ ეწოდება ებრაელთა **პირველ** თვეს, ნიშანს: „ღღეს გამოხუალთ თქუენ თუესა ახალსა“ (გამოსვლ. 13. 4). „თოუესა შინა ახალთასა გამოხეედ ეგვიპტით G 11 შჯ. 16. 1. „ახალ-ეკვირიაკე“, „ახალკვირა“ ნიშნავს ადგომიის შემდეგ **პირველ** კვირას: „მოვიდეს კაცსა... დღესა ახალკვირიაკესა“ A — 484, ე. ი. „ახალ ნინოში“ იგულისხმება თავდაპირველი ნინო, წმიდა ნინო, საქართველოს განმანათლებელი. ეს გამოთქმა ნინოსთან დაკავშირებით იხმარება იმის გამო, რათა იგი არ დაეუკავშირთა სხვა, შემდეგდროინდელ პიროვნებებს, ამ სახელის მატარებელთ. გარდა ამისა, ნინო მეათე საუკუნისთვისაც ახალია, ვინაიდან ახალი სკულის შემომტანია.3

თუ ჩვენ კვლავაც იმ თვალსაზრისზე დავრჩებით, რომ ბეგლში სიტყვა „ენა“ ნახმარია მხოლოდ მისი პირველადი მნიშვნელობით, მაშინ სავსებით ზედმეტად მოგვეჩვენება შემდეგი ფრაზაც: „და მეგობრობაჲ ამისთვის, თქვა, ეთარმიდ „ყოველივე სიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს.“ ვინ თქუა „მეგობრობაჲ“ ან რისთვის თქვა? („ამისთვის“) ვის ეხება ეს სიტყვა „მეგობრობაჲ?“ კონტექსტიდან ირკვევა, რომ იგი ეხება როგორც ლაზარეს, ასევე ქართველ ენას. მაგრამ განა **ენა** შეიძლება იყოს, ვინმეს მეგობარი? ეს წინააღმდეგობაც მოიხსნება თუ „ენას“ მისი ნამდვილი მნიშვნელობით გავიგებთ. ე. ი. ქართული მოდგმა, ქართველი ერი არის მეგობარი ქრისტესი, ისევე როგორც ლაზარე, ისევე როგორც იოანე.

რომლის შესახებაც ნათქვამია სახარებაში, რომ იგი უყვარდა იესოს „ფილიას“ გიგბით, რაც სხვა მოქიქუნეებზე კი არის ნათქვამი, თუმც ჩაიაკ მეგობრები ეწოდებათ (ლუკა 12. 4). აი, რა ოგეულისხმება გამოთქმაში „და მეგობრობა“ ამისთვის თქვა“. წინადადების გაგრძელება ნათელს ჰფენს ამ მეგობრობის არსსაც: „ყოველივე სათუოლოა ამა ეგზაო შინა დამარხულ არს“. როგორც ლაზარე-იოანე იყო მფლობელი **ეკუმენიობის** ყოველი ეზოტერული სიიდეებისა, ანუ სიიდეენი სიბრძნისა, ასევეა დამარხული, ე. ი. შენახული ყველა ეს სიიდეენთა საჭიროველობა, ქართველ ერში და არეკლილია მის ენასა და ლეტერატურაში. მაგრამ გადაკარგება იქნებოდა იმის თქმა, რომ ლაზარე და საქართველო იყვნენ მფლობელნი იესო **ქრისტეს** ყველა ეზოტერული სიიდეენისა, როგორც ამას ამტკიცებს ზოგი. მკვლევარი,[4] ვინაიდან იოანეს სახარების თვალსაზრისით, ვეტე ლაზარე და ვეტე რომელმე მოციქული ვერ იქნებოდა მფლობელი ქრისტეს ყველა ეზოტერული სიიდეენისა, რამეთუ თავად მაცხოვარი ებრძნება თავის რჩეულ მოწაფეთა წრეს იოანეს სახარების ფინალში: „ფიროდეა მაქუს სტეუეად თქუენდა, არამედ აწ არღა ძალიეს ტკირთეად“ (იოანე 16. 12), რაც იმას ნიშნავს, რომ იესო ქრისტემ შესძლო გადაცემა თავის მოწაფეთათვის თავის ეზოტერული სიბრძნის მხოლოდ ნაწილისა. მას სურდა მეტის გადაცემა, მაგრამ ისინი ჯერ არ იყვნენ ამისთვის მომზადებულნი (ეს ლაზარესაც ეხება). გარდა ამისა, იოანესეული თვალსაზრისით, ქრისტეს ყველა სიიდეენის არა თუ მისი მოწაფენი, ითელი სამყაროც ვერ დაიტევს: „და არცაჰ სუფანიცა მრავალ, რომელი ქმნა იესო, რომელნი, თუმცა დაიწერებოდეს თითოოეულად. არცაღა გეგონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტეა აღწერილი წიგნებნი. ამენ“ (იოანე, 21. 25).

ასე რომ, სამყაროა და ქრისტეს ყველა ეზოტერული სიიდეენისა, არამედ ამ სიიდეენეებზე, რომელთა გადაცემაც მან შესძლო თავის მოწაფეთათვის და ეკუმენიობისათვის საერთოდ. მართალია, ძველში ნახსენები ნათლისება ქრისტიანული ინიციაციაა, „სიიდეენთა სიბრძნესთან“ ზიარებაა, მაგრამ „ჭეშმარიტად ნამალადვად გვეჩვენება ცდა „ქუეანაჲ“ გნოსტიკური ხასიათის ძველად გამოცხადებისა და მისი IV საუკუნით დათარიღება. სხვა რომ არა იყოს რა, გნოსტიკური წეგნი წმ. ნინოსა და წმ. ელენე დედოფალს, ორთოდოქსული ეკლესიის ბერჯენს, აეტორიტეტებად არ მოიხსენიებდა, არამედ დაიმოწმებდა ბასილიოს, ეკლესტინუსს ან სხვა გნოსტიკოსებს და არა ეკლესიის შვილებს. გნოსტიკიზმი, მართალია, სწვდებოდა სახარების სულიერ სიღრმეებსა და საიდუმლოებებს, მაგრამ ვერ იაზრებდა სწორად იესო ნაზარეველის მიწიერი ცხოვრების ფაქტებს, განსაკუთრებით კი მის ფიზიკურ სიკვდილს ჯვარზე. გნოსტიკოსნი ხედავდნენ ქრისტეს ღვთაებრივ მხარეს, მაგრამ ვერ ამჩნევდნენ მის ადამიანურ მხარეს. ამის შედეგად, მათი აზრით, ჯვარს ეცვა არა რეალური სხეული ქრისტესი, არამედ ე. წ. „მოჩვენებითი სხეული“, ხოლო ზოგი გნოსტიკოსის აზრით, ჯვარს ეცვა სვიმონ ვკირინელი და არა ქრისტე, ანუ ასწავლიდა, მაგ., გნოსტიკოსი ბასილიდე (იხ. ე. ბოკი, სახარების კომენტარები, ტ. II, შტუტგარტი, 1971, გერმ. ენაზე). ყოველივე ამის გამო გნოსტიკიზმში ვერ იარსებებდა ქრისტესეული ნათლისების, **სიკვდილით** ნათლისების იმგვარი გგგება, როგორიც გვგვდება იოანე-ზოსიმესეულ ძეგლში. **გარდა ამისა, ძეგლში გვხვდება კიდევ ერთი ნაკუანი, რომელისთვისაც დღემდე არც ერთ მკვლევარს არ მოუქცევია უურადღება და რომელიც გამოიცხადა მის მიკუთვნებას რომელიმე ანაორთოდოქსული მიმდინარეობისადმი.** ეს **არის ძეგლის ყველა ხელნაწერში დაკით წინასწარმეტყველის მოხსენიება „წ. წინასწარმეტყველჲ.“ ე. ი. წინიდანად, რაც პირველნაირ ეკლესიური საეკეფიციალ და გნოსტიკოსთა ნომენკლატურისათვის უცნაა.** გარდა ამისა, თუ „ქუეანაჲ“ ერეტიკული მოძღვრების შემცველია, მაშ რა სასწაულთი გადარჩენილა და შემოსნილა საუკუნეთა მანძილზე ეს ნაწარმოები. ისიც სინას მთის მონასტერში, ღიად, აშკარად, ნუთუ იქ არ აღმოჩნდა არც ერთი მცნობი ერეტიკული მოძღვრებისა? ვით „შეეპარა“ „ყოველგანანადგურებელ“ ეკლესიას ერეტიკული თხზულება?

ხაზგასვეთი გამოკვლევის ავტორი „ქუეანაჲ“ უწოდებს ესკატოლოგიური მისტიკის ნიმუშს. ეს გამოთქმა უნდა დაზუსტდეს. კერძოდ, „ქუეანაჲ“ არის ოიანეს სახარებისა და აპოკალიპსის კომენტარი, ეგზეგეზა, ესკატოლოგიური მისტიკის თვალსაზრისით. არსებობს თვალსაზრისი, თითქოს ორთოდოქსია ებრძოდა ყოველგვარ ეზოტერიზმს და ინიციაციურ სიბრძნეს, ამგვარი მტკიცებისას საჭიროა მეტი სიფრთხილე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია ალმოსავლეთის ეკლესიაზე. უწინარეს ყოველისა, არ უნდა დავიიწყოთ, რომ არეოპაგიტული ტრაკტატები შეიქმნა ალმოსავლური ეკლესიის წიაღშივე, ხოლო „საიდუმლო ღვთისმეტყველება“ რომელზედაც საუბრობს დიონისე არეოპაგელი, არის იგივე ეზოტერული მოძღვრება, ანუ საიდუმლო სიბრძნე, რომელიც ყოველივის დაწერილი სახით როდი არსებობდა, არამედ ზეპირი გადმოცემის, ე. წ. „ლოგიის“ სახით, აგრეთვე წიგნების სახით, რომელთაც უწოდებთ „დაფარული“ წიგნები, ე. წ. „აპოკრიფები“.[5]

აღსანიშნავია, რომ სიტყვა **დოგმატიც** თავდაპირველად ეკლესიურ ენაზე აღნიშნავდა საიდუმლო მოძღვრებას. მაგალითად, ეკლესიის ერთ-ერთი ბერჯი ბასილი დიდი ამბობდა: „ეკლესი-

ში არსებული დოგმატებიდან და ქადაგებებიდან ზოგიერთი გვაქვს საღვთო წერილის მოძღვრებაში, **ხოლო ზოგიერთი გადმოცემული გვაქვს საიდუმლოდ**, მოციქულთა ტრადიციით... დოგმატის შესახებ ვდუმვართ, ქადაგებას კი ხალხს ვამცნობთ" (სულიწმიდის შესახებ, გვ. 322). მეორე მამა ეკლესიისა, წმ. კირილე იერუსალიმელი აღნიშნავს: „წარმართებს არ ვუქადაგებთ საიდუმლო მოძღვრების მამაზე, ძეზე და სულიწმიდაზე, თვით კათაკმევლებსაც კი საიდუმლოთა შესახებ ვესაუბრებით ბუნდოვანად, ბევრ რამეზე გადატანით მივანიშნებთ, რათა მცოდნენი და მორწმუნენი ჩასწვდნენ, ხოლო უცოდინარნი კი დაჩიანდნენ". (თხზულებანი, XXV, § 29, გვ. 103). მსგავსი თვალსაზრისი აქვს აგრეთვე გამოთქმული იოანე ოქროპირს ზიარების შესახებ, გრიგორ ღვთისმეტყველ ნათლისღების შესახებ თავის მეორმოცეს ჰომილიაში, ასევე სხვა მამებს ეკლესიისას, გრრშანელი მეცნიერი **ავგუსტი** ჩამოთვლის ბერძნულ ტერმინებს, რომელთა ხმარობდნენ ეკლესიის მამები ეზოტერული წესის აღსანიშნავად: ეპიკრიფის, სიოპე, გნოზის, მისტერიოკრიფია, დოგმა, ტროპოს, პაიდეა და სხვა. ასევე ლაფინი მამების ტერმინებს: ოკულტაციო, რეტიცენია საკრორუმ, სილენციუმ საკრუმ, არკანუმ და სხვა. არსებობს აგრეთვე შეა საუკუნეებრივი საეკლესიო ტერმინი ეზოტერიზმის აღსანიშნავად „დისციპლინა არკანა". ე. ი. საიდუმლო დისციპლინა. ყოველივე ამის საუკეთესო დადასტურებაა „ქებაჲ"-ს დარი ძეგლის არსებობა ეკლესიის წიაღშივე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „გნოზისი" ეკლესიის მამების ერთ-ერთი ტერმინია მათი ეზოტერიზმის აღმნიშვნელი, თუ ამგვარ გნოზისს დაუკავშირებთ იოანე ზოსიმეს „ქებაჲს", მაშინ ეს მისაღები იქნება, ეკლესიასთან დაპირისპირებულ გნოსტიკოსთა მოძღვრებას კი ვერ გავიგიგებთ ამ ძეგლთან. მაგალითად, თვით ანტონ პირველიც კი ხმარობდა ტერმინ „გნოზისს" ანალოგიური მნიშვნელობით თავის „ეპისტოლეებებში", სადაც ამბობს, რომ „გონება-მზე" პეტიოწმა შემოიღო „გნოსისნი აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათანი". ასე რომ, ამ სიტყვას თვით ანტონ კათალიკოსიც არ თვლიდა ეკლესიისათვის უცხოდ. ხსენებული გამოკვლევის ავტორის (ე. ჭილიძის) თქმით, III-IV საუკუნის ორთოდოქსიამ მოლად მოსპო გაგება ნათლისღებისა ვითარცა საიდუმლისა და რომ მას შემდეგ ქრისტიანეულმა ნათლისღებამ ეკლესიაში მიიღო მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა. (გვ. 12-128) სინამდვილეში, მეოთხე საუკუნის ეკლესიის მამა კირილე იერუსალიმელი თავის „მისტაგოგიურ კათეხიზმოში" წერს, რომ, მართალია, ნათლისღებისას სამგზის წყალში ჩაძირვა სიმბოლურად განასახიერებს ქრისტეს სამ დღეს საფლავში ყოფნას, მაგრამ ეს მიბაძვა ქრისტესი არ არის მხოლოდ ხატი, სახე, „ეიკონ ესი მიმეზისეოს ვინაიდან თავად ნათლისღება არის [illegible] რომლითაც ჩვენ რეალურად ვღებულობთ ხსნას (კირილე იერუსალიმელი, მისტაგოგიური კათეხიზმო, პარიზი, 1966 ფრანგ. ენაზე, გვ. 114). შემდეგ კირილე იერუსალიმელი განაგრძობს, რომ ნათლისღება არის ცოდვათა მატევებება რეალურად და გაწმენდილ რეალურად და ა. შ. ასე რომ, ნათლისღება მართლმადიდებლური ეკლესიასთვის ერთ-ერთი საიდუმლოა, მისტერიონია. ნათლისღება სიმბოლურ ხასიათს ატარებს მხოლოდ პროტესტანტულ ეკლესიაში, ისევე როგორც სხვა საიდუმლნი, ხოლო პროტესტანტული და მართლმადიდებელური ეკლესიების პრაქტიკა ერთმანეთში არ უფხიერთოთ.

ავტორი ადამიანის არსების სამწუხაროვნების შესახებ მოძღვრების, ანუ ტრიქოტომიის, (რომელსაც იგი შეადგენით ადამიანის **პიროვნების სამნაწილოვნებას** უწოდებს) გნოსტიკოსთა საკუთრებად თვლის. სინამდვილეში კი მოძღვრება უფრო ადრე ჩამოყალიბებულია პავლე მოციქულის ეპისტოლეებში (1 კორ. 2. 14. 5. 44-17) და მას იზიარებს ღიმოსავლეთის ეკლესიაც, ხოლო კათოლიკურმა ეკლესიამ დაკმო იგი მხოლოდ მერვე საეკლესიო კრებაზე, მეცხრე საუკუნეში და დატოვა დიქოტომია, ანუ ორწევრედნება (სამშვინველისა და სხეულისა). ეჭვსაურად ისმის, აგრეთვე, ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თურმე „ქრისტიანობის მიღებით ქართული ენა მოკვდა" (გვ. 138), მაშინ როდესაც სწორედ ქრისტიანობის მიღების შემდეგ დაიწყო ქართული ენისა და მწერლობის არნახული აღორძინება. ხოლო ქართული ენის ქრისტიანობამდელი სიცოცხლისა და აუკვეცების რამე დოკუმენტი თუ ეგულება ავტორს სადმე, ეს უდიდესი აღმოჩენა იქნებოდა, ისეთი შეხედულებაა არც ოიანე-ზოსიმეს უნდა მივაწეროთ, ვინაიდან შეუძლებელია მას არ სცოდნოდა, თუ რა მოუტანა ქართველ ერს, ქართულ ენას და მწერლობას ქრისტიანობამ.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ბაბოთქმას „ყოველივე ეკლესიისა" ამას ენასა შინა დამარხულ არს". როგორც ითქვა, საუბარია არა ქრისტეს ყველა ეზოტერულ საიდუმლოზე, არამედ იმ საიდუმლოებაზე, რომელთა გადაცემაც მან შესძლო თავის მოწაფეთათვის და კაცობრიობისათვის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანე მოციქულნი, ასევე ეკლესიის მამები ხედავდნენ ერთიანობას ქრისტიანულ საიდუმლო სიბრძნესა და ანტიკურ მისტერიალურ სიბრძნეს შორის — რომელიც აგრეთვე ღვთისაგან მომადლებულად მიიჩნდათ. ამ სიბრძნის არსს ასე განმარტავდა პავლე მოციქული: „არამედ ვიტყვი სიბრძნესა ღმრთისასა საიდუმლოდ დფარულსა მას, რომელი **აირჩელადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებულად ჩუენსა" (1 კორ. 2. 7). ასევე ესმოდათ ეს ერთიანობა იუსტინე ფილოსოფოსს, ბასილი დიდს, ნეტარ აგუსტინეს და სხვათა. სამმოლიარა ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ხელოვნების ნათელყოფს, თუ რაოდენ ღრმა კავშირს ხედავდნენ პირველქრისტიანები ანტიკურ მისტერიებსა და ქრისტიანობას შორის. ასე მაგალითად, კატაკომბების ფერწერაში გავრცელებულია მოტივი, სადაც ქრისტეს ფიგურირებს, როგორც მისტერიათა იეროფანტი, კვერთხით ხელში, რომლითაც იგი აცოცხლებს მიცვალებულ ლაზარეს, რაც ასაბამს იმ ფაქტს, რომ ანტიკური ინიციაციის ლერბის პრაქტიკა ინიციანტის სამდღიანი სატაძრო სიკვდილისმაგვარი ძილისა, რომლისაგანაც მას აცოცხლებდა იეროფანტი, (რაც ხდებოდა მისტერიებში დფფარულად), ქრისტემ სახალხოდ განაბორცელა ლაზარეს აღდგენებით.[9] ასე რომ, ლაზარეს ინიციაცია ანტიკური ინიციაციის გზის ახალი ეტაპი იყო. ასეთივე ღრმა კავშირი არსებობდა ზნის („სოლ ინვიქტუსის") ანტიკურ კულტსა და ქრისტიანულ კულტს შორის, არსებობს ადრექრისტიანული გამოსახულებები, სადაც „სოლ ინვიქტუს" ფიგურირებს, როგორც ქრისტე, საალდგომო ლიტურგიის შემსრულებელი (იხ. ე. ზაუსერი, ადრექრისტიანული ხელოვნება, მიუნხენი, 1966 წ. გვ. 393, გერმ. ენაზე).

პროტო-ქართული მოდგმა და კულტურა პრეისტორიული ხანიდან უადგილად მეფობდა იყო დაკავშირებული მისტერიათა კულტურასთან, უფრო მეტიც. იგი იყო შემქმნელი ამ მისტერიათა, იყო მათი კულტურტრეგერი, რაც მოსსენს ირგონავტების მითოდან, აგრეთვე ანტიკურობის მწერალთა. და ისტორიოსთა სხვა წყაროებიდან, აგრეთვე „ქართლის ცხოვრებიდან", სადაც მოთხრობილია ფარნავაზის ინიციაცია სულიერი ზნის მიერ, აგრეთვე ქვაბში საუნეის პოვნა, რაც საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოა მისტერიალურ სიბრძნესთან ზიარებისა. შემდგომში საქართველო ეზიარა ახალ, ქრისტიანულ სიბრძნეს, ქრისტიანულ ინიციაციას „ახალი ნინოს" მეშვეობით.

აი, რას გულისხმობს იოანე ზოსიმე, როდესაც ამბობს, რომ „ყოველივე საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს". საქართველო, გადმოცემით ღვთისმშობლის წილხვდომილია. ღვთისმშობელი, სოფია, ანუ ზეციური დედა, ეზოტერული თვალსაზრისით არის დედა მისტერიებისა, იზიდა, „მაგნა მატერ" ყველა ანტიკური რელიგიებისა და კულტებისა. ხოლო პირველქრისტიანთა და ეკლესიის მამათა გაგებით, იგი არის სულიწმიდის მიწიერი გამოცხადება[7], სულიწმიდისა, რომელიც არის მომავალი ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნისა (სოფია სი) და ამავე დროს ცოდვათაგან განწმენდის მადლისა, სახარებაში მას ეწოდება აგრეთვე პარაკლეტი, ანუ ნუგეშინისმცემელი. (იხ. მ. ჯარმენტერი, წწ. გრიგოლ ნოსელისეული ფილოსოფიური ანა სულიწმიდისა, „ეკლესიისტიკოს ფარონ" ალექსანდრიის სასტატიკურ ჟურნალი, 1976, ტ. 60, გვ. 697).

იოანეს სახარებაში მაცხოვარი ამცნობს თავის მოწაფეებს, რომ მომავალში სულიწმიდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და ამავე დროს უნდა მოამზადოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნე: „არამედ ჭეშმარიტსა გეტყვი თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რადგა მე წარვიდე. უკეთუ მე არა წარვიდე ნუგეშისმცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა: უკეთუთ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიმართლისათვის და სასჯელისათვის. ცოდვისათვის ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენნი ჩემდა მომართ, ხოლო სიმართლისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ და არარა მხედველიხარ მე. ხოლო სასჯელისათვის, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაა დასჯილ არს" (იოანე 16. 7-11).

ამრიგად, სახარების მიხედვით, სულიწმიდის მისნი არის კაცობრობის ცოდვათა, ანუ „უველა ენათა" ცოდვათა მხილება. იგივე მისნია ეკლესიისა ქართველ ერს მომავალში, იოანე ზოსიმეს თვალსაზრისით. ეკვივალენტი, იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანნი, სულიწმიდის მიერ კაცობრიობის მომავალ მხილებას ქართველ ერს იმის გამო უკავშირებს, რომ საქართველო სულიწმიდამდელი ღვთისმშობლისა, ხოლო ღვთისმშობელი არის სულიწმიდის მიწიერი გადმოცემაც. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ გადმოცემით, ღვთისმშობელ წილად ერგო საქართველო სულიწმიდის გადმოსვლის დღეს, ანუ მარტალოობა.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ქრისტემ თავისი მიწიერი მსახურების მანძილზე გადასცა საღვთო სიბრძნე თავის მოწაფეებს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, ვინაიდან ისინი არ იყვნენ ჯერაც მომზადებულნი საამისოდ, არ ძალედვათ „ტვირთვა" ამ სიბრძნისა. მაგრამ იგი ამცნობს მათ, რომ მომავალში სულიწმიდა, ანუ სული ჭეშმარიტებისა, გადასცემს მათ ამ სიბრძნეს: „ფრიადფა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არარა ძალგიტ ტვირთვად. ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თვისით, არამედ რაოდენი რაჲ ესმის, იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ". (იოანე 16. 12-13). ამრიგად, სულიწმიდა არის კაცობრობის მამხილებელი და ამავე დროს „ყოველი საიდუმლოს", ანუ საიდუმლო სიბრძნის მომმაღლებელი. ასევეა ქართველი ენა, ქართული მოდგმა, **ვინაიდან მისი მისნია იგივე სულიწმიდის მისნია,** ე. ი. **სულიწმი-**

და ქართული ენის, ანუ ქართული მოდგმის მეშვეობით განაბრძოლეულებს თავის მისნიას, როდესაც ამხელს აკეცობრობას მეორედ მოსვლის ეჟამს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორედ მოსვლისას ქართველ ერსა და მის ენას ეკისრება იმ მისნიის აღსრულება, რომელიც გაანჩალთ, იოანეს სახარებისა და აპოკალიპსისის გაგებით, ერთი მხრივ, ქრისტესა და მეკეულ მთავრანგელოზს, ხოლო მეორე მხრივ, სულიწმიდას და გაბრიელ მთავარანგელოზს, ვინაიდან სულიწმიდის ნების გაჩვენებადელი, მისი „პირი“ არის გაბრიელ მთავარანგელოზი, რომელმაც ახარა ღვთისმშობელს სულიწმიდით ჩასახვა და რომელიც დაკავშირებულია აგრეთვე სულიწმიდის მომავალ მისნიასთან. ასევე ითვლება მიქაელ ძის, ანუ ქრისტეს „პირად“. აი, რატომ არიან დაკვთის VI საუკუნის სტელებზე გამოსახულნი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, რომელთაც სასოებით უპყრიათ ხელთ დაფა ქართული ანბანის გამოსახულებით! სხვათა შორის, ხსენებული ალმოჩენის შესახებ გ. აბრამიშვილი და ზ. ალექსიძე გაკვრით აღნიშნავდნენ, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში „ენა“ ხალხსაც ნიშნავს, თუმცა ამ დებულებას ალარ უკავშირებენ იოანე-ზოსიმეს „ჯეკალს“.[8]

ბრდაძორის მეექვსე საუკუნის სტელაზე, როგორც ავტორები აღნიშნავენ, ეხედებით იკონოგრაფიისთვის სავსებით უჩვეულო თემას: სუდარაში გახვეულ ლაზარეს ამაღლებასა და განდიდებას მეორედ მოსვლის დროს, როდესაც მიქაელ მთავარანგელოზი ამბრნს საკვირო კაცობრობას მეორედ მოსვლის დადგომას. ეს ალმოჩენა კიდევ ერთელ ცხადყოფს, რომ იმ ეპოქის საქართველოში იცოდნენ ეზოტერული სიიდუმლო ლაზარეს და იოანეს ივანგელიობისა, ვინაიდან აპოკალიპსისში, მეორედ მოსვლის მოკვლენების აღწერისას ლაზარე სავსებით არ არის ნახსენები, ხოლო იოანე ქრისტოლოგიური ხილვით ჭვრეტს თავისავს მიქაელ მთავარანგელოზის გვერდით მეორედ მოსვლის დადგომის ჟამს. (გამოცხ. 19. 9-21). ასე რომ, ბრდაძორის სტელაზე გამოსახული ლაზარე ივგივე იოანეა.

2. „ოთხისა დღისა მკუდარი“

რას უნდა ნიშნავდეს გამოთქმა „ოთხისა დღისა მკუდარი“ ქართულ ენასთან, ქართულ მოდგმასთან დაკავშირებით? ამას ნაწილობრივ თავად ავტორი განგვიმარტავს დავით წინასწარმეტყველის ციტატთ: „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“, თანაც ქართული სახარების ასო **წელი** მას მიიჩნია ოთხი ათასი „მარადის“ აღმნიშნველად. (სიტყვა „მარადი“ ძველ ქართველად ნიშნავს „წინასწარმეტყველურ განჭვრეტას“). ე. ი. ავტორი საუბრობს ოთხ ათას წელზე ქართულ მოდგმასთან დაკავშირებით, ოთხი ათასი წლის წინასწარმეტყველურ მნიშვნელობაზე ქართული მოდგმისთვის. ეს სავსებით ნათელია, მაგრამ ბუნდოვანია, თუ რომელი პერიოდი იგულისხმება ქართული ეროსთვის ოთხ ათასიან პერიოდად, როდის იწყება ანუ ოთხი ათასისა და როდის თავდება. ჩვენს პრეაში გამოთქმული სხვადასხვა, ერთერთის გამომრიცხელი მოსაზრებები ამის თაობაზე, რომელნიც ჩვენის აზრით, ვერ იძლევიან დამაკმაყოფილებელ ახსნას ამ გამოთქმისას.

რამდენადაც „ეკბალ“ შუასაუკუნეობრივ ქრისტიანულ თეოსოფიურ ლიტერატურას ეკუთვნის, მისი ახსნისათვის უნდა მოეშველოთ თეოსოფიური გაგებები კაცობრობის განვითარების პერიოდების შესახებ, ვინაიდან მარტოოდენ თეოლოგიური და ეგზოტერულ-ეზოტერული მონაცემებით შეუძლებელია ზემოხსენებული ადგილის ახსნა.

თეოსოფიურ მოძღვრებაში არსებობს გაგება კაცობრობის განვითარების სხვადასხვა პერიოდებისა, ანუ კულტურული ეპოქებისა, რომელნიც მოსდევენ ერთიერთს. ტერმინი „ათასი“ თეოსოფიაში უფრო ფართო გაგებით იხმარება და სცილდება მარტოდენ რიცხვით მნიშვნელობას ამ ცოფრისა. ასე მაგალითად, სახარებაში აღწერილია ქრისტეს მიერ დაპურება **ჯერ ოთხი ათასი** კაცისა შვიდი პურით და ორი თევზით. თეოსოფიური გაგებით „ათასი“ ნიშნავს დიდ რაოდენობას ადამიანებისას და არა მხოლოდ ათას კაცს.[9] (ამის ანალოგია გაგვაჩნია ქართულ ენაში, სადაც „ცხრა“ ნიშნავს არა მხოლოდ რიცხვ ცხრას, არამედ „ბევრს“, — ცხრაწყარო, ცრამუხა და სხვ). ხოლო როდესაც იხმარებოდა მაგ. ტერმინი „ოთხი ათასი“ იგულისხმებოდა ადამიანები მეოთხე კულტურული ეპოქისა. რაც შეეხება „შვიდ პურს“, თეოსოფიური თვალსაზრისით, სახარებაში იგი არის ისმინოთ ზეციერი საზრდოსა, რომელიც მომდინარეობდა ღმერთ 7 ზოდიაკოდან, ხოლო 5 პური, რომელიც ეპურებს „5 ათასს“, ანუ მეხუთე ეპოქის ადამიანებს, არის 5 ზოდიაკო დღისა (ტვეკ, გვ. 239).

„ათასების“ ამგვარი გაგება საერთოა ქრისტიანულ და ინდურ თეოსოფიაში. გარდა ამისა, თეოსოფიაში არსებობს გაგება კაცობრობის განვითარების სხვადასხვა ბნელი და ნათელი პერიოდებისა: კრიტა იუგა, ტრეტა იუგა, დვაპარა იუგა, კალი იუგა (ინდური ტერმინები). თეოსოფიის თვალსაზრისით **თითოეული მათგანი გრძელდება რამდენნიმე ათას წელს და დაყოფილია ათასწლიან პერიოდებადაც.** ასე მაგალითად, თეოსოფიის მიხედვით უკანასკნელი კალი იუგა, ანუ ბნელი პერიოდი კაცობრობის ისტორიაში დაიწყო ძვ. წ. 3101 წელს და გაგრძელდა 5 ათას წელს. „ბნელი პერიოდის“ გაგებაში იგ-

ულისმშვა ისეთი პერიოდი, როდესაც კაცობრიობა თანდათან წყდება ღვთაებრივ-სულიერ ყოფას, მოსდგა ბნელება. ხესი სულიერი სამყაროო, იგი უფრო და უფრო ეშვება მატერიაში და იმეცნება მატერიალურ სამყაროს, ძველი კავშირი ღვთაებრივ სულიერ სამყაროთან და არსებებთან თანდათან სუსტდება, მაგრამ სანაცვლოდ ამოსა ძლიერდება მისი მეცნობიერება, რომელიც კალი იუგას პირველ ათასწლეულში (ე. ი. ძვ. წ. მესამე ათასწლეულში), რომელსაც **ატლანტის** ეპოქასაც უწოდებენ, ღრმავდება და აკნობიერებს ერთი ღმერთის, ვითარება მსოფლიო მეობის გამოცხადებას.

შემდგომი ათასწლეული კალი იუგასი არის მეორე ათასწლეული ძველი წელთაღრიცხვისა, ანუ ეპოქა **მოსესი**, როდესაც კაცობრიობა კიდევ უფრო წყდება ღვთაებრივ სულიერ სამყაროს და სჭირდება კიდევ უფრო დიდი ძალისხმევა, რათა მიიღოს გამოცხადება ღვთისა, როგორც მიიღო მოსეს შეუწყალ მაყვალზე და სინაის მთაზე. ამ ეპოქაში ერთი ღმერთი, ვითარცა მსოფლიო მეობა, უკვე ცხადდება ბუნებისმიერ ელემენტებში. ელვა-ქუხილში, შეუწყალ მაყვალში და ა. შ. იგი ცხადდება როგორც წარმმართველი ბუნებისმიერი არსებობისა და ადამიანისათვის კანონის მომცემი. შესაბამისად ძლიერდება აგრეთვე ადამიანის უნარი გარე სამყაროსა და ნივთიერი ყოფის შემეცნებისა.

მესამე ათასწლეული კალი იუგასი (ძვ. წ. პირველი ათასწლეული) არის ეპოქა **ხოლომონისა,** როდესაც ერთი ღმერთი, ვითარცა მსოფლიო მეობა, ცხადდება არა მხოლოდ ბუნებისმიერ ელემენტებში, არა მხოლოდ კანონსა და ღმერთმსახურებაში, არამედ კაცებრივ სიბრძნეში, **ხოლომონისეულ** სიბრძნეში.[10]

ეს სამათასწლიანი პერიოდი მოსდევს იმ პერიოდს, როდესაც ბიბლიის მიხედვით მოხდა დაკვმა ბაბილონის გოდლისა და დაიწყო ენათა აღრევა, ანუ დიფერენციება (დაბად. 11). **ბაბილონის** გოდლის დაკვმამდე კაცობრიობა საუბრობდა. ერთ საოოველთაო ენაზე, წინარეენაზე, ხოლო ბაბილონის გოდლის დაკვმის შემდეგ თანდათანობით აღმოაცენდა ენათა და ენაკავთა სიმრავლე.

იოანე ზოსიმეს გაგებით ქართული ენა ოთხი ფლის, ანუ ოთხი ათასი წლის ბაკადონა, მისი სიკვდილი, დამდაბლება-დაწუნება 4 ათას წელს გრძელდება. თუ დაკუშვებთ, რომ ძველი დაახლოებით მეათე საუკუნეშია შექმნილი, მაშინ უნდა ვიკარგოდოთ, რომ ძველს აკერი ამ ოთხ ათასწლიანი პერიოდის განსაზღვრისას ითვალისწინებდა თეოსოფიურ ტრადიციას კალი იუგას შესახებ, რომელმაც მის ეპოქაში უკვე 4 ათას წელს მიაღწია (ძვ. წ. პირველი სამი ათასწლეული ჭლაეს ქრისტიანული წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეული უდრის ოთხ ათას წელს). მეათე საუკუნიდან კი იწყება ქართული ენისა და ლიტერატურის, სულიერების ცხოვრების, ქართული სახელმწიფოებრივობის აღორძინება; იწყება საქართველოს გაერთიანება, ანუ ეს არის აღდგომა ქართული მოდგმისა, რომელიც „ქებაია“ აკერის წარმოუდგენელ მეორედ მოსვლის წინა პერიოდში.

3. „ქებაია“ და ენაკმეცნიერულ-ეთნოლოგიური მონაცემები

თეოსოფიურ მონაცემებთან ერთად იოანე-ზოსიმეს გამოთქმის „ოთხი ათასის“ გაგებაში გვეხმარება მოშველება თანამეფოოვე ენათმეცნიერებისა და ეთნოლოგიის მონაცემებისა, რომელნიც არცთუ დიდად ეწინააღმდეგებიან თეოოსოფიის მონაცემებს და აგრეთვე ავითარებენ ფუძენის შესახებ, როგორც ამას ეხებოდნ მაგ. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ახლახან გამოცემული ორტმოინან ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“. (თბილისი, 1985. რუსულ ენაზე). მოხოგრაფია მიზნად ისახავს წინარეენისა და წინარეკულტურის რეკონსტრუქციის და ისტორიულ-ტიპოლოგიურ ანალიზს. ამ ნაშრომის მიხედვით ზოგადქართველური ფუძე-ენის დიფერენციაცია ანუ ცალკე ენაკავებად და ენებად განთავისება, გლოტკრონოლოგიური მონაცემების საფუძველზე შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. II ათასწლეულით **ან შესაძლოა გაცილებით ადრინდელი ეპოქითაც (ე. ი. III ათასწლეულით** (გვ. 904), რაც სავსებით შეესაბამება ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ოთხ ზოსიმეს „4 ათასის“ პირველი სამათასწლიანი პერიოდი ძვ. წ. ბოლო სამ ათასწლეულს გულისხმობს, რომელს გამოსაყენებლად ხდება ქართული ენის, ქართული მოდგმის „დამდაბლება-დაწუნება“, რაც იოანე ზოსიმეს გაგებით სიკვდილს უთანაბრდება.11 ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ „ქებაია“ შექმნის ეპოქაში საქართველოში არსებობდა რადაც ცოდნა პრეისტორიული ხანის შესახებ, პროტოქართველი მოდგმისა და ენის შესახებ, რაზედაც ვვესაუბრეთ ბანამდროვე მეცნიერება. ამასვე ვვიდასტურებს ექვთიმე ათონელის მიერ ბასკების მოხსენიება როგორც „სპანიის ქართველთა“, რომელნიც არიან შთამომავალნი უძველესი იფეტიდებისა, პირინეების იბერებისა, ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე ბასილი დიდის „ეკეუსთა დღეთაჲ“ თარგმანში ნახმარი ტერმინი „ქართველნი დასავალისა“, რაც შეესატყვისება ესპანეთის იბერებსა („ეკეუსთა დღეთაჲ“, 57.20).

ასე რომ, პროტო-ქართველი (იაფეტური) მოდგმა და მისი ენა „დამდაბლებული“ და „დაწუნებული“ ხდება სწორედ ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან, ანუ, თეოსოფიური ტერმინოლოგიით, კალი-იუგას დასაწყისიდან, **როდესაც ევროპაზაში იწყება ინდოევროპელთა ექსპანსია:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაბატონება, რაც ბერძნულ მითოლოგიაში სიმბოლიზებულია იაპეტის ძის ტიტან პრომეთეს („წინასწარმეტყველური აზრის" მოჯაგვით კავკასიონზე და დედამიწაზე ზეცისა და მისი პანთეონის დომინირებით. (პრომეთე — იაფეტური კაცობრიობა, ზეცისა—ინდოევროპული კაცობრიობა). აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, აქ საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა კულტურის ბრძოლასთან და ურთიერთდაპირისპირებასთან, სახელდობრ, პრომეთე არ არის ბერძნული ღვთაება, იგი იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და მაღალი კულტურის მატარებელი იყო. ხოლო ოლიმპიელი ზეუსი — წმინდა ბერძნული ღვთაებაა,12 ზეუსი იმ ბერძნების ღმერთია, რომელნიც კულტურის საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ, როდესაც მოვიდნენ და დასახლდნენ ზაღლანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის არქიპელაგზე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებზე. ახალმოსული ბერძნული მოსახლეობა (დაბალი კულტურის მატარებელი) ებრძოდა დიდი კულტურის მქონე ძველ მოსახლეობას, პროტოქართველს, (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობდნენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964, გვ. 34). ასე რომ, კავკასიონზე მოჯაგვული პრომეთე, ანუ მაღალი ცივილიზაციისა, კულტურისა და აზროვნების მატარებელი კაცობრიობა არის პროტო-ქართული მოდგმა კავკასიაში ლოკალიზებული. კავკასიაზე მოჯაგვული, ენნიადან უფრო აღრინდელი ხანაში ეს მოდგმა აღავსებდა არა მხოლოდ კავკასიას, არამედ ინდოეთს, ხმელთაშუაზღვის აუზს, ჩრდილოდ და სამხრეთ ევროპას, პირენეებს, ეგეოსის არქიპელაგს და მცირე აზიას.13 აქ მოდგმას ზოგი ევროპელი მეცნიერი უწოდებს ლიგურ-იბერიულ ანუ ეუსკარო-ალარიოიულ მოდგმას, ხოლო "ჩვენი მეცნიერება იაფეტურს, ან იბერულ-კავკასიურს. მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისია, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულში ინდოევროპულ ტომებს ეკავათ ტერიტორია შუა ევროპიდან ურალსა და არალის ზღვამდე, ხოლო III ათასწლეულის დასაწყისიდან ისინი წწყვებენ ეკსპანსიას სამხრეთისაკენ, კერძოდ, ხეთურ-ლუვიური ტომები იპყრობენ მცირე აზიას III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ხოლო II ათასწლეულის დასაწყისში აღმოსავლეთიდან მოდის ახალი ტალღა ინდოევროპელებისა, არიელების სახით, რასაც მოჰყვა სამოცდა ოთხ ერთიანი ხმელთაშუაზღვისა და ეგეოსური ეკულტურებისა და ეთნიური ცოლქცევებისა (პროტოქართველებისა), რომლებიც მანამდე ბატონობდნენ ხმელთაშუაზღვის აუზსა და მცირე აზიაში და ხელს უშლიდნენ ინდოევროპულ ექსპანსიას. **გარდა ამისა, ისინი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე ინდოევროპელნი და თავად ახდენდნენ მათზე გავლენას** (იხ. რ. გოდერდზიანი, „ილიადა" და ეგეოსური მოდგმების ისტორიისა და ეთნოგენეზისის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 194). ნ. მარრის გამოკვლევების ციხედგომ, თვით ფლეგანელი არარატი გვიანდელი სახელწოდებაა ამ მთისა, „ურარტუდან" ნაწარმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირდილო ადამიანის დიდებით. აი, ეს არის „დამდაბლება-დადწენება“ ქართული (იაფეტური) ენისა, ან მოდგმისა, რომლის პარალელურად მიმდინარეობს სემიტურ და ინდოევროპულ მოდგმათა ადოპტირება.

მატიარქატის გარდა პროტო-ქართველებისათვის დამახასიათებელი იყო მცენარეული ტოტემები ვაზი (ვაზის კულტი), მუხა და ცხოველური ტოტემები ვეფხი და მგელი. ვეფხისტყაოსანი და ლომისტყაოსანი ღვთაებები და გმირები უძველეს მცირეაზიურ იაფეტურ პანთეონს ახასიათებს, მეცნიერებში გამოთქმული ოსაზრება, რომ რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ გამოძახილია უძველესი, პრეისტორიული პროტოკავკასიური ადგილა, რომელიც ირიკელა აგრეთვე „ბოლამეშიანში“ და სხვა ლომიტყაოსან და ვეფხისტყაოსან ჰეროსებში (იხ. ტ. მარგველაშვილი, „ბეერგიეა“. ლონდონი. 1936 წ.). ვეფხს უძველეს მცირეაზიურ კულტს უკავშირებენ რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ აგრეთვე თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი, ზემოთ დასახელებულ ნაშრომში (გვ. 506, 507).

მეცნიერებში მიღებული თვალსაზრისია, რომ ბასკი ხალხი არის ნაშთი ევროპის უძველესი იბერიული რასისა და ცივილიზაციისა, რომელიც მოსპეს ინდოევროპელებმა თავიანთი ექსპანსიის ჰეროიდები, ისევე როგორც ზმელთაშეაზღვისა, ეგეოსური და მცირეაზიური კულტურები, ასე რომ, ამ ერთიანი ცივილიზაციის ნაშთები შემორჩა ბხოლად პრინეებსა და კავკასიაში (საქართველოს სახით). თანამედროვე მეცნიერებაში ნ. მარრმა ჩაუყარა სოლიდური საფუძველი ბასკებისა და ქართველების პრეისტორიული ნათესაობის თეორიას. ჰ. გ. უელის აზრით, ძველი იბერები, რომელთა ჩამომაყალიბეს არიან ბასკები, ეკუთვნოდნენ ნეოლითურ ხმელთაშუა ზღვის მოდგმას (ჰ. გ. უელსი, ისტორიის კაცსა, ინგ. ენაზე, გვ. 91), ხოლო ვ. ჰუმბოლდტისა და ნ. მარრის გამოკვლევების მიხედვით, იაფეტიდი იბერები ალავიებდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზს, სემიტური, მინოსური, პელაზგური, ეტრუსკული და სხვ. კულტურები მათი შექმნილია ნ. მარრის აზრით, **პროტო-ქართველი ანუ იაფეტური ფუძე-ენა არის ერთიანი, ლოტოგონიური ფენომენი, საერთო საფუძველი ყველა ენებისა, რომელნიც წარმოიშვნენ მისგან დიფერენციაციის პროცესში.**14 **ამიტომაც საუბრობს აგრეთვე ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ა. ლოსეევი „ქართველი და სხვა ქართველური ენების მსოფლიო როლზე“** (იხ. ა. ლოსეევი, ნიშანი, სიმბოლო, მითი, მოსკოვი, 1956). ნ. მარრი იმოწმებს ფრ. მიულერს, რომელის მიხედვითაც კავკასიური ენები წარმოადგენენ ნაშთს ერთი ოდესღაც ძლიერი და მნიშვნელოვანი ენათა ოჯახისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიაში და მის სამხრეთით, ვიდრე მოვიდოდნენ სემიტურ-არიული და ურალო-ალტაური ტომები. ნ. მარრის დასკვნით, ქართული ენა წარმოშვა კატაბრიობის საერთო წინარე-ენიდან, რომელიც ისევე ჰგავდა სემიტურ ენებს, როგორც ისინი ჰგვანან ურთიერთს (რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1933, რუსულ ენაზე). ამიტომაც მოიხსენიებიან ბიბლიაში მოსახი და თუბალი იაფეტის (სემის ძმის) შვილებად (დაბადა. 10.2).

გვიანდელი იაფეტური ენები გადმონაშთებია ენათა უშველესი შტოსი (იაფეტური ფუძე-ენისა), რომელიც ერეკლეებოდა დასავლეთით, ალმოსავლეთით და სამხრეთით, სემიტურ სამყარომდე. ხოლო ქართული ენის, ნ. მარრის თქმით, იაფეტურ ენებში უკავია ისეთივე პოზიცია, როგორიც არაბული სემიტურ ენებში. ნ. მარრი ჰ. ჯონსტონთან ერთად ვარაუდობდა, რომ პრეისტორიულ ხანაში არსებობდა პირველადი ბასკურ-კავკასიურ-დრავიდული ენა, სუმერულისა და ელამურის პარალელურად და რომ სუმერული, შესაძლოა, ყოფილიყო შემაერთებელი რგოლი პირველად ბასკურ-კავკასიურსა და პირველად მონგოლურ ჯგუფებს შორის, ვინაიდან არსებობდა პირველადი და უძველესი ბასკურ-კავკასიურ-დრავიდიურ-სუმერულ-მონგოლური უადრესი წინაპარი ფუძე-ენა, ქამიტურ ძირეულზე ძველი, ანუ „ეოლითური კულტურის“ ენა, ხოლო სუმერები, ტუბალები და ტიბარენები ეკუთვნოდნენ ძველ იბერთა ტომებს.15

უფრო გვიან, ბრინჯაოს ხანის შემდგომ პერიოდში, იაფეტიდებმა (პროტოქართველებმა) დასახამი მიაცეს რკინის კულტურას, მიკენის ეპოქის დასასრულს (ალიიონები ენა ხალიბები, ბიბლიაში: ტუბალ-კაინის მოდგმის ხალხები). იაფეტიდი პელაზგები იყენენ აგრეთვე ცივილიზაციის ინიციატორნი ძველ სპერძნეთში, რომელიც თავდაპირველად პელაზგური იყო, ხოლო შემდგომში მოხდა მისი ელინიზაცია. ჰომეროსის „ილიადში“ ნაჩვენებია ინდოევროპული ხალხების ეტაპანია და იაფეტიდების დეკადანსი. ერთის მხრივ ურთიერთს უპირისპირდებიან ინდოევროპული აქაველები და იაფეტური ტროა, ხოლო მეორე მხრივ, თვით აქაველთა ბანაკში მოხდარი განხეთქილება ავამქმნოსა და პელაზგ აქილევსს შორის დაპირისპირება იმავე ნიადგზე. იაფეტურ კოლხეთთან სპერძნეთის ურთიერთობა ირეკვა „არგონავტების მითში“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბერძნულ მითოლოგიაში ირეკვა სხვადასხვა ეთნიური კოლექტივების როლი სპერძნეთის ცივილიზაციის განვითარებაში. მეცნიერებში მიღებული თვალსაზრისია, რომ ტიტანები და გმირები ეკუთვნიან არაბერძნულ, წინაბერძნულ სამყაროს და წარმმართავენ თავდაპირველად პელაზგურ კულტურას, ხოლო შემდეგ — შემოსულ აქაველ-

თა კულტურას (ო. ნეერაბერი საბერძნეთის სულიერი გზიბზე, ბაზელი, 1966, გვ 24, გერმან. ენაზე). ტიტანები და გმირები ბუკაცებია, რომელთაც მიიღეს ღვთაებრივი მეობის ნაპერწკალი პრომეთეს მიერ ცოდან ცეცხლის მოტაცება მაკროკოსმელი გაგებით: თვითები, **მეობის** შეძენა, ხოლო ღმერთების მიერ ტიტანების ტარტარში ჩამარხვა, ადამიანის სულის მატერიაში ჩამოსვლა, სხეულში ჩაძირვა და გამკვდრებაა, რითაც იწყება ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრება, აზროვნება და კულტურა. მეობის შემდგომი განვითარებაა ტანტალოსი, სიზიფუსი და ჰერაკლე, ანუ ნებელობის ინიციაცია, ხოლო შემდგომში იაზონი, ანუ ნებელობით ინიციაციის შერწყმა, სიყვარულთან (მედეასთან), რომლითაც ხდება მოპოვება ოქროს, საწმისისა, ვერძის კოსმიური სიბრძნისა, რაც ატლიურ ეპოქაში იგივე შინაარსს ატარებს, რასაც შუასაუკუნეებში ფილოსოფიური ქვა და გრაალი (ოქროს საწმისს, „კოსმიკურ ვრაალსაც" უწოდებენ).

პრომეთეს მითში ატლიური მითოლოგიისა და მისტერიოსოფიის ენაზე მთხრობილია იგივე, რასაც ვაგიუწყებს „ქებაჲ"-ს ავტორი ქრისტიანული თეოსოფიის ენაზე. იაპეტოსის ძე, პრომეთე, ოდესღაც აღზეგებული ტიტანი (იგივე, რაც ინდური მითოლოგიის პრამათუსი და მატარიშვა), ღმერთებისთვის ცეცხლის (ღვთაებრივი მეობის ნაპერწკლის) მომტაცებელი, შემქმნელი და ინსპირატორი კაცობრიობის ცივილიზაციისა და აზროვნებითი კულტურისა, შემოქმედი და წინასწარმეტყველი მოაზროვნე, მისტერიათა კულტურის ინიუგურატორი (შემოძღვები) არის სიმბოლო იფეტერი, პროტოკერთული, ანუ პროტოევროპული ეთნოსისა, რომელიც ყმთა ვითარებაში დაამარცხა და გარიყა ზეკისა, ანუ ინდოევროპულმა კაცობრიობამ, მიაჯაჭვა კავკასიაზე. ანუ კავკასიით შემოზღუდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის არენა (მეორე თვალსაზრისით. პრომეთეს მიჯაჭვა კლდეზე არის აზრის ბილაბლეული ფიზიკურ სხეულზე). პრომეთეს მსხნელი არის მისი საქმის გამგრძელებელი ჰერაკლეიგი მისტერიათა სისტემეული კულტურის ახალ საფეხურზე ამყვანი გმირია და ეკუთვნის ოგრეთვე წინარე-ბერძნულ, პელაზგურ-იბერიულ სამყაროს, ქვეელბრიელ მისტერიებს. ჰერაკლე. ძველ იბერთა უძველესი მზიური ღვთაება — გმირი, ძველ იბერთა ბელადი, მეუღლოდ არის დაკავშირებული პირნეებთან, მითი ჰერაკლესა და მისი სატრფოს პირენეს შესახებ, რომელიც დაიღუბა პირენეებზე, ასახავს მის კავშირს ამ არეალთან ისევე, როგორც მეათე და მეთერთმეტე გმირობის ისტორია (შემოხვევით ოდი ეწოდება ბიბლიოტარს ჰერაკლეს კარიბეე). გარდა ამისა, ჰერაკლე **პელაზგური** არგასიდან არის გამოსული. შემოხვევით ოდია, რომ ფუძე „არგო" უკავშირდება არა მხოლოდ იმ ხომალდს, რომელმაც არგონავტები მიიყვანა ფოლბეთში, არამედ თვით ბოლშეთის ტოკალიზაციაში ეთნიური ჯგუფების სახელწოდებებსა: „არგეუთი, მარგუეთი ეგრისი, **მარგ**-ალი" და სხვ. ჰერაკლეს პერსეევსის ძეა, რომელმაც დაიფუძნა ნათელმზიალეველური პელაზგური კულტურა, რომელიც შემდეგ გადაიყვანა ათენელთა ჭელეონურ კულტურაზე. ჰერაკლე ცხებულია ჰერასი (პაერასი) უძველესი პელაზგურ-იბერული ქალღმერთისა, რომელიც წინასახეა ზნიდისა, სოფიასი, ქრისტიანული გაგებით, ღვთისმშობლისა. ამავე დროს ჰერაკლე ზეკსის ძეა, ვინაიდან მან ითოვისა აგრეთვე ზეკსური ე. ი. ინდოევროპული ინიციაციური კულტურაც. ჰერაკლეს ჩვეულებრივ ლომისტყაოსანად გამოსახავენ, მცირეაზიური ლომისტყაოსანად ან ვეფხისტყაოსანად გმირების კვალობაზე, რაც სიმბოლოა თვითფლობისა და მე-ს მეფური ძალმოსილებისა. მისი ზეკუნებრივი ფიზიკური ძალმოსილება, მისი გმირობანი სიმბოლურად ასახავენ მისტის, ანუ ადეპტის სულიერ პოტენციებს, ნებელობის ძალას, მისი „დოდეკაილოს" (12 საქმე) 12 საფეხურია ინიციაციისა. (ჰერაკლეს დასახვა მატერიდან ფიზიკური ღონის პატრონ გმირად — უმეცრებაა).

ჰერაკლეს მიერ მიჯაჭვული პრომეთეს განთავისუფლება და ზეკსის არწივის მოკვლა მისტერიათა ენაზე ნიშნავს შემდეგს: იაფეტურ-პრომეთეტეული, ანუ პროტო-ქართული, პროტოევროპული მოდგმა, რომელიც დათრგუნა და შეავიწროვა ინდოევროპულმა მოდგმამ (ზეკსმა), აშკამად მიჯაჭვულია კავკასიაზე. დამდაბლებული და დაწუნებული, მტრული მოდგმით გარშემორტყმული. მას გუნ-ღვიძლ, ფუღარეს არწივი (ინდოევროპელთა იმპერიოული ძლიერების სიმბოლო). მაგრამ მომავალში პრომეთე განთავისუფლდება, ალორძინდება და დაიბრუნებს თავის თავდაპირველ ძალასა და პოზიციას მსოფლიოში, როლს ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელისას, მისტერიათა კულტურტრეგერის და კაცობრობის მსაჯულისას. მას გაათავისუფლებს ჰერაკლე, ანუ ინიციაციის ახალი კულტურა, რომელიც მომავალში თავადვე მისცა დასაბამი, რომელიც მომავალში მიიწევს სულიერი განვითარების უმაღლეს საფეხურს, სულიერ ყოველისმძლეობას (ბერაკლეს ყოველსმძლეობა) და იქცევა უზენაეს თეუტიგიად, ეს უზენაესი თეუტიგი არის ქრისტიანული თეუტიგი, ქრისტესეული ინიციაცია, რომლითაც მან ადადგინა ლაზარე, რომელიც გაგრძელებაა ანტიური მისტერიებისა, ახალი და უმაღლესი ეტაპია თეუტიგიისა და ინიციაციისა. აი, რა იხსნის დამდაბლებულ და დაწუნებულ, მიჯაჭვულ პრომეთეა-ამირანს, აი, რა გაანადგურებს ინ იმპერიოულ ძლიერებას (ზეკსის არწივს), რომელიც მას აწამებს.

მითები პრომეთეს, ჰერაკლესა და არგონავტების შესახებ პროფეტული განუკურეკა ქრისტია-

ნობის მომავალი მისსიისა. დორიფულ-კოლხური ინიციაცია, რომლის მესვეურნნიც არიან ხსენებული გმირები, წინასახეა ქრისტიანული ინიციაციისა. შემთხვევითი როდი, რომ დორიფული ინიციაციი კოლხეთთან არის დაკავშირებული, ხოლო ჰერაკლე არგონავტების ლაშქრობის ერთერთი მონაწილეა. ამ ექსპედიციის დროს ჰერაკლეს მიერ კვერთხის დაკვრით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტესაგან, როგორც სულიერი კლდისაგან წყლის აღმოცენების წინასახედ (1. კორ. 10. 4, იხ. ო. ნეერსახერი, სიბერძნეთის სულიერ გზებზე, გვ. 274). ამაზე მეტყველებს აგრეთვე ისიც, რომ სახელი „იასონ" შინაარსობრივადაც უკავშირდება „იესოს" („იასონ" — წამალი, „იესო" — მკურნალი). ასე რომ პრომეთეს, ბერძნული მითოლოგიის თვალსაზრისით ათავისუფლებს მომავალის თეოლოგია, ინიციაციის ახალი კულტურა, რაც ქრისტიანული თეოსოფიის თვალსაზრისით ქრისტიანულ თეოლოგიას გულისხმობს.

შემთხვევითი როდი, რომ გერმანე პატრიარქის (წარმოშობით ლაზის) ნაშრომში „თხრობაი სასწაულთათვის მთავარანგელოზისა მიქაელისა" არგონავტების ლაშქრობას მფარველობს მიქაელი, პირი ქრისტესი, „ცით მოვლენილი ძლიერებაჲ სააზრელი", რომელიც მათ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს: ე. ი. არა მხოლოდ ეზოტერიზმს, არამედ ეგზოტერულ ეკლესიასაც ჰქონდა ტრადიცია ანტიური კოლხური ინიციაციის, როგორც ქრისტიანობის წინამორბედის შესახებ.

ამრიგად, „ეუბაჲს" ავტორი იგივეს გვამცნობს ქრისტიანული ტერმინოლოგიით, რასაც ანტიური მისტერიებიდან გამოსული მითი: ოდესღაც აღზევებული და ძმლავი ქართული მოდგმა და მისი ენა ოთხი ათასი წლის განმავლობაში დამდაბლებული და დაწუნებული, მაგრამ ეს დამდაბლება მისთვის ქრისტესეული ნათლისღებაა სიკვდილისა და დაფლვისი (ამით იგი არის „ოთხისა დღისა მკვდარი"), რასაც გარდაუვალად მოსდევს აღდგომა და ამაღლება. ქართული მოდგმაც აღდგება ამ ოთხდიანნ ნათლისღების შემდეგ, ხოლო მეორედ მოსვლისას კვლავ დაიბრუნებს უნივერსალური სულიერი ღიღერისა და კაცობრიობის მსაჯულის პოზიციას, როგორც ეს ადგენილია მას წარსულში. **ყოველივე ამას ქართულ მოდგმას დაუბრუნებს ის, ვინც აღადგინა და განადიდა ლაზარე. ამიტომაც არის ქართული მოდგმა ოთხზარესთან შედარებული.** თანაც ის როდია ნათქვამი, რომ ქართული მოდგმა მეორედ მოსვლამდე დამდაბლებული, დაწუნებული და მკვდარი იქნება, არამედ ის, რომ იგი ოთხდიანი (ოთხასწლიანი) სიკვდილისა და დაფლვის პერიოდის შემდეგ აღდგება ლაზარეს მსგავსად, გაცოცხლდა, ადრე ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, იგი სწამებს ქრისტესთვის, ისტორია იქნება ქრისტესთვის ირანახული მოწამეობა, ხოლო მეორედ მოსვლისას იგი ამხელს ცოდვილ კაცობრობას.

აღსანიშნავია, რომ პროტოქართული (იაფეტური) მოდგმა ჯერ კიდევ ანტიური მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით აღიარებულია მიღმა სამყაროში გარდასული კაცობრიობის მსაჯულად. ამას ნათელყოფენ მითები იაპეტოსის, რადამანთოსისა და მინოსის შესახებ. იაფეტიდან პირველშეფე მინოსი (მინოსი „აზრის მატარებელს" ნიშნავს), რომელსაც კოლხი აეტის დაჲ ჰყავდა ცოლად, ჰომეროსის „ოდისეაში" ფიგურირებს, როგორც ჰადესში მკვდართა მსაჯული, რადგან შემდეგ შეასაუკეთებრივ ტრადიციაშიც გადავედა (იხ. დანტეს „ჯოჯოხეთი"), ხოლო მინოსის ძმა, რადამანთოსი ელისეს ნეტართა ველის მსაჯული კორნოსთან და იაპეტოსთან ერთად (რადამანთოსი არის აგრეთვე სისხლის აღების წესის დამკანონებელი). თანამედროვე მეცნიერებაში გარკვეულია, რომ მინოსელნი ეტრუფნოდნენ ხმელთაშუაზღვის მოდგმას, ისევე როგორც პროტოქართველები. მათ შეაქმნეს უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მიკენზე და ძველ საბერძნეთზე (აღსანიშნავია რომ „ენციკლოპედია ბრიტანიკა" ღღეკვანდელ ქართველებსაც ხმელთაშუაზღვის მოდგმას აკუთვნებს). ასე რომ, იოანე-ზოსიმეს კონცეფცია ქართული მოდგმის, როგორც კაცობრობის მამხილველის, მსაჯულის შესახებ, ჯერ კიდევ პრეისტორიული ხანიდან იღებს სათავეს.

ახლა ისევ პირველთქმულს მივუბრუნდეთ. რა იგულისხმება ქართული მოდგმისა და ენის სიკვდილში, დამდაბლება-დაწუნებაში? რამდენადაც იაფეტური წინარეენა ქურუმთა, ანუ მოგვთა ენა იყო, რომლითაც ისინი სულიერ არსებებს და ტოტემებს უკავშირდებოდნენ, მას იმთავითვე საკრალური, მისტერიალური ხასიათი და დანიშნულება ჰქონდა, ხოლო იაფეტიდან, პროტოქართველები, (იგივე პროტოეგვრპოელები და პროტოთარიელები) წარმოადგენდნენ რელიგიურ ელიტას კაცობრიობისას, სულიერი ცხოვრების ღიღერებს, უნივერსალურ კულტურტრეგერებს, რაც ითანე-ზოსიმესეული გაგებით, უნდა ყოფილიყო ნამდვილი სიცოცხლე ამ მოდგმისა და მისი საკრალური ენისა, რაც ვრძელდებოდ უსსოვარი დროიდან ძვ. წ. III ათასწლეულის, ანუ კალი იუგას დასაწყისამდე. III ათასწლეულიდან კი იწყება ამ მოდგმისა და მისი საკრალური ენის პროფანირება, ღირევის, დამდაბლება-დაწუნების პერიოდი, რაც გამოიწვია კაცობრობის მატერიაში ჩაძირვამ, ინდოევროპელთა მოძალებამ, ისტორიულმა ბედუკუღმართობამ.

ამავე პერიოდში პროტო-ქართული მოდგმა იწყებს რიცხობრივად შემცირებას, რასაც სიმბოლურად განასახიერებს ნიობეს შვილების დახოცვა (ნიობე იაფეტური მოდგმის დედაა), იწყება იაფეტური მისტერიების დეკადანსი, რის გამოც ეს მისტერიები ალაგ-ალაგ არაკანონზომიერიც ხდება, ხოლო ერთიანი ფუძე-ენა განიცდის დიფერენციერებას ენებად და ენაკავებად, რაც გაგრძელებაა ბაბილონის გოდლის დაცემის შ მდგომი ენათა აღრევის პროცესისა.

იოანე-ზოსიმეს გაგებით, „ყოველ[ი] საიდუმლო" ქართულ მოდგმაში და მის ენაში „დამარხულ არს" ჯერ კიდევ იმ პრეისტორიული ხანიდან, როდესაც ქართული ენა იყო მოგვთა ენა, პირველადი მისტერიების ენა, ღმერთებთან ურთიერთობისათვის შექმნილი. ამიტომაც არის შემონახული მისტერიების „ყოველი საიდუმლო" ქართულ ენაში, ქართულ კულტურაში. **ამიტომ ქართული ენა ლაზარე ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მოავარი ენაა, ისევე როგორც ლაზარე-იოანე იყო მოავარი მოციქულ იესო ქრისტესი, მიწყივ „რომელი უყვარდა იესოს" და რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი. იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისშობლისა, ისევე როგორც საქართველო ღვთისშობლის წილხვედრილი.**

როდესაც ქვეყნად მოვიდა იესო ქრისტე, დადგა ქრისტიანული ერა, აღორძინების სტიმული მიეცათ რასებს, ეროვნებს, ადამიანებს. ყოველივე დამდაბლებულისა და დაწუნებულის აღდგომისა და ამაღლების საწინდარი გახდა ქრისტეს ამაუღლესი, იოანე ნათლისმცემლის სტაფვისამებრ: „ყოველი ხეებები ამოიცოს და ყოველნი მთანი და ბორკელნი დამდაბლდნენ". (ლუკ. IV. 5). ყველაზე მეტად დამდაბლებულ და დაწუნებულ ქართულ მოდგმას, ქართულ ენას მიეცა სტიმული აღდგომისა, ლაზარეს მსგავსად. ისევე როგორც ჯვართან მდგარ ლაზარე-იოანეს ჯვარცმულმა მაცხოვარმა ანაშნა ღვთისშობლეზე და უთხრა: „აბა, დედაო შენი", ხოლო ღვთისშობელს უთხრა: „აბა ძე შენი" (იოანე 19. 26-27), ასევე გახდა საქართველო, იბერია, ღვთისშობლის წილხვედრილი აღდგომიან მეგრგასისეულ დღეს, მარტგელიას. ასე რომ ლაზარე-იოანე და საქართველო თითქმის ერთდროულად იშვიან ღვთისშობლეზმა მაცხოვრის ნებისამებრ. ან კიდევ რატომ ჰქვია ქართულ ენას ლაზარე სახარებასა შინა!

„და ენაჰ ესე, შემკული და კერთხეული სახელითა უფლისაითა" კერთხეულია ჯერ კიდევ ბიბლიაში, დამადების წიგნში, სადაც შექმეულია სემისა და **იაფეტის** ეკვილნშობიერება, შშობლის პატივისცემა. რომელთაც დაფარეს თავიანთი ნასმრეკი მამის, ნოეს სირცხვილი, და დამბილია ქამის საქციელი, რომელმაც გასთქვა მამის სირცხვილი, რისთვისაც შეჩვენებულია ქამის მოდგმა, ქანაანი (დამად. 9.32,33). იაფეტის ძენი მოსოხი, თუბალი, იოავანი, მოხსენიებული არიან მომავლის კერთხეულ ხალხთა შორის (ესაია, 66. 19). ხოლო სახელი „ითაფეტ" მოდის, „იოთავანდან", იაფეტური მოდგმის თავკაცადან.

რომელი მოდგმის ხალხები უნდა ჩაითვალონ წმიდაყვანად ქრისტიანობის განვითარებაში? იოანე ზოსიმეს კონცეპციით, ეს ხალხები ქართველური და ინდოევროპული (ბერძნული) მოდგმის ხალხები, ვინაიდან სემიტურმა ხალხებმა პირველ საუკუნეშივე შეასრულეს თავიანთი როლი ქრისტიანობის აღმოცენებასა და დაფუძნებაში, მაგრამ შემდგომ საუკუნეებშ, მაინ მ:სია აღარ გაგრძელებულა ამ მიმართულებით. ქართველური მოდგმის ხალხებმა კი იტვირთეს ძირითადი როლი როგორც ეგზეტერული, ასევე ეზოტერული ქრისტიანობის, როგორც თეოლოგიის, ისე თეოსოფიის განვითარებაში. აღმოსავლეთის ეკლესიის უდიდესი ბერჯები წმ. გიორგი კაპადოკელი, წმ. ნიკოლოზ მირონ-ლუკიელი (ლიკიელი)16, კაპადოკელი მამები: ბასილი დიდი, გრიგორ ნაზიანზელი, გრიგორ ნოსელი და მრავალნი სხვანი იაფეტური, ქართველური მოდგმისანი იყვნენ.16 ხსენებული მამების ბერძნულენოვნებაც კიდევ უფრო ნათლად მეტყველებს ქართული ენის „დამდაბლება-დაწუნებაზე" იმ ეპოქაში. ქრისტიანული თეოლოგიისა და თეოსოფიის უდიდესი ბუჯი იყო პეტრე იბერი, არეოპაგიტული ტრაქტატების აკრეხი. ეს ტრაქტატები საფუძვლად დაედო როგორც აღმოსავლეთის, ისევე დასავლეთის ეკლესიების ღვთისმეტყველებას, მისტიკას, აგრეთვე ეზოტერულ ქრისტიანობას. აღსანიშნავი აგრეთვე, რომ მისიონერული მოღვაწეობაც კაპადოკიელ და ქართველ ქრისტიანებს უფრო ახასიათებთ, ვიდრე ბერძნებს.

ეზოტერული ქრისტიანობის უმთავრესი მიმდინარეობაა გრაალის ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა კელტიბერული მოდგმის ხალხებში, პირინეებში, ლანგდოკსა და პროვანსში, ხოლო აქედან გავრცელდა მთელს ევროპაში. გრაალის ძიება იგივე ოჭროს საწმისის ძიებაა, რომელსაც „კალაიკურ გრაალსაც" უწოდებენ მეცნიერებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე. ოჭროს საწმისი ანტიურ მისტერიათა კულტურის სიმბოლოა, გრაალი კი ქრისტიანული მისტერიებისა. ოჭროს საწმისის კულტურა ქართველურმა, კოლხურმა ტომებმა შექმნეს, ხოლო გრაალის კულტურა მათმა მონათესავე დასავლეთის კელტიბერიულმა ტომებმა17. შუასაუკუნეებში გრაალი დასავლეთ ევროპიდან საქართველოში იქნა ფარულად გადმოტანილი, რაც აღნიშნულია მეფეხუცეს იოანეს შესახებ ლეგენდაში, რომელსაც ჯვარისნული ქრონიკები დავით აღმაშენებელთან აიგივებენ. ქართულ, კერძოდ ფშავ-ხევსურულ ფოლკლორში აირეკლა გრაალის ინიციაციის მატიანები, წმ. გიორგის და მისი ძმადასფიცი ღვთისშვილების მიერ ქაჯავეთიდან სამძიერის წამოყვანისა და თასის წამოღების მო-

ტივში, რაც სიფუძვლად დაედო რუსთველის ვეფხისტყაოსანს, გრაალის პოემების მონათესავე ქართულ პოემას. გელათი გრაალისადმი მიძღვნილი ტაძარია, რომლის ფრესკული მოტივები ასახავენ გრაალის მისტერიებს. ყოველივე ეს სიმბოლურად! ირეკლია აგრეთვე ბაგრატიონთა სამეფო გერბზე, რომელზედაც გამოსახულია დავითის ქნარი და ზეციდელი (ესეთნი-დავითიანობის სიმბოლო), წმ. გიორგი, ქრისტეს საუფლო კვარი (შიდა სამსონ) და **წმ. გრაალის სფეროლი ბარძიმი** (ეზოტერული ქრისტიანობის სიმბოლოები).

როგორც აღინიშნა, იოანე-ზოსიმე წმ. ნინოს ქართული ქრისტიანობის სიმბოლოს, ლაზარეს დას, მარიამს ადარებს, ვინაიდან მარიამის გზაა ქრისტიანობის სულიერ-ეზოტერიზმი. ასევეა შედარებული ნინო მარიამთან „მოკ(ეცვ)ა ქართლისაო"-ში, სადაც ზაბლონ ეუბნება მას: „ხოლო შენ მარიამ მაგდალინელისა შური აღიღე ქრისტეს სიყვარულისათვის და **დათა მათ ლაზარეანთა**" (ქართული ცხოვრება, 1955 ტ. I. გვ. 76).

გარდა ამისა, ნინოსთვის ანგელოსის მიერ გადაცემულ წიგნში ერთ-ერთი მუხლი ზ. ასეთია: „რამეთუ ფრიად უყურადა მარიამ უფალსა, რამეთუ მარად ისმენდა სიტყვასა მისსა ჭეშმარიტსა" (გვ. 87). ასე რომ წმ. ნინოს შედარება მარიამთან ზოგადი ტრადიციაა ყოფილა ქართულ ეკლესიაში და მწერლობაში, ამის გამო „ეუბნას" „ახალ ნინოზა" რომელიღაც სხვა ნინოს ძიება გზაბნეულა. ბერძნული ქრისტიანობის მისსია კი, რომლის სიმბოლოც არის ჰელენე დედოფალი, ძეგლში მართალთან არის შედარებული, ვინაიდან ბერძნულმა მოდგმამ შეკმნა სახელმწიფოებრივი ქრისტიანობა, სოციალური ქრისტიანობა და ეგზოტერული ღვთისმეტყველება, შემოხვევითი როდინა აგრეთვე, რომ ქართული მოდგმა მოაქცია სწორედ იაფეტურ-მოსხურ-ზანური კავადოკიიდან[18] გამოსულმა ქალწულმა წმ. ნინომ, ხოლო წმ. გიორგი კავადოკიელი უმთავრესი წმინდანია საქართველოს ეკლესიისა, იგი არის აგრეთვე ეროვნული ღვთაება ქართველი ხალხისა, ქრისტესა და სამების ატრიბუტების მატარებელი.

ქრისტიანობის ქვეელი მისსია იმაშიც გამოვლინდა, რომ მან შეარიგა სამყაროო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ქართველური და ინდოევროპული მოდგმის ხალხები, დაამყარა მათ შორის ჰარმონია და აწ ისინი გვეელინებიან როგორც ორნი, დანი, წმ. ნინო და ჰელენე დედოფალი, ერთი იდეალისა და ერთი მიზნის მსაზღვრნი, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ასე სწამს იოანე-ზოსიმეს.

ქართული მოდგმის, ქართული ენის კეთილეულობისა და ღვთისშობლის წილხვედრილობის იდეა მარტოდენ ქართული მეცნიერების შედეგი არ გახლავთ, როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია. ამ იდეას იზიარებდნენ ბერძნული და რუსული ეკლესიებიც. როგორც ამაში შეეძლოთ დავიწმენდნენი. მაგალითად. ბასილი ფანტელეოფოსის „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში" ვხვდებით ასეთ ადგილს: როდესაც წმ. ილარიონს ქართველი და მისი თანმხლებნი ულუმბოს მონასტრის მამასახლისმა (იკონომოსმა) გაადევნა ეკვდერიდან ვითარცა არაბერძენნი, მან, მასვე ღამეს იხილა ჩვენებითი **ყოველადწმინდა ღვთისშობელი, რომელმაც უთხრა:** „რანაირეს საწყალნელო, დიდი იგი მოღუაწე ილარიონ და მისთანანი უპატიოდ გასასხენ... ჩგონებ ვითარმედ ელინთა ენაჲ მარტოდ შეწყნარებულ არს, ვითარ არა უწყი ვითარმედ ყოველთაგან ნათესავთა, რომელიცა არს მოშიში უფლისა და მოკმედი მცნებათა მისთანა, სათნო მისა არს იგი. **არა ბრალვ, როგორცნენი ნათესავიხავან მათთა სათნო ეუყუნეს ღმერთსა, ვითარ საწყალობელი უცხო ჰყავ თავი შენი. ლოცვისაგან შეგობრისა ჩემისა და კურთხევისაგან მისისა, რამეთუ რომელი ამათ არ შეიწყნარებს, იგი მტერი არს ჩემი".** ეგონებ ნათელია რომ ამ სტროფონების აკუტორს, ეროვნებით ბერძენს, წმიდა ილარიის წილხვედრილობა. უფრო ადრინდელი ძეგლი, კეიპროსის მთავრებისკოპოსის, არადის მიერ აღწერილი „ცხორებაჲ სვიმონ მესვეტისა" მოგვიფიქრობს, რომ სვიმონ მესვეტემ „განკურნებასა შინა იხილა ერი დიდაჲი ფრიად მამათა და დედათა და ყრმათაჲ და ჰკუნდა ხელთა მათთა ჯვრები და მოვიდოდეს იგანი აღმოსავლეთით მისსა და **ხელი წმიდაჲ მფარველიდა მათ,** შემდეგ ხელუწმიდამ უჩვენა მას, რომ „ესე არს ნათესავი ქართველთაჲ". მეორე დღეს მარტოლაც მოვიდნენ მასთან ქართველები ჯვრებით ხელშნ. (კ. კეკელიძე, ქართული ჰაგიოგრაფიეს ძეგლები, კიმენი, I ტფილისი, 1918, გვ. 260). ეფიუოდ ამ ხილვამ ვასაპირობა ის, რომ სვიმონ მესვეტე დაუმეგობრდა ქართველებს, ხოლო შემდგომში, საქართველოში წარძოგზავნა ათასმპლები „ასურელნ" მამა ქრისტიანობის საქადაგებლად და განსამტკიცებლად. ამრიგად ამ ძეგლში ხელუწმიდა გვეელინება საქართველოს მფარველად, სულიწმიდის მიწერით გამოცხადება კი ღვთისმშობელია, როგორც დავინახეთ. ასე რომ საქართველოს წილხვედრილობის იდეის გამოძახილს ჯერ კიდევ სვიმონ მესვეტის „ცხორებაში" ვხვდებით. (ძეგლი მეშვიდე საუკუნეს ეკუთვნის).

ახლა ვნახოთ, როგორი ტრადიცია ჰქონდა ამასთან დაკავშირებით რუსულ ეკლესიას. ცნობილია ქართველი და რუსი ბერების მეგობრობა და ურთიერთთანაშრომლობა ათონის იეროთა მონასტერში, რომელთაგან მრავალი ქართველობდნენ და ათონის მონასტერში რჩებოდნენ სამოღვაწეოდ, როგორც მაგალითად იოანე რუსყოფილი (იხ. კირიონ კათალიკოსის „ივე-

ზეციდან ბაძმასხუნდება

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართველისა ენისაჲ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში" რუნ�, ტფილისი, 1910 წ.) ცნობილი ქველსოვნებრივი დაუჯდომელი (აკადემიტი). ივერიის ღვთისმშობლისა, პორტიტისასა, რომლის ბოლო რედაქცია XVII საუკუნეს ეკუთვნის, მოგვიფიხრობს ივერიისა და წოლხედმოლილბაზე, ათონის ივერთა მონასტრის დიდებაზე, წმ. ეკვთიმეს ოქროპიორობაზე, წმ. თორნიკეს უძლეველობაზე, წმ. გაბრიელ ხატის მიმრქმელზე და **აგრეთვე ივერთა მოდგმის მომავალ დიდებაზე**, ისევე როგორც იოანე ზოსიმეს „ქებანა". დაუჯდომელის პირველსავე იკოსში ნათქვამია: „ენგელთსა წინაშემდგომელი გაეგზავნეა ღვთისმშობელს, როდესაც მას წოლად ხედა სამოციქულთა მოღაცწეობა ივერიის მიწაზე: „ნუ განეშორები ივერსალმსა, შენი **წოლხედმოლი ქვეყანა განბრწყინდება უკანასკნელ დღეებში** (ე. ი. მეორედ მოსვლის) შენ, ეს კი უნდა იღვაწო სხვა ქვეყნებში, სადაც ფარგაზანის უფფალი". შემდეგ დაუჯდომელი მოგვითხრობს: „იმეია პრომშლეონე ო ერვანი სეოგმ, ლიფდიან ივერს�sა ზემლი, უსტროოეა ესი ვ მესტე, ოდეეე სამა კ ადოფუ პრისტალა ესი, ობიტელ როდუ ინ, ვ ტიხოე პრისტანიშრე ეშრუშრიმ სასაესეე, ხოტიაი დაროვატი ეი ვ შრიტ ი ოგრადფენე იკონუ სეოოე... პროპოვედნაკა ტკოოია გაკრიალა ვოლი სეოეა, რეკოა ესი კ ნენმ ელადირიეეე: **ნე პრიიდოხ ხრანიმა ბიტი ოტ ვას, ნო და ბუდუ ა% ხრანიტელნიკა ვაშა ნე ტოკმო ვ ნასტოიაშრემ, ნო ი ვ ბუდუშრიმ ვეეეე, ხე დაიუ ვამ ზნამენინე: დონდოდეე ზრიტე ვ მინასტირე იკონუ მოუ. ნე ოსკუდეეტ ვამ ბლაგოდატ სინა მოეეგო ი მილოსტ და ვოპიიტ ესი ალილუია".**19 იკოსი 3 კონდაკი ამავე ტრადიციიდან გამომდინარე ეზმაურება აგრეთვე იოანე-ზოსიმეს XVIII საუკუნის რუსი წმინდანი სერაფიმ სარაველი, რომლის თქმითაც, მრავალი ერი აღიზრდება პირისაგან მიწისა, მაგრამ ივერია, ეითოცა ღვთისმშობლის წოლხედმოლი, იარსებებს ქვეყნის დასასრულამდე, ივერიის წოლხედმოლობის იდეა გვხვდება აგრეთვე დავთ გარეჯელის ძველ სლავურ დაუჯდომელში.

პატრიარქმა ნიკონმა (XVII ს.) ივერიის ღვთისმშობლის ხატის პირი დიდი პატივით გადმოასვენებინა რუსეთში. შეუქმნა მას სპეციალური ტაძარი, („ნოვაია ივერსკაია ობიტელ") ხოლო ამჟამად იგი დასვენებულია მოსკოვში სოკოლნიკის ადგილმამის ტაძარში და აქვს სპეციალური სადღესასწაულო დღე (12 თებერვალი). ამის გამო ივერიის ღვთისმშობლის ხატი ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდეა რუსული ეკლესიისა, **იგი უდიდეს როლს თამაშობდა ოფიციალურ კულტშიც, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ოფიციალური საკულტო ცენტრის, მოსკოვის კრემლის ერთ-ერთ უმთავრეს კარიბჭეს მის პატივსაცემად ივერიის კარიბჭე ეწოდება (ივერსკაია ვრატა).**

ახლა ენახოთ, რას ნიშნავს „ოთხმოცდაათოთხმეტი წელი ქრისტეს მოსვლითგან ვიღრე დიდ სამომდე", **რომელიც სასწაულად აქვს ეზმაურებული** ენას „უმეტეს სხვათა ენათა". იყო ცდები „ოთხმოცდაათოთხმეტის" გადამწერის შეცდომად გამოცხადებისა, მისი 104-ით შეცვლისა, რაც დამწერეული იყო იმით, რომ რატომღაც მთავლდამინე მიარნდოთ, რომ ამ რიცხვის ხსენება ნიშნავს ქართული კალენდრის მეტობას სხვა კალენდრებზე. ამ გზაბანეეკას კი იწვევედა სიტყვა „უმეტესის" არასწორი, მხოლოდ თანამედროვე მნიშვნელობით გაგება. ძველში ნათლად წერია რომ „ოთხმოცდაათოთხმეტი" სხვა ერების კალენდრებზე მეტხაკლებობას კი არ გულისხმობს, **არამედ გარკვეულ თარიღს ქრისტეს მოსვლის შემდგომ.** რაც შეეხება გამოთქმას „უმეტეს სხვათა ენათა", ამ გამოთქმაშ არ უნდა დაგვაბნიოს იმის გამო, რომ იგი წინ უსწრებს „ოთხმოცდაათოთხმეტ" წელს. „უმეტეს" ძველ ქართულში მხოლოდ მომეტებულობას, დამატებას ოდენ ნიშნავს, არამედ **უპირატესობასაც** (იხ. ი. აბულაძე ძვ. ქართული ენის ლექსიკონი). ასე რომ „უმეტეს სხვათა ენათა" ნიშნავს სიტყვასიტყვითი: „სხვა ენებზე უპირატესობით". ახლა განვიხილოთ წინადადება მთლიანობაში: „და ეს ენაა, შემკული და კეთილეული სახელითა უფლისადმა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა და სასწაულად ესე აქუს: ოთხმოცდაათოთხმეტი წელი ქრისტეს მოსლვითგან ვიღრე დღესამომდე". ე. ი. აეტრის სუბს გვაძლევს: ქართული ენის უპირატესობა სხვა ენებთან ის არის, რომ მას დღემდე სასწაულად აქვს ქრისტიანული წელთაღრიცხვის თარიღი 94 წელი. რა წელია ეს წელი? **ეს არის იოანეს ა&#0#ოკალიპსის შექმნის თარიღი, რომელიც დღევანდელი მეცნიერების მიხედვით 94-95 წლებში დაიწერა და შესაძლოა იოანეს სახარებისაც, რომელიც აგრეთვე 90-100 წლებს შორის უნდა იყოს შექმნილი.**20 შესაძლოა იოანე ზოსიმეს ფროს არსებობდა უფრო ზუსტი ცოდნა ამ თარიღის შესახებ. ამიტომაც არის ეს თარიღი უალრესად მნიშვნელოვანი ლაზარე-იოანესათვისაც და მასსადამე ქართული ენისათვისაც, რამეთუ ამ წელს აღსრულდა ეს, რაც იწინასწარმეტყველა იესო ქრისტემ ლაზარეს დაძინებისას: „სნეულებაა ესე არა არს სასიკვდინე, **არამედ დიდებისათვის ღმრთისა, რათა იდიდოს ძე ღმრთისაა მისგან".** (იოანე) 11.4). ძე ღმრთისაა იდიდა იოანეს სახარებაში და ა&#0#ოკალიპსისში ლაზარე-იოანეს მიერ, ამიტომ არის ეს წელი სასწაული მისთვისაც და ქართული ენისთვისაც. ამაშია ლაზარეს უპირატესობა სხვა მოციქულებთან, და ქართული ენის უპირატესობა სხვა ენებთან შედარებით, ვინაიდან იოანეს სახარებასა და ა&#0#ოკალიპსისში გახსნილია ლაზარე-იოანეს მისია, რომელიც იოანე-ზოსიმეს თვალსაზრისით ულრესად არის დაკავშირებული ქართული მოდგმის ქართული ენის მისსიასთან, გარდა ამისა

თავად „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ სხვა არაფერია თუ არა და ეგზეგეზა იოანეს სახარებისა და ამოკალიპსისისა.

ამის გამო ბუნებრივია, რომ ავტორი ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თარგს. იოანეს სახარებას და ამოკალიპსისსა ეგავუთად გამოაცხადა, ხოლო იოანე ზოსიმემ განმარტა, რომ ქართული მოდგმა, ქართული ენა, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, ლაზარე ერთა და ენათა შორის, ოთხის დღის (4 ათასი წლის) მკვდარი, დაცდადებული და დაწუნებული, რომელმაც უნდა აღასრულოს ქრისტესათვის არნახული მოწამობა, მოამზადოს და აღდგება, დაიბრუნებს უნივერსალურ პოზიციას კაცობრიობის სულიერი მოძღვრისას, ხოლო ქრისტეს მეორედ მოსვლისას გახდება მამხილებელი (მსაჯული) ცოდვილი კაცობრიობისა, რითაც აღასრულებს ქრისტეს-მიქაელის და სულიწმინდა-გაბრიელის მისსია, რასაც სიმბოლურად ასახავს დავთის VI ს. სტელლებზე გამოსახული მიქაელისა და გაბრიელის მიერ ქართული ანბანის ამაღლება-განდიდება.

შენიშვნები

1. რომ ყოფილიყო „ამჰილოს სიბრძნეჲ“ ან „ამჰილოს სჯული ეუმშარიტი“ (ე. ი. ობიექტიური), მაშინ კიდევ შეიძლებოდა ამგვარი ინტერპრეტაციის გაზიარება.

2. იხ. ა. ვან დერ ბორნი, ბიბლიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ნაწ-ორაკი, 1963 (ინგ. ენაზე), ჲგრეთვე R. Steiner, — სახარება იოანესი, ლ. 4. დორნახი, 1955 წ. (გერმ. ენაზე).

3. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში წმ. ნინო შედარებულია ლაზარეს დებთან და მარიამ მაგდალინელთან (ქ. ც. ტ. I, გვ. 76, 86, 87), რაც როგორც ჩანს, მიღებული იყო სეკელსიო ტრადიციაში, ასე რომ „ახალ ნინოში“ სხვა ნინოს ძიება გზაბმულია.

4. ე. ჭელიძე, ენოსტიკური ხასიათის ძეგლი, „ჩნათობი“, 1983, № 12.

5. იხ. „ოთხისმშობლის ქება,“ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი (ფონდი A. ხელნაწერი № 40), სადაც ფტორი ასახელებს წყაროებად „დაფარული წერილებსა“ ე. ი. ეზოტერულ წყაროებს.

6. იხ. ე. ბოკი, რ. გოეგელი, კატაკომბები, შტუტგარტი, 1961 (გერმ. ენაზე).

7. შდ. ე. ბოკი, იესოს ბაგშვობა და ყრმობა, შტუტგარტი, 1939 წ. გ. 155 (გერმ. ენაზე), ჲგრეთვე: ა. დრეგსი, ქრისტესეული მითი, 1911, გ. 136 (ინგ. ენაზე).

8. გ. ალბამიშვილი, ზ. ალეკსიძე, „ალმოჩენა არაგვის ხეობაში“ (კომუნისტი, 1985 წ. 19 მაისი).

9. R. Steiner, — სახარება მათესი, ლ. 10, დორნახი, 1959 (გერმ. ენაზე).

10. მისივე — ქრისტეს გამოცხადება ეთერულ სამყაროში დორნახი, 1937 წ. (გერმ. ენაზე).

11. შდ. მ. ჩახავა, — ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ, „პარალელი“, 1984 წ.

12. არსებობს უფრო ადრინდელი, პელაზგური ქტონური ზეკეს, რომლის კულტიც მუხასთან იყო დაკავშირებული (დოდონა).

13. შდ. ვ. ჰუმბოლდტი, გამოკვლევანი ესპანეთის უძველესი მოსახლეობის შესახებ მასკური ენის მეშვეობით, ბერლინი, 1821 წ. (გერმ. ენაზე).

14. ნ. მარრი, იაფეტური თეორიის განვითარების ეტაპები, ლენინგრადი, 1933 (რუს. ენაზე), აგრეთვე: ენის ისტორიის ძირითადი საკითხები, ლენინგრადი, 1937 წ. (რუს. ენაზე). აგრეთვე: ქართული ენა, ლექციათა წაკითხული პარიზში 1927 წ. (კრებული „ენა და ისტორია“ ლენინგრადი, 1936 წ. რუს. ენაზე).

15. სუმერული და ქართული ენების ნათესაობის შესახებ, სუმერულ-ქართული შედარებითი ფილოლოგიის ფუძემდებელი, პროფ. მ. წერეთელი ადნიშნავს შემდეგს: „განსხვავება სუმერულსა და ქართულს შორის, რასაკვირველია დიდია, მაგრამ არა იმდენი და არც იმ თვისებისა, რომ იგი მათ შორის გენეტიკურ ნათესაობას შეუძლებელ ჰყოფდეს. ეს ახსნება იმით, რომ სუმერული და ქართული უხსოვარი დროიდან გამოჰყოფიან უძველეს მათ წინაპარ ენას, განუვლიათ დრონი განვითარებისაც და დაკეკმისაც და ათასწლეულთა განმავლობაში ამგვარად შეცვლილან... ქართული ჯგუფის და „სუმერული“ ჯგუფის ენებზედ (ეს სახელი ვეუწოდოთ მათ უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო) მეტყველი ტომები ცხოვრობდნენ ალბათ კავკასიის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ადგილებში, შეიძლება თვით კავკასიაშიც, უფრო დღევანდელ სამხრეთ და დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს მხარეებში და რომელიმე ამ ადგილთაგან ალბათ სუმერთა შტო წამოსულა სამხრეთისაკენ და დასახლებულა სამხრეთ ბაბილონეთში“ (იხ. მ. წერეთელი, ქართული ენის ნათესაობის საკითხისათვის“, „ბედი ქართველისა“, 1948 1-2). სუმერულის და ქართულის ნათესაობის იდეას იზიარებდნენ ლენორმანი, სეილი, კრამპრეი, ოიზეფ კარატი და სხვანი.

16. ლიკიელები, გადმოცემით, ფინიკიიდან გატაცებული ასულნი, ევროპეს ძის, სარპედონის შთამომავალნი იყვნენ, რომელიც იყო ძმა მინოსისა, ლიკიურ ენაში მინოსურ-ეგეოსური კომპონენტები შერწყმულია ლუვიერთან, ლიკიური ქალაქის, **პატარას** სახელწოდებაც დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებულია ხურიტულ-ურარტულთან, ხურიტები კი, როგორც ცნობილია, მინოსელთა მონათესავენი იყვნენ (იხ. რ. გორდეზიანი, ილიადა და ეგოისური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზისის პრობლემები, თბილისი, 1970). ასე რომ ლიკიელები პალეო-კავკასიური, პროტო-ქართული წარმოშობისანი არიან.

17. ო. რანი, ჯვაროსნული ლაშქრობა გრაალის წინააღმდეგ, შტუტგარტი, 1964, გვ. 73-74 (გერმნ. ენაზე).

18. სომეხი მეცნიერი მ. კაპანციანი თავის გამოკვლევაში „ჰაიასა ანუ სომეხთა აკვანი" (1948 წ.) სრული ობიექტურობით აღნიშნავს: „მოსხური ტომების ძირითადი სამკვიდრებელი იყო კაპადოკია, რომლის დედაქალაქსაც ბერძნები უწოდებდნენ მაზაკას... აუცილებელია მოსხთა მიკუთვნება ქართული და არა ფრიგიული ეთნიური კოლექტივებისადმი" (გვ. 148).

19 თარგმანი: „არა ჯერ არს თქვენ მიერ დაცვა ჩემი, არამედ მე თვით ვიქნები მფარველი და მცველი თქვენი, აწ და მერმესა მას საუკუნესა. აჰა, ესერა გაძლევთ ნიშსა: ვიდრემდის სტვრეტდეთ ხატს ჩემსას თქვენს სავანეში, არ დაიშრეტება თქვენდა მიმართ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა, რათა ყოველნი ჰხმობდნენ: ალილუია."

20. იხ. ახალი აღთქმა კომენტარებითურთ, ბრიუსელი, 1964 წ. გვ. 545.

სიკვდილისა სიცოცხლითა დამთრგუნველი

ფერილი მეორე

„ვეფხისტყაოსნის“ დასასრული ბედნიერი დასასრულია. ამგვარი ფინალი ბუნებრივია შეუსაბამებელების ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი მოთხოვნილებების ფონზე. უკვე მრავალჯერ აღინიშნა, რომ ქრისტიანული (და არა მარტო ქრისტიანული) რწმენით, რომელიც განსაზღვრავდა ამ მოთხოვნილებებს, ცოდვათა ტვირთების ტანჯვით აღსავსე გზა არის ჯეშმარიტი ბედნიერების კარიბჭე.

მაგრამ, დ ეს უეჭველია, „ვეფხისტყაოსნის“ ფინალი არ აღიქმება, როგორც ბანალური ბეპი-ენები, იმდენად ლოგიკურად და ბუნებრივად ჩანს იგი პოემის მთლიანი პოეტური სამყაროს წიაღში; გარდა ამისა, შემოქმედებითი პროცესის ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო და ყოველთვის იქნება მხატვრული განვითარების ინდივიდუალური გზების არსებობა (რაც, ეფიქრობთ, „ვეფხისტყაოსნიდანაც“ ნათლად ჩანს), როცა არჩევანი ყოველთვის თვით შემოქმედის ნებაზეა დამოკიდებული. „ვეფხისტყაოსნის“ ფინალიც სწორედ პირფიფული პოეტური მრწამსის გამოხატულებაა და არა მხოლოდ არსებული ტრადიციის უბრალო გაბმერება.

„ვეფხისტყაოსანი“ არაერთგვაროვანი პოეტური ინტერპრეტაციით შესრულებული ნაწარმოებია. ტრაგიკული მოტივის განვითარება პოემაში არანაკლები სისრულითაა ასახული ნაწარმოებნი; და ამიტომ ის გზა, რომელსაც „ვეფხისტყაოსანს“ მკითხველი ბედნიერი ფინალისაკენ მიჰყავს, სულაც არ ჰგავს გზას, სადაც არ არის არც ერთი შეუოფნება, არც ერთი გზაჯვარედინი.

„ვეფხისტყაოსანს“ ის ეპიზოდი, როდესაც არაბეთიდან მობრუნებული ავთანდილი პოეტობს ტარიელს, ეფიქრობთ, სწორედ ასეთი გზაჯვარედინია.

მაგრამ, ვიდრე ამ დებულების დასაბუთებას შეეუდგებოდეთ, აუცილებელია მცირე მიმიხილვა საეკლესიო-ქრისტიანულ აზროვნების ერთი მნიშვნელოვანი მოშენტიტა.

საეოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. შუა საუკუნეების ქრისტიანისათვის ბიბლიაში იყო გაცხადებული ადამიანის არსებობა დასაბამიდან, ვიდრე უკანასკნელ დღეებამდე.

ადამ და ევას ამბავი შესაქმედან და ქრისტეს მოვლინება არის ორი უმნიშვნელოვანესი ეტაპი კაცობრიობის ბიბლიური ისტორიისა, რომელთა ნიშნის ქვეშაც წარმოიდგინებოდა მისი განვითარება. მათ შორის არსებული ღრმა და, ამასთანავე, უწესეტი კავშირი განაპირობებდა როგორც ამქვეყნად ადამიანის დანიშნულების გაგზრებას, ისე ქრისტიანულ ესკატოლოგიასაც, რომელიც ადრეულ ხანებში მეტწილად ალეგორიულო ხასიათს ატარებდა.

აღთქმული დღის მოლოდინთან ერთად მომდევნო საუკუნეები აღბეჭდილია სულის ხსნის ინდივიდუალური გზების ძიებით, რაც, საბოლოოდ, ქრისტიანული ასკეტიზმის სხვადასხვა ფორმებში გამოვლინდა. ამ ძიებამ თავისი ლიტერატურა მოიტანა — როგორც წმინდა თეოლოგიური, ისე მხატვრული ხასიათისა...

ნებისმიერ ავორგაფიულ ძეგლში გვხვდება გმირის სიკვდილის ამსახველი სცენები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ტრაგედია. ავორგრაფი ავტორი ვერ ხედავს, ან უფრო სწორედ, არ სურს, დაინახოს ადამიანის ალსახრულის ტრაგიკული არსი, ყოველ შემთხვევაში, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მიზანი არ მოიცავს ამგვარი განცდის ლიტერატურული ფიქსაციის აუცილებლობას (სხვა საქმეა, თუ ამ ეპარის რომელიმე ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის სიკვდილთან დაკავშირებულ ეპიზოდებში ტრაგიკული განცდა გამოვონავს ხოლმე, ეს უფრო ავტორის ნიჭის თავისებურებაა და არა საერთო კანონის გამოძახილი).

ქრისტეს და მისი მოციქულების მაგალითით შთაგონებული გმირისათვის სიკვდილი ბედნიერების კარია, ღვთაებრივ ნათელთან მიახლოების ნინადღეა. ესკატოლოგიური წარმოდგენით, მისი სული ზეციურ სასუფეველში აგრძელებს არსებობას, მარადიულ, ღვთაებრივ ბედნიერებასთან ზიარებული.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებშიც განვითარებულია მოძღვრება „თეოზისის“ შესახებ, რომელიც ეკლესიის წიაღში მლოცველის ღვთაებრივი საყვარელით შთაგონებული მისტიკური ტრანსის შედეგად მიიღწევა. სამთლოო მიზანი (ან შედეგი) არეოპაგიული ნათელნილნი: და ადეოგრაფიული ვგრინის ასკეტურ მოწამეობრივი მისწრაფებისა ტოლფასია.

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ თეოზისი არის ის უნივერსალური იდეა, სადაც თავს იყრის ეშმაკური ბედნიერების მოპოვების ყველა გზა შუა საუკუნების საეკლესიო-ქრისტიანულ ეზოთნებაში...

ეს. ‘ეგზერციალი ერთგან შენიშნავს: „მათი (რუსთაველის გმირებისა — ს. ც.) მიზანი — ამ სოფლიური ბედნიერებისადმი, კერძოდ ცოლ-ქმრობისადმი ლტოლვაა, ასეთ ლტოლვაში შეუძლებელია ე. წ. „გაღმრთობა“ (დეიფიკაციო, თეოზისი) დაენახოთ“. ჩვენ ეს ეს დებულება „უეჭველად ზუსტია და გამოხატავს „ვეფხისტყაოსნის“ საერთო პოეტურ კონცეფციას.

მაგრამ, ამასთანავე, ისიც ფაქტია, რომ რუსთაველი იცნობს, და შეუძლებელია არ იცნობდეს, „თეოზისს“ შუასაუკუნეობრივ იდეას, მაგალითად, პროლოგში ნახსენები „ბაძვის“ ინტელექტიური შინაარსი ან ღვთაებრივი მიჯნურობისა და ნათლის ტროპიკის ზოგიერთი ასპექტი „გაღმრთობას“ გულისხმობს. მაგრამ მთავარი ის არის, თუ როგორ მონაწილეობს აღნიშნული იდეა და, საერთოდ, მონაწილეობს თუ არა იგი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებაში.

ახლა, ამ მცირე მიმოხილვის შემდგომ მიკუბარუნდეთ ზემოთ ხსენებულ ეპიზოდს „ვეფხისტყაოსნიდან“.

გავიხსენოთ რამდენიმე სტროფი:

881 „მან უთხრა: „ძმაო, რა გითხრა,
ძრაცაა არ ძალ-მიც ენისა,
ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა
სიტყვათა სმენისა,
რა ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა
სასყელთა თმენისა!
აწ მივსწურვივარ, სულგდილსა, დრო
მომეახლა ლხენისა.

882 ამას მოკედავი ვილოცავ, ოროდეს ვითხოვ,
არ, ენით,
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა
შევიყარენით,
მუნ ერთმანერთნი კვლა ვნახნეთ, კვლა
რამე გავიხარენით,
მო, მოყვარეთა, დამმარხეთ, მიწანი
მომიყარენით!

883 საყვარელმან საყვარელი ვით ატირებდეს
ვით ეგლოვებოდეს
მისკენ მიეალ მხიარული, მერმე მასცა ჩემ
ეკრძ იროს,
მივეგებვი, მომეგებოს; ატირდეს და
ამატიროს
ჰკითხე ასთა, ჰქმეს გულისა, რა გინდ რა
ვინ გივაზრიოს!

884 მართ გადაწყვეტდით იცოდი, გეტყვ
მართალსა პირასა:
სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსაა
დავპყოფ მკირასა,
არ ცოცხალ ვიყო, რას მაქმნეგ? რა დავრჩე,
ხელსა მხდი რასაზ
დამშლიან ჩემნი კაეშრნნი, შევეპრთვივარ
სულთა სირასა.

ეს სიტყვები, როგორც მოგეხსენებათ, ტარიელს ეკუთვნის.

ერთი შეხედვით ადვილი ამოსაცნობია მისი ხუთვილი — ტარიელი ცდილობს როგორმე დააჯეროს ავთანდილი, რომ შეკმნილ სიტუაციაში სიკვდილი მისთვის შვებაა, ერთადერთი გზაა ბედნიერების მოხაპილებლად; და ეს სურვილი ბუნებრივია — ის, ვინც ატვირთვალი (ანუ ცოდვა), ვინც ბიდონი ტანჯვა, ღირსია იმ ქვეყნად მარადიულ ნეტარებას ეზიაროს.

ამ კონკრეტულ მომენტში ტარიელის მეტყველება, მისი ლექსიკა ძალიან ჰგავს აგიოგრაფიული გმირის ჩვეულ ფრაზეოლოგიას, ამაში ადვილად დაკრწმენდებით თუკი მოვიმომობთ ანალოგიას, ვთქვათ „შუშანიკის წამებიდან“ — როდესაც იაკობი ცდილობს, შეუმსუბუქოს დედოფალს ტანჯვა, შუშანიკი მას მიმართავს: „ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამე ესე“

ანდა ერთი ადგილი „ეზოს წამებიდან“: ხოლო წმინდანმან ჰაბო ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხარიდეს, რამეთუ მე უფლისა ჩემისა ვიყავ“.

შეავადართ ახლა ამ მოტანილ ნაწყვეტებს ტარიელის სიტყვები: აწ მივსწურვივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა“, „დამშლიან ჩემნი კაეშრნი შეეპრთვივარ სულთა სირასა“ ვფიქრობ, მსგავსება ამ შემთხვევაში სრულიად აშკარაა.

ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც — ტარიელის მიერ წარმოდგენილი ეხსატოლოგიური სურათი საკუთარი სულის მარადიული არსებობისა, კერძოდ კი, მისი ფ ნეხტანის შეხვედრა ხამოთბეში, როგორც ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, გამოძახილია საეკლესიო-ქრისტიანულ ეზოთნებაში გავლილებული შეხედულებისა.

ამ შეხედულების თანახმად, ადამიანის სუ-

ლი ზეშთასოფელში თითქოს აგრძელებს თავის აქმეკეფინიერ არსებობას ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრანსცენდენტურ სამყაროში ინარჩუნებს საკუთარ ღირსება-ნაკლოვანებებს, მისწრაფებებს, ოღონდ სხვა ღვთიებივე, მარადიულ ხარისხში გარდაქმნილს.

სხვათა შორის, სწორედ ამ შუასაუკუნოებრივ რწმენაზე დაყრდნობით შეიძლება აიხსნას ის უცნაური დამთხვევა, რომელიც არსებობს რუსთველის გმირების ალნიშნულ ეს‍ქატოლოგიურ წარმოდგენებსა და დანტის მისტიკურ ხილვებს შორის.

მოვიგონოთ: როდესაც ბეატრიჩე და დანტე ზეციურ სფეროებში შეხვდებიან, მათი სულები კვლავ აღსდგა ერთმანეთისადმი ძველებური სიყვარულით (რაზეც მიანშეზებს პირველი შეხვედრის სცენა მიწიერ სამოსიდან), ოღონდ ეს სიყვარული უკვე ღვთაებრივ ტრფიალებამდე ამაღლებულა. აქვე უნდა შეენიშნოთ ისიც, რომ, მაგალითად, ე. ჰუერბანი დანტის მხატვრული მეთოდის ერთ-ერთ ბურჯად მიიჩნევს სწორედ ზემოთ ნახსენებ მსოფლმხედველობრივ მოშენებებს.

ჩვენს მიერ ციტირებული სიტყვები ტარიელსა და ავრეთვე ის წარმოდგენა ნაიკონ ცხოვრებაზე, რომელსაც ეს სიტყვები გამოხატავენ, არის არა რაღაც შემთხვევითი, ლიტონად ნათქვამი ფრაზები, არამედ მისი, როგორც ლიტერატურული გმირის ხასიათის ერთი ძირითადი მხარე, რის დასტურიც, უპირველეს ყოვლისა, თვით განსახილველი ეპიზოდის (განსაკუთრებული ხმხატვრული მნიშვნელობაა, ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი ფიქრები ახლოებელია პოემის სხვა გმირებისთვისაც, კერძოდ კი, ნუსტანისა და ავთანდილისათვის.

ვლ. ნორაკიძე ერთგვარ შენიშნავს: „სიკვდილის წუთს იგი (ტარიელი, — ს. ც.) განიცდის როგორც შერთვას მაღალ ბარმოხილასთან, „მზეთთან“ და ამიტომ აღტაცებულია უზენაესი სიხარულით... მაგრამ უმაღლესი სიხარულისაკენ, უმაღლესი თავისუფლებისაკენ ლტოლვის პოტენციალი აღმურვილი, აღმოსავლეთის ფილოსოფიაში შემორკალული ქართველი ერი ცისათვის ვერ დასთმობდა ამაღლებულ ადამიანს, საკუთარ მაღალ სწრაფვათა განხორციელებას იგი ვერ გადაანარცხდა ზეციურ ნიმშიდეს, რადგან მას სურდა ამაღლებული ადამიანის იდეა ხორცშესხმულად მიწაზე ენახა. მას სპირდებოდა აქტიური მოქმედი, დიადი საქმეების ჩამდენი სრულყოფილი ადამიანი“.

ამ საკმაოდ ვრცელი ამონაწერის მოტანა თვით დასმული საკითხის მნიშვნელობამ გაანაირობა, და ამთავითვე უნდა შევნიშნო, რომ გარკვეული ნაწილი დამოწმებული დებულებისა რეალური ვითარების ანარეკლია, მაგრამ ტარიელის სულიერი განცდები აქ „მეორეულ“ ინ ერთგვარად სწორხაზოვნად არის ფანტასტიკაში მოდგენილი. ტარიელის მდგომარეობა რომ უაღრესად ტრაგიკულია, ამას წარმოდგენილი ეპიზოდის საეკსპოზიციო ნაწილიც მოწმობს. სურათს, როდესაც ავთანდილი დაინახავს მაკლული ლომ-ვეფხვის შორიახლოს დავარდნილ გულწასული ტარიელს, ვფიქრობთ, ორმაგი მხატვრული ფუნქცია აკისრია. კონკრეტული ვითარების გადმოცემასთან ერთად, იგი მკითხველს შესაბამის განწყობილებასაც უქმნის. მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესოა, რომ არა მხოლოდ ავტორისეულ ტექსტში, არამედ თვით ტარიელისავე ალსარებაში მკაფიოდ ისმის ტრაგიკული განცდების ზღვერდ ვარება; და თუ ეს ახეა, ეელარც იმას ვიტყვით, რომ მისი სული მხოლოდ „უზენაესი სნაირფილოსაა ალტაცებული“.

დავაკვირდეთ, თუ როგორ პოეტურ ინტერპრეტაციაზეა გამარჯვული მოშმობილი ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“. მაგრამ, რომ ტარიელის სიტყვები ამ მხრივ სრულებით არ ეხმიანება ალეგორიფიული ძეგლებიდან ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ადგილების მართლაც საზეიმო-პათეტიკურ ელერადობას, ეჭირის (ამ შემთხვევაში ტარიელის) მეტყველების კონფიგურაციი ხასიათი კი თითქოს სწორედ ამგვარ ელერადობას უნდა გულისხმობდეს.

მთავარი ის გახლავთ, რომ ნინამდელობა ტარიელი სულაც არ მოელის თავის ალსარებულის მოახლოებას, როგორც ცხოვრების უბედნიერეს, ყველაზე სასიხარული წუთს.

მოგიგონოთ—ტარიელი საბოლოოდ მაინც დაბუდება ავთანდილის თხოვნას და ცხენზე შეჯდება. ყველას გვახსოვს, რაც მოჰყვება ამ მოქმედებას: „მოიშორა ალეშანი, დაუმბიავე შეიერთა“. აქედან იწყება ტარიელის სულიერი განახლება, საეკლესიო მწერლობის ესთეტიკის პოზიციებიდან კი ტარიელის ალორძინება სრულიად სხვაგვარ შეფასებას დაიმსახურებდა. დ. რასაკვირველია, აქ ცხადზე ცხადია ავთანდილის უდიდესი წვლილი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თვით ტარიელის სულიერ სამყაროშია საიცოცხლის, სიყვარულის გრძნობა ჩაუქრობელი.

საიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულია ტარიელის ის თვისება, რომელიც, მიუხედავად მტკიცედ ფესვგადგმული რელიგიური რწმენისა, ბადებს მოახლოებული სიკვდილის მეანჯღვილ მოლოდინს. მითითებულის გარდა განსახილველ ეპიზოდში ვხედავთ კიდევ რამდენიმე მინიშნებას ამის შესახებ:

873. „უთხრა: „ძმაო, არ გიტყუევე, გიყავ რაცა შემოგფიცე.
განაბ სულთა გაუყურელმან, ფიცი ასრე
ეროვნული ბიბლიოთეკა

აწ, დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტირო და
თავსა ვიღე,
მაგრა გვედრდე დამარხვასა, მხეცთა
საჭმლად არ მივიცე“.

ნარმოდგენილი სტროფში ორი დეტალი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ტარიელის ფრაზები — „აწ, დამეხსენ“ და „მაგრა...“ გვიდრეკენ. ერთგვარად ორკოფულად ყელის და მოკლებულია ერთმნიშვნელოვან კატეგორიულობას. ერთის მხრივ, იგი გამოხატავს მარტო ტარიელის სურვილს. მეორეს მხრივ კი, ტარიელს შინაგანად მაინც აქვს ავთანდილის იმედი, იმედი (და სურვილიც) იმისა, რომ სწორედ ძმადნაფიცის დამხმარებით იგი თავს დაადწევს უმძიმეს კრიზისს.

მომდევნო ტაეპი, რომელიც უშუალო შინაარსობრივ კავშირშია წინამორბედთან, კიდევ უფრო ნარმოაჩენს ტარიელის სულიერ განცდების ტრაგიკულ აქცენტებს. სიმარტოვეში, დაუმარხველად სიკვდილის შიში, რომელიც „ვეფხისტყაოსანის“ ამ ფრაზაშია გაცხადებული, რაღაც უცნაური, მოულოდნელი და, ამავე დროს, ბუნებრივი ხილვაა და იგი ტარიელის მტანჯველი მოლოდინის უაღრესად მეტყველი პოეტური სინონიმია. სხვათა შორის, ამგვარი ხილვა კიდევ რამდენჯერმე გვხვდება პოემის ფურცლებზე და იგი ყოველთვის ბადებს ადამიანის აღსარსულთან დაკავშირებულ მწუხარე თანგრძნობებს.

საერთოდ ნუსუალური პოეტური მსოფლაღქმისათვის ძალზე დამახასიათებელია სიკვდილის არარაფულებრივად ტრაგიკული შეგრძნება და იგი მეფმიფმოქმედი ემოციური ფონია პოემის მხატვრულ სამყაროში.

ძალზე ნიშანდობლივია ის გარემობა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რამდენჯერმე ისეთ მომენტებში გამოჩენილა ბოლმე ამგვარი ემოციური შინაარსის მატარებელი ფრაზები, როდესაც თითქოს არ არსებობს არავითარი აუცილებლობა. მაგალითისათვის მოვიხმობ ხვარაზმშაჰის ძის და ჭაშნაგირის მკვლელობის სცენებს:

557. „ასსა ეუბრძანე მონასა: „სოფრად
დაემზადენით!“
შეესხედით, გაეკლეთ ქალაქი, არავის
გავიცხადენით.
ეარაფსა შევე, სასიძო ვითა წეა,
ზარ-მაც თქმად ენით,
უსიხლოდ მოეკალ იგი ყმა, ოუკა ხმალ
სისხლისა დენით“.

558. „კარეკის კალთა ბაზდოლული, ჩაკვერ,
ჩაეკარებაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა
შეეუტაკე,
წინა მწოლთა დაიბახეს, გლოვა მიანდეს
ეხენსა შეეჯე, წამო-ცა-ეე, ჯაკეი მეცა
საკურტაკე“.

ერთი შეხედვით, ამ სიტყვებში თითქოს არავეერია იმისთ, რაც შეიძლება მომხდარი ფაქტის ტრაგიკული აუცილებლობა გვაგრძნობინოს, მაგრამ, თუკი დაუკვირდებით ტარიელის მიერ კონტექსტის თვალსაზრისით, თითქოს შემოხვევით ნათქვამ ფრაზას „კარეკი შევე, სასიძო ვითა წეა, ზარ-მაც თქმად ენით“ (ე. ი. გახსენებაც კი მაზრავსო), ცხადი გახდება ღრმად ემოციური ქვეტექსტი ამ ეპიზოდისა.

ჭაშნაგირის, ისევე როგორც ხვარაზმშაჰის ძის, სიკვდილი გარდუვალია. ისიც უნებლიე მსხვეპლია ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიაში (სხვათა შორის, ჩვენ უმარეგებულოდ მიგვაჩნია ზოგიერთი მკვლევარის ცდა გამონახოს ჭაშნაგირის მკვლელობის რაიმე სოციალური იერიდიული, ეთიკური ან რაინდული კოდექსიდან გამომდინარე სავფეძველი), აქაც თხრობის სიერთი მდინარეობაში ნაკლები ყურადღება ეთმობა სახიკვდილოდ განწირულ ჭაშნაგირს:

1115. „იგი ყმა საწოლს მარტო წეა გულითა
ჯავრიანითა;
ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანით
ჯანითა;
ვერრა ავსწრა, იდუმალ მოკლა, თუ ვერცა
ეცანითა,
ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა
დანითა.

მტკვრეტელთა მზე და მგბრძოლთა მზეკი
და ვითა ზარია,
ბეჭდიოერთ ო

მოჰკვეთა, ქვესკნელთ
მიწასა გარეა.
ზღვათაკე სარკმელთან გატყორცნა,
ზღვისა ქვიშათა დარეა,
მისთვის არცა სადა სამარე, არცა სათხრად
ბარეა“.

მაგრამ ისევ ის შემაძრწუნებლად შთამბეჭდავი ხილვა უსაფუძვლო მკვდრისა, მაინც ტოვებს ადგილს, თუმცა კი წუთიერი, მაგრამ მწუხარე თანგრძნობისათვის.

შეხადლია მკითხველს შეეკმნის შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მხკერძობისას ეროვნულ წინაღმდეგობაში მოვეკეცით. მართლაც, თუკი ტარიელისათვის სიკვდილი შეება, თუკი იგი ხაფანგი ბედნიერების მოლოდინში, მაშინ როგორთა ეს მოლოდინი მწუხარე განცდებით ალსავსე? ჩვეულებრივი ლოგიკის თვალსაზრისით, ნამდვილად შეუხაბამობა. მაგრამ, როგორც

ცნობილია, მხატვრული ლოგიკა თავისი, ზოგჯერ უცნაური კანონებით არსებობს. ტარიელის სულიერი მღელვარების ლირიკული სუბრთი არაერთმნიშვნელოვანია, იგი მძაფრი წინააღმდეგობებით არის აღსავსე და სწორედ ამ წინააღმდეგობებიდ უნდა ვეძიოთ ნარმოდგენილი ეპიზოდის მხატვრული ძალის საიდუმლო.

ტარიელის შინაგან სამყაროში სიკვდილ-სიცოცხლე ებრძვის ერმანოზეს, პირველი შთაბეჭდილება (ალქმის პროცესში) ისეთია, თითქოს ტარიელისთვის ნამდვილად შვების მომნიკეზელია სიკვდილის მოახლეა, რადგან მან პირნათლად მოიხადა ვალი, ამას უკარნახებს რწმენა, რომელის თანახმადაც ცოდვის გამოსაუღელის იდეით შთაგონებული სიცოცხლის შემდგომ საიქიო ბედნიერებაა, ღვთაებრივი ნაფილია. ამგვარია „ვეფხისტყაოსნის" მთავარი გმირის სულიერი ლტოლვის ერთი მიმართულება.

მაგრამ, ამავე დროს, საერო ეპიციური ინტერესიც და ღრმა ტრაგიზმით აღბეჭდილი ქეკეტაქტები საცნაურს ხდის, რომ ტარიელისთვის სიცოცხლის დათმობა მძიმე დამარცხების ტოლფასია, ტარიელი თვითონვე ბოლომდე ვერ გარკვეული თავის მისწრაფებებში. ამ მოგონები იგი უკვე ბედისწერის კი არა, თავის თავს ებრძვის და ეს ბრძოლა უმაღლეს დამბულობამდეა ასული. ტარიელის სულიერი კრიზისი განსაკუთრებული ძალით ნათელყოფს, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად „ვეფხისტყაოსნის" გმირებს არა მხოლოდ სტრატეგიული დაბრკოლებების დაძლევა უზდებოთ, არამედ შინაგანი, საკუთარ სულშივე გაჩენილი წინააღმდეგობებისა, და ჩვენც სწორედ ამგტომ ვუწოდებთ ავთანდილისა და ტარიელის მეორედ შეერთას ამბავს მათი თავგადასავლის გაჯვარედინი, ვინაიდან არავინ უწყის, რით დასრულდება ტარიელის ენებანი, რა გადასწონის ხასწორის პინას — სიკვდილი თუ სიცოცხლე...

ის, რომ ტარიელი ხასოლოოდ მაინც მოსაუოვებს და შეჯდება კიდეც თავის ცხენზე — უკვე მის პიროვნებაში სიკვდილზე სიცოცხლის, თუმცა, შესაძლოა, ჯერ ძალზე მცირე, მაგრამ მაინც გამარჯვებაა. „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ჩანაფიქრი ამ გზით ვითარდება. აქვეკეენად მოპოვებული ბედნიერებისადმი ჩაუქრობელი ლტოლვა არის ის თვისება სულისა, რომელიც ასრულებს ტარიელის (და ავრეთვე სხვა თითაარი გმირების) ლიტერატურულ პორტრეტს.

* * *

ავთანდილის როლს „ვეფხისტყაოსნის" პოეტურ სამყაროში განსაზღვრავს მუდმივი, განუწყვეტელი ქმედება. მისი პიროვნების არსებობის ფორმა ავთანდილისავე სიტყვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიძლია დავახასიათოთ.

786. „მე იგი ვარ, ვინც სიყვარულ არ
ამოვკარკეფ ლიტერად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვარისათვის თამამად და
მიჩანს მღერად".

ავთანდილი თავისი ცხოვრების სხვათათვის ხილული, მიხაწვდომი მხრიდან ითარქმის ანარსოდეს არ არღვევს ამ ფორმას. სულ რამოდენიმეჯერ, ისიც განსაკუთრებულ ვითარებაში. ხდებიან სხვა მოკმედი პირები მისი რთული და მღელვარე განცდების თანაზიარნი.

ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი; ასეთია, კერძოდ, არაბეთში მოხრეტებული ავთანდილისა და თინათინის შეხვედრა (გავიხსენოთ ავთანდილის სიტყვები „...მალვა მწადს, ნაგრა გარდახდა ეკმი პატიეთა ხარ-ლი"). .

განსაკუთრებით მაღალი მხატვრული ძალით არის წარმოჩენილი ავთანდილის სულიერი ხამყარო მისსავე ანდერძში, მაგრამ, ვიდრე შეკუდგებოდეთ ავთანდილის ანდერძის განხილვას, მინდა მკითხველს შევახსენო, თუ სიუჟეტების განვითარების რა მონაკვეთშია იგი ჩართული, რადგან მგონია, რომ კომპოზიციური მოტივნის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ჩაეწვდეთ ავთანდილის ლხარების არანკეუნებრივ სიღრმეს და ლირიზმს.

ზემოთ ერთხელ ალვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ ავთანდილის ცხოვრებაში დადგა გადამწყვეტი ეაპი, როცა იგი სიკვდილ ფიეცცლ ბიჭსა ბიოსხლოდ („ცრო სიცოცხლეა ჩემის, ფლისა ჩანს ნასამალი"). ამ ბიჭნაკეენ ნაბიჭის გადადგმა მეტად ძნელი გადასაწყვეტი იეო. სანნელის რამდენიმე რეალური მიზეზი განაპირობებდა — ერთმანეთთან განშორების განუსაზღვრელი ვადა, როსტევანის, მისი პატრონისა და გამზრდელის ნების უადგილებელოეაყოფა და, ბოლოს, შესაძლებელი ტრაგიკული აღსასრულია მისი ოდესეისა. ამ დაბრკოლებათა დაცალეეგად ავთანდილს უნდა შეეცნო თავისი განზრახვის გარდაუოვალი ალეცილებლობა თვითდამკვიდრების გზაზე. სწორედ ეს ზღვრული სიტუაცია განაპირობებს მისი ანდერძის შეუნიღბავ ეროიკულ სიმარილეს (რაც, ცხადია, ბუნებრივია) და. აქედან გამომდინარე, უნდა შეენიშნო, რომ ავთანდილის ალხარების, ჩვენი აზრით, ორმაგი მხატვრული ფუნქცია აკისრია. ერთი ის გამოკვეთა, რომ ანდერძი ავთანდილის ერთგვარი თავის მაროლეაა როსტევანის წინაშე ეს ფუნქცია ეროკეალია და გარკვეულად ზედაპირული. მეორე და შინაგანი ფუნქცია ან ქეკეტაქტი კი იმაში მდგომარეობს, რომ ავთანდილის, თუ შეიძლება ასე ითქვას, წერილობითი მონოლოგი არის საუ-

ბარი საკუთარ თავთან, ცდა საკუთარ ემოციურ სამყაროში გარკვევისა.

მოყვანილნი რამდენიმე სტროფი:

790 რადგან თავი სიცრუე, ყოველსა
უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი
ძმობისაჲ?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს
ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთა
მწყობრთა წყობისა.

791. „წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი
რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობაჲ
მიიგერენ.
„სიყვარული აღგვამაღლებს“ ვით ეფესანნი,
ამას ყოერენ,
შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი
ვითმცა შეავჯერენ!“

ავთანდილის ამ სიტყვებში გაცხადებულია ის ზნეობრივი საფუძვლები, რომელთაც განაპირობებს მისი ცხოვრებისეული გზა. ფრაზები „მოგვეცეს შერთვა ზესთა მწყობრთა წყობისა“, „სიყვარული აგვამაღლებს“ ნათლად მიგვანიშნებენ იმ ალეგორულ უმაღლესს მიზანს, რომელმაც განსაზღვრა ავთანდილის კეთილშობილური ნაბიჯი.

ავთანდილის ფიქრების, განცდების დასახასიათებლად მოკლედ ელიან ტარიელის მისამართით ერთვან ნათქვამ ფრაზას „სხვაგან ქრის მისი გონება“ და ეს სხვაგან სადღაც სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის საზღვართან ძევს:

800. ვერ დაიპრიალეს სიკვდილსა გზა ვიწრო,
ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და
ძალ-გულოვანი,
ბოლოდ შეეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე
და მტკოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი
საბელოვანი!“

801. მერმე ვიშიშვი მეფეო, თქვენად
კადრებად ამისად:
ცოცხის და ცოცხის, სიკვდილსა ვინ არ
მოელის წამისად
მოკა შემყრელი ყოველთა ერთგან ღღისა
და ღამისად
თუ ვერა გნახე ცოცხალმან, სიცოცხლე
გკონდეს ქამისად.

მგონია, რომ სწორედ აქ, გონების თვალით მოხილულ მიჯნასთან იკვეთება ავთანდილისა-თვის მისი მისიის ნამდვილი, ეშშმარიტი მნიშვნელობა, მისისა, რომელიც მოჩანს ზედა სულის ხსნისაკენ...

მაგრამ არა მხოლოდ ამგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას „ლვთაებრივი ფიქრები“ იპყრობს ავთანდილის სულიერ სამყაროს. „ანდერძის“ მომდევნო სტროფი გამსჭვალულია მძაფრი, ტრაგიკული წინათგრძნობით:

802. თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა
დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამტირონ
მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა
მისანდობელმან, —
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან
მოწყალე-მლმობელმან“.

წარმოდგენილი ხვედრის სიმწარე თითქოს მიწაზე აბრუნებს ავთანდილის შინაგან მზერას. მხატვრული განვითარების სწორედ ასეთნაირი მოულოდნელი შემოქცევა ვგაძლევს საბუთს, ვიფიქროთ, რომ ანდერძი თავისი შინაარსის სიღრმით სცდება ავთანდილისა და როსტევანის ურთიერთობის გარკვევის ფარგლებს და მისი მხატვრული მიზანი უფრო მორს არის საძიებელი, ვიდრე ეს ავთანდილთან განშორებით გამოწვეული როსტევანის მწუხარების შემსუბუქებაა (ჩვენს მიერ მოყვანილი ნაწყვეტი სწორედ რომ ზემოქმედების საპირისპირო ძალის შემცველია).

რადგან წარმოდგენილი ხვედრი ავთანდილისათვის ტრაგიკული ნიშნით არის აღბეჭდილი, აღარც ის იქნება გადაჭარბება, თუკი მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს კეთილშობილურთან ერთად თავგანწირულის ეპითეტითაც მოვნათლავთ.

შემთხვევითი არაა, რომ საუკუნეების შემდგომ ნ. ბარათაშვილის ყურადღებას იპყრობს ანდერძის ზემოთ ციტირებული სტროფი (როგორც ცნობილია, აღნიშნული პარალელი პირველად შენიშნა ილია მეუნარგიამ, იხ. ქართველი მწერლები, ტ. I, 1954 წ. გვ. 228) და რომ „მერანის“ ლირიკული გმირის ტრაგიკული თავგანწირვის პათოსს, გარკვეულ წილად, განსაზღვრავს ავთანდილის პიროვნება.

ავთანდილის ანდერძის მხატვრული სტრუქტურა არა განსჯის, არამედ განცდილის ლოგიკით არის ნაკარნახევი. მხოლოდ გრძნობამიერი სიმართლე განაპირობებს მისი ლირიზმის სიღრმესა და მწუხარი ჰარმონიის არსებობას.

* * *

ტარიელისადმი ქაჯეთის ციხიდან მოწერილი წიგნი ნუსტანისა, ერთი ისეთი ადგილია „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც მუდამ იქცევდა პოემის მკვლევართა ინტერესს. ალიარებულია, და

სამართლიანადაც, რომ ნეხტანის სახე, მისი სულიერი სამყაროს მრავალფეროვნება, სწორედ აქ წარმოჩნდება ყველაზე რელიეფურად.

მრავალგვარია „ვეფხისტყაოსნის“ ამ პასაჟის და, აქედან გამომდინარე, ნეხტანის ხასიათის ინტერპრეტაცია. ზოგი ნეხტანის წერილის მზვინიერებას მის ღრმად ფილოსოფიურ ან თეოლოგიურ სიმბოლიკაში ხედავს, ზოგი კი ლირიკულ-ემოციურ საწუხრებს ანიჭებს უპირატესობას. ერთი ნაწილი ინტერპრეტატორებისა ნეხტანის წიგნის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მის ხასიათში გონებისმიერი მხარეა მოთავარი, სხვები კი თვლიან, რომ ნეხტანი უდიდესი გრძნობის მატარებელია და ეს თვისებაა ძირითადად მისი ბუნების გამომხატველი.

მგონია, რომ ამ შემოხვევაში თავისებურად ყველა მართალია (ცხადი, ის მკვლევარები გვაქვს მხედველობაში, ვინც ზომიერების საზღვრებს არ გასცილებია), ვინაიდან ნეხტანის წერილის ლირიზმი ადამიანური ბუნების ამ გაუნმაზღვრელი საწყისების (გრძნობა და გონება) წინააღმდეგობრივ გამოვლინებას ეფუძნება.

საოცარი ის არის, თუ როგორ აღწევს პოეტი არცთუ ვრცელი ტექსტის ფარგლებში ამგვარი მდელვარე, შინაგანი ტრაგიზმით აღსავსე სურათის შექმნას.

თვალსაჩინეულია ის სიხარულის გრძნობა, რომელიც ნეხტანს ფატმანის წერილმა მოჰგვარა (მოვიგონოთ: „პირ-მზე გაჭკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა, ნუშნი გაიანა, შეიძრა სათნი გიშრისა წნელითა“ ანდა „აწ ვნახე შენი უსტარი, მე დიდად მეიმედაო“), მაგრამ ქაჯეთის ციხის შეუვალი კედლები და, ალბათ, ის მზარე გამოცდილება, რომელიც მას ხედა არგუნა, ნეხტანის წარმოდგენაში გადაულახავ უფსკრულს აჩენს მასსა და ტარიელს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ნეხტანმა იცის (და სჯერა კიდეც) ტარიელის შესაძლებლობათა ზღვარი ან, უკეთ, თითქმის უსაზღვრო ძალმოსილება — აი, აქ არის, ვფიქრობთ, სათავე იმ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლირიკული კონფლიქტისა“, რომელიც განმსაზღვრავს ნეხტანის წერილს.

1296. „შენსამ მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი
არ მეგონე;
ჩემი მეთქეა: გარდასრულდა სიცოცხლე და
ყოველი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და
ღმერთსა ვკმინე,
ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა
შევაწონე.

1297. შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად
გულისად,
გულისა ერთთან წყლულისა და ასრე
დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის
დაკარგულ-ალბალ-ალბალ
ვზი მზრდელი სიყვარულისა, მის ჩემგან
დანერგულისად.

1300. ციხეს ვზი ეზომ მაღალსა თვალნი ძლივ
გარდასწვდებიან,
ვზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა
დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ
დასცეთებიან,
მათთა შემმბელთა დახოცენ, მართ ცეცხლად
მოედებიან“.

1301. ნუთუ ესენი გეგონენ სხვათა მებრძოლთა
წესებითა?!
ნუცა მე მომკლა ჭირითა, ამისგან
უარესითა,
შენ მკვდარსა განაავ, დავიწვი, ვითა აბედი
კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისასცა
უმაგრესითა!

სიყვარული, ისე როგორც ყველა ადამიანური გრძნობა თუ მისწრაფებანი, რა კუთხიდანაც უნდა შეხედონო, ყოველთვის შეიცავს ეგოიზმის რაღაც მარცვალს მაინც. ადამიანები ყოველთვის უნდობლობით უდგებიან თვითგმობის ყოველგვარ გამოვლინებას, ცხოვრებაში იქნება ეს თუ ხელოვნებაში. აი არსებობს ადამიანური ალტრუიზმი, რომელსაც არ ახლავს ნაცვალგება...

ნეხტანისა და ტარიელის სიყვარულიც არ არის თავისუფალი ადამიანური ეგოიზმისგან, რაც, ცხადია, ბუნებრივია (გავიხსენოთ თუნდაც ხვარაზმშა ამბავი), ნეხტანის სიტყვები კი, რომლებიც სამაგალითოდ მოვიხმეთ, საკუთარ ბედნიერებაზე უარის თქმაა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის, მეტი რომ არ ვთქვათ, ძნელია, მით უფრო ნეხტანის მდგომარეობაში, როდესაც ამდენი ტანჯვა-წამების შემდგომ, პირველად გამოკრთა იმედის სხივი. მაგრამ ნეხტანის სულიერ სამყაროში არსებობს ძალა, მის ალტრუიზმს რომ ბადებს. ეს ძალა ნეხტანის რელიგიური რწმენაა, რომლის თანახმადაც მან მეორე სიცოცხლეში აუცილებლად უნდა მიეზღოს სამაგიერო, კუთვნილი ბედნიერება (მგონია, ამით სრულებითაც არ მცირდება ნეხტანის საქციელის სიკეთეელ).

1304. ღმერთსა შემეფერე, ნუთუ ყველ
დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა
ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივაჭვდე
მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვჰბედავდე მზისა ელვათა
კრთომასა

1305. მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ
ხარ მისი წილი,
განაღმცა მას ვარსკ მისი ტკბილი, არ თუ
წყნილი!
მუნ ვნახო, მადვე ვსახო, განმინათლო
გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მჭოდეს, სიკეთილმეც
მჭონდა ტკბილი!"

აქ წარმოდგენილ, მარადიულ ნათელთან მიახლოების სურვილ მრავალი პარალელი შეიძლება დაეძებნოს შუა საუკუნეების ღვთისმეტყველურ ნააზრევსა და საეკლესიო ლიტერატურაში. მაგრამ ეს არ არის მთავარი, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ, ეს რწმენაა სათავე ნესტანის ნებისყოფისა, განმსაზღვრელი მისი თავგანწირული ნაბიჯისა.

ის, ვინც დაკვირვებია ნესტანის წერილის პოეზიას, ალბათ, დამეთანხმება, რომ ალეთმოული საუკუნო ნეტარება მაინც არ არის სრული ბედნიერების, სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელი, რომ ნესტანის არსებაში რჩება ადგილი მწუხარე გრძნობისათვის და რომ ეს გრძნობები მძლავრად იჩენენ თავს მისი წიგნის მდელვარე სტრიქონებში:

1307. წადი, ინდოეთს მიპმართე, არგე რა
ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებელსა, ყოველგნით
ხელ-აღებულ ჩემ-ებრ
გულსა ალხინე ჩემისა მოშორებისა
მომმობელსა,
მომიგონებდე მტირალსა, შენთვის
ცრემლ-შეუშრობელსა"!
1308. „რაცა ვეიჩვევ ბედისა ჩემისა, ვმა
სიჩიეარად:
ცან სამართალი მართალი გულისა გულსა
მივა რაკ
შენთვის მოვკვდები, **გავხდები-ყორანთა
დასაყიფარად.**
ვიდრე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატრლად
და სატკივარად"

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს, თუ რა ტკივილების დთრგუნვა მოუხდა ნესტანს საკუთარი ბედნიერების დათმობისას.

●

ვფიქრობთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი კრიტიკული ანალიზი „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი ეპიზოდისა, გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ, რომ გაღმრთობის შუასაუუნეობრივი идеა ან მარადიული ბედნიერების რწმენა განუყოფელი ნაწილია პოემის ვგრძნთ სულიერი სამყაროსი და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ეს რწმენა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ გმირების სულიერ მდგომარეობას, მათ გადაწყვეტილებებსა და ცხოვრებისეული ბრძოლებს.

მაგრამ, ცხადია, აგრეთვე, ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟების მხატვრულ სახეთა განვითარება არ რჩება აღნიშნული იდეიათ ფარგლებში. მათი გრძნობები სხვაგვარი ნიუანსებითაც არის დატვირთული: უფრო მეტიც, სამოლოო ჯამში, რუსთაველის გმირები რაღაცნაირად ემიჯნებიან კიდეც ადამიანური არსებობის, ქრისტიანული იდეალს, იმ გაგებით, რომ სამაგალითო ბედნიერება მათ აქვეყნიერ ერგოთ წილად და ეს ბედნიერება მოიპოვეს არა მისტიკური ნათელმხილვისა და ასკეტური ზნეობის, არამედ ადამიანური (მიწიერი) ენებრძოლის ფასად.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ზემოთ თქმული იმას, რომ რუსთაველი თავისი პოემით უარისპირდება მისსავე ეპოქაში გავრცელებულ ზოგად წარმოდგენას ბედნიერების არსზე?

დადებითი პასუხი შეკითხვაზე მცდარი კატეგორიულობის შემცველია. ვფიქრობთ, უფრო ახლოს ვიქნებით სიმართლესთან, თუკი ჩავთვლით, რომ „ვეფხისტყაოსანი" არა წინასწარ განზრახული პოლემიკური პათოსის, არამედ ესთეტიკური გარდასახვის ნაყოფია.

პოემის ავტორი შეირად ბაზგასმით აცხადებს, და ასევე ფიქრობენ მისი გმირები, რომ ადამიანური ყოფის გამართლება, უმაღლესი მიზანი საუკუნო ნეტარების მოპოვებაა, მაგრამ მხატვრული ჩანაფიქრი პოემისა, მისი ფინალი (ბედნიერი ფინალი) ამჟვეულად მოპოვებულ გამარჯვებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ რუსთველური ფრაზა — „ბაირონა პირველადვე, სიბრძნისაა ერთი დარგი" ნიშნავს პოეზიის თავისთავადი ღირებულებების აღიარებას. აქ კვლავ უნდა დავეხმახოთ ა. გაწერელიას, რომელიც წერს: „პოეზიას თავისი გზა აქვს, თეოლოგიას და მისტიკას (ჩვენ დავუმატებდით, ფილოსოფიურსა და პოლიტიკურ აზროვნებას) კი — თავისი". არ ვიცი, რამდენად უნიკრსალურია ეს მოსაზრება ხელოვნების ზოგადი ისტორიისათვის, მაგრამ „ვეფხისტყაოსნთან" მიმართებაში კი იგი აბსოლუტურად ზუსტია და სწორედ გამოხატავს „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სამყაროს ბუნებას.

ამ უკანასკნელი დებულების განსამტკიცებლად კიდეკ ერთ მაგალითს მოვიხმობთ — „ვეფხისტყაოსნის" მოკმედება იდეალური ფეოდალური სახელმწიფოების (არაბეთი და ინდოეთი) წიაღში ვითარდება. იდეალურია ეს სახელმწიფოები თავიანთი სოციალური ყოფით და პოლიტიკური მიზნებით. რუსთაველის სახელმწიფოებრივი იდეალი ემთხვევა თავისი დროის წარმოდგენებს ფეოდალური-ქრი-

სტიანული მონარქიის ნიმუშზე, ამდენად, იგი კონვენციური ხასიათისაა, მაგრამ სიუჟეტის ვანვითარებასთან ერთად, გმირების მძაფრად დრამატული ვნებების ფონზე, აღმოჩნდება, რომ ამ იდეალური სახელმწიფოების ცხოვრებაშიც მოიძებნება ადგილი ბოროტებისათვის, რომ ამაღლებული პატრონყმული ურთიერთობაც არ გამორიცხავს მწვავე, ზოგჯერ ტრაგიკული კონფლიქტების წარმოქმნას (გავიხსენოთ თუნდაც ფარსადანისა და ტარიელის ან როსტევანისა და ავთანდილის დაპირისპირება და სხვ.) აი, ამგვარად იცვლის სახეს იდეური კონვენცია და მაღლდება მხატვრული სინამდვილის დონემდე...

ადამიანი არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ რწმენითა და თუნდაც ამაღლებული ინტელექტუალური მისწრაფებებით. მარადიული ვნებანი, ინტუიციური ან ქვეცნობიერი გამოვლინებები მისი სულისა განუყოფელი ნაწილია ადამიანური ბუნებისა, რაც ხშირად მისსავე სულიერ სამყაროში მძაფრი წინააღმდეგობების მიზეზი ხდება. ეპიშმარიტი ხელოვნება მუდამ ილტვოდა ამგვარი მთლიანობის ასახვისაკენ. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“ სწორედ ასეთი ხელოვნების უკვდავი ძეგლია.

შესაძლოა, ვინმეს უბრალოდაც მოეჩვენოს ამგვარი დასკვნა და, ალბათ, მართალიც იქნება, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აქ არის სათავე „ვეფხისტყაოსნის“ მარადიული სიცოცხლისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემიუელ ბეკეტს ირლანდიელ პოეტს, რომანისტსა და დრამატურგს კარგად იცნობს მკითხველი. ბეკეტი ცნობილია რომანებით: „მოლოი", „მალონი კვდება", „უსახელო", „უოტი". მისი პიესებია: „გოდოს მოლოდინში", „თამაშის ბოლო", „ყველა, ვინც ეცემა", „უკანასკნელი ფირი", „ო, მშვენიერი დღეები". ბეკეტის კრიტიკული ნაშრომებიდან აღსანიშნავია ჯ. ჯოისისა და მ. პროუსტის შესახებ დაწერილი ესეები.

კრიტიკოსები უკვე დიდი ხანია აღნიშნავენ სემიუელ ბეკეტის მისწრაფებას პატარა ფორმებისაკენ, ეს კარგად ჩანს მის 80-იანი წლების თხზულებებში.

50-იანი წლებიდან დაწყებული, ბეკეტის შემოქმედებას აკავშირებს ერთი თემა — ეს არის სიკვდილის წინაშე ადამიანის უძლურებაზე ფიქრი. წლების მანძილზე ეს თემა სულ უფრო ახსტრაქტულ-ფილოსოფიურადაა განმარტებული და ხორცშესხმული. უძლურებაზე ფიქრს გარდუვალად მიეუვანრო სიბერეზე, სულის და სხეულის უკიდურეს დაუძლურებაზე ფიქრამდე.

პიესაში „სარწეველა" (1981) ნახევრად ბნელ სცენაზე სარწეველა-სავარძელში ზის კალი. პიესის ფინალამდე იგი არ იძვრის ადგილიდან. პოზასაც კი არ იცვლის, ქნარიც და ქანაობს სავარძელში, მანამ, სანამ დასასრული არ დადგება (პიესის კვანძი არ გაიხსნება); იგი თავს დაიღლის, შუქი ქრება, სარწეველა ჩერდება. ასეთი შეზღუდული მოქმედების დროს (იგულისხმება წმინდა ფიზიკური და არა სცენური მოქმედება) აზრობრივი დატვირთვა უდავოდ სიტყვაზე გადადის, მაგრამ სიტყვაც სწყდება სუბიექტს, თითქოს დამოუკიდებელი ხდება.

პიესაში „სარწეველა" სიტყვა ფონოგრამის ეფექტადობით, კალის შიდა მონოლოგით გადმოიცემა. ხმამაღლა იგი მხოლოდ რამდენიმეჯერ იმეორებს სიტყვას „ქვევ" („ეიდეს").

მონოლოგში ბეკეტი ცდილობს დაფიქსიროს ფიქრის (აზრის) მოძრაობა, რომელიც სიტყვას წინ უსწრებს, იმ სიტყვას, რომელსაც აზრთა ქაოსიდან იგი ახალ სიმაღლეზე ამყავს. ამაშია ბეკეტისა და ჯოისის „ცნობიერების ნაკადის" არსებითი განსხვავება. ჯოისის არაცნობიერში სხვა წესრიგია, აზრი განსხვავებულადაა ალებული, ბეკეტის არაცნობიერი კი წყვეტილი აზრების „უწესრიგო ქაოსია".

მთავარი გმირის მონოლოგი, ძირითადად ქალის, ერთმანეთთან დაუკავშირებელ აზრებს წარმოადგენს. მისი ფიქრი მოკლებულია ლოგიკურ თანამიმდევრობას, ლოგიკურს განვითარებას და ამიტომ პერსონაჟი იმეორებს ერთსადაგიგივეს, და ამ განმეორებაზე მინიმალური დამატებებითა /და ცვლილებებით ვითარდება აზრი. ერთმანეთის მონაცვლე ვარიაციებთან ერთად იკვეთება მოაზლოებული აღსანიშნული წამყვანი მოტივი — „დროა, რომ ის გაჩერდეს". და აი, მაშინ ბუნებრივად ჩნდება დედის სახე, რომლის ბოლო დღეებმაც და ფანჯარასთან, უთანაგრძნობო სამყაროს სარკმლის წინ სარწეველაში გაიარეს. ამიტომ, ფანჯარა უნდა დაიკეტოს, უფრო სწორად ფანჯარა კი არა და დარაბები, აი, მაშინ გამეფდება წყვდიადი.

თავისთავად კი ერთმანეთთან დაუკავშირებელი აზრი გამოხატავს ღელვას, რაც სიკვდილზე ფიქრს თან ახლავს, მაგრამ სიკვდილი ზღურბლთანაა. გარდაცვალების პროცესიც დაწყებულია, მას ყოველ წუთს თან დაატარებს ცოცხალი ადამიანი და უხილავად უახლოვდება არარსებობის ზღვარს.

მეორე პიესაში „ოჰაიო ექსპრომპტი" (1981 წ.) მხოლოდ ორი მოქმედი პირია. ორივე უძრავად ზის მაგიდასთან. ერთი კითხულობს წიგნს, მეორე უსმენს.

შაში სიკვდილის წინაშე სხვადასხვა ნაწარმოებებში სხვადასხვაგვარადაა ხორცშესხმული.

●

ცნობილმა გერმანელმა კრიტიკოსმა კლაუს ირმბაცმა ფოლკერ ბრაუნის ახალი ნაწარმოების „რომანი პინცსა და კუნცზე" გარჩევისას ავტორს „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალური მწერალი" უწოდა. პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი და ესეისტი ფოლკერ ბრაუნი გამოჩენილი თანამედროვე გერმანელი მწერლების რიცხვს განეკუთვნება.

მწერალი სისტემატურად სრულიყოფს და ამრავალფეროვნებს თავის ესთეტიკას. იყენებს მოულოდნელ ყალიბულ, კომპოზიციურ, სტილურ გადაწყვეტას, რის გამოც ყოველთვის რჩება თანამედროვე და ინტელექტუალურ მწერლად.

„რომანი პინცსა და კუნცზე" კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მწერლის მხატვრულ შესაძლებლობებში, კიდევ ერთხელ დასტურდება მისი კავშირი გერმანულ ლიტერატურულ ტრადიციებთ.

თან. თვით ბრაუნს რომანს „კომეკურ ესსეს" უწოდებს. მწერალი იყენებს დიდროს ცნობილი რომანის „ჟაკი-ფატალისტის" ცალკეულ მოტივებსა და სიუჟეტურ სვლებს, გადმოაქვს მისი კომპოზიციური სტრუქტურა და თხრობის პიკარესკულ-ეროტიული ელემენტი, რომლებსაც თან ახლავთ ავტორისეული კომენტარები.

დიდროს რომანში, მიუხედავად პატრონის და მსახურის „მეგობრული დამოკიდებულებისა", მკითხველი კარგად ხედავს მათ შორის არსებულ სოციალურ განსხვავებას. დიდროს მოდელის გამოყენება ბრაუნს მხოლოდ იმისათვის დასჭირდა, რათა ეჩვენებინა ხელმძღვანელისა და ხელქვეითის სოციალური და საზოგადოებრივ მდგომარეობის შორის განსხვავებანი.

რომანში სამი მთავარი გმირია: კუნცი —ხელმძღვანელი, ბინცი — მისი პირადი მძღოლი და ლიზა — ბინცის მეუღლე, ჯერ ფაბრიკის მუშა, მოგვიანებით კი სახელმწიფო აპარატის მუშაკი. ბრაუნს აზრით ყველა მისი გმირი „ბარიკადის ერთ მხარეს დგას". ამასთან ავტორს აინტერესებს რეალური განსხვავებანი ადამიანებს შორის და რეალურად არსებული წინააღმდეგობანი სოციალიზმის განვითარებაში, რომლებიც ზოგ შემთხვევაში საკმაოდ სერიოზული და მძიმეა, მაგრამ არა ანტაგონისტური.

თვალშისაცემია ფანტასტიკური და გროტესკული ელემენტების შემოტანა, ერთი შეხედვით, თითქოსდა უბრალო ყოფით სცენებში, რაც შეიძლება ბრეგტისეული გაუსაზღვრის დრამატული ილეთის რეალიზაციად მივიჩნიოთ. რომანის დაკვირვებით გაცნობისას ვხედავთ, რომ სატირის, ირონია-გროტესკისა და ცალკეული ეპიზოდების შუქ ფერებში დახატის საშუალებით მწერალი ცდილობს ამოძირკვოს ის მანკიერებანი, რომელიც კიდევ არსებობს ჩვენს ირგვლივ. კიდევ რამდენიმე მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება. მაგ: პერსონაჟთა ჭეშმარიტი — ბინცის და კუნცის ისტორია გერმანულ ფოლკლორისა და ლიტერატურის ისტორიაში. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან არიან ცნობილი ეს გმირები. მათ ვხვდებით ლესინგის დიალოგ-არაკებშიც. ამავე სახეებს იყენებს ბრეგტი „ლტოლვილთა საუბრებში".

სახელმწიფო ძალაუფლებისა და ხალხის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი თავისთავად ბევრ პრობლემას აყენებს: სოციალურს, ფსიქოლოგიურს, მორალურს. ყველა ეს ასპექტი მეტ-ნაკლებადაა ასახული ბრაუნის რომანში. „კომეკური ესსეს" თავისუფალმა ფორმამ საშუალება მისცა ავტორს გადაეხვია თხრობის რეალისტური მანერიდან. გდრ-ის ზოგიერთი კრიტიკოსი ყველაფერში ვერ ეთანხმება მწერალს. მათ მიაჩნიათ, რომ ბრაუნს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზოგიერთი მომენტი სუბიექტურად აქვს დახატული. მიუხედავად ამისა 60-იანი წლების დასაწყისიდან ფ. ბრაუნი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარყვანან მწერალთა შორისაა. მან შეძლო ყველა ანარქია ახალი სიტყვა ეთქვა, რის შედეგადაც მისი შემოქმედება გდრ-ის ნაციონალური ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი გახდა, როგორც სოციალურ-იდეური პოზიციების თვალსაზრისით ასევე მისი მაღალი მხატვრული ღირსებების გამოც.

●

ცნობილი სლოვაკი პოეტის ანდრეი პლავკას ლიტერატურულ ფენომენად ეწოდებოდა ეს ერი ამ მხოლოდ მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან რაოდენობით. თავისი გენეზისით იგი მე-20 საუკუნის სლოვაკური ლიტერატურის ისტორიული განვითარების არსებით ნაწილს მოიცავს. პოეტის პირველი ნაწარმოებები 20-იან წლებში, ხოლო ბოლო ქმნილება 80-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა.

მის შემოქმედებაში ალბათ უახლესი ხანის სლოვაკური ლიტერატურის ისტორიული აზრი, რომელის საშუალებითაც კიდევ ერთხელ დატურდება ლიტერატურულ პროცესსა და საზოგადოებრივ-ისტორიულ განვითარებას შორის უშუალო კავშირის კანონზომიერება. თავისი შემოქმედებით ანდრეი პლავკა ცხადყოფს, რომ სოციალისტურ ეპოქაში ლიტერატურის ისტორია არა მარტო მემკვიდრეა, არამედ იგი კიდევ უფრო აღმსავლის ნაციონალური ლიტერატურის პროგრესულ ტრადიციებს, რომ სწორედ ამ ეპოქაში ვლინდება მთელი სისრულით ლიტერატურის სოციალისტური შინაარსი და ისტორიული პერსპექტივა.

ღირებულებანი, მოკვეცული სულიერი ტრადიციების სხვადასხვა სფეროში: მშობლიური ენაში, ხალხურ სიმღერებში, ანდაზებში, თქმულებებში, ნაციონალურ ლიტერატურაზე და კულტურაში, — პოეტისათვის მარტო ჭარსულის გამოძახილი კი არაა, არამედ ისინი მისი გრძნობებისა და წარმოსახვის მაცოცხლებელი წყაროა, პირადი ეხეთკიური კულტურისა და განათლების კომპონენტებია. ყოველივე ეს დამატებით განზომილებას იძენდა ცხოვრებისეული სპონტანურობით, რომლითაც ანდრეი პლავკა თავს აღწევდა ერთ-მხრიობას, რაც მთავარია კი პრაგმატულ რეალობალიზმს.

ანდრეი პლავკა იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმის შეგრძნებას, რომ მათი მისწრაფებები და წარმოდგენები მკითხველისას ეხმიანება. პოეტის ბოლო კრებული „შვიდი ბებერი ვაშლის ხე" ჰქვია. შვიდი ბებერი ვაშლის ხე სიმბოლოა

წარსულის იმ კულტურულ ღირებულებათა, რომელზედაც მყარად დგას და ვითარდება კაცობრიობის დღევანდელი ცხოვრება და კულტურა.

მშობლიური სიფელი, თუნდაც ტბაში ჩაძირული, ნიკოცაძეს განაგრძობს არა მარტო პოეტის შემოქმედებაში, არამედ მისი შვილის ლირიული გმირის სახეშიც, რომელსაც მის საუკეთესო ლირიკულ კრებულებში ვეცნობით. მათ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენა ანდრეი პლავკას მემკვიდრეობის ღირსეული და ლოგიკური გაგრძელებაა.

●

„ბატონ არტურ კონან დოილს, ამ თავმდაბალ და ნიჭიერ ადამიანს, ალბათ, არასდროს უფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს განსწავლული ხალხი საქვეყნოდ გამოიტანდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწერილ მის „საღვთო წერილებს“ — ხუმრობით აღნიშნავს პიუ გრინი ეურნალ „ლისნერში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში წიგნზე „უცნობი კონან დოილი: წერილები პერიოდულ გამოცემაში“. ეს ნიგნი ბოლშევიკ ინგლისელმა ლიტერატურის მეცოდნეებმა ჯონ გიბსონმა და რიჩარდ გრინმა.

სამი წლის წინ გიბსონმა და გრინმა გამოსცეს შერლოკ ჰოლმსის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია — 700 გვერდიანი ნაშრომი, ამასთან, გამოაქვეყნეს მწერლის „ესსე ფოტოხელოვნებაზე“ და რამდენიმე უცნობი მოთხრობა, აგრეთვე კი გამოიცა მისი წერილების წიგნი. კონან დოილს, აღნიშნავს პიუ გრინი, „მისი გარდაცვალებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ დიდი მწერალი“.

როგორ წარდგება მკითხველის წინაშე კონან დოილი — პუბლიცისტი, რომლის გამოსვლებიც ინგლისური და ამერიკული პრესის ფურცლებზე, როგორც წესი, აქტიურად ეხმაურებოდა იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებას. „ავტორისათვის ყველაზე უფრო ნიშანდობლივი თვისებები, — წერს პიუ გრინი, — გახლავთ ცოდნისმოყვარეობა, საღად აზროვნების უნარი, ლიბერალური შეხედულებანი“.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პრესის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 16.01.87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.03.87 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.სგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 148. უე 04381. ტირაჟი 65.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცა ახალგაზრდა მწერალთა წიგნები

1. აგულაშვილი თ. – ველის ხარი. მოთხრობები. „მერანი“

2. ამონაშვილი რ. – წელიწდეული. ლექსები. „ნაკადული“

3. გატიაშვილი ნ. — დინება. რომანი. „მერანი“

4. თოთაძე ლ. — ჯეჯილი განზე. ლექსები. „საბჭოთა აჭარა“

5. ხმალაძე თ. — მოლოდინი. მოთხრობები. „მერანი“

6. ხარჩილავა ვ. – მიწისქვეშა მდინარე. ლექსები „საბჭოთა საქართველო“

7. შატაიძე ნ. — მოლხინო. მოთხრობები. „მერანი“

8. შალგაშვილი ც. — სად მიდის მზე. ლექსები. „საბჭოთა საქართველო“.

9. ჯიქია ე. – განდოგა. ლექსები. „მერანი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ